


7. 20

ივერია

1881

Handwritten notes in purple ink, including a signature and the number 7. 20.

№ VI, ივნისი.



თბილისი:
ექვთიმე სელაძის სტამბა.
1881

ზინაარსი:

- I პოლინკა საქს, მათხრობა ა. დრუყინინისა, (თარგმანი ჩნიინა ა. მ. მელიქიშვილისა). 3
- II მილექ შენ წინა (მიმზგავსება) ლექსი გ. ო-ისა. 113
- III შსაფუძელო წადილი, (ილ. ჳავჳკავამის „ცხოვრება და კახოსის“ გამო“) წერილი პირველი, ნ. ხედაღოვისა 115
- IV სიმღერა, ლექსი, ვლ. მიქელაძისა 136
- V ხალხური ლექსები 137
- VI შრიების ბელი 138
- VII შმეცრების ამყობა, ი. გოგებაშვილისა 157
- VIII ახალი წიგნები, (მერცხალი) 191

P. S. უადგილობის გამო შემდეგის ნომრისათვის გადავდეთ სტატია სსვა ახალ-გამოსულ ქართულ წიგნებზედ და ბგრეთვე კორესპონდენტია ქუთაისის ბანკის კრებაზედ.

ივერია

საჟურნალიზო და სალიბრარო
ქუჩნალი.

5-993

წელიწადი მეხუთე.

№ VI



თბილისი.
მეექვსე ხელაძის სტამბა, აგამანის ქუჩაზე.
1881



Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Мая 1881 г.

302 წიგნი სავსე.

(მოთხრობა ა. დრუჟინინისა.)

(თარგმანი კნეინა ა. მ. მელიქიშვილისა.)

წინასიტყვაობა ხუროს წერილად.

I. — კოსტანტინე ალექსანდრეს ძის საქისთავან პავლე ალექსანდრეს ძეს ზალეშინთან.

დიდი ხანია, ჩაც ზღარ მომსვლია შენგან წერილი, პატრიუ-ცემულა პანტაგრუელითა *); მეც უნდა მომეგო შენთვის მაგიერად, ესე იგი არა მომეწერა-რბ, მაგრამ ამ შემთხვევაში ისევე შევებეკოს დავუწერგადი.

მე რომ ვვარდნი მივიღო, ან სამსახურშიდამ გამომავდონ, ამას ყოველსავე შეიტყობ შენ გაზეთებიდამ. რომ მოკვდეს, იქნება ისიც ჩასწერონ. — რასაკვირველია, არ ვიქნები მე აღწერილი ხარისხისგანად, დატირებული ხელ-ქვეყნითაგან; თითქმის იქამდინაც კი ხუთი წელიწადი მივლია, რომ «ყოვლად პატრიუ-ცემული» მიწოდონ, მაგრამ მაინც კი შეიტყობ, რომ

*) პანტაგრუელი არის რომანი ფრანცუზების გზომიენილ მწერლის რაბლესი, სადავე სამღვდელთა მოქმედებებს გაეცხვიო და გამბედავის აზრებით.

ესა და ეს საჭსი, ჩინოვნიკი, გამოიჩინეს ამა და ამ სამინისტროს სიებიდამა.

შენს ამხავს კი, თუ არ შენის წერილით, გეწას გავიგებ. შენა ხარ მდიდარი მეხატონე, მწეკრებს დასდეგ, როგორც არის ნათქვამი ჩვენში ძველთაგან, გუბერნიაში გიწოდებენ შენის გლეხ-გაცუბის მამად, მაგრამ ვინ არ არის თქვენგანი მამა გლეხთათვის? მას მოდი გაუმართოთ შეუწყვეტელი მიწომოწერა.

ამას გარდა, მე დღეს წმინდის გულით მიზა გამოგელაზნაკო ვისმე, ასე რომ წინ ერთი თახახი ქალაღდი დავიდე და ვის ვეუბდო-კი არ ვიცი. ჩემს ცოლს ბავშვსავით თავ-ქვემ წათები ამოუწევია და სძინავს; მე კი ჯერ არ მუძინება, რადგან, დასწეველს დემეტმა, დამით მუშაობას ვარ დაჩვეული. ამას გარდა, როგორღაც ვერ ვარ მხიარულს გუნებაზედ, თუძცა მთელი დღე უსიამოვნო არა შემმთხვევია-რა.

დილით მოვჩნი გამოძიებას, რომელიც მონდობილი მქონდა და ისე გავათავკე, რომ ბეგის მდიდარს მოვაფხანებ თავსა. მშვიდად, მიუფერებლად და უწყალებლად გამოვაშკარაკე ყოველი ეშმაკობა შენის ნაცნობის კომიტეტისა; — შირ-და-შირ საბრძოლველად გამოვიწვიე ის მოსაქმენი, რომელიც ჯერ ვერ შეჩვეულან იმ აზრსა, რომ ხაზინა საერთო საკუთრება არ არის ღვინავს არა მგონია, არა აქვს იმასთან ხელი. მინისტრმა რამდენჯერმე წაიკითხა ჩემი მოხსენება, მოიწონა ჩემი გამოძიება და დღესაც კიდევ მაღლობა მითხრა. მე დავბრუნდი მხიარული და კმაყოფილი, რომ ჩემმა შრომამ ამაღლ არ ჩაიარა.

ზოლინკა — რაღა თქმა უნდა — ანგელოსავით მშვენიერი და ფრინველსავით მხიარული დამხვდა; მეტად მიამა, რომ რიადთან მჯდომარეს მოვასწარ; ჯერ ისევ კიბეზედ ვიყავ,

რომ იმის ზარნიანი ხმა ყურებში მიწკარუნებდა. ხომ იცო, როგორ უწყალოდ გულ-გრილნი ზრინ ჩვენი დედა-კაცები და ქალები მუსიკისათვის, და ჩემი ცოლი—მწუხარებით უნდა ვაღვიარო—ამ სავანში ყველას უკან ჩამოჩნა. ოპერაში სასადა-ხოდ ამთქნარებს და შინ მარტო პოლკებისა და გალამის დაკვრა უყვარს. რაღაც ეშმაკი სპეციალ-პოლკა უსწავლია და დამის იმის ხმით სისხლი წამისდინოს.

ამ უკად კი ის დესდემონას განთქმულს რომანსს იმღეროდა. ძრავალი სიყმაწვილის და სიჭახუკის წამები მომაგონა ამ მადლიანმა ხმამ. ვმადლობ ბედსა, რომ ამისთანა გულის გრძნობა და მეხსიერება მომცა; საკმაოდ ვიტანჯე და ვინჩხლე ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ არც ერთი სასიამოვნო წამი არ არის ჩემგან დავიწყებული, არც ერთს ბრწყინვალე გრძნობას არ დაუკარგავს ჩემზედ თავისი ძლიერება.

მე არა ვფარავდი ჩემს სიამოვნებას: წმინდა და მალაღი ხმა პოლინკასი აღელვებდა მთლად ჩემს გულსა და ამას ვთქვარობდი; სუსტის სუფილდამ კერ წარმოითქმის ასეთი ძლიერი სიმღერა, და თუ არის სადმე სული, მიუგნებელი არ დარჩება მეთქი.

ეს კი ასეა, მაგრამ პოლინკას სიმღერის კილო სრულებით არ ეთანხმება მუსიკის ხმოვნების პირობებს. ეს იმღეროდა სევდიანს ხმას ისე მარდად და მხიარულად, როგორც მხოლოდ «მუხამბასს» შეშვენის. თითქო დაუინებით აკაკანებდა ხმას, სხვა-და-სხვა რიგად აბოლოებდა ყოველს ხანას, როდესაც ამისთანა მწუხარე სიმღერა ერთისა და იმავე ნაღვლიან კილოთი უნდა ბოლოვდებოდეს და ამ სახით გულიდამ განუშორებელი და გამომიჩი გრძნობა გამოიხატოს.

მე მივხვდი, რომ მნიშვნელობა სიმღერისა ამას კარგად

ვერ გავგო, და ვგონებ არც კი ექნებოდა საიდანმე გაგონილი დეზდემონსა ამბავი; ოპერის წარმოდგენას ჩვენში მხოლოდ ესაა აზიკებენ და შექსპირს ჯერ ჩვენ არა ვკითხულობთ, ამიტომ, როდესაც გაათავა სიმღერა, გვერდით დავისვი, ხუმრობით შევამტყნებინე შეცდომილება იმის სიმღერის კილოსი და ბოლოს ვუამბე ჩემებურად ოტელოსი და იმის ცოლის ამბავი. ამან მომისძინა სიამოვნებით და მაშინვე ვენეციულ მანქანის სასული მიწოდდა. ვერ მივმსდარვარ ჩისთვისა სთქვა ესა: ეჭვიანობა დამწამა, თუ თითონაც უნდოდა ეთქვა რამე ჩემს ნაამბობზედ.

გაიცინე, გაიცინე ჩვენს მეცნიერს უბედობაზედ. წყნობაში ეს ცუდად გამოდის, მაგრამ საქმით კი მგონია, იმისაზედ უკეთესი სიამოვნება აღარ ექნებოდეს, — როდესაც მისდევ ძვირფასის ბავშვის აზროვნებას, შენს გვერდით აყენებ და ასმენ ჩვენის საუკუნის ვითარებას; გრძობობინებ უაჯულისფერს, რაც კი შენ პოეზიური გგონებია და გგონია. უნდა გაგიტყუდე და გითხრა, რომ მე ვარ არშიუი ჩემის ცოლისა, ვარ არშიუი, როგორც ბავშვი, როგორც მოხუცი, როგორც შეშლილი. თვით ბედმა და მიფარა მე ამ გრძობობისათვის: ნაადრევად გამეხსნა ჩემი ძალ-ღონე და პირველმა სიყვარულმა ჯერ ისევ სიყმაწვილს ხანში შემიპყრა. მე მაშინ თანამეტის წლისა ვიყავი. დიერთა, რა გრძობა იყო ის გრძობა! დიდ ხანსაც ტრიალებდა იგი ჩემს გულში; მტანჯავდა და ისე ჰქცებოდა; და აი რის გამოც ჩემს სიჭაბუკეში უაჯულის ფერი გამოვცადა, მაგრამ ტემპარითი სიყვარული დედა-ჯაცისა კი არ გამოიმეტა.

მთელი დღე პალანკა თავს მეულებოდა; კატასავით სტოდა ჩემს გარშემო, მაჩვენებდა თავის განკარგულებას ოჯახში, რომელსაც მხოლოდ ერთი წინი სჭირს: უკვლასფერი ერ-

თი-ათად უფრო ძეგლად ღირს, ვიდრე სხვაგან; მეუბნებოდა, — მე უსიამოვნოდა ვარ, როდესაც შენ განცულებასში საქმობო, და თან ერთი უცნაური აზრი წარმოასთქვა ჩემს საქმიანობას: ამის ფიქრით, ჩვენ ჩაკეტილნი ვსხედვართ ოთახებში. ვწერთ რაც კი თავში გაგვივლევებს და არ მივდევთ ნამდვილს საქმეს; მეუფროსენი სჩხრეკენ ნაშრომსა და აჯილდებენ იმას, ვისაც უფრო ლამაზად აქვს დაწერილი. წარმოიდგინე, რა შიშში უნდა ყოფილიყო პოლინკა ჩემს გამოხატვად იტოვებოდა ვჯვარბნი.

რასაკვირველია, თითონაც იტინოდა, როდესაც ამ ამბავს მისამბობდა, მაგრამ, მე კი ეს სიწირველე არაფრად მომწონს. ჯერ ვითქვამ, ამეხსნა ამისათვის. ზოგიერთი რამ, მაგრამ საჯვარედ გადავდე სამსახურის საიდუმლოებზედ ლაპარაკი. საღამოზედ მეც თითონ გავემწვილდი და ვინაღამ გუგების თავმჯობას მოვეუკამბსთან. არც თეატრში მოინდომა წასვლა, თავის მძიმდასთან წასვლისაც უარი მითხრა, და საღამო ჩვენი წარმოდგენდა უტუბესს იდეალს ოჯახის ბედნიერებისა. რომელიც მეშურდებოდათ არამც თუ აქაურს. პირ-ღია მორალისტებს, — შენც ვი ვერ იზოვიდა საგანს შენის სატირიულის ჩიჭისათვის.

ჩვეულებისამებრ მე ჯერ არ მეძინებოდა და მანამ პოლინკას ძილი მოსდიოდა, ვიჯექ იმის ქვეშებზედ, დაგრეკობოდი იმის სახეს, რომლის ცქერითაც მეტუობა ჯერ ვერ გამძღარყარ. მშვენებრი ცოცხალ ეს სახე იმ წამებში: ძილ-მოკრეულს გრძნობის ორგანები შეუჩერდენ და აღარ იკარებდენ ცარეშე საგანთა შთაბეჭდილებას. იმდენი ხანი ვუფურე და ვუფურე, რამ თავში სამძიმო ფიქრები აღმეძრენ.

პოლინკას განსხვავებული სახის მშვენებრება არის ამისი

ბავშური სიტუირფე. ზევითი ტუნი ქვეითზედ დაშორებულა აქვს—ეს არის მშვენიერება: უმაწვილისა და არა დედა-კაცისა. მთლად სახის მოყვანილობა ასეთი შრეკალი აქვს, რომ არსად არ ეტყობა სასქეზედ ჩადმკვეთელი ადგილი. პოლინკას ეს ძალიან უხდება, მაგრამ ჩემის თეჭრით, ცხრაქუტის წლის ქალს შეიძლებოდა, რომ არა ჰქონოდა ეს ღირსება.

ეს ნიშნები ასე იუვენენ შეთანხმებულნი პოლინკას, ხასიათთან... არა, ხასიათთან კი არა—მის აღზრდასთან, რომელიც მიანიჭა სამაგალითო დედ-მამამ... დარდუბალა იმათ თავს! მაგრამ დედ-მამა ისე დამნაშავე არ არის, როგორც საზოგადოება, რომელიც თავის სხვა-და-სხვა მოთხოვნებით, კაცობა ბავშვებზედ გადააქცია.

მე მომაგონდა ჩემის ცოლის ცხოვრება ქმრის შერთვამდე. ეს იყო განთქმული თავის უმანკოებით და სიწმინდით. მე კარგად მახსოვს მთელი ხროვა ამის მეგობრებისა, რომელნიც აღტაცებითა დნებოდენ, როცა ეს ცუქლებდა ან. ზანსიონურულს მოსწრებულს სიტყვას ამბობდა. სულელი უმაწვილ-კაცობა ჩურჩულებდა: საკვირველი ბავშვია! რა ანგელოზია!... ამას კი არა თეჭრობდენ, რომ ჩვენ დედა-კაცები გვეჭირვებდა და არა ანგელოზები, როგორის ამხარტავებით მითხრა მახუცმა მამამ ქოწილის დღეს: გაუფთხილდი ჩემს პოლინკას სრულებით ბავშვია!

ნუ თუ თავში არ მოუვიდა პატრი-ცემულს მამას, რომ იმ კაცისათვის, რომელიც თრეულა ქვეყანაზედ, მკვდაცა ცხენზედ, ყოფილა ცხენს-ქვეშ, და გამოსალმებისა მწუემსურ ცხენებს, — ბავშვის სასული დიდი სახატო სასული არ უნდა იყოს სიწმინდე, ბავშვი, ზანსიონურება! ყველა ამ სიტყვებს დიდ

ძალა აქვთ ქალების თაყვანისმცემლებზედ, მაგრამ ჩემთვის კი ეს რა შეღავათია?

— აი ერთი წელიწადია, რაც ვცდილობ მოკუქმზადო სატრფიალო და მანუგეშებელი შემწე ჩემს გატანჯულს სულსა, რომელსაც, ხუმრობა იქით იყო, ამხანაგი ეჭირვება, ეჭირვება ჭემპანითი მხიარულება... წმინდის გულით ყბედობა... და აი წელიწადია, რაც ვწვავლობ, გავცდებულა ეს პაწა ჭკველური სტატუსა! ჩემი ცდა ამაღ და მეც შორსა ვარ წარმატებასთან...

— ბირველი ჩემი ზრუნვა იყო, გამენათლებინა პოლინკას ეს ტეტერული გემოვნება. გარს შემოვასვიე ხელოვნებითი საგნები: უოკელისფერი მშვენიერი იყო, რასაც კი ეს ხელს მიაგარებდა. და რა გამოვიდა? ჩემი ძვირფასი სურათები მტკვერში ევარნენ: ყვავილები დაჭყენ უთაურობის გამო; სახლის მარტოულობა, რომლისთვისაც იმოდენი ვიხეთქე თავი, არც მარწონს, არც იამება. —

ამაღ ვცდილობდი, მუსიკისთვის წამკსადისებინა: რომალთან ვდამა ამისთვის სასჯელია. თუმცა მშვენიერი ხმა აქვს, სიმღერისა რცხვინან უცხოებთან და თითქმის ჩემთანაც. იმღერის თუ არა, რომელსაც მარტო რჩება, — რ ვიცი, და ჩემთან კი დღეს პირველად დაუკრა სერიოზული პიესა.

რას უნდა მოველოდე მე წიგნების ვითხვისაგან? სწორე ვიბხრა, იმდენი ბოროტება მინახავს ამ დაყინებულ ჩვეულები-საგან, რომ ვშიშობ, ძალა დავატანო და წიგნების ვითხვას შევანვიო. ერთხელ კი ვცადე და მივეცი უფრუ-სანდის რომანები; დაწმუნებული ვიყავ, რომ დედა-კაცი უფრო მიხვდებოდა დედა-კაცის ნიჭსა, მაგრამ სულ სხვა რიგად მოხდა: პოლინკამ ამოქანა, ამოქანა და ზიზღით გადაყარა წიგნები.

საქმიანობა ამისთვის უცხლად და გაუგებლად ეს იმას უთქვამს ვერ აჩივებს. რაც ჭკუასზედ ახლად და გონივრულია; ანც გი სურს შეიტყოს, რაგორია ამის ქმრის სამსახური და ან დამით რად შეიკეტეს ხალხი ხშირად თავის კაბინეტის კარებს.

მე ვხედავ ახლად გი, რომ ყბედობას მივყავ სული და ბეჭდით წამოვრეო. დეე ასე იყოს; უმიზნოდ დაფარვა თავის გარემოებისა ისეთივე სისულელეა კაცისთვის, როგორც ისე რომ ყოველს გამკლავ-გამომკლავს თავის ამით ყურები გამოუჭედოს. ან გი მე შენ რად უნდა მოგეჩიოდო. ტყუილად გი აჩივს ვსწავლობდით მე და შენ ერთად, ერთად დაკეთრულით ჭკუეანაზედ და ერთად ვიბრძოდით კავკასიაში. რასაკვირვულია, ყველას ეს თავ-თავის დროზედ არ მოხდა; ვერ დაკეთრულით, მერე ვისწავლეთ და იძილავს იძიურ თქორის დასაკვირვებლებად გავწიეთ კაცობრიობის მოსახლობად. ჩვენ მანც მეგობრები ვართ, თუმცა დიდი ხანია სხვა-და-სხვა მხარეს წაკად-წამოკვდიით. შენ მოემწყვდიე შენს აჩივადიაში, მოისვენე, მოშორდი ჭკუენის ლეღასა და შოგოსს; მე გი გავმიჯნურდი, დაქვარწილდი და ნათლად დავინახე, რომ ჩემის რომანის დაწყება პირველის გვერდიდანვე მოძინდება.

ამ წერილმა მრავალი სამწუნარო ფიქრები ამიძალა და ამიშოგოთა, როგორც თურამეტის წლის უმაწვილი. მომსურდა, კიდევ დამეხედა პოლიტიკისთვის და გამეფანტა ეს ფიქრები, ამის გამო დავაგდე ჩუმი წერილი და მიველ მასთან. პოლიტიკას ეძინა გადახდილს ბავშურად; სახეზედ ანგელოზის სიმშვიდე ეტყობოდა. მინდოდა, მეკოცნა; მინდოდა, არ გამოემეღვიებინა და ნელ-ნელა მივაკარე ტურები. გული დაუდგრომელად უცემდა, ხან ნელა, ხან ისე აჩქარებით, თითქმის რაღასაც ალტაცყო

ბით უამბობდა... და მეც დიდ ხანს დაუყდებულა ვუგდებდი
 უურს ამის გულის ძგუკასა:

ამ ტკბილს წამებში მე კი არა ვცოცხლობდი, — ცხადლივ
 ვრცოტავდი. მე მეზმანებოდა, რომ ეს დაუდგრომელი გული მი-
 ამბობდა ჩემის პოლინკას ცხოვრებას: როგორ არ ამღებდენ ნე-
 ბას უმაწვილობაში გართობოდა იმას, რაც გაუმატრებდა სულ-
 სსა და ხორცსა, რა ჩივად სტენდენ ამის თავს უოკელ-გვარს
 წარამნის აზრებით და ბოლოს, საქმის დასამთავრებლად, რო-
 გორ ჩაჭკეტეს ვიწრო სახლში, რომელიც სავსე იყო ამხა-
 ნაგებობითა და დამრიგებლებით. ეს გული მიამბობდა მე, რომ
 გორ ელანდებოდა ხანდის-ხანს ტრიალი მინდორი, ტუე, რომ
 მუხსაც ვინწინოები უჭაროდ ერეკვა და მზე, რომლის სხი-
 ვიც წმინდას ტბაში გამკაძებს. მრავალი ამ გვარით რამ მამ-
 ბო მისმა გულმა, მაგრამ არ მინდა მოთმინება გამოგილიო...
 შენ ცოლიანი არა ხარ, არა ხარ არშიუა და ვკონებ აღარც
 ვაარშიუდები.

მანც სავძაოდ გეჩნება შენ გამომხატველობა, რომ მის-
 ვდე, რა გრძნობა ანთო ჩემში ამ ამბების შემდეგ.

ისევ ამ ტკბილს უოფაში ვიყავ, რომ გავიმეორე ფიცი,
 აღწხარდო პოლინკა ჩემებურად, თუმცა ამისთვის მთელ სა-
 ზოგადოებასთან წაკიდება მომინდეს. მე დავიფიცი სრულიად
 გაუუხსნა ამას ნიჭი, გაესადო ამის გონება დაუმოკიდებლად,
 ჭეშმარიტის თვალთ შევახედვინო საზოგადოებისადმი და ამ
 გვარად გამოვიყვანო ეს ლამაზის მაგრამ სულელ დედა-გატე-
 ბის წრიდამ. მე დავიფიცი, გაუამაგრო ამისი სულის ძალა, მიკ-
 მართო იგი უოკელის სიკეთისადმი და გავფანტო სისლი ხარ-
 ნარის და უაწრო წრფელობისა, რომელიც აღწინობს ჩემს საწ-
 უადს ბავშვსა.

მე ვგრძნობ, რომ დამნაშავე ვარ პოლიტიკოსთან: ამ წელიწად-ნახევარში მე ვერ გარდავქმენ რაღაც მსურდა, და ვერ გარდავქმენ სწორედ იმიტომ, რომ ხანდისხან ამასთან მეც თბობი ვუძაწვილობდი; ამის ტურფა ნაკლებობდა, მეც მარტობდა. ამ წელიწად-ნახევარში ეს ქალად დადგებოდა. ამას მარწმუნებს მე ამისი მარჯვე დატინება, სიფიცსე და ხასის-დროს ქვეითის ტუჩის კენეტა. ეს ყველა ხასიათის ნიშანია. მე ვერ შევასრულე ყველა იგი, რის შესრულებაც შემეძლო. დამეკრძა ინებოს რომ სულელურ აჯერსის წუთები ძვირად არ დამჯდომოდეს.

როდის გავათავებ მე ჩემს შრომას? როდის გაიქცის საჭიროება პოლიტიკოს ადვოკატისა? და თუ ჩემი წადილი ამის-რულდა, რა ბედნიერად ვიქნები მაშინ! რა რიგად უზრუნველად გამოვალ ამასთან ხელი-ხელთ გაუჩილ ცხოვრების მისაგებებლად; როგორ მარჯვედ დაუხსნდება ყოველს იმის ავსა და კარგსა და შენც ნასავ როგორი ჭკვიანი, კეთილი და მხიარული იქნება ჩემი პაწაწა პოლიტიკა!...

II.—პოლიტიკოსი ალექსანდრეს ასულის საქმისაგან ანნა კრასინკის ცოლთან.

ბედნიერესი დღე ჩემის ცხოვრებისა ის იყო, როდესაც მომივიდა შენი წერილი, ჩემი ყოველად მშვენიერო ანეტა. მე წარმოვიდგინე ჩემი თავი ჩვენს თეთრს წაღასში, ჩვენს პანსიონში, რომელსაც ბევრსა ვწვევდით, მაგრამ დამეკრძა, იქ ბევრი მხიარულება გამოგვივლია. დედამ მომიტანა შენი წერილი თავის დროზე და შეგიძლიან მოსკენებით იყო: ის ჩემის მეტა არავის წაუკითხავს. მაშ აქამდის იმიტომ არა მწერ-

დი, რომ არ იცოდნი სადა ვცხვავრობ? წიგნის ბოლოს წიგნითხაკ ჩემს ადრესსა. *)

მე კი ვფიქრობდი, — შენ შემიძულე, იმიტომ რომ შენი ძმა არ შევირთე? ჩემო სულს, წარმოდგინე, მსალად ეს, რომ ძმა-ჩემს სულ ის ეზმანებოდა, საქსისთვის; მივეთხოვე ბინე. მთელს ნათესაობას არა სურდა ეს ქორწინება, ჩემს საწყაფას კოსტიას უცნაურს კაცს უწოდებდენ, თვით-ჩვეულს და დემკრთმა იცის კიდევ რასა. ძმა ურს არავის უგდებდა და მეც, სწორე გითხრა, მინდოდა კოსტიას შერთვა, თუმცა დანიშნის წინად ძალიანა მძულდა, რადგან ჩვენს პანსიონს ავად იხსენიებდა. ამავე დროს შენი ძმა საწამლებად წავიდა... ეტყობა, ანეტაკ, დგთის ნება ასე იყო.

შენა მწერ, რომ ჩემი ქმარი არის მოსურცი და ცუდის სახისა. შენ თითონ, ჩემო ანგელოზო, ამ ორის წლის წინად ამას როდი ამბობდი. ამისთანა პატიოსანს და გამბედავს საბუხეს, როგორიც საქსსა აქვს, ვერსად ვერა ნახავ. ცოტა თავმობტკლევადი ვიარ, მაგრამ მე დავათანხმებ, რომ პარიკი დაიხუროს. წლისა ჯერ ოც-და-თორმეტისა არის, ისიც მისიში უნდა შესრულდეს.

მერე მწერ, რომ რატომ სამხედრო სამსახურში არ არის სო. «შენ უკან ჩამოწმობოდა, ჩემო ბავშვო,» გეტყუდა ჩემი ქმარი: «უნდა დროს მისედეით ვიცხვავროთ.» ესლა სამოქალაქო სამსახურის პირნი არიან პატივში. ამას ვარდა კოსტიას სამხედრო ნაწილშიაც უფიქრდა, ომშიაც.

არცა ვნახობ, რომ მე ეს შევირთე. მთელა ეს წელიწადი ბედნიერი ვიყავ ღერთს წუთსაც არაფრისთვის შევწუხებულვარ.

*) არც ადრესი და არც რიცხვი წიგნის ბოლოს არ არის.

ხანდისსან მარტონი ვისხედით ხოლმე დიდს ღამეებში—და ასე უფრო მხიარულად ვიყავი, ვიდრე ურჩილობაში. რა არ უნახავს საქსას, და სად არა უფიქრად? როდესაც ამას უფრო უგდება, ასე გგონია, შენ თითონ დადისარ სხვა-დასხვა ქვეყნებში ან უფრო იმისთანა სვანს, რომელიც თქვამდა: კი ვერ წარმოგედგინა.

ვცხვავრებთ ჩვენ მდიდრულად, მაგრამ დიდს წვეულებას კი არა ვმართავთ ხოლმე. უკვლავ ჩვენი ნაცნობები საქსამა ცალცალკე დაჭყო. თუ ჩვენთან სადილად წაიან, ვსთქვამთ, ჩემი ნათესავები, მაშინ ეს თავის ნაცნობებს არა ჰპატიუბს. ამას ძალიანა ჯავრობს დედა-ჩემი. ამის ნაცნობები, სულ მსატკრებდ არიან, მეძუსიკენი და უმარვილი ჩინოვნიკები.

ჩუ შეძრისხავ, ჩემო ანგელოზო, რომ მე ვესაჩხლები ჩემს კოსტიასა. ამას სხვა მოსაჩხლე არავინა ჰყავს. ბევრს არავის უყვარს ეს: ზოგი უცნაურს ეცნა ეძსის, ზოგს კიდევ უშინიან. მაშინ ერთხელა სთქვა, რომ საქსი მოუსვენარი კაციო და ამის გამო მწავალნი პატივცემულნი პირნი გამოვიდენ სამსახურიდანო; მე ეს ვერ გამოვიან, უნდა ნახო თავის სხლში რა კეთილი და მშვიდობიანია. რა სასაცილოდ დაუგონავს ხოლმე თავს ჩემს მოახლეებს და ერთხელ კიდევ იტი, რაზედ მივასწარი? თითონ იღებდა თავის ტანისძმოსს შკაფიდან, რადგან ამის მსახური სადილის საჭმელად წასუდაყოფა. ამისთვის კი პარგა დავტოუქსე.

კიდევ ამბობენ, რომ ადრე ვიდასთანაც დუელში ვასუდა; მე მეშინიან, გამოვკითხო ეს ამბავი—ვაი. თუ საცოდაობა მოეხდინებს რამე! ჩუ თუ მარტო თავს იკარუნებს და კეთილად გვეჩვენებს!

ამის სხვა უცნაურს მოქმედებას ანგარიში არა აქვს. ერთ-

ხელ ერთი ბღუჯა თუელი დასარჯა და რაღაც გახუნებული სუ-
 რათები მივიდა საჩუქრად მერე ეს სურათები რაღაცა ძროხე-
 ბია დასატული, ანუ ავანსაკები მთებში. იყიდა კიდევ ისეთი
 სტატუები, რომ მრცხვენინან. ოთახში დავდგა. ჩემის კრატის
 თავით დაჭვიდა ძველი სურათი ერთის მშვენიერის ქალისა და
 ამბობს რომ ეს წმინდა ცეცილიას ხატია არისო. ვინ იცის სა-
 იდამ გამაჩინა ეს წმინდანი!

ჩემს ნათესავებს ძალიან თავაზიანად ექცევა, მაგრამ არ
 უყვარან კი და არც სუსიამოვნოდა აქვს მათთან ყოფნა. დიდი
 ხანი არ არის რაც ამ საგანზედ მქონდა, ამასთან ლაშარაკი.
 დიდ ხანს ჩუმად იყო, მერე ლაშარაკი გადამისხვავებდა. მტ
 მინდოდა შეეხასხებოდა და სიტყვა ისეუქმნის და დედა-
 ჩემზედ ჩამოკუთვდა. მე იმათი დიდი მოვალე ვარ, ვუთხარ
 მე სხვათა შორის. ბევრი სიკეთე მასსრავს-მეთქი. — მე კი მარ-
 ტო ერთი მასსრავს, მივასრავს იმან. — რა მეთქი? — ისა რომ
 არ დასცაღდათ სრულებით შენი გაფუჭება.

დიად, ეს ამ გვარს ქების შესხმაში დასელოვნებულა.
 არც ჩემი მეგობრები უყვარს, შენ ურცხვს დედა-კაცს გემხის,
 ამიტომ რომ რაღაც გათხრავდი წამ და უწემ გვერუჩელებოდა
 ხოლმე.

სშირად ვფიქრობ, ხეტა ამ კაცს უყვარს ვინმე-მეთქი,
 თუ არა? არც ქოჩილაძემდე, არც მასუკან არ უთქვამს ჩემთვის
 რომ ცოტათი მაინც ვუყვარვარ. ჩემი სიყვარული ცხლავრება-
 ში გამოიხატება და არა სიტყვებშია. სშირად ამბობს ხოლმე
 ნუ იტყვი რომ ან ხელები დამიკოცნოს, ან დამიჩოქოს, რა-
 გორ იქნება! გულზედ პერანგი დაეჭმუჭნება; ტანისამოსი წინ
 უსდება. ჩემთან ისე არ შეძრავა, თუ ან ძიკვი არ აცვიან, ან
 სერთუგში არ არის გამოჭიმული. დიდ სიბრძნეზედ მიანინა, თუ

ძრავის მხრივ, სასაფუძვლო პალატოს ჩაცმას ვაბედავს! როცა
 არა სწივს ხოლმე, მთელი ღამე კითხულობს, გათენებამდის და
 მამა ამბობს, რომ ამისი წიგნები სულ მავნებელია არიან...
 მე მეშინოდა, ავად არ გამხდარიყო ამდენის ჯაფისაგან და
 ერთხელ ღამე შეგვდი იმის კაბინეტში. გვერდით შემოყრილი
 ჭკონდა რაღაცა გველები, ძვლების ჩონჩხი, ქვეები... წიგნებს
 ხომ ანგარიში არა აქვს. დამისვა თავის სელზე და მიამბო
 ისტორია ზოგიერთის წიგნებისა და ნივთებისა, რომელიც
 სტოლზედ ეწყო. ამ კაცს ყრუც კი ყურს დაუგდებს.

მეც მომიხდა კითხვა და დილით ყოჩყ-სანდის რომანე-
 ბი შემომიტანა, რომლებზედაც, — გახსოვს, რა საშინელებას
 დაჰპროვოცებდა შენი ბიძა-შვილი. ამასთანავე კოსტიამ მითხრა
 რომ ყოჩყ-სანდი ქალი არის და არა კაცი და ამიტომ უფ-
 რო ადვილად გაიკებ და შეიყვარებ იმის თხზულებებსაც. ოხ,
 ჩემო ანგელოზო, თუ ეს მართლა ქალია — რა ურცხვი და მო-
 საწყენი ქალი ყოფილა! ერთს ამის რომანში კაცი შეიპარება
 უმწვილის ქალის საწოლს ოთახში და მთელს ღამეს იმის
 ჭკვეშაგებთანა სდგას. იმ წიგნებში, რომელიც შენ პანსიონში
 მოგჭონდა, იყო ხოლმე აგრეთვე ამისთანა შემთხვევა, მაგრამ
 იქ სამასხარადა სწერდენ: იცი, ცუდია, მაგრამ მაინც იცინი;
 ეს წიგნები კი ისეთი მოსაწყენია, რომ მეორეს დღესვე გა-
 დაჟვარე.

ოხ, რა გულ-ცივი რამ არის კოსტია? ერთხელ ისე გა-
 მაჯავრა, რომ ვიტირე. როგორღაც უხერხულად ვახელ ხელი
 და საშინლად შეკრთა. — ოჰ! ეჭვიანი ყოფილხარ! — ვუთხარ
 მე ხუმრობით.

— ძალიან ეჭვიანი ვარ! მიპასუხა კოსტიამ.

— მამ მითხარ, რას ნიშნავს, რომ გიღალატო?

— ეჭ! ამ დროში ვიღაცა დალატობს, ეთუ ღმერთი გწამს!

— მაინც?

— რა გოცნებუნდა, მილატობს? სიკვებით?

— სიკვებით! განა არ შეიძლება მოხდეს, რომ შევიყვარო ვინმე შენი მეგობართაგანი?

— ძალიან შეიყვარებ?

— ძალიან, ძალიან, სიკვდილამდე, საუკუნოდ, უკვუოდ, უგონოდ... თვალები ისე საშინლად ანთო, რომ შეკშინდი.

— რა ღაღ მიძნა მე ცოლი, უკვუოდ, უგონოდ? მაშინ ვაგონებდი და შორს წავიდოდი სადმე.

— იმას რაღას უხამდი?

— იმისი რა ბრალია? მე ბავშვსავით ავტირდი; ამისთანა უგრძნობლობა ვერ არ გასთვოთებს ძლივს და მამრუბ კოსტიამ. ნეტავი რისთვის გავიდა დუელში?

— თუ ეს ჩემი ქმარი ბევრსა ჭიანჭავს და თავის შემოსავლისათვის ვერ სრულებით არა ფიქრობს. იმ მამულში, რომელიც მე მომცეს, ასეთი ცვალილება მოახდინა, რომ შემოსავალი ერთი-ორად ნაკლები გვექნება უწინდელზედ. მაშა სომ კეთილია, მაგრამ ამ ამბავმა მაინც გაანახსნა! «გაუჭიროებდა ღალის შეძენება» — ეუბნებოდა ჩემს ქმარსა — «ცუდი მაგალითიაო მეზობლების გლეხებისათვის და მთლად მოხუცობს შიშსა და მოწილესათვის» კოსტია კი სულ იცინის და უუცს, არც კი უგდებს იმის ღაზარას.

ძალიან უყვარს კარგი ჭამა-სმა. ვინ იცის მართლ საჭმელი რამდენი გვიჯდება. სულ მესვენება ბევრი სჭამეო, სტაქანს ღვინით მივსებს ხელმე და მარწმუნებს რომ ამის სადილები

მელხედ და ინხშირხედ უფრო გემრიელია. ამას სულ ჩვენ-
სედ ამბობს, აი ჩემო სულა.

კიდევ რა გითხრობ, ანეტავ? მაგრამ ვინ უკამიჯავრდებო... როდესაც ეს ძეგლად გამხდრულა, რეპანებს ხალხე სა-
ღამოზედ მოართვან პატარა ბოთლით შემხანსკი, და მე და ეს
ვსვამთ, ვსვამთ, ჩემო ანგელოზო, სანამ ბოთლს მთლად არ
გამოვცვლით! ამბობს უცნაურთან შენც გაუცნაურდები.

მე შენ ყველა ამას არ მოგწონდი, ჩემო საყვარელო. მაგრამ
ანგელოზო, თუ ვთქვამდები, რომ ჩემი ქმარი ისე უსეთი
იქნება, როგორც ესაა არბს. დიდი ხანია, გვდილობ სასი-
თი გამოუგვალა, მაგრამ ვერ მომიფიქრებია, როგორ გავსა-
დო სხვა ადამიანების მზგავსი. როდესაც ვთხოვდებოდი, დე-
და მეუბნებოდა: «გახსოვდეს პოლია, რომ ჭკვიანს ქალს შე-
უძლიან უკველისფრით გადწყეთოს თავისი ქმარი. კითხვ
გოსტისადაც სშირად უთქვამს, რომ ლამაზს დედაგაცს შეუძ-
ლიან სრულიად გამოსცვალოს კაციო.

დედა-ჩემი ესადაც ხანდისხან, როცა საჭიროა, მართებს
ხალხე და ბუნია. კიდევ რომ გოსტია ესაა ისე ადარ უხა-
გობს, როგორც პირველ ხანებში ჩადიოდა. იმედი მაქვს, რო-
ცა მოხვალ, იტანცაებს პოლიას შენთან და ჩვენს კაცს მე-
გობრებთან, გადაჭყის თავის საძაგელ წაზებს და... აი ბოლო
ნია იმისი დროშა შემოვიღებ ეზოში.

... მშვიდობით, ჩემო ანგელოზო, ჩემო უსაყვარელესო. წე-
რილებს უნურავის უჩვენებს. ვაი თუ გზაზედ გახსნას ვინ-
მე!...

ორი წერილი შირველის თაყის ძაგურ.

I.—პავლე ალექსანდრეს ძის ზალეშინისაგან კოსტანტინე ალექსანდრეს ძეს საქსთან.

გაძარჯვეს, ჩემო ჭრგო საქსო, ჩემო სიყვარულო, ჩემო ხსალ-გახლად არძიყო.

შენ სჯემე ჭარბად მადის. ღამით უზინარ უძაწვილს ცოლს ქვეშაგებსედ! სიბერის დროს მანც უტირსუ მიჯნურობას, — რაც გინდა სთქვი, მაგრამ უძაწვილს გი ვეღარ დაგძახებ. მე და შენ ბუბერი მძაღლები ვართ, თუძცა გი დიდი ხანი არ არის, რაც რც-და-ათს წელიწადს გადავციდით. სჯემე ეს არის, რომ ჩვენ წინაღვე წარვიტაცებ ცხოვრება, როგორც წარვიტაცებდით ხოლმე წინად ხაზინადრისაგან ოთხის თვის ჯამაგინსა.

მაგრამ ვის რა სჯემე აქვს? იმიჯნურე, მეგობრო, იმიჯნურე! მე პატრივის-მცემელი ვარ მიჯნურებისა და თუ კანონიერი ქორწინებაც გამორეკა — მშურს კიდევ. კაცი დაქორწილდა — და არის ბედნიერი ერთის წლით, ერთის თვით, ერთის კვირით. ამ ხანში მანც სრული ბედნიერია და ამიტომ ქორწინება გონივრული მოგონებაა.

ცუდის გულით ნუ მიიღებ ჩემს მსუბუქს კიდროს ქორწინებასა და იმის საიდუმლოებასედ. მე რომ ოცნის წლისაზედ ჭეტი არ ვიყო, უღანძვარ ვერ მომჩხებოდი და საშინლად ჯავკილავდი ოჯახობასაც და ცოლ-ქმრობასაც, ამიტომ რომ ქვეყლისთერის ღანძვარ და გაკილვა პირველი ნიშანია მეტისა ჭეტის სიყმაწვილისა. ჩემთვის გი დიდი ხანია რაც გაიარა იმ

დრომ, როდესაც ჩემისაკე ოსუნჯობით შეეპქტეკოდი და ჩემს მიუკაცრებლობას აღტაცებაში მოკუყავდი.

მე დარწმუნებული ვარ, რომ შენი ცოლი ბეერი არა არის რა; არის ერთი ნამტყვა ჭკვიანი ანგელოზი, ცუგრუმელა და თვალთმაქცი.

შენ იმავე თაობითვე გასაკვირველი გემოვნება გქონდა და ამით განთქმული იყავ: «საქსმა აქო ეს ნიკოთიო», რომ იტყოდენ, ბასი შესწყდებოდა ხოლმე. ამ პატრივის-ცემის იყო შენი გემოვნება სხვათა მოკვდავთა შორის, ამას გარდა შენის პოლინკას ღირსებას ერთი გარემოება კიდევ მარწმუნებს.

არ არის დიდი ხანი, რაც აქ უცხო ქვეყნებიდან მოვიდა ერთი თავადი გვარად გალიცვი. არ მახსოვს, ვისი ადიუტანტი არის; ჩინით კი შტაბ-როტმისტრია. ის ჩამოხდა თავის დის სახლში, რომელიც ჩემს ახლო სცხოვრებს. ეს იმისთანა ქალია... მაგრამ ესლა კი დუმილის ნებას ვითხოვ. ეს ქალი იწოდებოდა შენს ცოლთან ერთად სასწავლებელში და ცდილობდა რომ ეგ ამ გალიცვისთვის მიეთხოვებინა:

ამას ისეთი იმედი ჰქონდა თურმე თავის-თავისა, რომ არ გამოუცხადა არც პოლინკას, არც დედ-მამას და წავიდა სეულცურის წყლების სასმელად, რომელიც პეტერბურღშიაც ბეერი ისუიდება. წყლების სმის დროს ასცდენია თავის დანიშნულს. ეს უბრალო ამბავი შენც გაგონილი გექნება.

საშინელი იყო თურმე სასოწარკვეთილება გალიცვისა, რომელსაც, როგორცა სჩანს, ცხოვრებაში ყოველისივენი ადვილად უსრულდებოდა. განმტოლებულ კლდეებში და ბნელს ტყეებში გაჭვირდა ის თურმე აღეწისიანს სასკლებს, რომელთაც მიმართავდა შენს ცოლს და საშინლად ლანძღავდა თავის

დასაც და შენცა. ეს აკად გამსდარყო, ცოთვის მზგავსად, მე-
რე დამშვიდებულყო და შერიგებოდა დასა. გაიცნო ამისა
მეზობლები და სხვათა შორის მეცა. პეტერბურღში წამოსვლის
წინად მითხრა, თუ გნებავთ თქვენს მეგობარს წერილს წაგუ-
ლებო.

მე ასე მეგონა, შენთვის საჭიროდ ან რელს ამას დაემ-
ლა. მერე ნაცნობებიცა ხართ და შეხვდებით ერთი-ერთმანერთს
საზოგადოებაში, — მამსადაშე უნდა ამისი სურვილი ამხსრუ-
ლებინა.

აი როგორ მოხდა, რომ ამ წერილს მოგიტანს თავადი
გალიცვი, პოლკისა და ვალსის პირველი მოტანცავე მთელის
რუსეთის სახელმწიფოში.

მე შეს გიცნობ, პატივ-ცემულო მეგობარო. ამას რომ
წაიკითხავ, ჩაიცინებ, იქნება ჩემი წერილი შენს ცოლსაც ახვე-
ნო და გულში გაიფიქრო: «ვიღაც ადიუტანტი, უხეირო თა-
ვადი! პოლკის მოთამაშე? ფხე ფუჭზატ, როგორც მთის
ხალხი ამბობს.» არა, ჩემო კარგო საქსო, გალიცვი არ არის
ფხე, და სწორედ მოსაჩიდი კაცია, ამიტომ რომ სატანსავით
ამხარტავანია და პირველშივე ღირსეულს ბწყინვალე წარმატე-
ბას წინ წამოუწევია იგი ადამიანების საზოგადო წრიდაძ.

წაართვი რომელსაც გინდა განთქმულს მწერალს იმისი
დიდება, — შენა გგონია, რომ იმისი ხალი თხზულება უწინ-
დელებსავით კარგი იქნება? მოიგონე ამ შემთხვევაში შენი სა-
გუთარი სიტყვები, რომელიც ამ ათის წლის წინად წარმო-
სთქვი: «მომეტით მე ღიდება სესხად და მე ჩინებული მწერა-
ლი შევიქნებიო.»

წაართვი რომელსამე სახელმწიფო, კაცს სახელი და შენა

გონის რომ ის უწინდებულად გაბედვით, მარჯვად და საჩქაროდ შრომებს?

გადავიხილოთ თუ კაცად არის დაზადებული, ცუდად უნდა წავსა და ვინაობა, მაგრამ მას ძნელს საქმეებს ახლობენ და ხელთაან დ ასრულებს. სამზღვარს-გარეთ ქალები ჩვენ და ტყეობები არიან და აბა გამოიკითხე, იქ რა საკვირველებად მოგხსენიებს ამას! გიმეორებ, ამპარტავნება და დიდება ამას ჭეჭა იმავე გზით მისცა, რა გზითაც შენმა ჭეჭამ მოგცა შენ სიმდიდრე და პატივი. ამასთანავე გალიცვი არის უმაწვილი და სახით მშვენიერი.

მე, სწორე გითხრა, ძალიან მომეწონა, როგორც კაცი რომელიც გასაოცარია სხვა-და-სხვა რიგის სიამოვნების მომგონებით. ეს ღიწსება ამას უპირატესობას აძლევს სხვა განათლებულ უმაწვილ-კაცთა შორის, რომელნიც, რა ვი ვადა ბიჭებენ ბალის ზნადა და პეტერბურგის გუნძულების სამზღვარს-სრულად აღარ იციან, რა ჭქნან.

არაფერი წმუნება არა აქვს-რა გალიცვის, ანუ იმდენი აქვს, რომ თვით ეშმაკიც ვერ დასთვლის. ამას შეუძლიან მთელი თვე მონასტერში იჯდეს და თავის ღვთის მოყვარებობა უკვლავ გააკვირვოს: შეუძლიან ელაპარაკოს თქვენს ბრძნებსა კაცობრიობის კეთილ-დღეობაზედ, შეუძლიან სჭამდეს დღეში ხუთჯერ და სვას ორი ღამე გაუწვევტლად, კარგად ეს არის, რომ ჭეჭვას ამას წმინდის გულთ ჩადის თავის-თავის მოტოუება დაენერგა ამას ცხოვრებაში, სრულად განუხორციელდა და ამიტომ ეს მოტოუება ამისთვის სიცოცხლეს და არა უბრალო სიცოცხე. ჩვენ ერთად სშირად დაკდიოდით სახადიროდ, გველი ძინა ხელზე დედა მიწაზე და რიგინადაც ცუქეიფობდით; შე-

ტერბურღში ვი მოჭყეკება ცეკვასა და დასტინებს. მქებატონეთა
 ცსოვრებას. ეჭყ დმერტმა ხელი მოუძარათს. მქეცე
 თუ ჩემს ამბავს იგიტსავე, ვან მხიარული და ბედნიერი
 საჭეიფოდაც ყოველთვის მზადა ვარ; ცცხოვრება უფრო ჩემს
 მამულში; შევისყიდე ადგილი ზღვის ნაპირას; ეს არის ჩემი
 საუკეთესო სადგური. მართალია, აქაური განთქმული ღვინო
 მეტის-მეტად ჩამჭახებულა, მკრამ არც არაფერი ამას უჭირს.
 რდესა შორს არ არის. მართალი უთქვამს უწინდელს ბრძენს:
 იცხოვრე იქ, სადაც ბედმა მიგაგდოსო; სუბ, სჭამე და რე
 იფიქრებ სხვებისთვისაო.

მართლა, შენ ხომ გამახსლებელი და გადაძვეთბული ვა-
 ცი ხარ... შენ რსტატურად შეგძლიან უბედობა ცალ-ცალკე
 კედ მოქმედებაზე და უკეთესობაზე. თვალ-უურს ვადევნებ;
 თქვენი სწავლულნი როგორ უთაგ-ბოლოდ იტყვიან ეუროპის
 დედა-ქალაქებში, და შემოდო კიდევ შემედგინა ჩემთვის ახა-
 ლი თეორია ბედნიერების მოსაპოვებლად. მაგრამ სჯობს რსეკ
 ძველი ვიკმარო.

ბედნიერება, საუვარდლო ჩემი საქსა, ძალიან ძნელია ვაც-
 მა მარტო თავის გულში მოიქციოს, თუმცა ვი ჩვენ ყველანი
 თავ-მოუვარენი ვართ. ბედნიერი ვაცი სწორედ ფარანს ემზავსე-
 ბა, ამიტომ რომ თავის გარემოში დანიშნულს ადვილად ახა-
 თებს; ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ბედნიერება ჭკავს
 კემრიელს საჭმელს; ჰირში რომ იდებ, მარტო გუჭხედა; ზრუ-
 ნავ, მაგრამ ყველა ასო ვი მაგრდება, მთელი ტანი სუქდება
 და განზედ იწევს. დეე ჩემმა მამულის მოვლამ დაგიბტკაცოს
 ამ ჩემის აზრის სიმართლე.

უმთავრესი ჩემი მამული ვიყიდე მე ერთის უმანწილს
 ვაცისაგან, რომელმაც თავის საცხოვრებელი სრულიად გააწყა-

და გლეხნი დადუშა. იმას უყვარდა ყოძანობა: წაგე-
ბის დროს გლეხნი აძლეკდენ ფუფსა და მოგებაში. კი მონა-
წილეობა არა ჰქონდათ. როდესაც მამული გამიყიდეს, წამოგე-
დი აქა და ვიცოდი, რომ ელდოწადლოში არ მოკვლივარ, ამიტო-
მაც გადავწყვიტე, რომ აწაკვირებ და აწათვარებ არ მეზ-
რუნა.

შემოვუარე თუ არა ჩემს სამთვლობელს, ცოტა გაწყდა,
გული არ ამერია. ნაცვლად სოფლებისა, ეკუნტა წაღაცა ნან-
გრეკები, რომელნიც, შენც თითონ იცი, რუსეთში ისე მოსა-
წონნი არ არიან, როგორც რეინის ნაპირებზედ. წინ ყოველს
წუთს შემომკერებოდენ ხოლმე სახე - მისწინილნი, საცო-
დავნი და მძიმედ თავს მიკრავდენ. მე დაკვარე სრულებით
მადა.

აბა რას იქ? — დიდ ხანს ვჭამდი მე სადილს მიზღოთ.
რა კი გამოხვიდოდი სახლიდან, იგივე ნანგრეკები, იგივე ლა-
ზარეთის სახეები, განულო რამა წელიწადმა, და აი დავდივარ
ყველგან და ვჭამ სიამოვნებით. ნაცვლად ნანგრეკებისა ვხედავ
ღამის სახლებს, ურომლოდაც სრულებით არ ვარგა რუსეთის
სურათების მხატვრობა; უნდა ნახო, რა სახე დაედო ხალხს!
ყველგან სინარულია და სიამოვნება! ვერ წარმოიდგენ, რა მალე
მოჯობინდა ეს დასრულებული ხალხი.

ესლვ მე სრულიად კმაყოფილი ვარ ჩემს ბედისა. სა-
სიამოვნოა, საყვარელი მეგობარო, სჭამდე სამჯერ დღეში,
გემინოს რჯვერ და უყურებდე შენც გარეშემო ყოველთვის
მსუქანს სახეებს, აპრიალებულს ცხვირებს, სქელს მუცლებს და
ნელის ნაბიჯით სინარულს. არა მგონია, მალე ჩამოვიდე თქვენს
პეტერბურგში დასადაც ერთი წელიწადიც კი არ გაივლის უხე-
ნაგოდ, უბუასილოდ და უსაოფლოდ.

დაცა! დაცა! გინაღამ დავბეჭდე წერილი. საძაგელი და გულის გამწვრილებელი საქმეა რაღაცების ბღაჯნა, მაგრამ მანც ერთი თურცელი ჯიდეკ უნდა გავაჭრელო.

შენ მე მკითხავ რჩევას, როგორ შეასრულო საუკეთესოდ შენის ცოლის აღზრდა, — ესე ბავ, რჩევას გი ან მკითხავ, გაკვრით ჩამომიგდე სიტყვა. ვიცი, ვიცი, შენ მძლავრი თვისება: რატომ არა ვკითხო რჩევა კარგს ვაძლავ? მერე იცი რომ ჩემი რჩევა ისე რიგადვე განთქმული იყო, როგორც შენი გემოვნება. ჩემი რჩევა იმიტომ უფრო განთქმული შეიქნა, რომ შეუძლებელი იყო მისი შესრულება. ყოველს უბედურებაში მანც ასე ამბობდენ: აი არ დაუფუფო რაღაცისა და ამიტომ მომივიდა ეს საქმე; რომ დამეჯერა, სხვა იქნებოდაო მაგრამ შენს წერილს ვკითხულობ და ვხედავ, რომ სამძიმო საქმეა, გიჩიო რამე.

შენი წერილი სავსეა მშვენების ღაპარაკით და გი ვერ გავიგე, რა გვარადა გსურს აღზარდო შენი ცოლი? ერთის სიტყვით რა გინდა შენ მაგისაგან? შენ გსურს გამოიყვანო ეგ ქალების საზოგადო წრიდან, აჩვენო ცხოვრება და უშოვო შენს გულს თანაშემწე. ჩემო კოსტანტინე!... ოც-და-ათის წლის ვაჟ-ვაჯს აღარ შეშვენის ამ გვარ ყმაწვილურის ძრახუბის რახუნი. საქმე მაჩვენე, საქმე! მე აღარა მწამს-რა რაღაც ოცობოლო ღაპარაკისა და განსხვავებულის იდეალებისა.

შენ გინდა მაგისაგან შექმნა შენი თანაშემწე. ერთ მითხარ, რის თანაშემწე? ეგ საქმე როდინ განსაზღვრული წესდებულებაში, როგორც საქმე სეკრეტის ან ბუხარტის თანაშემწისა. მე მხოლოდ ერთს რასმეს მივხვდი შენის პლანადამ: შენ გსურს გაუნათლო შენს ცოლს ესტეტიური გემოვნ-

ნება და ცოტა დატანვით აყურებინო ცხოვრებასა და იმის
ტანჯვა-მწუხარებას.

შემდეგ... ახლა უკვლას ხომ ვერ ავწერ. იცოდა რას იზამ?
მომწერე, როგორ გესმის შენ დედა-კაცის მნიშვნელობა ჩვენს
დროში; დაე, მეც გავიგო, რად გსურს რომ იყოს შენთვის
შენი პოლიტიკა. შემადგინე შენი იდეალი და გადმოგიზავნე
ფორმით, მაგრამ ნუ კი მიჭხედამ ამას რომ იდეალი წარმო-
გისტქვია. შენი აზრები იმ გვარადვე მარტივი უნდა იყოს და
ხელ-შესასხებელი, როგორც თვით ქაავტუები.

მე მარტო შენ არ გამტყუნებ. ჩვენს საუბრებში მოთ-
სოვნილება შესასხებ დედა-კაცებისა— უცნაურია, გარდაუწვევად
ლი და დახლართული. ვერც საუბრეთესო მწერლების თხზულებ-
ებში ვერც ქალაქის მთხზულების ნაჯდაბში ვერ ვიპოვ-
ნით ვას-უხს ამ კითხვისას: რა უნდა ერქვას დედა-კაცს ჩვენს
დროში? კვრავის საუბრეთესო ნიჭი ან კვრას ახურსებენ, ან
ყოველის დონისძიებით ცდილობენ დაგვისტონ ჩვენ რამდენ-
ნიმე დაუგვრებელნი სახენი, რომელნიც არც დროს შეეფერე-
ბიან, არც ადგილს. ჩვენს მამებს აკვირვებდა კლარისა და იუ-
ლია. ესენი იყვნენ იდეალნი შესაბერნი მათის საუბრისა. მეც
ხრამეტე საუბრეს არა ჭყავს ვერ არც თავისი კლარისა და
არც თავისი იულია.

რუსის მწერლები უფრო პირში მთქმელნი არიან: ესენი
ანუ პატივისცემით შორს უკვლიან დედა-კაცებს და სწერენ
მოთხრობებს უ-გმირ-ქალებოდ, ან სტენაზოდ გამოჭყავთ რა-
მელიმე უფერული, დაჩაგრული არსება.

მე ვხედავ რომ შენს ცოლს ცოტა უსწავლია და უფრო
ცოტა უნახავს, როგორც ცხოვრობენ ქვეყანაზედ. რა კი განუ-
ბივრებულს უმაწვილს-ქაღს, ზანსიონერკას ირთავდი, ეს წინადაკე

უნდა გეფიქრა. მაგისა წიგნებით სწავლის დრო აღარ არის; განაგრძე ისევე შენი უბედობა: ქალებს, ძალიან უყვართ, რომ ჭკვიანურს წაღპრებს უძობობდენ. დეზდემონამ შეიფარა არაბი, იმის ლაშარაკს რომ უურს უგდებდა და მე უფკელთვის ვეფიქრობდი, ვად იმ ქმრის ბრალი, რომელსაც ხანდისხან ცოლი გულ-მოდგინედ უურს არ უგდებს მეოქი.

ნუ გუავს ეგ პეტერბურღში: მანდ კარგს კერას ისწავლის. ან სამზღვარ-გარედ წაიყვანე (რასაკვირველია არა ბადენ-ბადენში და ემსში) ან ჩვენთან, სამსრეთ-რუსეთში. აი ბუნებაა ნამდვილი პროქესორი. ვის არ ესმის ამისა სწავლება, თუმცა კი მუქთია იგი.

ქალებს უყვართ ბუნება: ბევრჯერ მიდევნებია თვალი უმაწვილის-ქალისათვის, რომელიც უეურებდა მზის ჩასვლას ტუის უკან, ან ღრუბლების მიმოსვლას ქარიშხლის ამოვარდნამდე. რასაკვირველია, ეს ამბები არ მოხდება ხოლმე ბაღის წინად, ან ახალის კაბის გასინჯვის დროს, მაგრამ ესეც კარგია.

მე ვიცი რომ შენ შენს ცოლს გუდასავით უნდა უყარ დასდევდე. დრო ზრნს დედა-ქალაქს თავი დაანებო; რაღას მოელო? ხომ კისერში წაურტუე ორ-სამს საქმის დამხლართველებს—ახლა განხედ გადექ. უფკელი შენი უბედურება იმიტომ გემართებოდა, რომ უკელგან კრიკში, ანუ შენებურად, ბრძოლაში, ერეოდი. დასნებე უკელას თავი. საკმაოდ იშრომე, ახლა იცხოვრე შენთვის; უკელას ხომ არ შეხვდება მაგასთან კეკლუტი ცოლი. კიდევ რა ბრძოლაში გადიხარ მაგასთან ხელ-გაყრილი, რომელს შენს წერილში იწერები? დეგოუინის იერიშით ციხეზედ მისვლას! სწორედ ბავშური აღკვებაა! აბა დაუკრას მუსიკამ ის მარში, რომლის ხმაზედაც ძველს დროში ჩავბუქნავდით ხოლმე ნახნავ მინდვრებზედა.

მშვიდობით! შენი ჰანტაგრუელისტი თავს გიყრავს. თუ აქედ იქნები როდისმე და შემომივლი, შენთვისაც და შენის ცოლისათვისაც ადგილს ვიშოვებ: უნდა დიდი უშველებელი სახლი მიდგია. მართლაც მოდი, საყვარელო ჰანუგო, ვეწვივნეთ ღამაზს ბოტლს, როგორც მკითხავს და გამოკვიტხოთ იმისი აზრი ცოლ-ქმრობის თაობაზედ მეცხრამეტე საუკუნეში.

ანეტა კრასინკის ცოლისაგან პოლინკა საქსთან.

გმადლობ წერილის მოწერისათვის, ჩემო პატარა პოლიკო. სომ კარგადაა ხარ, ჩემო საყვარელო ატამო? ისევე ისეთი ჩასუქებული და მზიარული ხარ, როგორც ადრევე იყავი? ჩემსას კი ბევრს კარგვს ვერ გეტყვი; მაგრამ ჩემი ყოფა-ცხოვრება შეგიძლიან გამოჰკითხო ჩემს ძმას, რომელმაც მოანდობა შენთან ჩემის წერილის წამოღება.

აი ეხლავე ვხედავ, რომ გაგაჯაჭრე. შენ გეზიზღება ჩემის საწყალის სამას ნახვა. პოლინკა, შეგვიბრალე ეგეტა და მეტა: ვერა კაჭამი ვერ აღწერს, რაც მე ვიტანჯე ამ ხანებში, და ეხლაც გული მიბრუნდება, აზრები ვერ შემოვრთვია, ვერ დაძლიაგებია. მომიტყევე კი, მაგრამ შენცა ხარ ამასი ცოტათი დამნაშავე.

იტალიაში შეეტყო ჩემს ძმას ჰიდაცა რუსისაგან შენი გათხოვება: ვერ არ დაეჯერა, მერე შეშლილსავით გამოჰქანებულყო რუსეთისაკენ. საქმეების გამო შემოეარა ოდესაში, იქიდან მოვიდა ჩემთან, უჭმელი, უსმელი, უძილო.

მართლად რომ შეეშინდი, როცა შემოვარდა ჩემთან, გამ-

ხდარი, გავეითლებული; თვალეზი მუგუზლებსავეით ანთებოდა. «მართლა გათხოვდა?» ეს იყო მაგისი პირველი სიტყვა. მე არ ვეცნოდი რა მუხასუნხა და მწარედ ავტორდი. დაეცა სკამზე და რამდენსამე წამს ხმა კვლავ ამოიღო, ბოლოს მიველ და ვაკოცე. თავი ცუცხლსავით გაცხელებული ჰქონდა. მე და ჩემმა ქმარმა ძლივს ჩავაწვინეთ ქვეშაგებში იმავე დღესვე საშინლად გაცხელებს.

მე მთელ დამეებს მაგის თავით ვატარებდი. სტიროდა, მუდამ ტრიალებდა, სწყევლიდა თავის ქარიანობას, შენ თავის პოლინკას გეძახდა. ხან უნდოდა თავი მოეკლა, ხან აღტაცებით იგონებდა იმ დროს, როდესაც შენ გნახავდა პანსიონაში და დიდ ხანს გელაპარაკებოდა ხოლმე. მარტო მაშინ ჩაუძინა, როცა ცოტა უკედ შეიქნა. მეც დრო ვიზოკე, შეველ ჩემს საწოლში და მკვდარსავით დამეძინა. უცრად ვიღაცამ შექმანძრია და გამომეღვიძა; ჩემი ძმა იდგა ჩემს პირ-და პირ, სეროუვით და კასკით, «დაო, უბძანე, რომ ცხენები შემიბან», მითხრა მაგან აგანა მე ბავშვი ვარ, რომ კარში არ მიშვებენ?

— სად უნდა წახვიდე? ვკითხე მე.

«კე ანთო და მოჭყვა თრთოლას. ამბობდა, ორში ერთი უნდა გამოესაღმოს ქვეყანასაო. ეტყობა, საქსის ბედის წერა არის, რომ გალიცკებს უნდა შეეკეთოსო. მე მივსვდი, რომ მაგას პეტერბურგში წამოსვლა უნდოდა და შენს ქმართან დუელს აპირებდა.

დიდ ხანს კვევდრე გონებაზედ მოსულიყო, მაგრამ გეწაფერი ვერ გავაგონე. ღვთის მადლით უცებ თვალი მოჭკრა ჩემს კრაოტთან შენს პორტრეტს, რომელიც მაშინ გადაიდეს, როდესაც თორმეტის წლისა იყავ. მივარდა იმას გაცხარებულ

ლი, ისტორიადმი მოიტაცა, შენს სახეს დანჯერდა, დაუწყო
 გონა, იკრავდა გულში. ამ აღუღებდნენ ასე დასუსტა, რომ
 აღვიღად ჩავაწვინეთ თავის ქვეშაგებში. ბოლოს დაშვიდდა,
 თავს დაანება მწუნსაგებასაც და თითქოს შეეჩვია კიდევ ამ
 აზრსა, რომ შენ მაგას არ ეკუთვნის «ესღა დამჩენია მკ» —
 მკვებებოდა ეგ ამ დღიდან — «რომ ხანდისხან ვნახავდე სოღ-
 მე და ვლოცულობდე იმის ბედნიერებისათვის.»

დმერთო ჩემო, პოლინკო, რა სევდა მომაწვება სოღმე,
 როდესაც დაუფიქრები, რა დაემართა ამ უმაწვილს-გაცს, რომ
 მელსაც ისე დასდევდენ ჩვენი ქალები, რომელიც უფიქრლად
 სცხოვრებდა და არ იცოდა, არის სადმე მწუნსაგება ქვეყანაზედ,
 თუ არა.

მაგას წამოსვლის წინა-ღეს მე მივეც ეს წერილი ჩე-
 მს ანგელოზო, შეებრალე, უჩნო, რაშიმე გაერთოს, უაღრესე.
 ეგ ჯერ ასეთი უმაწვილია, რომ ყველა გაივლის, გამოიცვლუ-
 ბა, შენც დაგიმეგობრდება. თუ არა და თავს მოიკლავს, ან
 ერთს უბედურებას შეემთხვევა. არამც და არამც არ უთხრან
 შენს ქმარსა, რომ შენ იცი ამ უბედურის სიყვარულის ამბავი.
 დმერთმა დაიფაროს, რომ ეგენი ერთი-ერთმანერთს არ შეეტაკ-
 ნენ. შენ არ იცი, რა კაცია ეგ საქსი. ეგ დაღუბავს საწყალს
 ჩემს საშას. ესლაც კი მთელი ღამე არა მძინავს სოღმე, რომ
 დესაც ამზედ ვუფიქრობ.

დუელზედ იწერები, რომელშიაც როდისღაც შენი ქმარი
 უოფილა გარეული. მე შენ გამბობ მაგ ისტორიას და მაშინ
 უფრო მინვდები, როგორ საჭიროა, ჩემს ძმას ვაუფთხილდე,
 და რა რიგად აწებებს ამას თუ უოველივს ეტყვი შენს ქმარსა.

მე ის იყო გავათავე ჩემი სწავლა, და შენ კი ისევე შეა-
 თანა კვლასში იყავ, როდესაც ეს ამბავი მოხდა. იმ დროს რომ

გორდაც ბევრად რუსებთან სცხოვრობდნენ თურმე პარკის და
 რორგორც ჩვეულება აქვთ ჩვენს უმაწვილ-კაცებს, ქვენტაც-
 დენ ფულებს და საკმაოდ მხანარულებდნენ. შენა ქმარც იქა
 ცხოვრობდა და ეგულას ეუბნებოდა რომ რაღასაცა სწავლობს,
 თითქმის სწავლა შინ ვი არ შეიძლებოდას.

ერთს პარკის თეატრში დიდად მოდაში იყო თურმე
 ურთი პატრონი და დიდად განებივრებულნი აქტრისა, უფრო
 ხშირად პატრონი ბიჭების რაღასა იამაშობდა. შევიძლიან წარ-
 მოიდგინო რა ყოფა-ქცევასაც უნდა ყოფილიყო ის ქალი. რა-
 ლაცა მიზეზით ჩვენს ცელქს უმაწვილებს არ მოსწონებოდათ მს
 აქტრისა და ნამეტნავად ერთს რუსს, რომელიც ჩვენის გვა-
 რისა ყოფილიყო — გალიცვი, მაგრამ თავადი ვი არ გეგონოს.
 მს იყო თურმე საშას ამხანაგი და სასწავლებელშიც ერთად
 სწავლობდნენ. აქტრისას რაღაცა მიზეზის გამო მოკრძალება
 სწვევდა და არ მიეშვა თავისთან ის გალიცვი, თუმცა ვი უმაწ-
 ვილი ყოველს დონესა ხმარობდა იმასთან დასწავლისათვის.
 ის თურმე მარდი უმაწვილი-კაცი იყო, ჭკვიანი, ძლიერი და არც
 იყო შეჩვეული ამ გვარს უარებს. თურმე შეჭყანს თავისი ამ-
 ხანაგები, ქალის მტერი და გადაეწყვიტა, ჭკუა უსწავლებინა
 იმ თვით-რჯულ აქტრისისათვის.

ერთს საღამოს თურმე გამოვიდა თუ არა სტენაზედ, ატ-
 ყდა უყვანი, ჩონჩხი, ყოველს იმას სიტყვასზედ უმტკუნდენ
 და დასცინოდნენ. ხალხიც მალე გაუტაცა ამ საერთო უყვანს
 განგაშებდა და შეეჭტოდა. ზოგი მამალსავით თურმე ჭეიდა,
 ზოგი ცხვარსავით ბლადდა და გალიცვისაც მოენდოდა სრული
 ღიად ჯავრის ამოყრა, მოჭყოლილიყო ლანძღვის პირველის
 რიგიდამ. ამ გვარს მიღება ისე გაუკვირდა თურმე აქტრისას,

რომ გაგაზას და, გადმოდგა წინ, რიდასივთ თქმა დააპირა და
გადმოქუყანა მღუღარე ცრემლი.

რასაკვირველია, ეს უმაწვილ-გატების თავ-ქაჩინობას ამ-
ტყვიცებს, მაგრამ რა ისეთი მომაკვდინებელი ცოდვაა?

ამ დროს საქსმა თავის ზღვილს თურმე თავზე დაანება,
ორკესტრის სიასლოეს დადგა და დაუძანა პირველს რიგებში
მისდომთა: «ბატონებო,» უთხრა იმან ყველას, მაშეოთართაც
და უმეოთართაც. «მე ავიხსნით მიზეზს ამ უწესობისას:
გუშინ ერთი ჩემი მეგობარი დანადგევდა, რომ თხუთმეტს
წამში მთელს საზოგადოებას აკაყაყანებ იმის უსაყვარლეს
აქტრისის წინააღმდეგა.»

ეს სიტყვები ძალიან მარჯვედ მოეგონა: ჩოჩქოლი შემდგა,
ჩიუო და ძალე უველას შეემცნია, რომ მარტო ერთი გალიცვილს
უვიროდა. ამხანაგებმაც თურმე იმისი მხარე დაიჭირეს და მოჭ-
ყუნენ უყანს, მაშინ შენი ქმარი მისუღიუო გალიცვისთან და
ძალით დაესუა თავის ადგილს.

უწესლოდ შერცხვენილი მთელ საზოგადოების წინ საწო-
ლელი გალიცვი ილანძლებოდა და უვიროდა თურმე მინამ პო-
ლიციას ძალით არ გაეყვანა. გასვლის დროს დუელში გამო-
ეთხოვა საქსი, აქტრისას პატივ-ცემული მოსარჩლე.

მეორეს დღეს თურმე შეკრიგებას უპირებდენ. ახა გამოი-
ცან უარზედ ფინ დადგა? შენი კარგი ქმარი მაგას უბრალე-
რამ მოეთხოვა, — გალიცვიმ გაზეთში ბოდიშის წერილი და-
ბუჭდოს იმ გომბიოთანაო, რომელიც თურმე თავის გამო-
ჩენისათვის ავად გამხდარიუო, თუ ტყუილი ავად-მყოფობა
მოეგონა, — არ ვიცო ან უცნო გმირობა ეს ზნის!

გალიცვი უარესად გაცოფებუელიუო. ორივე მოპირდაპირე
ცალ-ცალკე დაეყენათ. გალიცვის პირველს გაესროლა და აქც-

დისა; საქსი მისუფიყო თურქუ და სინდუმლოდ რაღაც ლაშა-
რავი დაეწყო. ეს ამბავი მიაშობ ჩემმა მეზობელმა წაღუშინმა,
რომელიც სეკუნდანტად ყოფილა ამ უბედურს შემთხვევაში.

— წერილი დასწერეთ და ბოლოს მხალხოდ თქვენის სხ-
ხელის პირველი ასო მოაქცეთო, ეუბნებოდა თურქი საქსი.

— არც ეგა მსურსო, ეზასუხს გალიცვის.

— მაშ ნურც წერილს მოაწერო, რადონდ აქედამ წადითო.

— არ წავალო, ეთქვა გალიცვის.

სულ-გრძელ გმირს თავი გაეჩნია, თხუთმეტს ნაბიჯზედ
გამდგარიყო და გაეხვრიტა შუბლი გალიცვისთვის. იმას არც
კი დაეგუნესა. ეს კიდევ არაიყერი. შენა გკონია, საქსი მიკარ-
დებოდა მკვდარსა, იტირებდა, თმებს დაიგლეჯდა? — არა, ეგ
მისუფიყო სეკუნდანტებთან, რომელიც მკვდრის გვამს შე-
მოსხვევოდენ და ცივად თურქე დაჩედა სიბრახით და კლან-
ჭვით დასახინრებულს გალიცვის სასუს.

— ბატონებო, ეთქვა მაგას მდებლად, ნუ გებრალებათ ეს
უძაწვილი-გაციო დაძიჯერეთ, ამისაგან უგულო ავასავის მეტი
არა გამოვიდოდა-რათ.

თი ამ შემთხვევის მადლობელი უნდა იყო, ჩემო პაწაწა
პოლეტავ, რომ გესმის მშვენიერი ამბები კავკასიასა და რუმე-
ზედ, სადაც შენი ქმარი დასწრებია. დიდ ხანსაც არ დაჯყო
მაგან იქ. ერთის წლის შემდეგ ყოველისთვერი თურქე დაუბ-
რუნეს.

მე არ მინდოდა, მომეწერა შენთვის ეს უბედური ამბავი.
— მოგწერე მხალხოდ იმიტომ, რომ მინდა როგორმე მო-
ვარდიო ჩემი ძმა უბედურებას. — მე გუფითადი პატრივის-მტე-
მელი ვარ შენის ქმრისა და თუმცა მაგას თვალში ურცხვი
დედავარ ვარ, მაინც არა მსურს დაკამდაბლო ეგ შენს თვალში.

ამ ძიებებით მიხვდები, ჩემო სუფარველო პოლიტიკა, რადაც გეხვეწები ასე ჩემის შმის გულისთვის. მიეცი ნება, რომ გიუერთოს მანინ, იშვიათად მანინ გელაპარაკოს. ჭკუხზედ დააყენე და გებრძობდეს. ეგ ისეთის გულისაა, რომ ღიკისა სიბრალეულისა. სწორედ ბავშვია, კეთილი და პატიოსანი; ან რისა უნდა გეშინოდეს: ეგ ხომ მარტო რომანებში სწერენ, რომ უბედურება გამტკავ რძე, თუ ცოლსა და ქმარში არმიყიე უმაწვილ-გაცი გამოერიაო.

თ ა ვ ი II

ვიდრე ეს ორი წიგნი ლებში უწყვია თავად გალიცკის და ჭიბიჭობის, რა გვარად მოუსპოს სხვას ბედნიერება, გავსინჯოთ ცსოკრება ახალ-შეურილ ცოლ-ქმრისა, რომელთაც ივისრეს. საქებური აზრი თავისებურად ერთი-ერთმანერთის გადაკეთებისა.

იყო მეორე საათი შუადღის შემდეგ. პოლინა ალექსანდრეს ასული საქსი იჯდა თავის საოცრად მორთულს ოთახში, შუბლ-შეკრული, ტუჩებ-წაშვეწილი, წარბებ-შეჭმუხენილი, როგორც იუპიტერი ოლიმპიისა. უგულოდ სინჯავდა ფურცლებს გრანვილის კარიკატურებისას, რომელმაც მამის დაიწყო თავის ნიჭის გამოჩენა.

ჭმონდა კიდევ მიზეზი გაკვავრებისა და სწორედაც უნდა ეთიქრა თავის უბედურებაზედ: მთელი გრაგალი ვაებისა, მწუნარებისა, გაცრეებულ იმედებისა და შეცდომისა დაატედა მშენიერ უმაწვილის-ქალის თავს.

ჯერ ერთი ესა, რომ პოლინა, (ეს იყო სამაგული და ანჩხლი ძაღლი, რომელსაც საქსის ცოლმა მეტის სიყვარულით

თავის სახელი დაარქვა) პოლია გაძდა და ავად გახდა. საწინა-
დარ ძალს. თვალები აძვრებოდა, დინგი დისკულებოდა და ისე
იწვა მეორეს სელში რბილს ბალიშზედ და პირ-ქუშად უღრი-
ნავდა თავის პატრონს, რომელთანაც ახსნლი ძაღლებიც გი ისე
მიდიოდენ და ეალერსებოდენ, როგორც ერთის წლის ბავშუს.

მეორეც ესა— პოლინკას არა ჰქონდა მზად კაბა, რომ-
ლითაც უნდა წვეულებაში წასულიყო. ძაწთაღია ბარის, თუ
იზამბარის, თუ ნაღპარის ცოლი ეთიცებოდა რომ სადამომ-
დის სრულიად მოგიმზადებთო, მაგრამ რაღა დრეს!

ამას გარდა ღედა ის იყო წავიდა და წასვლის წინად გა-
უჟავრდა პოლინკას, რად გაჭყეკ შენს ქმარს რუსულს თვატ-
რშიო.

მაგრამ უკვლავად საშინელი ეს იყო, რომ დილით ადრე
კურიერი მოვიდა და მოუტანა საქსს დაბარების ქაღალდი მი-
ნისტრისაგან. გუშინ არ იყო თითონ კოსტია ამბობდა, რომ
დროებით მოვრჩი სამსახურის საქმეებსაო და ესლა გი უცებ
მძინარე უნდა წამომხტარყო რეტიანსაგით და სამსახურშივე
წასულიყო... ჯერაც არ დაბრუნებულა იქიდან.

ესლა სომ ცხადია, რის გამოც ვრცელი და ლამაზად
მოართული ოთახი, პოლინკას ცალიერი და ხნელი ეგონა; რის
გამოც კედლიდან კეკლეუცად გადმოძვარს გრუპას ამურისა და
პსისეისას გამოჭყავდა იგი მოთმინებიდან თავის უმარტებუ-
ლობით; რის გამოც წმინდა ტეცილია, საწოლის ოთახიდან გა-
მოგდებული, როგორღაც ეშმაკურად გადმოჭყურებდა პოლინ-
კას და თითქოს დასცინოდა იმის მწუხარებას.

აი ამისთვის იჯდა პოლინკა საქსი თითქმის ნახევარ სა-
ათი განიერს სელზედ, კუთხეში მიკუნტული, მოკეცილი და
მუხლებზედ დაყრდნობილი. სამი პატარა ძაღლი კუდებ-აწეულ-

ნი ბარკეშემო უკლდუნ მას, მაგრამ (უუხსად) არ ათხოვდა და, არ დაჟდა იმითან ნატავსედ და არცა ჭკოცნიდა; მხრლად ხანდისხან მხრუნველის თვალთრ შეჭხელავდა ხოლმე თავის ავად-მყოფს პოლისს.

უცებ ძაღლებმა კუდები ამოიძეეს და, თითქოს ვიღაცამ უბრძანაო, მარჯვნივ სათითა-ად გავიდნენ ოთახიდან; ვიღასიც ნახიჯი მოისმა შორით. პოლინკამ წარბები უარესად შეიკრა; უფრო მიიმალა სელში და თუმიცა დიდად ცდილობდა, მანის ჯერ მოახერხა, რამ დაემალა თავისი მხიარული დიმილი.

ოთახში შემოვიდა კოსტანტინე ალექსანდრეს-ძე საქსი, შავის ძრავით და შავის ხაკერდის ყილეტით. უსიამოვნო შრომის კვალი ჯერ არ გამჟღავნო იმის სახესედ; დაფიქრებული მივიდა იმ სელისაკენ, რომელსედაც იჟდა პოლინკა და რომლისაც ორი წილი ცალიერი იყო.

უცებ დიმილი დაეტყო სახესედ, დაეცა სელსედ, შეჭრა ის კუთხე, სადაც პოლინკა იჟდა და მოხვია წელსედ ხელი.

— აა! ჯავრობ განა, ეუბნებოდა ცოლს და თან ჭკოცნიდა; — ვიცი მე ეკ კუთხეში მიჯდომა რასაც ნიშნავს, ვიცი შენ კატის ხასიათი!

— წენარა, კოსტია, წენარა, უფვიროდა პოლინკა და დაუჩივებლად იფანტნდა ქმარსა; — განა ვერა ჭხედავ რომ პოლინკა ავად არის?...

— შენ ხარ ავად? რა დაგემართა, ჩიტო? საქსმა შეწუხებულმა შეჭხელა პოლინკას სახეში.

— ჭხედავო, ცოლსა და ძაღლს ერთმანერთში ჯერ არჩევს.

— ჭრა, ეს პოლინკა არის ავად, სთქვა საქსმა, გაიქნია თავი და გაღასედა ძაღლსა, რომელსაც ღრინავდა. — დიდი ცოდვაა, რომ ამითანა წაპილწულს ცხოველს ქრისტიანული სახე-

ლი, ეჩქვას. ეს ჯღარბზეა ნათქვამი, მაგრამ ამათში რა დიდი განსხვავებაა.

— რაებს ამბობ! გამიგონე, კოსტია, განუმეორა პოლინკამ სერეუზოლის სახით, — გუშინ შენ მე რად მომატეუე?

— როგორ თუ მომატეუე?

— დღეს განთიადისას სად წახვედი?

— სამსახურად მოითხოვდა, ჩემო ჩიტო, სამსახური! სამსახურს ხომ ვერსად გაქტევი. საქსის სახეზედ წინანდებულად გამოინატა ჯავრი და მწუნარება. დღეს მინდოდა თავისუფლად კულოფილევიკი, მაგრამ აი რა უსიამოვნობა შემემთხვა.

— რა არის, რა ამბავია?

— მე უნდა წავიდე აქედამ სამის კვირით.

პოლინკა გაშეშდა; შეშინებულის თვალებით დაცქერდა ქმარს; გული თითქო აღარ უცემდა.

— სადა? ძლივს გამოსთქვა იმან.

— ოთხსის ვერსის სიშორეზედ, — ოკში.

— ღმერთო ჩემო, რისთვის?

— მე მძიმე გამოძიება მომანდეს.

— მაშ მეც წამოგეგები.

— ჩემო ჩიტო, კარგი იქნებოდა, რომ შემეძლოს შენთან ერთად სიარული, როგორც ჩემს პატარა ძმასთან! ზოგიერთი დამტინებდა, რომ სამსახურში ცოლთან ერთად დავდიოდე, მაგრამ მე რა მენადვლებოდა; ეს არის რომ შენ განებიერებული ხავსვი ხარ და აიტან განა ეხლანდელ გზებზედ ჩახიჩუნსა! საცა მივალ, იქ უნდა ვიშეოთო, ვილანძლო, გამოვიძიო, აქედ-იქით ვიარო. — შენ ვერ შესძლებ ამ წვალებასა.

— მაშ ნუ წახვალ, ჩემო კოსტია, ჩემო კარგო! მე მეში-

ნიან. უარს სთქვი, გამოდო სამსახურიდამ. შითხარ ერთი, რადას ელი.

— ჩემო ზოლენკავ, უთხრა საქსმა, და უფრო მაგრა მოუჭირა წველზედ ხელი. — გამდლობ, ჩემო ბავშვო; შენ მე კარგს რჩევას მძლევე და ეს დიდად მასიაძრუნებს. ღმერთი ხოა მოწამე რომ შენის გულისათვის მე უოველისფერს მოვიქმედებ, მაგრამ ამ გამომძიების თავის დანებება კი არ შემიძლიან.

— რას ნიშნავს ეს რაღაც გამომძიება?

— მომძსმინე და შენვე გასტერ სამართალი. აჰ პეტერბურგში მსახურებდა ერთი მოქრთამე ბოროტი ადამიანი, ვილაც სტატსკი სოვეტნიკი ვისარჩენკო.

— ვიცნობ... ის მე შინასავს. — იმის ხელთ იყო ღენერალ გალიცკის საქმეები.

— ამ ადიუტანტის მამისა?

— ჰო, ჰო! შენვე ვისარჩენკოს რა მოუვიდა? ზოლენკამ მიჭყუდა თავი საქსის გულსა.

— არ ვიცი, დაიწყო კვლად საქსმა, — როგორ მართავდა განსვენებულ თავადის საქმეებს, მაგრამ სამსახურის საქმეებს კი ძალიან ცუდად ასრულებდა. ქალაქს — ოკში იმას უპირველესი ადგილი ეჭირა და იქ მოატყუა საზინაც და ისინიც, ვისაც საზინასთან საქმეები ჰქონდა და თითონ ათი-ათას თუმანზედ მეტი ჩაჯობა. იმისი ქალადები გავსინჯე, აღმოვაჩინე ქრთმობა, და ისიც და იმის ამხანაგებიც დამნაშავედ ვიცან. შენ გესმის რა არის სასელმწიფო ფული? ამ ფულებს იმეკვიან გლეხნი თავის მცირე ქონებიდამ, ვაცი უნდა გაუფთხილდეს მათ და მხოლოდ კეთილის საქმისათვის დასარჯოს. რის გასამჯელოდ ერგო ეს ფული ავაზაკ ვისარჩენკოს? ამ საქმეს გულ-მოდგინედ მოეკიდენ და ნიშნად ნდობისა, მე ჩამაბარეს

რომ დაწერილებით გამოვიკვლიო. შეიძლება, რიგნანი გაკეთდეს რამე.

— ეგ კი აგრეთა ვხსტია, მაგრამ მე როგორღაც დარდიანდა ვარ და მგონი ეს კარგად ნიშანი არ იყოს... დანებე მაგ საქმეს თავი, ნუ წახვალ.

— ვთქვათ, უარი ვთქვი, არ წავედი; ვთქვათ მამაკაციონ, ეს ამჟამად წინააღმდეგობას სამსახურის წესისა, — მერე მე სინდისი არ დამტანჯავს! ვინ წავა ხემს მაგიერად? როგორ გაათავებს ის ჩემგან ატეხილს საქმეს? იქნება გამოუცდელი ვატი წავიდეს, გაებას თითონაც და მეც გამაბას, იქნება ხარბი კაცი წავიდეს და ერთს სიბოროტეს მეორე მიუმატოს.

საქსი შედგა. პოლინკას სახეზედ ხელები ეფარა, მღუღარე ცრემლითა სტიროდა და არ უგდებდა უურს იმის მტკიცე საბუთებს.

საქსი იყო ფიცხი, როგორც სწორადღოდ ძარღვებდასუსტებულნი. თავის ჯავრს ის იმისთანებზედ ამოიყრდა ხოლმე, რომელთაც სწულიად არაფერი ბრალი არა ჰქონდათ. გულზედ მოსული იყო და ისე მოტრიალდა სეფზედ, რომ აკად-მეოფმა ძაღლმა შექეფა და წამოხტა თავის ადგილიდაძე; პოლინკა დაებლაუჭა სეფს თავის პატარა მაგრამ ღონიერის ხელებით, აფრინდა და მიკარდა პოლიასთან.

საქსიც ადგა და დაიწყო ოთახში სიარული.

— პოლინკა, უთხრა მან ცოლსა, რომელიც აწვეუნდა ძაღლს თავის ადგილს და მწარედ სტიროდა. დრო არის რომ ამისთანა იდლიებს თავი დავანებოთ. დიდ ხანს დარჩები ბავშვი და ქვეყნიერების გაუგებარი? როდის გახდები ქალი? მე შენ მიუვარხნარ, მაგრამ პანსიონის შემსახვი ხომ არა ვარ. მე უბრალო კაცი ვარ, ვარ კაცი სამსახურისა და ხშირადაც მაწუი-

ნებენ ხალხე: შე და შენ არა გვცდიან, რომ უოგეკლისფერ-
 ზედ ვიტირათ. სჯობს, ვისწავლოთ ცხროვება როგორც შენ
 და და ვიმხიარულოთ, სადაც კი შეიძლება. წარმოიდგინე, რა-
 ნი უნდა ვიუენეთ ჩვენ ათის წლის შემდეგ: ნუ თუ აც-და-
 ათის წლისაც შენ აგრეთივე უნდა დარჩე?

— ნუ წახვალ, კოსტია! მხოლოდ ამის თქმა შეიძლოა. ზო-
 ლინგამ და მწარედ ატირდა.

მიუგუტვეოთ საცოდავს ბეჭმეს ეს ტირილი. სიკერპით
 კი არა სწუხდა. რაღასაც უბედურებას გრძნობდა წინადავე და
 შეუგნებელი სკვდა აწიებოდა ზოლინგას გულისა, რა კი მოი-
 გონებდა სამის კვირით ქმრის მოშორებას.

მაგრამ საქსმა ეს არ იცოდან: იმას არა სწამდა-რა გულთ-
 მისნობისა. უეცარი და ცხარე მწუხარება უღელვებდა გულისა,
 ის დადიოდა ოთახში დიდის ნაბიჯით და როდესაც თვეს-ქვეშ
 შეშინებული ძაღლი შეეფუთა ჭერს თვენი და კუთხეში მიაგლო.

ზოლინგამ აიყვანა ძაღლი ხელში, მიდგა კუნჭულში და
 შეშინებული შესცქეროდა ქმრისა.

ცრემლები მსხვილ ბრილიანტებსავით გაუჩერდა თვალებ-
 ში. საქსს ესეც არ მოეწონა.

— ღმერთო ჩემო! ამბობდა იგი არც თუ ხმა ძაღლს, არც
 თუ თავის გულში და თან ოთახში სიარულს ატანდა ძაღლს.
 ამოდ ჩაიარა მთელის ერთის წლის სიყვარულმა, მოელის ერ-
 თის წლის ცდამ, მთელის ერთის წლის გაცხარებულმა შრო-
 მამ. ხეტა რას ვუძებდი? მცირედს შეწუხებაზედ ისევე უგრძნობ-
 ლად ცრემლების დენს; ისევე ძაღლების დაუსრულებელი ღო-
 ლაობა... არა, სწორედ სულელი უნდა ვიყო! ძარითლად და შე-
 მიძლიან კი შევასრულო ის, რაც მიკისრია, ან სხვათერივ არ
 მოხერხდება, ან...

შემოიკრა თავში ხელი, და გაუელვა სამძიმო აზრმა, ეტემა ცოლის ნიჭიერებისად.

— არა, სულელი წრ უნდა იყოს, რამდენს ნათელს, თუმცა კი უმწვილეურს ჭკუას ვამცნევედი ამის დაპარაკში. ან იქნება სურვილი არა აქვს, არა აქვს ძლიერი და მტკიცე ხასიათი!

— პოლინკავ წარმოსთქვა საქსმა და მივიდა ცოლთან. მე დავეკარ შენს ცერებერს, მანატიუ კარგად ვამდინძლე, კარგად მე სწორედ უზღველი ვარ, არ გამოვდგები ქალებს სანოგადლებამში.

მაგრამ პოლინკა იმას არ უყურებდა და არც ვასუხს აძლევდა. ეს მეტად შეწუხებული იყო რადგან თავის სიცოცხლეში პირველად ესმოდა ამისთანა დარჩება და ისიც რისთვის? იმისთვის, რომ შეწუნდა, იმისთვის რომ ეზარებოდა ქმართან მოშორება. ამის სიმშვიდეს, ამის უმწვილეურს ხასიათს უეკლა ზეცამდე ამაღლებდა და კონსტანტინეს კითხვებში ხშირად ეჩვენებოდა.

გაჯაჭრებული ჩუმი იყო კუთხეში და თან-და-თან დარდი დარდზოდ ემატებოდა.

საშიში მოქმედება იქონია ამ პირველმა ჩხუმმა თიხთან საქსზედაც. ეს იყო თავაგამოდებული მტკიცე კაცი, თავისუფალი ყოველს თავის მოქმედებაში თუ ვისთანმე ვერ მოერიგებოდა; — ველარ გაუმეგობრდებოდა მთელს სიცოცხლეში; არა სჯახვდა საჭიროდ თავის ხასიათი სხვის ხასიათთან შეეკუთვებინა. ოჯახის არეულობა და უბრალო მაგრამ დამღუპავი შიგოთი სიზმარშიაც არა ზმანებოდა მის თავისუფალს და მალას სულსა და უდგრომელმა ცხოვრებამ სიყმაწვილეში, სამდიდრემ და სიყვარულმა გაყ-კაცობაში მოაშორა იგი ოჯახის ცხოვრების უპატიურს მხარეს.

უცხო, როგორც უკული გამოვარდეს ჟარდის ბუჩქიდან, ისე დაეცა მას თავს ოჯახობა, და გასწა შემოკრტყა ცრემლებთან, ავ-ძაღვებთან, უწესოებასა და შოგოთთან ერთად.

საქსი დაჯდა თავის ალაგას და მწუნარედ ჩაჭვიდა თავის ამბობაში პოლინკას სიანხსლემ გადაუარა. ტურფა ბავშვი მზად იყო ქმარს კისერზედ შეკარდნოდა. — დაჲ იმან დაიწყო, — ჩასჩურჩულებდა ცრუ სირცხვილი...

მერე მივიდა როდილთან, იმდერა დეზდემონას სიმდერა, დაუკრა სპერალ-პოლკა. საბრალომ არ იცოდა, როგორ მოხერხებულნი ჰქონდა საქსს სპერალ-პოლკა.

მერე დაიწყო ოთახში სიარული, იცოდა ამ ჰაწია კმულუტმა, რომ ქმარს უეკარდა ამისი აჩქარებული სიარული და ამის ჰაწიაწინს ოქსებს დაცქერდებოდა ხოლმე.

საქსს გული მოუბრუნდა. სადღა იმისი დარდი, სადღა შიში ოჯახის შოგოთისა და არეულობისა!

ძანც თავს იმაგრებდა, და ჩუმად, უფრო მეტად დაღვრემილი იუურებოდა, მაგრამ იუურებოდა იმ მხარეს, სადაც პოლინკა დადიოდა. უნდოდა ერთი კარგად ეწვალეებინა თავისი ცოლი.

ნუ გამტყუნებთ საქსსა. იქნება თქვენ არ იცოდეთ რა მწკავია და თან რა გულის მიმტაცია, როდესაც აწვალეებთ ბავშვსა, რომლის ერთს ბეწვში, ერთს ღიმილში მზადა კართ შევწირათ ნასეკარი ჩვენი სიცოცხლე? და მერე წვალეება წვალეებასა ჰქვიან.

ამ საგანზედ მე ძაღვ გაიმბობთ თქვენ მეორე ამბავს... ამბავს სამწუნაროს, საშინელს...

საქსი კიდევ განუებოდა იყო და იჯდა შეკმუნებლით, თავ-ჩადუნული.

პოლინკამ გამოიტანა თავის საწოლ ოთახიდან რაღაცა წიგნები და მივიდა ქმართან.

— შეჭხედე, კოსტია, უთხრა იმან, რა გამოეგზავნა დღეს ჩემთვის ტასია ნაზარესკის ცოლს. როგორ გგონია, წავიკითხო? ღიწს იმასა? შენ ხომ ყველაფერი იცი.

საქსმა ჩაჭხედა წიგნებს: ის იყო გაუთავებელი ძრანტუ-ზული რომანი.

— გადაჭყარე, უთხრა იმან: ისა სჯობს სულ არა წავიკითხო. რა მაგისთანა სანაგლობით გემოვნების წახდენს.

— მე რომ მინდა წავიკითხო რამე — უთხრა პოლინკამ და აიღო ეტაყუკი დამ ჟორჟ-სანდის რომანი.

— ეტ კარგია, პოლინკა, ძალიან კარგია, მაგრამ ავი შენ ჟორჟ-სანდი გამოლანძღე.

— მართალია, დანაშაული მაქვს, მაგრამ ესეა კი წავიკითხავ.

— ამას კარდა შენა სჩიოდო რომ მაგისი არა გესმის-რა.

— უხალისოდ კვითხულობდი და იმიტომ; ესეა კი გეტყობი კარგად გავიგო. თუ გინდა კოსტია, — უთხრა პოლინკამ მხიარულის სახით, რომელსედაც გამოსეტული იყო მეტის-მეტო სიწრფელე. — თუ გინდა მე ვისწავლი ამ წიგნსა; ჭხედავ, — და აქ გადაკეტა ორი ზემოთი ფურცელი, — მე ამას ვისწავლი, როგორც სკოლაში კიბუპირებდით ხოლმე: «ღრო არის თქვენი თვალები შენს მიმართ... კალიპსომ უკლარა ინუგეშ-რა...»

— გაგონილა! დაიფიქრა საქსმა და ამ გადაჭარბებულმა პოლინკას სიწრფელემ მოთმინებიდამ გამოეყანა. — ერთი მითხარ, ეშმაკობ, თუ რა არის? ბოლო აღარ ექნება ამ ამბავსა?

— რასა სჯავრობ? — უთხრა პოლინკამ და კიდევ მიუტანა საჩვენებლად პირველი ფურცლები წიგნისა.

— განა ამას იხეპირებს ვინმე? განა შენს ხანში იხეპირად სწავლობენ რასმე? მოთმინება გამოძედა.

მოახმა საშველად მოთმინება და ფიცსმა საქსმა გამოგ-
ლაჯა ხელიდამ პოლინკას თავის საყვარელ მწერლის რომანის

— მომეც წიგნი, — შეჭყვირა პოლინკამ, თითონაც მოთმი-
ნებიდამ გამოსულმა: — მე მინდა წავიკითხო ეს.

— რას ჩადიხართ ქალ-ბატონო!

— რას ჩადიხართ, ბატონო! — უთხრა პოლინკამ და დაბ-
რატუნა ფეხები, ჯერ ერთი და მეორე მეორე.

— რას ჩადიხარ, რას ჩადიხარ! — აღტაცებით ეუბნებოდა
საქსი, სტაცა ორივე ხელი ცოლს და თავისთან მიიყვანა —
გერე, ჩემო გარგო, გერე! გამლანძლე, გამიწეერ, ჯანაბას გამ-
გზავნე! ჯანაბას, ეშმაკებთან!

— ჯანაბას გაგზავნო, ეშმაკებთან! შენ ის გინდა, კოსტია,
რომ მე ბიჭსავით მოვიქცე.

საქსი დამარცხდა. ამ ამბავმა ის გაანებივრა და თან
დალადა, როგორც უგონოდ შეყვარებულთ ემართებათ ხოლმე-
იმინ დასვა პოლინკა მდივანზედ და თითონაც გვერდით მო-
უჯდა. ასლა დარიგება პოლინკას შესვდა.

— კოსტანტინე, — მძიმედ წარმოსთქვა პოლინკამ, მაგრამ
ქმარი უურს არ უგდებდა და ჰკოცნიდა ფეხსეულს ეულში. —
დიდ ხანს იგიუბ კიდევ, იშოვოთებ უბრალო რამეზედა? ეს
როგორ იქნება? ქვეყანაში სცხოვრებ, ჩემო საყვარელო, ხალ-
ხში სტრიალებ...

— მადლობას მოგახსენებთ! — უთხრა საქსმა და სიცილი
კვლავ შეიმაგრა. — პირიქით რომ მევე მარტებს! მევე რომ
მტრუქსავს. მაგრამ ილაპარაკე რამდენიც გინდა. მე რა შენაღლე-
ბა, ოღონდ მაგ ხმას კი ნუ შეიცვლი.

დიდ ხანს ელაშაჩებოდა პოლინკა თავის ქმარს სხვა და-სსვა ჭორებს, დედისაგან გაგონილს, ვილსაც თვისი ხმის რამ არ შეეწევიტა იმის დაწიგება.

შემოვიდა მსახური და მოახსენა, რომ თავადი გულიცკი სთხოვს კოსტანტინე ალექსანდრეს ძეს და პოლინა ალექსანდრეს ასულს ნახვის ნებას.

— საიღამ გაჩენილა, წამოაძახა საქსმა.

— წიგნები აქვს მოსწრობიკვი, — მოახსენა მსახურმა, თითქმის უპასუხოდ თავის დახუჭვებულს ბატონს.

— თავის დისაგან იქნება, ანეტასაგან! სინამრუდით შეჭყვიან პოლინკამ. — სთხოვე, სთხოვე, მობძანდეს! — მსახური გავიდა.

— უწესო არ იქნება მაგის მიღება? ჭვითხა ცოლს საქსმა. ეგ სომ შენ გირთავდა?

— ესე იგი ავირებდა შეერთვას, მაგრამ მე რა მჯერს? თითონ ამცდა. შენ სომ იცნობ?

— ვიცნობდი გავასიაში და აქაც მინახავს. ეხლა კიდევ დამჭირდება ნაცნობობის განახლება და არ ვიცი კი რა ვუყო? შენი ნათესავეები მაგასთან ვერ არიან კარგად, ჩემის ნაცნობუ ბისათვის კი ეგ უმაწვილავს არის და დიდის გვარისაც. ასევე მთლად შენს მოვარეულობის ქვეშ თუ მიიღება.

პოლინკა გაწითლდა და გულმა ბეკრა დაუწყო.

თ ა ვ ი III

შემოვიდა ტანადი უმაწვილი აფიცერი და პირველისავე მისაღებობის და მოუთხვის შემდეგ, მისცა კუთვნილებისამებრ წერილები, რომლებშიაც ვიციო, რაც ეწერა.

— ამ წერილის მოტანა ჩემგან დიდი სძმსასური არ არის, — სთქვა გალიცკიმ, როდესაც მისცა საქსს ზალეშინის წერილი, მაგრამ პოლინა ალექსანდროვნასაგან კი განსაკუთრებით მადლობას მოვითხოვ; ამ გვარ წერილებისათვის ფოსტა მეტად წყნარა დადის და მე კი ფოსტაზედ სწრაფად მოკდიოდი.

— რასა იქს ანეტა? ხომ კარგად არის? მომეცით აქ ეგ წერილი. დაიწყო პოლინამ კითხვა თავის მეგობრის წერილისა, და სრულიად არა ჭეჭირობდა რომ ოთახში იჯდა უცხო კაცი, რომელიც მარად თავს ადევნებდა ყოველს იმის ტანის მოძრაობას.

საქსმა გადასდო თავისი წერილი და დაუწყო ლაპარაკი გალიცკის ომიანობაზედ, სადაც ოდესმე ბედმა ერთად შექყარა ესენი; თან გამომცდელის თვალთა ვტყურობოდა, სინჯავდა მას და თითქო ესამოვნა კიდევ იმისი ნახვა.

თავადი ალექსანდრე ნიკოლოზის მე იყო კაცი იმისთანა იშვიათის შეხედულობისა, რომელიც პირველისავე ნახვით მოეწონებათ ხოლმე კაცებსაც და ქალებსაც. იმის პირის-სახე იყო სწორე და მოყვანილი, აკად-მეოფის სახესავით ფერმკრთალი და ამ ფერ-მკრთალობის გამო უფრო ეტყობოდა ლაშათი და გობივრება. ამ ლაშას სახეს აშვენებდა შავი პატარა ულვაშები, ზემოდ შეგრებილნი. ტუჩები ნაზად, ყმაწვილურის ალესით გამოცქირებოდენ და ეს სახის მოკვანილობა დიდ ხანს რჩება გაყ-კაცთაც, თუ იმავე პატარობითვე ლაშასნი ყოფილან.

ის იყო მადალი და ტანადი, მაგრამ ტანი ცოტა მეტად წერილი ჭჭონდა, თითქოს შემდგარიყო და არ იყო დამთავრებული.

ჩებუდი. თეთრის ოქრომკედით ნაკერი მუნდირი მას უფრო აყმაწვილებდა.

— რასა იქს ჩემი კარგი ზალეშინი? გაუახლას საქსმა დაწეობილი ლაშარაკი, — ისეკ თავისებურად კითხულობს თავის პანტაგრუელისტს? ხომ ერთი-ერთმანერთთან კარგად მოეწეეთ?

— დიდი ხანია აღარა მყოფია მე იმისთანა კარგი ნაცნობი, მიუგო გალიცვიძე. — წინ წავიდოდა თქვენი ამხანაგი, ზარმაცობა რომ არ იყოს.

— ეგ თითონ იცის, — მიუგო საქსმა, — ან რად უნდა დავინახოთ? მე დარწმუნებული ვარ რომ ის სრულიად ბედნიერია.

— დიად, ის აქაც სრული ბედნიერი იქნებოდა. თუნდ მთელი სამინისტრო ჩააბარეთ, ის ისეკ მხიარული და მოსვენებული იქნება, სვამს, სჭამს და გასაოცრადაც იშრომებს. სამსახური მხოლოდ ეჭვიან კაცებისათვის არის ძნელი.

— ესე იგი, თქვენ გინდათ სთქვათ, რომ სამსახურში მყოფი კაცი...

— უნდა განცხრომის მოუვარე იყოს; და ამიტომაც სამსახური სწორედ ზალეშინისთანა კაცისთვის არის გაჩენილი.

— ეგეც მართალი უნდა იყოს... რაც უფრო მეტად გაცქერდებით, ეუბნებოდა საქსი, — უმეტესს ცვლილებასა ვსვამთ თქვენში. თქვენ უფრო გამხდარხართ, ვიდრე წამლობის წინ იყავით.

— მე ცხელებით ვიყავ ავად... წყლების შემდეგ.

— ნება თქვენია და სამაგლობა ვინა წყლებზედ სიარული. განა არის რამე ქვეყანაზედ უფრო საზიზღარი, უფრო მოსაწყენი ვიდრე ის რაღაც კარლსბადი და იმის მზგავსი სამკურნალონი!

— ჩემთვის უფროც საზიზღარი არიან, სთქვა ღიმილით

გალიცკიმ; — თუმცა კი თითქმის სამკურნალო აუზში ვარ და-
ბადებული. მე ცოტას ხანს დავრჩი გერმანიაში, გასაფხულსკედ
იტალიაში გამოვიარე...

პოლინკას ტანსაცმელინა წერილის კითხვას, ახლა გაჩუმე-
ბული და ტუჩებს იკვნეტდა.

— მე ცოტას ხანს აქ ჩემს ცოლთან დაგანებებთ თავსა, —
უთხრა საქსმა და აიღო წაღუშინის წერილი. — ამას მოთმინე-
ბა აღარა აქვს: უნდა თავის მეგობრის ამბავი გამოგკითხოთ.
კწუხვარ რომ ძალე უნდა წავიდე პეტერბურგადამ, თუმცა დი-
დის ხნით კი არ მივდივარ. თუ თქვენ თავისუფალი ხართ,
დაჩნით ჩვენთან სადილად.

გალიცკიმ თავი დაუგრა.

— მე შეუძლება საპოლსკი, რომელსაც თქვენც იცნობთ, და
ერთი მსატკარო იტალიიდან. თქვენთვის ეს უძვირესია: იმას-
თან იტალიისკედ ვილაპარაკებთ და თქვენთან აკუსაციის შოთ-
თანს დროსკედ.

საქსი გავიდა და თან წერილი გაიტანა.

წინარად, შეწუხებული სახით, რომელიც ისე შეენოდა
მას, მივიდა გალიცკი პოლინკასთან.

— მომიტევეთ ამას თუ არა, პოლინა ალექსანდროვნა,
უთხრა მან ჩუმიად და დადგა პოლინკას წინ გულ-ხელ-დაკრე-
ფილი.

პოლინკა მთლად გაწითლდა, შეძვეგ თეთრის ტილოს
ფერი დაეღო. მას ებრალებოდა, ეშინოდა და რცხვენოდა.

— გნაზო ალექსანდრე, უთხრა მან, პანსიონის ჩუუღუ-
ბისა-მებრე — რა უნდა მოგიტევეთ! მეც მარტალი ვარ და
თქვენცა... თქვენ აღბად ეს წერილი წავიკითხეთ! უცებ შექ-
უვირს მან და ხელმოკრედ გაწითლდა.

ანც გაიღიმა, ანც შეიკმუხვნა და ისე მშვიდობიანად აიტანს გალიცკიმ ეს მხელად ასატანი სიწრფელე.

— თქვენ იცით რასაც იწერება? წარმოსთქვა პოლინიკამ და უნდოდა გაესწორებინა თავისი შეცდომილება.

— მე მივსვდი; — მწუხარებით უბასუსხა გალიცკიმ; — მაგრამ რასა ვაძლავ? დამნაშავედა ვცნობ თქვენს წინ ჩემს თავსა, და ალარც შემიძლიან ვისთანმე დაფარო... ეს წერილები დავასახაბე... მე მხოლოდ თქვენი ნახვა მინდოდა.

პოლინიკას სრულებით შეეშინდა და ფეხად გაბედა შეესუდნა გალიცკისათვის.

— იქნება ჩემი გეშინიანთ? — განაგრძო გალიცკიმ. იქნება გგონიათ, რომ ჩვენს დროში სიყვარული წრეს გარედ გადაიყვანს კაცსა... განა ჩვენს დროში სიყვარულისაგან ტანჯვა შეიძლება?

პოლინიკა გაშტერებული იჯდა და არ იცოდა, რა ეთქვა.

— მე პირ-და-პირ გეტყვით თქვენ, როგორც უწინ გელაზარაკებოდით სოფლე. მე თითონაც არ ვიცი, მიყვარხართ ესლათუ არა; არ მოკვლადი, რომ თქვენთან ლაპარაკს მოვასკრებდდი. მთელს მოგზაურობაში ერთხელაც არ მომლანდებია რომ ხელზედ მანც მეკრძნა თქვენთვის... მხოლოდ ერთი გამოუთქმელი სურვილი მქონდა — ის სურვილი რომ თქვენ გიყუროთ, პოლინიკა ალექსანდროვნავ. იქნება ასე არ უნდა მოვიქცე, მითხარით პირ-და-პირ...

გალიცკი პირ-და-პირის გზით მიდიოდა. პლანი დამარცხებისა სრულიად უბრალო იყო. პოლინიკასთან სიყვარულზედ მადლად ფაქტებში ლაპარაკი არ გამოდგებოდა.

ეს რომ გაიგონა პოლინიკამ, უფრო გამსხვევლად და დაწყვერდა გალიცკის ფიქრების ფერს თვალებს.

— მაცტებს მე ეგ ლაზარაჟი თქვენ აღბად ბეკსა თეი-
რობთ კნაზო აღექსანდრეჟი... უთუოდ სულ წიგნებსა ჭყით
სულაობთ? თქვენ უნდა ხშირად იარათ ბალებში... ბეკრი ნაც-
ნობები გყავთ...

— მე ბეკსა ვთეიქრობდი ამ მწუხარების მიზეზზედ, —
სთქვა გალიცკომ. — ვთეიქრობდი, რადა მაქვს ასეთი სპინელი-
სურვილი, რომ თქვენ გიუფროთ... არ კიცდ, გითხრათ, თუ
არა: ერთს დროს მე ექიმებსაც დაეკეთებე, რასაკვირველია
თქვენს სახელს, არ ვეტყვოდი, ეს ავად-მყოფობა მხოლოდ
ჩემთვის არის დასაღუპავი... იქნება გადაშიაროს კიდევ, არ
ერთმა თქვენმა შემოხედვამ უკედ გამხნა, დამამშვიდა.

— ეგ სულ უბრალოა, — უთხრა პოლინკამ უფრო თამამად,
— თქვენ უნდა იმსიარულოთ, ქალადი იდამაშოთ... მე დი-
დის სიამოვნებით დაგეხმარებოდი, მაგრამ სულ ერთი ერთი
მანერთს ხომ ვერ ვუფურობთ.

— აი შე ეშმაკო, — ჩაიფიქრა გულში გალიცკომ, — როგორ
მარდად, თუმიცა კი მოუსაზრებლად მისვდი ჩემს სისუსტეს!
ერთი კიდევ გიცადოთ, ცოტაღა გვაკლია!

— თქვენ მგონია, სასაცილოდ იგდებთ ჩემს მწუხარებას!
წარმოსთქვა მან სმაძაღლა. მაინც გმადლობთ, მონაწილეობი-
სათვის. ვინც უნდა დამცინოს... მე რა მჯის! აღონდა თქვენი
ნახვა კი შემეძლო. ჩემი მდგომარეობა საზოგადოების წეს-
სა და კანონს არ ეთანხმება. მე ჩემი მდგომარეობა ისე სა-
ოცრად და განსხვავებულად მიმაჩნია, რომ მზდა ვარ მივიდე
თქვენს ქმართან, ავუსხნა ყოველისთვის... და ეს თითონვე...

— რას ამბობთ? დეერთო ჩემო! გაჩუმიდით! დამს ნურას
ეტყვი... კრინტი რაღა დასძრათ — თავის დღეში ჩემს აღარ
გაგცემთ.

სახალხო ბავშვი ისევე გადახუთრდა; სისხლით შეღებულ სურათი დუელისა, რომელსედაც ამის ერთგული მეგობარი წყურებოდა, წარმოუდგა ცხადად თვალ-წინ.

— არც ერთი ასო არ შეიძინა ფერ-მკრთალ გალიცკის სახეზედ.

— მე იმისი რად უნდა მეშინოდეს? — ამბობდა მწუხარებით — მე უფლებას არა მაქვს რა და იმის უფლებისა კი გულისთვისაც ვატვივის-მცემელი ვარ. მე დიდს არასა ვთხოვ და ისიც კეთილ-შობილის გულის კაცია.

— მე თქვენს ვთხოვთ, თუ რომ თქვენი და გიყვართ, ერთი სიტყვა არ უთხრათ კოსტანტინეს... შემდეგში მე თითონ ვეტივი...

— რა, ეს კარგი საქმეა; — სიამოვნებით გაიფიქრა გალიცკიმ. ქრთი კადევე შეუერთით!

— გასაშტერებელია — დიწყო მან ხმა-მადლა. — საკვირველი კაცია! მე იმისგან ამას არ მოველოდი. დრესდენში ვნახე მადონა, რომელსაც ისე არავინ მიუხალვადებოდა, რომ არ შეძერთალოყა და ცრემლები არ გადმოეყარა. იმ გასაწყნარ სურათთან ყველა მიდიოდა, არავინ არა სდევნიდა გამკლელ-გამომკლელს, არავინ ეუბნებოდა: მარტო მე მაქვს ამის ყურების ნება...

გალიცკი გაჩუმიდა პოლინკა იჯდა თავ-დახრილი და თავის შარჩის ბოლოსათამაშებდა. თვალებს ხშირად ახამხამებდა, ეტყობოდა, რომ ცრემლები მოერიან.

ეს სიჩუმი დაარღვია საქსმა და რამა იმდამა ამხანაგმა, რომელნიც ოთახში შემოვიდნენ.

— ახა, ვისადილოთ კნიაზო! შემოსძახა მან გალიცკის — ვთხოვთ იცნობდეთ, — მაგრამ სადილზედ გავიცნობთ ერთმან-

ერთს. — ზოლინა, — მიუბრუნდა იგი ცოლს. — ჩემი მკვავრობა
 ორის დღით გადასდეს.

საქსი ამ ამბავს მალევე ასაძმონა. ზოლინაც კმაყოფი-
 ლი იყო, რომ საბრალე გალიცკი ასეთი ჩემი აღმოჩნდა. კმა-
 ყოფილი იყო გალიცკიც, თუ არა, — ამას არ გეტყვით და — რა-
 გორც მოამბეს — უფლებაცა მჭკს არ გითხრათ.

თ ა ვ ი IV

I. — თავადის ა. ნ. გალიცკისაგან სტატსკი სოვეტნიკ პისარენკოსთან.

ზატეი-ცემულო სტეიანე დიმიტრის ძეგ! საშინელი ამბა-
 ვი მოამბეს მე თქვენი! სსსამართლას ხელში ჩავარდნილხართ;
 ჩვენს უანგარო ვაჟებებს მოუსპიათ თქვენი მშვიდობიანობა:
 დიდადა ვწუხვარ და გუფით მებრალებით. გახსოვთ, განსკენე-
 ბული მამა-ჩემი გეტყოდათ სოლმე: «სტეიან დიმიტრის, ნუ
 აიღებ მაგ ადგილს; ძნელია სამსახური მოხუცებულებისათვის
 ეხლანდელს დროში: ახალი ჩამომავლობა უოკულისთერს მუს-
 რავს და არა გაეგება-რა ვი.»

მეც ასე ვფიქრობ, რომ ეს ბრძოლა იმართვის არის ცუ-
 დი ვისაც მოკლე დღელს აქვს; საიღღამაც გამოსტენ უსუსუ-
 რი ბავშვები, ჭყვირიან მალაღს. ზატეოსნებაზედ, თითქმის
 სტირიან... ესენი კიდევ არათერი, ამათ ბეკრი არა იციან-რა.

უკელაზედ უარესნი ვი ეს მეტიჩრები არიან, რაგორც
 მაგალითად თქვენი დიდი მეგობარი საქსი. საიღამ განდენ?
 ვისგან იშვნენ? წინად რას აკეთებდენ? — არაგინ რა იცის. ამათ
 ვი უკელაიერი იციან, უკელან გამოსადგენი არიან; არა უბე-

დობენ მალაღს პატიოსნებაზედ და ჩუმად, სხვის ზურგზედ მიტოვებენ მალაღს ადგილებისაკენ, ვინ იცის, როდის გადაშენდება ამისთანა ხალხი.

გულთ მინდა შეგეწიოთ როგორმე სტეფან დიმიტრიჩ, მაგრამ ხომ იცით, რომ ჩვენი საქმე როგორღაც არეულია. იმ თავითვე ვალიცვას გვარის კაცებს შესანიშნავი საქმეები ქონდათ ხოლმე მინდობილი, მაგრამ იმ საქმეებისა არც არაფერი ესმოდათ და არც არაფერს აკეთებდენ. ასჯერ და ათასჯერ ბოდიშს ვიხსოვ თქვენთან და ამასაც გეუბნებით რომ ნუ დაეზოგავთ: მე მომიკვდა ერთი ნათესავი, პატიოსანი დედა-კაცი, რომელმაც დიდი ფული დამიტოვა.

შსკოვის გლეხ - კაცებს ისევ ძველებურად უპატრონეთ. შემოსავალი, თუ საჭირო იყოს, თქვენვე მოიხმარეთ. ხომ ვერ დაგანებებთ თავსა, თქვენ, ძველადგანვე ჩვენი ოჯახის ერთგულს კაცს. მე თქვენთან სათხოვარი მაქვს, სტეფან დიმიტრიჩ, სათხოვარი დიდი და უცნაური. მე მსურს როგორმე ვასინამოვნო ერთი კაცი, რომელსაც სამწუხაროდ, თქვენც კარგად იცნობთ. ეს კაცია საქსი. რა საქმეს კაპირებ, — ამას ესლას ვერ მოგწერთ; შემდეგში უოკელისფერს გიამბობთ — ხომ არ შეგჭამთ ეგ რაღაც სამართალია.

ჩემი განზრახვის შესასრულებლად საჭიროა, რომ დიდ ხანს დააბრკოლოთ საქსი იმ ადგილს, სადაც ეხლა იმყოფება თქვენის საქმის გამოსაძიებლად. ეს ერთი კვირა არის რაც წამოვიდა და ეგ საქმეებს მარჯვედ არჩევს.

ამასთანავე მე აქ ვავშინჯე, რაც არის დაწერილი თქვენს თაობაზედ. ცოტას ხანში გააჩვენებს ადგილობრივ ქალაქებს, გამოჭკითხავს პოდრიანიკებს, ამითი საქმე გათავდება და დაბრუნდება პეტრობურღში ჩემდა სამწუხაროდ.

მე ვიცი თქვენი სწორე შესედულობა საქმესად, სტეფან დიმიტრის; თქვენ თითონ გამომიება ვი არ გაშინებთ, იმიჯო გეშინიანთ, რა ბოლო მოჭყეება. «პატიოსნება თავისთვის იყოს, რაღონდ სასტიკელი მქონდესო», ამბობს ჩვენი ჭკვიანური ანდაზა. მაშ მუ ისე მომიხდეთ, როგორც ქვითაგირის კედელს; გაძლეკო სიტყვას, რომ ყოველივე ხარჯი და დანაკლისი და გიბრუნდებათ თქვენ საჩუბლით: ტყუილად სიტყვას, რადი ვისძე ვაძლეკო. მსოფლოდ მომიხურხეთ, რასაცა გთხრეთ.

შეაჩრეთ საქსი დიდ ხანს—ოჰი. კარგი იქნება. თქვენთ მა საქმემ რჩი თვე მაინც გასწიოს: მიხლართ-მოხლართეთ, ივისრეთ რაც არ მომხდ-რა და ნურათყერი გეფიქრებათ. განსოვდეთ, რომ ყუთში უთვალავი ფული მიძეკს და არ ვიცი ვი რა ვუყო. კარქე ხაღხს, თუ შეიძლებოდეს, ნუ გარეკო მაგ საქმეში; დაე ჩვენში დაჩხეს, როგორც ამბობდენ რდეს-მე თქვენს სემინარიაში.

მაგრამ რადა ვთქვი რჩი თვე! მე ვიცი თქვენი თაოსნობა; დღეიდან სამოცის დღის შემდეგ დაბოლოებთ. ისევე სჯობს დრო არ დაგინიშნოთ; დახლართეთ საქმე, განაგრძეთ, რადემდისაც შესაძლებელი იყოს. რადესაც ჩემი საქმე გათავდება, მე მოგწერთ ერთს სიტყვას: «კმაჩა», მაშინ, როგორც გინდოდეთ, ისე მოიქცითა: მართლა და, ესლა ფული ხომ არ გეჭირვებათ.

არ გეგონოთ ვი რომ დიდი ხანი მოუნდეს გამომიებას. იქნება ჩემი სიტყვა «კმაჩა» რჩს თვესედ უფრო ადრეც მოგვიდეთ.

ესლა მომაგონდა, რომ თქვენის საქმის შესახებ უნდა ბიბ-ჩემი გრაძი ***-იც გამოჭკითხონ, იმის აზრს დიდად

ფიქრებს. რა გი ჩემს საქმეს მოეჩვენებ, თქვენთვისაც ფი-
ფიქრებს.

მაშ მომეცით ხელი, სტეფან დიმიტრინ! შეუდგებით საქ-
მეს და მომენდობით მე, განა? ჩვენება როგორმე თქვენც გა-
შორებისათ. თქვენც ერთგული გალიცვი.

II.—თავად ალექსანდრე ნიკოლოზის ძის გალიცვისაგან კრასინკის ცოლიდან.

როდესაც მე და შენ ერთმანერთს გავშორდით, დამ, ჩემ-
ში ჭკუისა და მოაზრების ნატყამალი აღარ იყო. მართალია, მე
ანთება ავიტანე, მაგრამ ვინ იცის, ვინ გაანჩევს რა იყო იმის
მიზეზი: სიყვარული, სიანხსლე, თუ მგზავრობის დაღალუ-
ლობა.

ესლა გი შეგიძლიან მომიღოცო, მე სამუდამო ანთებს
მჭირს. ეს არც სიყვარულია, არ სიგიჟე, ეს არის სიცოცხლე,
ეს არის გადამდები ჭირი. შენ ხომ იცი ჩემი აზრო სიყვარ-
ულზედ: მე ამას ვერავინ გადამათქმევინებს, რომ გაძლიე-
რებულს და წრეს გადასულს სიყვარულს იგონებოთ ის ქალიც,
რომელიც კაცს უყვარს, თუ გი შეიძლება იმის ნახვას და იმის-
თან ლაპარაკს.

თუ გი მაგნეტიზორს შეუძლიან თავის ნებაზედ გვათა-
მაშობს სულელურად თითების ფათურით, მაშ რა დიდი ძალა
უნდა ჭქონდეს სიყვარულს, რომელიც ამწუნებს და ჭკლექს
მთელს ჩვენს სსეულს?

განა ეს არაფერია, რომ დედა-კაცი კაცზედ სუსტია და
არნივ ერთმანერთისადმი ილტვიან, — და შემშუსკრელმა გულისა

თქვამდ განა ამოდ უნდა ჩაიაროს და არ გააღვიძოს ზედ-მოქმედება და თანაგრძნობა?

მე გაშმაგებული მიჯნური ვარ. ტანჯვა ამიტომ უფრო მეტაბება, რომ უოკელს უამს თავი უნდა შევიძაგრო; უნდა ვიბრძოლო. ერთი რამ მძაღვეს ღონეს: ძილი არა მქვს გამართალი. რა კი დაღამდება, დაქანცულს, მკვდარსავით დამეძინება ხოლმე. რასაკვირველია, სიზმარში სულ ამას ვხედავ; ან სხვა რა უნდა მომეზმინოს? მაგრამ მაინც კი ძილი მამაგრებს.

მე შენი პოლინკა უფრო ლამაზი მეჩვენა, ვიდრე მამინ, სასწავლებლიდამ რომ გამოვიდა. ეს ჯერ ისევე პატარა არის, თუძცა კი ტანი ძალიან შეუყურია, უფრო გატანადებულია. ქმართან ლაპარაკს ამაზედ კარგად უძრქმედნია, რადგან საქსი ჭკვიანია და ეხერგიული კაცია.

მაინც ხშირად გონება მეჩვენა ხოლმე, როდესაც ამასეუდ ვეიჭრობ. ეს არა ჭკავს არც ერთს იმ ქალთაგანს, რომელნიც მე მინახავს, და ამასთანავე თითქო უველსა ჭკავს. როგორც გინდა ისე გაიკე. მე თითონ ჩემის თავისა არა გამეკება-რად და უფრო-და-უფრო ვგრძნობდები რომ პოლინკა გასაცვიფრებელი რამ არის.

თქვენს პანსიონში ეს უველასეუდ მეტად საყვარელი და განებიერებული ბავშვი იყო. იქიდან გამოიტანა ეს გულის სიწრფელე და უცნაური ხასიათი, რომლითაც უველანი განთქმულნი ხართ პირველს. ხანებში იქიდან გამოსვლის შემდეგ: შინ ამას დმერთად რაცხავდენ, უველიდენ როგორც ჩინებულს სათამაშოს, როგორც პეპელას; ეშინოდათ რომ ხელის მიკარებით არა ეკნოთ-რად ამის ბრწყინვალე ფრთებისათვის. სასოგადობაში ხელი-ხელთ საგოგმანებლად ჭყავდათ. მოხუცნი და ასალ-გაზდანი ჯგუფ-ჯგუფად დასდევდენ ამას.

რომ სისულელე რომ ეამბნათ და ამისაგან ემაწვილური პასუხი გაეკონათ.

შეუძლებელი იყო, რომ წმ სამ-პირს ნებიერობას ამის ხასიათზედ კვალი არ დაეკლდა. ამით არც წამსდაცა, არც გაუჯიათებულა, მაგრამ უფრო უარესად უმოქმედნია: სრულიად შეძლებას ამისი ზნეობის დამთავრება. ეს როგორ მოხდა — ამის აღწერა სსკებისთვის დამითმია.

ამიტომაც ეს ცნობების წლისა ისეთივეა, თითქმის ღამის, ჭკვიანი და საყვარელი თორმეტის წლის ბავშვი იყო. ამდროს ჩემო! იქნება ამიტომ მიუვარს მე ეს ასე გამძაგებულს, ასეთის განწირულებით. ადრე დავიწყე ქალებში გამარჯვება და ამიტომ გულ-გრილად ვსჯიდი ქალების სიღამაზეზედ. ამისთანა გაოგნებულ ყოფილად გამოსვლისათვის, საჭირო იყო უინიანი სიყვარული, თითქმის უთავბოლოდ გულში ჩასახული. აღმოჩნდა კიდევ ეს სიყვარული: მე გავუმიჯნურდი ბავშვსა და არა ქალსა.

ეს სიყვარული, ქალისადმი სიყვარული რაღაცა. ეს არის გულის-თქმა ანგელოზთან, რომელმაც გონება დამიბნია თავის ემაწვილურის მშვენიერებით; ანგელოზთან, რომელმაც იმდენად იცის ჩვენი ცხოვრება, რომ შეუძლიან გამოგველაზარაკონ.

ქალებური შედარება: ქალისა ანგელოზთან! მეც სშირად შემიდარებია და ესლა ვინანვი ამისთანა ღუთის წინააღმდეგობას. ქალები საზოგადოდ კარგნი არიან, მაგრამ ანგელოზს მე მხოლოდ ერთს მათგანს ვუწოდებ.

მარტო პოლინკა არის ანგელოზად წოდების ღირსი. ამისი ყოველივე ანგელოზურია: ამის სასიკეთო, რომელმაც მექანდაკებულს შეუძლიან ამურის სტატუისათვის სახის მოყვანილება.

გადაიდოს; ამის ტანის სიმცირე, საკვირველი უეთილი გული, ნიჭი ერთგულებისა, ნიჭი სიყვარულისა, რომელიც მთელს ამის გვამშია გაბნეული.

მაგრამ ვაიმე! ეს სიყვარულის ნიჭი, ქალთა: ყოველის სიკეთის სათაური, არ არის გაკითხვებული, მისგან: შეგნებულად. ყოველისფერში სჩანს იგი: დაღვრემილ ქმრის: ერთგულებაში, მშობლების სიყვარულში, რომელიც ცალ-ფულად არ აღიწან, ფრინველებისა და ძაღლების: სიყვარულში და ჩემდამი თანაგრძნობაში, როდესაც ამის ფეხ-ქვეშა ვტირი.

მე რომ ერთად შევეკრიფო ეს სიყვარულის გრძნობა და ჩემდამი მოკმართო იგი... რა, მაშინ არ ვიცი, დაკრძებულად: მე ცოცხალი, თუ მოკვდებოდა ამის თვალ-წინ მკეტის სარხულით?

როგორცა სჩანს ჩვენი ერთმანერთთან. დამოკიდებულება წრეს გადასცილდა. მე ამასთან ყოველ დღე დავდივარ: ვუკოცნი ხელებს, პირ-და-პირ ველაპარაკები ჩემს სიყვარულზედ, ვეხვევი და ვკოცნი. როდესაც ჩემი შემავრება უნდა, საკმაოა მწუხარეს თვალით შევხედო, დავიდო გახურებულს შუბლზედ ამისი ვაწყაპა ხელები... და ჩემი კარგი ბავშვი ივიწყებს: ყოველივეს, მძღვეს ნებას, დაკოცნო იგი და მასთან ერთად ვიტანჯო. ვეგლა იტყუდა, რომ მე მხიარულად უნდა ვიყო, აღტაცებისაგან თავ-ბედი უნდა მაკიწყდებოდეს; მაგრამ შინ რომ დავბრუნდები ხოლმე, ვიტანჯები საშინლად, ვიჯლეკ თმებს თავსედ.

რა შეღავათია ჩემთვის, რომ ეს ყოველთვის მე მკეტანცაება ბალებში, შინ კოცნის ნებას მძღვეს, მეუბნება რომ ამასაც ესაიმოკნება ჩემი ყურება, რომ მე ასეთი ღამისი ვარ!? ეს თავის ქმართანაც იტყვის ამას და იქმს კიდევ.

სიყვარულზედ ერთი სიტყვაც არ უთქვამს; სრულად არ

ეტყობა ის მღელვარება, რომელმაც ამ ერთს თვეს გულ-განაში ამომიდაგა.

მსოფლოდ ერთს დღეს—ღმერთმა დალოცოს ის დღე—გამოვიხმე ამის გულადამ წადაცა გრძნობის მზგავსი, რომლის სასულიც კი ვერ მიზოვნია. ეს რომ არ ყოფილიყო, დაღუნდა გამოსაღმებოდი ჩემს წერილებს: პირ-და-პირ, გულ-მართლად გეტყვი—ერთი გვიჩა კიდევ რომ ამ ყოფაში ვყოფილ ვიყავ—ჩემის ხელით თავს მოვიკლავდი.

ესღა კი, ამ სიტუბოებს რომ ვაგონებ, დროებით მიმშვიდდება გული, და შემოდინან მოგწერო გარკვევით და დაწინარებით.

შენ წასაკვირველია, მიხვდებოდე, რომ საქსი პეტერბურღში არ არის. წასვლის დროს სთხოვა თავის მეგობარს ზაზოლსკის, რომლის თხზულებებს შენც სანდისხან ვითხულობ ხოლმე, პოლიტიკა გებარებოდეს, გაართო რომორომეც არ ძილავყინო. ზაზოლსკი ჩემთანაც კარგად არის, იცის რომ საქსის ცოლი ყოველთვის დაახლოებული იყო ჩვენს ოჯახთან და ამიტომ ისე მოვასერსე, რომ თავის თანაშემწედ ამიყვანა. მაინც თითონ საქმეებში გართული ვაქცია და ცოლ-შვილიანი. ჩვენ ვატარებდით პოლიტიკას თეატრში, შინ ასალ ამებეს გუამბობდით, ვუზიდავდით სათამაშოებს ინგლისურ მღაზიიღამ, ვუკითხავდით ყურნალებსა, და ვუმღერდით გაუთავებელ რომანებს.

ამ სამის დღის წინად, სლამოზედ, ზაზოლსკამ მოუტანა ამას ნოტები და სურათები ბლომად და თითონ წავიდა თეატრში ბილეთის ასადებად. მე მარტო დავრჩი პოლიტიკასთან; მთხოვა ვიმღერო რამე. მე ვაჩხევდი ნოტებს, ვლაპარაკობდით შენზედ, გუამბობდი, რომორო ვცელქობდი კორპუსში,

მაგრამ დალაგებულ ლაშარკის დროს ხელ-ფეხი სრულად გა-
მეყინა და სისხლი სულ ერთიანად გულთან ამიდრულდა.

წინ ტენორის რამდენიმე ნოტები შეეწარა, მაგრამ სულ
უსიამოვნო და მოსაწყენი... და მე კი მსურდა მეძღვრა... მე-
სიკა ამისთანა შემთხვევაში ყოველთვის მამშვიდებს ხალძე.

ამ დროს, ნოტებში ვიპოვე ლოცვა, რომელიც კარგად
ვიცნობდი... ვისია არ მახსოვს და არცა მცაღიანა ამის გაძღ-
საკვლევად.

დავიწყე ამ ლოცვის სიმღერა და თან ვიფიქრობდი პო-
ლინკაზედ. მე ვლოცულობდა ჩემს ანგელოზზედ და ეტუობა-
ის ლოცვა მსურვალე ლოცვა იყო.

პოლინკა გაჩერდა ჩემს უკან და დამაწყობ მსარზედ ხე-
ლები... .

— გმადლობთ ზღაქმსანდრეკე — მითხრა იმან და ხმა აუკან-
კაღდა. — მე მივწერ თქვენს დასა, რომ ასე მანებიერებთ.

მე უკან მოვიხედე: ალისფერი რიყრახი პეტრებურლისა
მოსდგომოდა ფანჯარას და მის ვარდის-ფერი შუქი მთელს
ოთახს მოჭებოდა; სურათზედ დახატულსავით სჩანდა ამ
ვარდის-ფერს ალაგზედ სასე ჩემის მშვენიერის ბაკშისა. პო-
ლინკას ეცვა თეთრი კაბა, თმა ქაღურად არა ქქონდა დავარ-
ცხნილი — ერთს ნაწნავად შემოეხვია თავზედ — ცრემლით საკ-
სე თვალებით თანაგრძნობით მიუერებდა მე.

— ანგელოზია, ანგელოზია!

გონება ამერია, დავეცი იმის ფეხ-ქვეშ და დავაკარ ტუჩი
ამის პაწაწა ფეხებს. თვალთაგან ცრემლები სეტყვასავით გად-
მომცვივდა. საშინელი ქვითქვითი ამივარდა.

ჩემი სიყვარული უკანასკნელს წრეს გადასცილდა და გა-
მოუთქმელის ძლიერებით იჩინა თავი. ადამიანის წინაშე ეს

პირველი ტირილი იყო ჩემგან ვტიროდი, მაგრამ გულში წა-
დაც ხმა მეუბნებოდა, ამ წამს შენ ძალი და ძლიერი ხარ.

ამან ამაყენა და დივანზედ გვერდით დამისვა: თავის ჰა-
წის ხელები ჩემს განხრებულ თავზედა ჰქონდა დაწყობილი.

— საშინკა, ჩემო მეგობარო, — მეუბნებოდა და მივლიდა
როგორც ძუძუს-მწოვარ ბავშვს — გუეოფა ბავშვობა: რა და-
გემარტა? ხომ იცხი რომ მიეგაწხან? რაღა გატირებს? რას
იტყვის ჩვენზედ ანეტა?

მაგრამ გადაძებმა სხულებამ იწყო თვისი მოქმედება:
ლოყები აუწითლდა, გულის ძეგრს მოქმატა.

ასლას მომიჯდა და მესვეწებოდა, რომ თავი დაკანებო
და სიყვარულზედაც ხელი ავიღო.

— ჩემო საყვარელო! — სხვათა შორის მეუბნებოდა ესა—
მე არ მესმის, რა მოგეწონა ჩემში? აბა კარგად შემომხედე,
მე სრულებით ღამაში არა ვარ...

მასუკან საბუთებით მიმტკიცებდა, რომ ღამაში არ არის.
აბა წარმოიდგინე, ეს საბუთები მე მომსაკენებდა თუ არა. და-
სუსტებული გული გამოვარდნას მიპირებდა და პოლინკას ამ
გველურ ქტევაზედ თავი ველარ დავიჭირე და საშინელმა ხველამ
კინაღამ დამაღწხო.

პოლინკა შეშინდა, მაგრამ ერთს წამსაც გონება არ დაბ-
ნევია. იმ დროს უნდა გენახა ესა და მასინ მისვდებოდი რა
გამოუთქმელი ძლიერება და მიმსიდველობა ჰქონია ქალის სულ-
სა. ამას დაავიწყდა თავის-თავიც, მეც, ქმარიც; — ეს ჩემში ხე-
დავდა მხოლოდ ავად-მყოფს მეგობარსა.

მიიჭრა ჩემი თავი თავის გულზედ და ხელები წელზედ
შემომასხვია.

— დიქრო ჩემო, კმარა, კმარა, საშინკა! — მეუბნებოდა და

თითონვე სტირდა—ღებრთი მოწყალეს, კვ ეველს გაივლის, ეველს დაავიწყდება დამიანს. გვერთა მწუხარება, შენს თავს გაუფიქრებელი. ხომ იცის, მეც მოგვედები, თუ რამ მოხდა.

ამ დროს უნდა დაბრუნებულიყო ზაზოლსკი და თავისი ცოლი მოკუვანა.

პოლინკას წყალობით, მალე მოკვდებინდი და იმ საღამოს თეატრშიაც წავედი.

წარმოიდგინე, რა ბეკს რასმე გავიგონებდი თეატრში. პოლინკა კი იცინოდა და პიესას გულ-მოდგინებით უგდებდა ყურსა.

შენ ხომ იცის რომ როდესაც პეტრობურგში მოვდიოდი, სწრაფებით არა მქონდა—რა გადაწყვეტილი პოლინკას თაობაზე. მინდოდა შენსა, გათხოვება შემეჩანებინა, იქნება არაფერი დაემწყეო, —აი ეს იყო ჩემი სურვილი. მაგრამ ესლა კი ჩემი პლანი მტკიცე აღმოჩნდა და მეც არც ერთს ნაბიჯს არ ვადავტილდები.

პოლინკა არ არის იმ ქალებთან, რომელთაც სიყვარულის მასეში გააბამ და თავს დაანებებ. სადაც სსკა ქალებთან სიყვარული თავდება, პოლინკასთან იწყობა იგი. ჩემთვის რაა რომ ვიფიქრობდე პოლინკას თვე, წელიწადი, თუნდა ვიფიქრობდე გამოუწიარად. მე ეს მინდა ჩემთვის მთლად ერთიანად, სწრაფებით, საუკუნოდ.

მომიტკევე, დამ, ქალები ძვირ-ფასი თვლები არიან, რომელთადაც სასიამოვნოა ზოგჯერ თამაშობა, ხანდისხან მათი ხმარება, მაგრამ პოლინკა კი მათში მსხვილი ბრილიანტია; ეს უნდა საუკუნოდ გვერთვინოდეს, უნდა მალავდე სსკების თვალთაგან, რომ ძირიანად არ ამოგდონ ეს ბრილიანტი, რომელსაც არა აქვს ფასი.

ეს არის ცხრამეტის წლისა, ძარღვებშიაც სისხლი უდრის... ვთქვათ დროს შევირჩევი... ჩავიგდებ ხელში... რა, ამაზედ რომ ვთქვარ... სისხლი მიდრულს... უმანუოფილი კი ვიქნები? მე ვთქვი კიდევ, რომ როდესაც შეველა თავდება სხვა ქალებთან, პოლინკასთან მხოლოდ მაშინ იწყობა სიუჟარული.

რად საჭიროა ბევრი თქვით, გამოცანები და შუა გზაზედ გაჩერება: ან ეს საუკუნოდ ჩემი იქნება, ჩემი განუშორებლად, ან მე აღარ ვიქნები ცოცხალი ქვეყანაზედ. საქსის დაბრუნებით უნდა გადაწყდეს ეს საქმე, მანამდე კი რაღა იქნება, იქნება!

მე რა საჭმე მქვს იმ ვაცთან, რომელიც თამამად გაჩერებულა ჩემს გზაზედ? იმას ეს უყვარს? მეც მიყვარს ეს. ის კეთილ-შობილის გრძნობის კაცია— მე რა! მე ეს მიყვარს. ის ძამაცია და გონიერი?—მე რა! მე ეს მიყვარს!

თ ა გ ა V

I.— პოლინკა საქსისაგან კრასინკის ცოლობან.

ახ, ანეტავ, ანეტავ! სულიყო ანეტავ, ეს რა საქმე დამძაბო? ესლა რომ ნასო შენი პატარა პოლინკა, შეგეშინდება და ატირდება. ჩემისთანა მწუნხარება თავის დღეში არაქალს არ დასდგომია და თუ ღმერთი გაგვსჯის ჩვენ, მე მინდა ვიკისრო სრული დანაშაული, თორემ შენ დიდი პასუხისმგებელი იქნები.

რისთვის გზავნიდი აქ შენს ძმასა? რად ატანდი ჩემთან წერილს? შენ გეგონა ამით დაამშვიდებდი ამას და ერთი ასად

ვი უარესი სსქმე დამართე. მეც მოკვდები და ესეცა. თუ ან შევიყვარებ, — ეს თავს მოიკლამს; თუ შევიყვარებ, — ჩემს ქმარს მოჭკლავს. ეს წამ-და-უწუმ მეუბნება: ჩვენ სამთათვის ქვეყანა ვიწროა.

ნეტავი ორივე ცოცხალი დარჩეს. ნეტავი შექმდეს, რომ მართლ მე მოკვდეთ! წუხელის თავი მტკიოდა და სიცხეცა მქონდა... მე ვსტიროდი და ღმერთს ვსთხოვდი, რომ მასწინვე მომკვდავნიყავ. მასუკან თითონვე შექმინდი და თავს ვერ ვიმეტებდი... არ მინდოდა სიკვდილი და ამასთანავე ვიცოდი, რომ ჩემს შემდეგ ეს აღარ იცოცხლებდა.

დილით უქეიფობამ გადამიარა, და კარგად შევიქენ... მაგრამ უფრო ვი მეშინოდა.

აი, ჩემო ანეტავ, რა ქალი დავდეგი... სადამდის მივალა წიქ! ეჭ, ნეტავი არ გამოგეშვა შენი ძმა, მანდევე გეპოვნა ამისთვის საცოლო და შეეყვარა! — რად შემიყვარა მე? — მასწინ ყველა ეს გაიკვლიდა: რამდენი ჩემზედ უფრო ღამისი ქალია... ეს ათჯერაც მიითქვამს ამისთვის... მე მხოლოდ სიკვრებით მეძახიან ღამისსა.

მე ტანად არა ვარ, ზატარა ბიჭსა ვუკვარ. ნეტავი გარეგნა რა გამხდანი ხელები მაქვს, ან რა გალეული ვარ! თვალებიც ლურჯი როდი მაქვს, როგორც შენს საშას.

ეს მაკვირვებს, როგორ არა სწეინდება ჩემთან კდომს! რა ნახა ჩემში? მე მცოდნე არა ვარ, არასფერზედ ღამისაკვი არ შემიძლიან. მართლ კოსტანტინესა ჭქონდა მოთმინება მედამ ჩემის ჩიხინისა.

ოჭ, რა საშინელს ყოფაში ვარ, ჩემო საყვარელო! რა ეგრე დიდი ხანია, რაც მე ყოველ დღე ჩემსა ქმრისა ცოდინში ვიყავ, წინ მიკვებებოდი ხოლმე და ჩამოკვიდებოდი ვი-

სერსედ, გაგართობდი ჩემის ღაზარაგით. ესლა კი მეშინიან, იმისედ ძვირი ვიფიქრო რამე, რჩის სიტყვის მიწერასაც ვერ დიდები, ამიტომ რომ უყუდილების თქმა არ ვიცი. ბინდისას მეშინიან იმის პორტრეტის ასლთ გავლა, ამიტომ რომ იმას გულადატე, ვკონიდი უცხო ჩაცს, ვეუბნებოდი, შენს ძმას, რომ ეს მიყვარს.

რად ვარ ესლა? მოღალატე და საზიზღარი დედა-კაცი.

ჩემი ქმარი კი ყოველისფერში მართალია. შენს წერილში ის კელურ მხეცად ამიწერე; მთელი დამეკები არ მეძინა, დუელის საშინელი ისტორია ცხადად თქალ-წინ წარმოდგენილი მქონდა. მაგრამ მანაც შენ მართალი არა ხარ, ანეტავ! მე შენზედ სულელი ვარ, ქვეყანას შენზედ ნაკლებ ვიცნობ, მაგრამ ეს კი მესმის, რომ კოსტანტინეს ქცევაში მარტო სიბოროტე არა სჩანს.

განა საწყალი აქტრისა, რომელსაც გალიცკი და იმის ამხანაგები გადაეკიდენ, ქალი არ იყო? განა იმას ჭქონდა რამე სხვა დიდება გარდა თეატრის საზოგადოების სიყვარულისა. ეს იყო იმისი იმედი და ნუგეში, — იქნება იმისი საჩნოც!

ჩემი ქმარი მრისხანე და საზარელი კაცია... ღმერთო ჩემო, იმას ადამიანის სისხლი აცხია! მაგრამ უწყალო კი არ არის. მანაც საშინელი ბოლო ექნება ყოველს ამას... ღმერთო დაგვიფარე! სჯობს ისევე აღწას ვიფიქროთ-რა...

შენ რომ შენს ძმას აქედ ისტუმრებდი, მთხოვდი — დაკამპვიდო ღ შევიბრალო. ჩემო სულო, შენ არ იფიქრე, რომ მე თითონ ქვის გული როდი მაქვს, მე თითონ ყურის გდება მინდა! ეს რომ უწინდებლებურად მოსულიყო ჩემთან, ყოფილიყო მხიარული, ბავშვსავით უზრუნველი, — მოგუსხებებდი რასმე და მეც გადავრჩებოდი. მაგრამ, რადესაც ვნახე ამისი მწუსარე

თვალები, გადაფითრებული და დატანჯული სახე — ღმერთო ჩემო, რა დამემართა მამინ მუ!

ეს ასეთი ლამაზია, ერთი ხანს უფრო მშვენიერია ადრინდელზედ! რა რიგად უხდება მარტოაქოს მზგავსი ფერის სიმკრთალო! გული ჩაკრდნია, მაგრამ უფრო გამშვენიერებულა, უფრო გაცანადებულა. ამის თვალები მერე... ღმერთო ჩემო, მომიტყევე... ნუ თუ მე ვამბობ ამას?...

გუშინ პარადში მიმაგაღმა გაიარა ჩემის ფანჯრის წინ, თეთრის ბუმბულიანის გასკით; შავს ცხენზედ იჯდა, რომელიც შიგთავდა და ხტოდა. რა ლამაზად ირხეოდა ამისი წვრილი ტანი ყოველს ცხენის მოძრაობაზედ. როგორ ემოწონილებოდა ცხენი! ამის ადგილი არის ჯარის წინ, მტრის პირდაპირ... და ეს კი ჩემთან დადინანობს და სტორის.

მე რომ მხოლოდ ამის დასამშვიდებლად გუალებსებდე, მხოლოდ იმიტომ ვკოცნიდე, რომ განწირულებაში არ ჩავაგდო, — ჩემის სინიდისის წინაშე მანც მართალი ვიქნებოდი. მაგრამ არა, ჩემო საყვარელო! მე ვგრძნობ რომ მოლაღატე ვარ, მე მიყვარს ეს ალერსი: სშირად თავი ბენთება, გული მიიგებს და მხოლოდ მამინ ვმშვიდდები, როდესაც ამის გულს მივეკრები ხელზე... საუკუნო სიწესვილი, საუკუნო სასჯელი კიდევ ცოტაა ჩემთვის!...

ვის მივმართო? ვისა ვკითხო რჩევას? ქმართან მიწერა არ შემიძლიან: მე მეშინიან იმისი! ან როგორ მივწერო, როდესაც ერთს სიტყვას შეიძლება მოჭევეს საშინელი ბრძოლა და სიკვდილი.

მე ვფიქრობდი, მეთხოვნა თითონ საშასტვის, ერთხელ კიდევ მეთქვა, რომ დაზახობს თავი... მაგრამ ამით სომ ცხადად ჩემს სისუსტეს დავაძვირებდი. ანც ეს დამიჯერებდა,

და თუნდაც დაეჯერა კიდევ — უფრო უარესია: სომ დაგულუ-
შავდი.

მე გაუტედი ყოველისფერში დედა-ჩემს, დაუხრატე და
ბეჭრიც ვიტყვი... სიტყვა კი ჩამოგართვია. რომ არავის უთ-
ხრას. დედა ჯერ გამოიფხვრდა ამ გვარ წინ-დაუხედავის ქცევი-
სათვის, შემდეგ ჩემი ცრემლები სასაცილოდ ეხვენა. წადი, ჩე-
მი ბარტყოო, — მეუბნებოდა იგი — ამ გვარი ცოდვა მისატე-
ვებელია. ეგ უგელა დაიწივებს მიეტემა. ოღონდ გასსოვდეს...
აღარ ინახულო გალიტვი, და თუ ნახო, ნუ მისცემ ნებას,
რომ მეტად წათამამდეს. ჯერ კიდევ არა გიჭიჩის-რას... მხო-
ლოდ სასტიკის ყურადღებით მოიქეც.

თითქმის შემეძლოს თავის შემადგრება, როდესაც ეს ჩემს
ფეხით სტირის და მუსლებს მიგოცნის.

ღმერთო, რა მეშველება! ნუ თუ შენ არ შეიბრალე საწ-
ყალს პოლინკას და წყალობას არას მისცემ?!
II. — კოსტანტინე აღუქსანდრეს მის საქსისაგან პოლინკასთან.

აი, შე ქარბანო, აი შე ზანძაცო, შე სამაგელო ჩიტო!
ეს არის შენი მიწერ-მოწერა შენს ბებერს ქმართან, განა?
თითქმის ორი თვეა და ერთის წერილის მეტი არ მომსვლია!
მოინა, მანდ მოვიდე, მაშინ გადაგიხდი.

წერაში შეტდომებისა გეშინიან განა? ძრანტუზულად მომ-
წერდი. ეგ სულ ოჯახობასედ ზრუნვის ბრალია. არა? ვიცი,
ვიცი! შენი ოჯახობა: დილით ჭზინხარ სკლის კუნჭულზედ,
ძაღლებს ათვლიერებ და ჭფიქრობ: კოსტია ცრუა! ეს არის
იმისი საძი კვირა!

შემდეგ ოჯახის მოვლისა, იწყობა საქმიანობა: დადისარ ქალაქში, დაღაგ ცხენებს. «გასწი-და, ანტონავ, ჩქარა, ჩქარა... დედიდა ყულისთან, დედასთან...» იქ მზად დაგზავდება სრული სიბრძნე, დაუშრეტელი წყარო ცსოვრებისა... სადღა გამოჩნდება ან გეტინგენი, ან ბერლინი!

საღამოს კი, ჩემო საყვარელო, შეიყრებიან მეგობრები... მოდიან ამხანაგები, სულ «ანგელოზები», სულ დაუვიწყარნი: ყულიეტა, პაშეტა, ანეტა... მართლა, ანეტა ხომ პეტერბურგში იყო არის? ყველაზედ გვიან გამოცხადდებიან ნადინა და ალექსანდრინა.

აი აქ იწყობა ღაზარაკი, სავსე პრაქტიკულის ჭილღოსო-ჭიით, რომელსაც არ გამოეპარება ადამიანის გულისა და ცსოვრების ცოდნა. ოჰ, ღმერთო, ყურები გამეჭვდა, აქაც კი თავ-სარი დამეცა.

„გაცობრიობისთვის ვშიშობ მე!“

გახსოვს როგორ დაიყვირებდა სოღმე ამ სიტყვებს კარტიგინი ალექსანდრის თეატრში.

მაგრამ იზარმაცე, იზარმაცე. მე მომწონს, როდესაც უხალისოდ იწყება ვინმე წერილებს: წმინდის გულით ღაზარაკის სურვილი იშვიათად შეგვავდება სოღმე, და უამისოდ რა საღაზარაკოა ყოველი ჭორი?

ზაზოლსკი მწერს შენს მშვიდობის ამბავს და ჩემთვის ესეც კმარა. მართლა ზაზოლსკიზედ მომაგონდა: მწერს რომ შენთან ხშირად დაიარება თავადი გალიცვი და როგორცა სჩანს ალარა ხუმრობს—გეარშიყება. ეს ამბავი მე არ მიკვირს, რადგან ორისთვის წინად ებეკე მაცნობა ზაღეშინმა.

უნდა გაგიტყდე, პოლინკავ: მე მიამებო რომ სსკებს მოსწონსარ და რამდენიმე კაცი შენის გულისთვის იტანჯება. ეს

ცუდია, მაგრამ ჩემი სისუსტეა, ჩემი ამხარტავნება და რა ვქნა. ზოგი მაშინა ნახე, როდესაც ერთად ვიცხოვრებთ და ვისწავლით, როგორ უნდა მოიქცეს კაცი ქვეყანაში! მაგრამ გალიციე კი, გეთაყვა, იშვიათად ინახულე სოლმე. ნურც ესუბრები, ნურც გაათასსირებ, ნურც აწვალებ. მაგრამ შენ ბოროტი გეკლუცი არა სარ და საბიჭრებელი არა არის-რა. მე მომიწონს ეგ უმაწვილი-კაცი, თუმიცა ცოტა ამხარტავანი და ქარინია. ესლანდელს დროში მეტად გამრავლდა ჩუმი ქვეშ-ქვეშა ხალხი, რომლისაგანაც ვერას გამორჩები ვერც ცოცხლისა და ვერც სასოკადობისთვის.

სხვას აღარას გეტყვი. რომ ვთხოვო, ნუ დაივიწყებ შენს ბებერს ქმარსა-მეთქი—ამ თხოვნით შეურაცხებას მოკაყენებ. ცოტ-ცოტათი ადეგნე თვალი გალიციის: თუ რომ მეტი მოუვიდეს, მაცნობე და ჩვენ საქმეს ისე მოკასენებთ, რომ არ გაწეინოთ.

დიდი ხანი მომიგვიანდა აქა ამ წუეულის პისარენკოს წყალობით. ეს კაცი ან გიყვია, ან ნიჭიერი ავასაკი. ბევრი მინახავს მე ჭინჭარის თელისა, მაგრამ ამისთანა გაიმკერა არსად შემსგედრია. ეს ისე ტრიალებს, როგორც უშმაკი ცისკრის წინად; ვისრულობს იმისთანა საქმეებს, რაც თავის დღეში არ მომხდარა; განგებ იგონებს სხვა-და-სხვას ამბებს, რომელთაც გარჩევს ეჭირვებათ. გარჩევის შემდეგ ყოველივე უთავ ბოლო გამოდის და ისევე ესა რჩება შერცხვენილი. საქმეს კი აღარ ეშველა-რა, ბოლო აღარ მოელო და მეც ჩემს ჭკუას ძალას ვატან, რომ მოუხზო ამ ბოროტ ქმნილებას თავის განსწრავის ასრულება.

ჩვენი საქმე სწორედ ბრძოლასა ჭვავს! თან შენი სიყვარულიც მიცხოველდება და შენის ძალე ნახვის სურვილი მძ-

ლევს მე ღონესაც და ეშმაკობასაც, რომელიც საჭიროა ამ დაქსაქსულ საქმეში.

აი ამ გვარად კეთდება ყოველი საქმე ქვეყანაზედ, ჩემო პოლიავ. ზოგიერთნი ბევრს იცინებდენ ამისთანა ბრძოლასზედ, მაგრამ მე მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ თუ საქმის ცხოვრების მტოდნე გაცი გულ მოდგინედ მოეკიდება, გასაკიცხავს აჩას ჩაიდეს. ვინ მოგვცა ჩვენ ძალა, რომ ცხოვრებას მოვთხოვოთ ძალადი და შეუსრულებელი სიყვარული და მოქმედება? სჯობს გეცადოთ რომ ვიშრომით ყველას სასარგებლოდ, დავცინოთ იმას, რაც დასაცინია და გამყოფილი ვიყოთ, რასაც ცხოვრება გვაძლევს.

რაც უფრო დიდ ხანსა ვრჩები აქა, იმდენი უძეტესად ვხანობ, რომ თან არ წამოგიყვანე. შენ შეგიყვარდებოდა დამშვიდებული ცხოვრება პატარა ქალაქისა, ტყე, რომელშიაც საღამოობით მზე გამოსჭვრეტს და შორეული ტბა თავის ცალიერ ნაპირებით.

შენ გიყვარს გაკილვა: ჩვენ ერთად მასხარად ავიგდებდით აქაურ გამოწკაპილს შეკრებილებებს, უცნაურს მოდებს. როცა ჩვენ მოგხვდებოდით აქაურ მოსაწყენ მებატონეებ შორის, შევიბრალებდით ჩვენს მეგობრებსა, რომელნიც შეტერბურდიდამ არ გამოდიან და თითქო ვი იციან რა ამბავია ქვეყანაზედ: ამიტომ ზოგან თამაშობენ და შეექცევიან, ზოგან შიმშილობენ და იყდიტებიან.

შემდეგ ჩვენ დაუკანალოდებოდით ამ უბრალო საღისს და ამათ დამწვარ სასუსედ შევნიშნავდით გავილ უბედურების ანუ ესლანდელის გულის-თქმის კვალსა; ვნასავდით ამათში ზოგიერთ შესანიშნავს პირს, გამოცდილს და დაბრძნილს. ყოველი ამათგანი იქნებოდა ჩვენთვის შესანიშნავი, თუ არ ეს-

ლანდელის ყოფით, — წარსულით მანინც... მართლაც-და რომელი ადამიანი არა ყოფილა ეროსელაჲ არის მეტად შესანიშნავი?

გვეყოფა მე და შენ სატახტო ქალაქში ცხოვრება. აქედამ რომ დაგებრუნდები, დიდის სნით დაკეთხრებები, ან გამოვალ სამსახურიდამ და მისინ ვიწახწალოთ მე და შენ დედა-მიწის ზურგზედ, თორემ მეფეიქება, დიდ ხანს ხომ არ ჩაუკვეთ ერთს ადგილას. პირველად, თუ გსურს, მოვიაროთ რუსეთი, გავშინჯოთ მისი დიდი და პატარა ქალაქები, მისი განიერი მდინარენი, მოვიაროთ ქვიშიანი ქვეყნები, სადაც ჭრიან და ირყევიან მაღალი ფიჭვის ხეები; დავხედოთ კავკასიასაც: იმის ამბებმა თავი მოგვაბეზრა, მაგრამ ნახვა კი დიდად სანახარია.

ოდესიდამ წავიდეთ სამხრეთ-საფრანგეთისკენ და დავიწყოთ ჩვენი მოგზაურობა იმ მხრიდამ, სადაც მოგზაურები ჩადუბავენ ხოლმე უკანასკნელს გროშს და კელარსად მიდიან. მაღიან ბეკრსაც სუ ვივლით: იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია და სამხრეთ-გერმანიაც გვეყოფა. ბოლოს დავსასწდეთ ჩვენს მამულში და მისინ — ამდენის მოგზაურობისა და ნახულზედ ლაპარაკის შემდეგ, აღარა მკითხავ მანინც: «სოფელში რა უნდა გავაკეთოთ?»

ეს რა ამბავია? ჭკერში კოშკებს ვაშენებ და გიამბობ რჩის წლის შემდეგ რა იქნება. ეს შენი ბრალია, პოლინა: შენ გამიანლე მე სიყმაწვილე, თორემ კინაღამ ჩავბერდი. ცოტა მომიცადე და გადავიხდი სამაგიეროს.

ახლა დროა მგონი დაწვრილებით მოგწერო ჩემას საქმეების გარემოება, და ჩემდა სასიხარულოდ, დღეს შემიძლიან ერთი კაი ამბავი გიამბო:

როგორც იცე, ჩემთან ერთად არის ჩანოვნიკი, რომე-

ლიც ერთის შესუდვით რაღაცა ფრინველსა ჭკავს. შენ კიდევ დასტინოდი ამას—დავინახე, შე ეშმაკო, დავინახე—როდესაც ჩემთან ერთად კალასკაში ჯდებოდა. დასტინოდი მსოფლო იმიტომ რომ ეს ცოტა კოჭლობს და წვრილის სმით ლაპა-რაკობს.

ეს კაცი შრომის მოყვარეა, თუბრა გუფათ კი დიდის ღირსებისა არის, გვარიც უცნაური აქვს—«ფიფი.» არ მესმის, საილამ წარმოადგა ეს გვარი, მაგრამ თითონ კი რუსია. მე ეს იცი რასთვის წამოვიყვანე: რა კი ამას შეუხედავ ხოლმე—თვალ-წინ შენ წარმომიდგები, თითქო სარკეში გხედავდე. არ ვიცი, ამიტომ რომ შენ დასტინოდი ფიფისა, როდესაც უკანას-გნელადა გნახე, თუ იმიტომ რომ ფრინველსა ჭკავს და მე ხომ შენ ჩიტს გკმახი? ერთის სიტყვით რაღაცა აზრების გადახ-ლაროვას.

მანც ფიფი მშვიდობიანი და მოსაქმე კაცია. ჯერ გარე-უკლიდა პისარენკოსა და ესვეწებოდა, მერე მე ძეუბნებოდა. სასტიკი კაცი ხარო. ამასუდ მე თავასიანად ვუპასუხე, რომ ამ საქმეში ნუ გაერევიტ მეოქი, მაგრამ ფიფი არ დაწინაწდა.

გუშინ გამომიცხდა, რომ პისარენკოს ცოლს სურს თქვენი ნახვაო, და ამასთანავე მიამბო ამ დედა-კაცის საცო-დავი ამბავი ისე, როგორც თითონ გაეგებოდა.

ეს დედა-კაციც შენსავით რომელღაც ბრწყინვალე პან-სიონში აღზდილა. ყოველთვის თურმე პირველი იყო სწავ-ლაში და ამისი ნიჭი უკლას აკვირვებდა, ასე რომ ერთს კე-თილს სურს ესურვას უფასოდ იტალიურის ენის სწავლება. დიდად სასარგებლო რამ არის ინგლისის პარუნიკის ქალისა-თვის იტალიური ენა.

ეს ყოფილა სულ-დიდი, ძლიერ მტკიცე ხასიათისა და

კარგის ჩამომავლობისა. ბუნებითვე სძაგდა თურმე ყოველივე სძაგლობა.

შეგიძლიან წარმოიდგინო საწყალის ქალის მდგომარეობა, როდესაც დაასრულა სწავლა და პანსიონის მშვენიერის ხალიდამ ქოხში გადმოვიდა. ჩვენს დროში ძნელია ქალისთვის ალაგის შოვნა და ამიტომ დარჩომილიყო შინა. ბევრი ემატრა თავი საცოდაუს ქალს, მაგრამ მშობლების სახლი ძალე ჯობოხეთად გადაქცევოდა.

ამის სახლობაში კი თურმე სულ პატრონის და სინდილისანი ადამიანები ყოფილან. მამა—ნამსახური, მამაცი სალდათი და მხალად ერთი ნაკლებულება სჭირებდა. გადაკვრა უყვარდა თურმე. დედაც კეთილი, მშვიდობიანი დედა-კაცი ყოფილა და ყოველს წამს სწუხდა და სტირლდა თურმე. სწიო და თავიანთ ნაკლებულებასედ.

პოლინკაც, პოლინკავ! შენ რა იცი რა საშინელებას დარბად, უწმინდურად ცხოვრება, როდესაც ადამიანს, შევიწროებისა, ნაკლებულებსა და მწარე მწუხარებისაგან სული უგუბდება. შენი მშობლები ზნეობით არა ბრწყინავენ, მაგრამ მდიდარნი მანაც არიან და ამისთვისაც გამართებს შენის ბედის მადლობა.

დაკუბრუნდეთ ისევ ამ საწყალის ქალის ამბავს. არ ვიცი, მისკდება თუ არა, პოლიაკ, რომ ოჯახობის სისამაგლეს საშინელი ზედ-მოქმედება აქვს ენერგიულს გულზედ, შეტადრე ქალისაზედ. მშვიდობიანი ქალი იწუხებდა და შეეპეოდა.—ჩვენს გმირ-ქალს კი ეწუხნა, ეწუხნა და გამწარებულიყო თავის ბედზედაც და თავის სახლობაზედაც. ეს უწმინდური ცხოვრება, საუკუნო გაჭირება მწარედ და აუტანელად სტანჯავდა თურმე ამის სულს.

თუმცა ძალიან უყვარდა თურმე ამ ქალს თავისი დედ-
მამა, მაგრამ უყვარდა სათითაოდ, უცხო ალაგას. როდესაც კი
მოხუცი მამა ბრუნდებოდა შინა სამარცხვინო ყოფაში, რო-
დესაც დედა სწიოდა, სტიროდა, აუტეხდა შოგოთს და აყვედ-
რებდა თავის ქმარს, — მაშინ აღარ უყვარდა; ამის გული აგ-
ლიჯებოდა, იტანჯებოდა და საბრალოს თავის-თავისაც კი
ეშინოდა; ამ წამებში არც კი ნახავდა თურმე თავის მშობ-
ლებს.

რას გასაკვირველია, რომ ეს კისერზედ შემოეხვია პირ-
ველსავე თავის მომსიბლველს, რომელმაც სიმდიდრით შეაგ-
დინა და დაჭვირდა ამ ჯოჯოხსეთიდან გამოყვანას. როგორც
ჩვეულებად სჭირთ დიდ-კაც არშეიყებს, — საყვარელმა მისცა ამ
ქალს კარგი მშითვეი და გადასცა ცოლად პისარენკოს, მაშინ
პატარა ჩინოზნიკს.

პისარენკო იმ დროს უფრო უარესი იყო თურმე, ვიდრე
ესლა არის: ეს ყოფილა საზინდარში მოქრთამე და ღლთი.
შენა გგონია, რომ საცოდავს ქალს, რომელზედაც ესლა გე-
ლაპარაკები, შესმაგდა იგი და ჭიჭირობდა მხოლოდ თავის
დანებებს?

სრულებითაც არა: ამისათვის დადგა დრო ცხოვრებასთან
შერიგებისა და — ჭეშმარიტი უნდა სთქვას კაცმა — ძწარე შერი-
გებისა. მან ივისრა პისარენკოსთვის ის საქმე. რაც ვერ ივის-
რა თვით მამისათვისაც: გადაახვია ქმარი სმასა, უკლიდა რო-
გორც ზნეობით ავად-მყოფს, ოჯახი თქვსუდ დააყენა, შვი-
ლებს ისე აცმევდა, როგორც ტივიებს და თითონვე წიდი-
და. მე მგონია, შვილების სიყვარულთ იყო მიზეზი ამ გვა-
რად სასიათის შეცვლისა.

არ მესმის, როგორ არ გადაახვია ქმარი სასულდწიფო.

ფულის მეტის-მეტს სიყვარულს. ქმარს ეშინიან ამისი, პატრი-
სა სტემს და ყოველს სურვილს უსრულებს. იქნება ყურს აწ-
უგდებდა თავის ქმრის საქმეებს, იქნება საზოგადოების და-
ნაშთენმა ბრმა მძულვარებამ—ამოუშლელმა კვალმა მწუხარედ
გატარებულის სიყმაწვილისამ,—არ მისცა ნება წინააღმდეგობა
გაეწია ქმრისთვის.

დღეს დილით ფიიქმა მოიყვანა ჩემთან გაყვითლებული,
მალალი დედა-კაცი, რომელსაც ორი თერთმეტ-თორმეტ წლის
გაყები თან მოჰყვანდა. ეს დედა-კაცი იყო პისარენკოს ცოლი.
მდაბლად დამიკრა თავი, შეჭკრთა, მაგრამ ყურადღებით ვი და-
მათვალაიერა. მე ვსთხოვე ფიიქს, რომ ყმაწვილები ბაღში გა-
ესერივნებინა, ქალს სული ვუთავაზე. ამას მოეწონა ჩემი სიფ-
თსილე, როცა შენიშნა, რომ არ მინდოდა ბავშვებს უსი-
მოგნო ლაპარაკი გაეგონათ; მოვიდა ჩემთან და ორისავე ხე-
ლებით სული ჩამომართო; თვალებში ცრემლი უჩნდა. ძლივს
დავაჯერე, რომ თავის ადგილს დამხვდარიყო და ეთქვა თავი-
სი სათხოვარი.

ეს ქმრისათვის არასა მთხოვდა: კარგად იცოდა იმის
დანაშაულები და ისიც, რა სასჯელიც მოელოდა. ერთი რამ
აწუხებდა მეტის-მეტად — ეს იყო თავის შვილების ბედი.
პატარაები თურმე საშინელს ყოფაში იყვნენ: ყოველ-დღე ხე-
დავდენ თავის მამას გაანჩსლებულს და მწუხარეს; და როდე-
საც საქმე გათავდება, რითი უნდა აღიზარდონ ესენი? ვინ
იცის რანი გამოვლენ?

მე გულ-მოდგინედ ყურს ვუგდებდი და ერთმა კარგმა
აზრმა გამიელვა თავში. მაგრამ, ღმერთმა იცის, ავასრულებდი
ამ აზრსა თუ არა, ჩემთვისაც სასარგებლო. რომ არ ყოფილი-

იუ. მომისმინე და გასინჯე რა გზით კეთდება კეთილი საქმე ქვეყანაზედ.

მე გავითვქრე, რომ თუ ამ დედა-კაცი საქმეს გავუჩინებ, — შეეძლება დააჯეროს თავის ქმარი, მალე გასტყოს და უბრალოდ აღარ დახლართოს საქმე.

— ოღუა ივანოვნა! — ვუთხარ მე ამას — ჩვენი მთავრობა შეილება მამის დანაშაულს და შეცდომილებას როდი ახდევინებს. მაინც მე მესმის თქვენი მწუხარება: თქვენს ქმარს ან დრო ან აქვს, ან არ იცის ვისა სთხოვოს თავის შვილების თაობაზედ და უარისა ეშინიან.

ხვალევი, ნუღარ დაყოფნებთ, გაგზავნეთ ორივე თქვენი ვაჟი პეტერბურგში და მეც ჩვენს მინისტრთან წერილს მოგვცემთ, რომლითაც მოუღეს ამ ამბავს აუუსსნი.

საბრალო დედა-კაცი ატირდა და უნდოდა ჩემთვის სელეები გადაეკლანა.

— როდესაც ეგენი სამსახურში შესვლას დააპირებენ, — განვაგრძე მე — მომაგონეთ. მე თითონაც შემიძლიან და ნაცნობებიც ისეთი ძევანან, რომ მაგათ გზას მივცემთ სადაც კი მოინდომებენ შესვლას: დანარჩენი შვილები კი სჯობს ჯერ შინა ჭზარდოთ იმდრომდე მაინც, ვიდრე თქვენი მდგომარეობა გამომიკვლავს.

ეს მალე მიხვდა ჩემს აზრსა და ჩემი თანაგრძნობა უფრო ძვირ-ფასად ეჩვენა, ვიდრე ჩემი კეთილი საქმე.

ახლა ჩემს საგუთარს საქმეს მივუჯე სელი.

— ოღუა ივანოვნა! — ვუთხარი მე — ჩემს მაგიერად ჩაგონეთ თქვენს ქმარს ჩემი მეგობრული რჩევა, რად ამნელებს საქმეს და უშლის გამომძიებას? გაძლეეთ შატოლსანს სიტყვანი, რომ ამით ვერას მოიგებს. სჯობს, ყველაფერი აღიარო დას

შეც სელები გამისხნას. მე თქვენ საიდუმლოდ გეტყვით: მე მსურს ძალე წავიდე პეტერბურღში; იქ დავაგდე მე ცოლი, რომელზედაც ყოველს უამს, ყოველს წამს ვოვიქრობ.

შემდეგ ჩვენ გავშორდით ერთმანერთს.

— აი, პოლინიკა, რომელი მრუდედ ვიქტევი: თავ-მოყვარეობის უამო სიკეთეს ჩავდივართ, მტერთან ლაშ.ჩაკას ვმარ-თავთ და სულ კი იმიტომ რომ ძალე გუყურობდე შენს ყუ-ყუნს თვალებს.

მშვიდობით, ჩემო ბავშვო, ჩემო პატარა თეთრო კარ-დო; თუ მოხდება რამე, მომწერე.

თ ა ვ ი VI

ერთის დღის შემდეგ ამ წერილის გაგზავნისა კოსტან-ტინე საქსი საჩქაროდ იცვამდა ტანისამოსს თავის საწოლს ოთახში. იმ დღეს დღის წითელი მზე ჯერ ცხარედ არ იკ-ბინებოდა და ჩვეულებრივ კი გვიან იცოდა საქსმა ადგომა. ფეცა-ფუცსედ ეტყობოდა, რომ რაღაც დიდი საქმე ჰქონდა.

დაბალს ოთახში, რომელიც საქსის ვაზინეთად იყო და-ნიშნული, ისდენ და ელოდენ ჩვენი ნაცნობი ფიფი და ერთიც უცხო პირი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ამ-ბისათვის.

ის იყო მოხუცი დაზავისლურის შესედულებისა ჭაღარა შეკრულის თმით; ცხვირსედ ლურჯი სათვალეები ჰქონდა ჩა-მოცმული. იმისი ტანი მთლად ერთიანად მოძრაობდა. ისე ვერ იჯდებოდა რომ ხანდისხან თავი არ გაეჭნია, სელები არ გაეძრია და ფეკები არ გაეფათურებინა. ეს უსიამოვნო

გრესა და მანჭვა არ შეშვენოდა იმის მოსუტს სუფთას და
ყინულსაკით მოღუტჯო სასეს. ამ უამად კი ეს გრესა გასაკ-
ვირველი არ იყო: მოსუტებული იყო მეტად აღელვებული,
ხანდისხან ოსრავდა და თან ჯიბეზედ ხელს ივლებდა.

— მუე გერე, პატრივტემულს სტეფან დიმიტრის, — ეუბნე-
ბოდა წვრილის სმით ფიფი, — გარგა სანა კი გავწვალეთ! რამ-
დენი ცხენი დავალეთ, რამდენი ქაღალდები დავწერეთ.

— მანც ერთი ბოლო ექნებოდა, — უპასუსა პისარენკომ
წენარად ბოსის ხმით — ან სიკეთეს სიბოროტით ვინ გადაიხ-
დის? თქვენ თითონ იცით, მოვიდა ჩემი ცოლი... ტირის,
ჭვითჭვითებს. წადი — მეუბნება... მეც გული გადმოძიბრუნდა.

— დმერთა მოწულა! — დაიწყო ისევე ფიფმა — ყოველის-
ფერს ეშველება. ბავშვებისა კი ნურა გეფიჭრებათ-რას: ენდეთ
კოსტანტინე აღექსანდრისსა: (აქ ამან სმა აიმაღლა) ეს კაცი კი
არა, ანგელაონა.

— ვიცი, ბატონო, ვიცი... გუშისდელს დღეს აქედ ვიცი
ეგა. რა ექნა რატომ არ მოდის?

— ჯერ ტანთ იცვამს. ძალიან კოსტან, ახალის ძრავით გა-
მოვა.

— ოღვა ივანოენამ მითხრა, — გულის ტვივილით ამბობდა
პისარენკო — რომ ამას ცოლი პეტერბურღში დაუგდია.

— დიად, ცოლი ჭევალი, ცქვიტი, როგორც სუთის წლის
ბავშვი, და ისეთი მშვენიერია, ისეთი, რომ... ერთის სიტყვით
ვარდი! — ეს სიტყვები ფიფმა უფრო წენარად წარმოსთქვა,
ვიდრე თავის აზრი საქსის; ანგელაონურს სასიათზედ.

— მეც აგრე მეგონა... სთქვა სტეფან დიმიტრისმა და სა-
ხეზედ მწუნარება გამოესატა. ამ დროს გაიღო კარი და შე-
მოვიდა საქსი.

— ჩემო კეთილის-მყოფელო, ჩემო მამავ! — შესძახა პისარენგომ და მივარდა ისეთის ღმობიერებით, რომ საქსს შეტაცვა. ღმერთმა გადაგიხადოს მაგიერი.

— ეგ კერძო საქმეა, — სდილობიანად უპასუხა საქსმა — ეგ ჩვენს უმთავრესს განზრახვას როდი უშლის. ამბობენ რომ ჩვენი საქმე ვაგითავებიათ.

— ყოველისაგანი ვათავებულა — უთხრა ფიფვა და მიართვა რამდენიმე ქაღალდი.

— ახლა კი მადლობა ღმერთს! — სთქვა საქსმა, როდესაც ვათავა ქაღალდების ჩსრეკა — ერთი ეს მითხარით სტეფან დიმიტრიჩი, მითხარით პირ-და-პირ, რად დაქსაქსეთ ამდენს სანს საქმე და თქვენს თავი თქვენვე რად აზარალებთ?

სტეფან დიმიტრიჩი მიუახლოვდა საქსსა. სათვალევებ-ქვეშ თითქო ცრემლი გამობრწყინდა.

— კოსტანტინ ალექსანდრიჩი! — წამოიძახა იმან — ჩემო გამბედნიერებელო! იყავით ყოველთვის ეგრე კეთილი, მე მოვინანიებ ყოველისაგანს თქვენს წინაშე; ღმერთმა ინებოს რომ ჯერ დრო არ იყოს დაუარკული.

პისარენგომ მიისუდა მეორე ოთახის კარებისაკენ. საქსი მისვდა რომ ეს ცალკე მოლაპარაკებასა სთხოვს და შეიყვანა თავის საწოლს ოთახში: ეს დიდად ეწეინა ცნობის მოყვარე ფიფვას. პისარენგო გაჭყვა საქსსა და ჯიბიდან რაღაცა ქაღალდი ამოიღო.

ეს იყო წერილი ალექსანდრე გალიცკისა, რომელიც ჩემის ამბის მეორესე თავშია ჩართული.

სტეფან დიმიტრიჩმა სრულიად შეინანა თავისი ნამსჯელობა. ცრემლებსაც კი იწმენდა; როდესაც გამოდინდა ოთახიდან.

საქსმა შეასრულა ზოგიერთი სამსახურის წესი, მოაწერა მახსენებას სელი და გავიდა საღამოზედ—ოვიდამ. სხვა გვარს უსიამოვნობას ის არა გრძნობდა.

საშინელი ელდა კი უმზადდებოდა. ქვეყანაზედ ასე მოხდება ხოლმე, რომ სიხარული ეწვევა ადამიანს ან უღრთოდ და უადგილოდ, ან ძალიან ნელა. სიხარულს ვერ მოვაქცევთ ვერც რომანში და ვერც მოთხრობაში, თუ ჩვენებურად არ გავაღმარებთ. ბოროტება კი ისე ერთ რიგად მოდის, ისე დინჯად, ისე თავის დროზედ, რომ თითონვე აღარ გვეშეება და ან უნდა დაიბეჭდოს, ან სტენაზედ წარმოდგეს.

იმავე დღეს, როდესაც საქსი შევიდა პეტერბურღში—ოვიდამ მოვიდა პეტერბურღის ფოსტა. ერთი წერილთაგანი იყო სტატისკის სოვეტნიკის მისარჩუნკოს სახელზედ.

სტეფან დიმიტრიჩმა შუა ქუჩაში გახსნა ის წერილი და ხელები აუკანკალდა. კონკერტში იღო სამი-ათას-ხუთასის თუმნის ბანკის ბილეთი 6 დასტეჟენული ქალაღდის ნასევი, რომელზედაც ჩქარის ხელით დაწერილი იყო: «კმარა.»

ათრთოლდა სტეფან დიმიტრიჩი, გაუანხნლდა გული და დააგდო მიწაზედ ბანკის ბილეთი. ბარათი ნაუფ-ნაუწად დაუხრწა.

შემდეგ შედგა, ცოტაოდენი მოიფიქრა, აიღო ბილეთი და ჩაიღო ჯიბეში.

— მე არ ვიქნები, სხვა იქნება.—წაიბუტბუტა იმან და მინისაკენ გაემართა.

თ ა ვ ი VII

ამ ამბავს მოსდევს სამი წერილი, მაგრამ ორის დაბეჭდა არ შეიძლება, მეტად დაწერილებით არის დაწერილი. სამს წერილს გარდა არის ერთი ბარათიც, რომელშიაც სწერია: «დიდად მეწეინა, თავადო ალექსანდრე ნიკოლოზის ძეგ, რომ გუშინდამ გნახეთ ჩემის კაბინეტის თანჯარასთან—იცოდეთ რომ ჩემს სადგურში ზოგიერთი ცვლილება მოვასდინე. მე საზოგადოდ თავ-გამოდებული ჩანდები არ მომწონან და ზმიტომ თქვენს წინაშე უნდა ვაღვიარო, რომ თქვენი ნახვა ჩემთვის სრულებით სასიამოვნო არ არის. ხვალ მე გადავდივარ საზაფხულს სადგურში, რომლის ძებნა თქვენთვის მომინდვია. ეძუბეთ ჩამდენი სანიც გნებავთ. თქვენთვისაც არ იქნება ურიტო, რომ შეტეზოურლიდამ გახვიდეთ, აქ თუ ცოტაც არის წამოგცდათ რამე, ორივესთვის ცუდი იქნება.»

თქვენ მიხვდებით, რომ ეს ჩემი უკანასკნელი ლიტევა არ არის. გიშეორებთ, — ერთის თვის შემდეგ ჩვენ გნახავთ ერთნერთმანერთს. იმ თვის ნახვას მიიღებთ ჩემს ბარათს, რომელშიაც იქნება ჩემი ადრესი და ნახვის დრო დანიშნული. იმ დრომდე ვი იყავით ჩუმიად, ჩუმიად. კ. საქსი.»

აი ერთი იმ სამ წერილთაგანი:

კ. ა. საქსისაგან პ. ა. ზალეშინთან.

გაიარა კიდევ ორმა წერილმა, ორმა საშინელმა კვირამ და მე ჯერაც არა გადამიწვევტია-რა. ჩემს თავში არა არის-რა

დალაგებულა. მევე ჩემი თავი თითქმის ჭკუილამ შეშლილი მკონია.

117

გმადლობ მალე ჰასუხის მოწერისათვის, თანაგრძნობისა და უფროდღებდათვის; სხვა სამადლობელი შენთან ვინა მაქვს-რა შენი რჩევა სრულებით არ ვარცა.

დამშეუფლავით გაგხსენ შენი წერილი. სული ისე მიღუ-ლაკს, რომ მეკონა, კეთილი რჩევა ამ საქმეს ბოლოს მოუ-ღებდა ან კარგად, ან ავად. ჩემდა საუბედუროდ მე მწარედ შეგცდი.

ჯერ კიდევ იმდენი შემიძლიან, რომ გავარჩიო შენი სა-ბუთები. შენ ამაძრთლებ ჩემს ცოლსა, გინდა რომ ჩემი რის-ხვა მარტო გალიცვის მიემართო. ჩემო მეგობარო, ჩემს ცოლს გამართლება არ ეჭირება; უფრო უკეთესს გატყვი: გალიცვიც მართალია.

მაგრამ ამით მე რა! განა ჩემს მდგომარეობაში სიმაძ-რთლებედ ლაშარაკი შესაძლებელია? განა ამ ლაშარაკს შეიძლება საქმე მოჭყვეს! უშენოდაც ვიცი, რომ ჰოლინაც მართალია, გალიცვიც მართალია და მეც მართალი ვიქნები, რომ თრევს სასტიკად გადავუხადო.

დაჭრილი სალდათი ცოფიანსავით მივარდება ხელმე მტრის რაზმსა. განა ეს იმასა ჭვიქრობს, რომ ვაი თუ სხვა მოჭკლას და არა ის, რომელმაც დასჭრა? განა ჭვიქრობს, რომ იმის დამჭრელიც ვი არ არის დამნაშავე?

მე გაშოფოთებულა ვარ, მინდა ჯავრი ამოვიყარო და რა ვიცი რა ბოლო მოსდევს ჩემს სასაღმწარკვეთილებას?

რას ვამბობ ერთი! მე მინდა ჯავრის ამოყრა! საქმეც ეს არის, რომ ამ ბოროტა განზრახვისთვისაც ვი არა მაქვს გამ-ბედაობა და თუნდაც რომ მქონდეს, მაინც არ ვიცი რა სა-

შუალებით ამოვიყარე ეს ჯაჭვი. რა ვუყო ამ ბავშვსა, რომელმაც თითონვე არ იცის, რას სჩადის! მე ხომ ურჯულ არა ვარ, რომ სანჯღით გარს ვუკლიდე «ავაზას» და «მოლალატე ცოლსა» მე არა მჭკვს ნიჭი ზოგიერთის დაბნისულ პირობას. რომელიც ყოველს წამს აწვალებს თავის უბედურ ცოლს, რამდენიმე წელიწადი სტანჯავს ერთის წუთის შეცდომილებასათვის, და ან ვინ იცის, შეცდომილება ვია?

შენ ძეუბნები, რომ მოვიხმო სრული ჩემი ჭკუა-გონება და ვნებათ—ღუღვას ვებრძოლო. შენ მიჩჩევ მოვიხმო შემწედ ძილსოფიას. ნაშთი ჩემის იდეალურის გრძნობისა და ჩემი საყვარელი თეორიები. შენ თითქო გავიწუდება რომ მე კაცი ვარ, კაცი შეუვარებული, — რომ ძილსოფიასზე და თეორიებზედ ლაშაჩაკი ადვილია სალიტერატურო სადამოებზედ, ადვილია რომანში და არა ცხოვრებაში. მოვიხმო ჭკუა-გონება! მერე ვის წინააღმდეგ? სიყვარულის წინააღმდეგ ხომ არა? კარგი იქნებოდა რომ საქმე ეგრე ადვილად მიდიოდეს და გონებაც მარტო სიყვარულს ებრძოდეს. ჩემში კი გონება გონებას ებრძვის, სიყვარული—სიყვარულს. მე გავიწუე ორ გონებად და ჩემი სიყვარულიც ორად გაიყო და ეს საშინელი ურთი-ერთ შორის ბრძოლა არ გათავებულა და არც ვიცი, რითი გათავდება.

იქნება მე სამარცხვინო საქმე რაშ გავბედაო, თუმცა ბოლოტებისა დიდი წინააღმდეგი ვარ. იქნება ჩემი სიყვარული უსიკრხო ტრაგედიით დავაბოლოვო, მაგრამ მე ვიცი, როდესაც საც ყველას შევეზიზღები, მარტო შენ ერთი არ გამამტყუნებ; მე გადაგიშალე შენ ჩემი გული.

მე ხვალისაც არ ვიცი, რა მომეღვას, იქნება სულ-დიდ გმირადაც გამოვიდე. სულელები მე გრძობ მონტე-კრისტოსა და-

მიძსებენ, გულ-მხურვალე ჭაბუკნი ახალ უკად მიწაებენ. მხო-
ლოდ შენ იცოდე, რომ ჩემს მოქმედებაში არ იქნება არც ბო-
როტის სურვილი, არც სულ-დილობა.

მე სუსტი ვარ ბედის წინაშე: დეე, გარემოებამ გადას-
წვეიტოს ჩემი და იმ:თი ბედის-წერა. მე ხელი დამიბანია:
არა მძკეს ძალა მოქმედებისათვის.

შენ ათავებ შენს წერილს შხამიანის გამოლასქვებით
ქორწინებაზედ. მიკებ თავისუფალ მარტო-სელობას, მეუბნები,
რომ დედა-კაცის უფლება შეურყეველია, დედა-კაცის სიუვა-
რულს წესს ვერავინ დაუღებს...

ჩინებულნი, საფუძვლიანი სიტყვებია, თუმცა კი მეტად
დაძველებული. მე რე კიდევ «უფლება», კიდევ ღრმა ლაპარაკი,
კიდევ ცივი ჭეშმარიტება!

რასი მეჭირვება მე დედა-კაცების უფლება! რად მიზნა
სიუვარულის თეორიების სწავლა, იმის განზრების გახსრეკა ებ
მარტო ცალიერი სიტყვებია!

ეხლა ჩემთვის აღარც საზოგადოება თავის ცრუ-მოწ-
წმუნეობით, აღარც დედა-კაცებია თავიანთ უცნობ უფლებებით.
საზოგადოებამ თუნდ შეურაცხ-მყოს, თუნდ მძკეს, დედა-კაც-
ბი თუნდა ერთიანად გაწყვნენ დედა-მიწაზედ, თუნდა შეებრ-
მონ კაცებს, — ჩემი მდგომარეობა ერთ ბეწვადაც არ შეიც-
ვლება.

მე მაინც ისევ ძალა უნდა დავატანო ჩემს თავს, უნდა
ვიტანჯო, გიწვალო, მთელ ღამეობით ვიტირო, მე ვიტირო,
მე, ჩემის მოტყუებულის თავით...

ამიტომ რომ ჩვენ მხოლოდ სამნი ვართ მთელს ქვეყ-
ნაზედ: მე, პოლინკა და გალიცკი. ნეტავი შექმდეს საზო-
გადოების აზრის დაფასება, ნეტავი თავი გამოვიდო ჩემის

«შერცხვენილის სასეფის» გულისათვის, იქნება ამ ცრუ-მოძღვრებებს მანც მოეცა ძალა მოქმედებისა.

გმანა შენის წერილის გარეკა. მე ვგზნობ, როგორც ჰქვია ერთის წამის გულ-გრილობა: ადულებული სისხლი მომადგა მე გულსა, ძალა მოაწვა, ყელში მომეჭინა, თითები გამეუნა... მწუსარება მღრღნის.

სირცხვილია, სირცხვილი სასა-წარკვეთილება! მე კიდევ ღონე მოვიკრიბე.

ეს არის ესა და ვბრუნდი პოლინკას ოთახიდან. ჩემის ნებით ამან თავი მოიკადმეოფა. არც ერთმა ჩვენმა წაცნობმა არ იცის ჩემი პეტერბურღში მოსვლა და არც ის იცის, სადა ვარ მე ესა. სხვათეროვ მოქცევა არ შეიძლება. როგორც უნდა დაბოლოვდეს ჩემი ამბავი, მანც საჭიროა დიდი საიდუმლოება და ეს არც მნელია.

მხოლოდ ესა და ვბრუნდი ჩვენს წარსულზე და შიკსადი, რა უფსკრული სძევს ჩემსა და პოლინკას ბუნებას შორის; ბუნებებში მე ჩემს თავს ვატყუებდი, და ესა კი, შიკვალმავე უბედურებამ თავლები ამისილა. რომ დააკვირდე ჩემის ცოლის ესაზნდეფს მდგომარეობას, მაშინვე მიხვდები რომ ჩვენ შორის უფსკრული გათავებულია და არადეს ერთი-ერთმანერთთან ვერ მოვალთ.

ამის მწუსარება გულის გამგძირია, მაგრამ გონივრულ მწუსარებასთან შორს არის! მთელი დღე სტირის და თუ დაველაზარაკები, ისე მიზასუხებს, როგორც სამართალს ქვეშ მყოფნი უზასუხებენ დიდს ინკვიზიტორს. ხანდისხან ლოცვის სურვილი მოსდის: ლოცულობს დიდ ხანს... ეს დარწმუნებულა, — ამისი შეცოდება ისეთი საშინელია, რომ ჯოჯოხეთშიაც კი არ იპოება ამისთვის ადგილი!

ეს ყოველივე იფიქრე და შემიბრალე, აღარ არის იმედი შერიგებისა, არ არის იმედი წარსულის დავიწყებისა... სიყვარული გაჭედა ჩემთვის, მოწინა წარმოდგენა და აღარ განახლდება.

ერთი საგანი მტანჯავს მე: რას ნიშნავს ამისი და გულიცვის სიყვარული? ეს მართლაც ნამდვილი ლტოლვილუბანაა, რის მღელვარე ასახ-გახდა ბუნებისა ერთი-ერთმანერთისადმი; ჭეშმარიტი, ხანგრძლივი სიყვარულია, თუ არა?

თუ ეს მოუფიქრებელი გატაცებაა, რომელსაც "ცუდი ბოლო" ჰქონდა, როგორც რომანების მწერლები ამბობენ. რა, ეს რომ ასე იყოს, შევიძლებდი წარსულის დაბრუნებას, პირში ბურთს ჩავჩრიდი გალიცკის! ჩემის სიყვარულისთანავე სიყვარული ერთბაშად რადი მოისპობა.

ამ აზრით შევედი მე წუხელის პოლინკას ოთახში, ეს იქნა და სტიროდა. მე დაუწყე ლაპარაკი მტკიცედ, მაგრამ აღერსიანად.

— ჩემო ბავშვო! — უთხარი მე ეჭვებს ყბრალოს რა შედეგს წაწახდებოდე? დავივიწყეთ ცოტას ხნით წარსული; წარმოდგინე, რომ მე შენი მკურნალი ვარ და შენ მართლაც ავად ხარ.

ეს მე შეშინებული მიცქეროდა, დაწმუნებული ვიყავ, რომ ამის არეულმა გონებამ წარმოდგინა ამბავი იმ ქმრისა, რომელმაც ავად-მყოფობა მოიმიზეზა და გაყების სახელში ჩაჭკეტა მოდალატე ცოლი.

მე განვაგრძე ლაპარაკი და ვცდილობდი მშვიდობიანად ვყოფილიყავ:

— ჩვენი ლაპარაკი ცოტა სამძიმო იქნება, რა გაეწყობა, ჩემო მეგობარო? უნდა თვალ-წინ დაუტკბეთ უბედურებას, არ

დაკუმწოთ, არ უიტრისოთ... წყარედ და გახედვიო ბითხარე,
გიუკარს თუ არა გალიცვი?

ამის ტირილთ დაიწყო, მთსკვდა, შემიწყაღე და ნულარ
მელაპარაკებო, ნუტავი მოკვდეს, რომ შენის სხელისგან ებ
საშინელი ლაქა ამოვრეცხო.

მე კბილი-კბილს მოკუჭირე და დამეტყო რომ მოთმს-
ნებიდამ გამოვდიოდი. მანც მივხვდა, რომ ჩემს უკანასკნელი
კითხვა მეტად სამძიმო იყო. ნელ-ნელა დაუწყო ლაპარაკი გა-
ლიცვის გაცნობაზედ, კითხვადან იმისა უფთა-ქცევას, როგორ
შეიყვარა იგი, უცებ მოლინვამ დახრქვა ჩემს წინ და ხელემ-
ზედ მომეჭიდა.

— ის დამნაშავე არ არის! ეგ მე დაგღუბეთ არიყვე, მარ-
ტო მე ვარ უფლებსიერის მიზესი, ამ ვერ უმაწილხა, ასე
ბავშვიც, შენ იმას აპატიებ... დეე მარტო მე დავიღუბო...

აი ჩემმა სიფთხილემ სადამდის მიმიყვანა! აი როგორ
გაიგო ამან ჩისთვისაც გამრკვითხე!... გესმის, ამან დაღუპა
გალიცვი! ლჭ, ქალებო, ქალებო! ლჭ, შეიბოჯაზო თავ-განწი-
რულებო!

სიჭინხლემ სუნთქვას შემიჩქრა, გულად ძლიერ მიტემა.
შეუგნებელი, უმიზერო მტრობ მომიდგა ყელში. მე მსურდა
დამეგლიჯა ეს საამო არსება, რომელიც სტიროდა ჩემს წინა-
შე, რომლის დანაშაული მხოლოდ ეს იყო, რომ მე ვერ მიტ-
ნო... მთელს ჩემს სიცოცხლეს შევწირავდი, ოღონდ ერთის
საათით მანც ეს ბავშვი დედა-კაცად გარდამქცია, ჩამენერვა
ამის გულში ჩემი სიყვარული და მე კი, სიყვარულის მაგიერ,
ბოლოტებით ვმყოფებოდა არ შემეწყენებოდა ამისი ხვეწნა, მთე-
ლი საუნჯე ხელად გამოდგომულის სულისა!

არასოდეს ასე დაბლა არ დავცემულვარ, როგორცათაც ამ

წუთში, მაგრამ შევიძარგე თავი და გამოვედი იმის ოთახი-
დამ.

გნადე, მომეწვია გალიცვი ჩემთან და გაძოძუკითხა, შირ-
ველსავე სიტყვებზედ ეს მოჭევა რაღაც წარმართა ლაშქარს...
მე თითქმის გავაგდე; ეს მთელი დამეკები იდგა ხელმე პო-
ლინკას თანჯრებთან, ასე რომ უსიამოვნო ამბის მოსაწოდებ-
ლად, გადმოვედი სასაფრეო სადგომში.

ესლა ხომ გესმის ჩემი მდგომარეობა, ჩემი კეთილყო-
ლადაც. თითქო ჩემი მწუხარება არ მყუდროდეს, — ყოველივე
ჩემი ცდა და მოქმედება იშლება და ირღვევა. ჩემი არაკის რა
ესმის; მე ვგეგმავ გაცსა, რომელიც უცხო ქვეყანაშია მოსული
და დიდად მძიმე საქმისათვის ამოდ იტანჯება და ზრუნავს:
არაკინ ყურს არ უგდებს, ყველას ეშინიან იმისი, როგორც
მტრისა და თუ ვინმე ხმას გასცემს, ისიც მისთვის გაუგებარს
ენაზედ.

დროა დაკასრული ჩემი წერილი. მე გამოვსთქვი ჩემი
მდგომარეობა და ერთს სიტყვასაც ვეღარ მოვუმატებ. მაინც
და მაინც რაც უნდა გადავსწავიტო, შეგატყობინებ.

დრო კია, რომ როგორმე დავაბრუნო ეს სჯქმე...

თავი VIII

I. — პოლინკა საქისიანთან ანუცა კრასინკის ცოლითან,

რა უნდა მოგწერო, ჩემო მეგობარო? ჯერ ვცოც-
ხლობ და კარგადაც ვარ, — სხეულით მაინც, ჩემს ნათესავებს
და ნაცნობებს კი ჭკობნიათ, ავად ვიყი. მთელი დღე ვზივარ

მარტო, გარს ხალისებ-შემოწეობილი; ასევე ბრძანება ამისი — საქსისა.

გმადლობ, ჩემო ანგელოზო, რომ არ შემოძულე, ჩემს უბედურს წერილზედ მიპასუხე*) და კიდევ მოწერის ნებაც მომეცე. უამისოდ უდიდესს განწირულებასი ჩავკარდებოდი: ყველა გადამიდგა; ის მაწევს საშინელს დაკრად, რომ არ ვიცი, ბოლოს რა იქნება.

რა მომივა მე, როდესაც თავს დაგაკატულება ჩისხვა შეურაცხ-ყოფილის ქმრისა? რა მოუა იმას? დემეტრო, მხოლოდ ის დაითვარე!

ის ცრუცხალია. მე მომივიდა იმისი წერილი ჩემის მამას ხელით. იმასაც საშინელი ლოდინი სტანჯავს. ის ჩემს გამომ შიშობს... საქსმა იმასაც იგივე უთხრა, რაც მე: «სწორედ ერთის თვის შემდეგ ჩვენ ყველანი ერთი-ერთმანერთს ვნახავთ და გადავწვევით ამ საქმესა.»

უცნაური სიტყვებია! რაღაც საშინელი აზრის მათში. რას ნიშნავდა იმის უცნაური შეუბრალებელი ცივი შემოხვევა? რას ნიშნავს ეს ცხოვრება, რომელსაც ესლავ მიჭყობ ხელი, ეს გამუდმებული ზრუნვა და სამზადისი?

შენი ძმა იწერება, რომ ყოველ-დღე ვეძებდი საქსს ქალაქშიო, მინდოდა ამის აზრი შეტეტულ და მეთხოვნა ეს საქმე მალე დაბოლოვოსო; მინდოდა გამომეცხადა, რომ მზაკარ ის დაგაკამყოფილო და შენც ტანჯვა შეგიმსუბუქო.

ამაო შრომა! არაგინ არ იცის, მთელს ქალაქში სადა არის საქსი, ან რაც მოხდა იმის სახლში.

მადლობა დემეტროს, ჯერ ჩემზედ არაგინ რა იცის, არაგინა მწუკვლის, ცუდად არაგინ მისხენიებს.

*) ნახე მეშვიდე თავი.

ჩვენი ვარკობა მცნობები ექვლანი დარწმუნებულნი არიან, რომ ავად ვარ და ჩვენ საზაფხულს სასლში ვცხოვრობთ.

მართლაც საზაფხულს სასლში ვართ, მაგრამ ამასაც საზაფხულს სასლი დაერქმის! ხევის ნაშინას, განმორებულს, დაბურულს ტუქში სდგას ეს სასლი, ძველი, ვრცელი, უაღამიანო. ამ სასლში მართლაც მე ვარ ჩემის მოახლით და საქსი ბებერის ლალით. ეს განთიადისას მიდის და დამე გვიანა ბრუნდება. ამის ცხენები მიმივდა სუნთქვუნ ჩემს ფანჯრებთან, ნაბაჭი ამისი დერეფანში ხმის. ჩემთან შემოვა ხოლმე მხოლოდ მაშინ, როდესაც მაშო ჩემთან არის, მზრუნველობით მკითხავს ხოლმე ჩემს ამბავს, თითქოს მართლაც ავად ვიყო. ამ სასლში გადმომიყვანეს მე სადამოთი, კარტით, ბაჭიშებ-შემოწობილი. მაშინ არ უშლიან ჩემის ბძანების ასრულებას, და თითქმის წერილების ტარებასაც, მაგრამ სასტიკად აკრძალული აქვს, რომ არავის უთხრას, სადაც ვცხოვრობთ. მე თითონ ვესპეუები, რომ განუძებული იყოს რად დაკლუშო ჩემს გამო საწყალი გოგო?

საზარელი ვადა მოახლავდა. ერთის კვირის შემდეგ შესრულდება თვე... შიშმა თითქმის სრულიად დამავიწყა ჩემი დანაშაული; მე არ შემიძლიან ვატირო და შევინანო... რა მოგვლის ჩვენ ამ ერთ კვირაზე? რა დაემართება ალექსანდრეს? სხვაზედ აღწავიკრზედ შემბღინან. თქვა...

საშიშს სურათები მელანდება ძილში და ცხადად. შენ ხომ გახსოვს ლექსი შავს შაღზედ, რომელსაც პატარაობისას გვამღერებდენ ხოლმე. ტუილად ვი არ მეშინოდა ამ სიმღერისა, რომელშიაც წამ-და-უწუდ სისხლზეა მოთქმა... კიდევ ხომ გახსოვს საშინელი წიგნი, რომელშიაც აწეწილი იყო, ქმარმა როგორ იპოვა საყვარელი თავის ცოლთან და უბძნა,

ჭკით ამოქეცლათ იმ ოთახის კარები, სდაც კაცი დამიდა. მხლელად ეს შეზმანება ძილში, მხლელად ამასევე ვიფიქრობ ცხადლივ.

ვინ გამოცინობს ამ საშინელს და მიუწდომელს კაცს? წელიწად-ნახევარია ცოლი ვარ და ამისი მე გერა გამოგია-რა, მხლელად დმერთმა იცის, რა აქვს გულში.

საშინლად კბ დაკსაჯე, საშინლად... დმერთო ჩემო, დმერთო ჩემო! რას სჩადიან ჩემი მშობლები? ნეტა კიდევ ვასსო-კან? ხომ არა მწუყელიან? არც ერთის ჩემის წერილის ვასუსხი არ მომივიდა დედასაგან. ნუ თუ არ ვებრალა? მე კი ასე არ მოკუქცეოდი ჩემს ქალსა.

განა ჩემი მოვალეობა განკებ იმიტომ დაგივიწყე, რამ დედას ვაწყეინო? განა ცოტას ვიბრძოდი და ფიტანჯებოდი ჩემს დაღუპამდის? განა არ დაკურხოქე დედაჩემს და მიფარველობა არა ვთხოვე? დმერთმა გაპატოოს, დედა!

წუსელის საღამოს ჩემს ოთახში ვილაცაებო შემოვბდუნ დაღ-კრემილის სახით. უფროსად იმთოგანი დაჯდა ჩემოვან და რაღასაც მელწმარკებოდა ცოლ-ქმრობის მოვალეობასედა... რაღაცა მკითხს კიდევ. მე შიშითა და სინტხვილით არა გამეკებოდა-რა.

უცებ შემოვიდა საქსი, უფრო დაღვრემილი, უფრო სახე-დახნელებული, ვიდრე იმ დღეს... იმან ანამნა ამ საშინელს პირებს და ვარკედ გაიყვანა. დიდ ხანს მუსმოდა იმთოთ ხმა-ურჩხობა: რაღასედაც ბასსობდენ და შემდეგ ვაჩუბდენ. მე სრულებით ვთრთოდი.

კიდევ გაიღო კარი და შემოვიდა საქსი, ხელში ქალაღად-ქმინა.

— ზოლინკა ალექსანდროვნაჲ! — მითხრა იმან — ანსრულებოთ თუ არა ჩემს თხოვნას? ვარწმუნებო, რომ ეს უკანასკნელი იქ-

ნება: წაუკითხავად მოაწერეთ ამ ქალაქს ხელი; ამხედ არის დამოკიდებული თქვენი პატიოსნება... მეტს აღწას გეტყვიო-

ისევე ისე ცივად და უცნაურად მიუხერხებდა. ვის შეეძლო ამ სახის დანახვაზედ იმისთვის უარი ეთქვა? მე მოვასწერე სელფი იმან დაძვირს თავი და გავიდა.

იყო ღამე; მე მივუღი ფანჯარასთან. ნება მღელვარებდა და თათქმის ჩვენს კედლებს ეშხაზუნებოდა. ძველნი ტირიფნი მდინარემდე შტოებით იღრიკებოდენ; ხმელი ტოტები რაღაც უიუერო ფხებთანის ხეებისა ფანჯარაში გვიცვივებოდენ. წყლის ნაპირზედ გაბმით იდგნენ ფიჭვის ხეები და მათ შუა თეთრი ჯვარი მოჩანდა. რაღაცა საშინელება მომხდარა რდესმე ამ ადგილს და ვინ იცის კიდევ რა მოხდება.

ღმერთო ჩემო, ნეტავი მალე გაიაროს ამ საშიშმა კვირამ! მოხდეს, რაც მოსახდომია, აღონდ შენ დაიფარე ჩემი საშა.

რა ნება აქვს ამ სასტიკს ვაცს ჩემის წვალებისა? ამბობს, რომ მე ავად ვარ, ნათესავებს მაშორებს, მაშორებს უოკელს ნუგეშს? რად მომასვია ვარს საიდუმლოება, რად დაგვინიშნა ასეთი ხანგრძლივი, სამძიმო ვადა? განა მე ამის მონა ვარ, განა ადამიანი არა ვარ, განა ამის სწორი არა ვარ? სისხლი მიდრულს, გამბედავი აზრები მიტრიალებს თავში, მხოლოდ ღმერთით მოწამე, რომ მე ჩემთვის არა ვფიქრობ... მე მოლაღატე ვარ... მე ვუფოთავ მხოლოდ რადესაც იმის სკედრზე და ვფიქრობ. აი მაშინ ჩემთან ბარათი მოაქვს. ეს იმისგან არის! მე გეტყვი შენ, რასაცა მწერს.

«მოსვენებით იყავ, ჩემო პოლინკავ, მე ვარგადა ვარ და გამბედავობაც არ მაქვია: უკვლავფრისთვის მზადა ვარ და წინადვე მოფიქრებული მაქვს, რა უნდა მოხდეს. ერის კვირის

შემდეგ ყოველივე აიხსნება; შენ დიდს უბედურებას ნუ კლი-
ჩვენს დროში არ მოხდება ხოლმე საზარელი ისტორია...»

ჩვენს დროში!... განა ჩვენს დროში არიან იმისთანა კაც-
ნი, როგორც საქსი; განა ჩვენს დროში არიან იმისთანა მო-
ღალატენი, როგორც იმისი ცოლი?

II.—თავად კ. ნ. გალიციისაგან კრასინების ცოლთან, ერთის კვირის
შემდეგ უკანასკნელის წერილისა.

5 საათი დილითა.

შენ გაკვირვებს ეს განკარგულება, რომელსაც ანდერძის
სუნი უდის. უნდა მზად ვიყოთ ყოველის შემთხვევისათვის.
მიხვდებოდე, როგორც არის საქმე.

წუხელის მივიღე შე საქსისასაგან წერილი, რომელშიაც ეწე-
რა ადრესი და დარბევა, როგორ უნდა მივაგნო იმის საზნაუბუ-
ლო სახლს. რა გადაკარგულს ადგილს მიძალუღა! ბოლოს ეს
იყო წარწერილი: «დილის შვიდ საათზედ თავად. ალექსანდრე
ნიკოლოზის ძეს ვითხოვთ დახმარებას ცხენები, როდესაც ერ-
თი ვერსი დარჩება სახლამდის.» იმისგან დანიშნული ვადა გა-
თავდა: ეს იყო მიწვევა დახმარებულს დროს სანახავად.

შე ავწონე ჩემგან შეურაცხება, იმისაგან ცოლის სიყვა-
რული და მისი რკინისავით მტკიცე ხასიათი, — და აბა შენ
მიტხარ და, ამ დანიშნულს პირის-პირ ნახვისაგან რას უნდა
კელოდე? ბოროტებას საქსი არ მოახდენს; მაშ რას ნიშნავს
ეს უცნაური დახატულება, ასე ადრე მისვლა მარტოდ-მარტო
იმ მივარდნილს ადგილს. სწორე გითხრა შე მოველი ან დუეელს
ოღეს ნაბიჯზედ, ან სხვა. ამ გვარს საქმეს, იმ აზრით მოგო-

ნიღს, რომ გაიწმინდეს ჯაქა, რომელიც უსისხლოდ არ იწმინდება.

მე ვუთხილვარ საშიშო ალაგას, რამდენჯერმე მივსულვარ ცრხეზედ, ჩემის ძვირ-ფას ბერანუკას სიძღერის ხმასზედ, — მაგრამ ესეა კი მოუსვენრადა ვარ, რომში სულ სხვაა: იქ არის ხმაურობა, აღტაცება და მრისხანე ბუნება კავკასიისა. აქ კი, ჩემს გარეშემო მთელს ქალაქს უსრუნველად სძინავს, დილის ამღვრეული წიყრასი იუურებს ჩემს ფანჯარაში, ყველგან სიჩუმეა და ერთ-ფერობა.

აქაურ მცხოვრებთა შორის მარტო მე მუავს წარმოდგენილი გაჯვარებული მტკერი შეუბრალებელის სახით, რომლის დანახვას დაუსამსახებრივ ადამიანის თვალი ვერ აიტანს.

წუხელის ცოტა მეძინა: ზოგიერთი რამ დავეწრე, ზოგიერთი რამ დავეწვი; ვფიქრობდი პოლინკაზედ... ან როდის არა ვფიქრობ მე იმასზედ? ქვეშაგებიდან ხალისიანად და მარჯვედ წამოვდექ, როგორც მოხდება ხოლმე, როდესაც ძილს მოსვენება არ მოსდევს.

მხოლოდ ნისლიანმა დილამ ცუდად იმოქმედა ჩემს ძალღონეზედ ისევე ბნელადა, თუმიცა მზე კარგა მადლა უნდა ყოფილიყო. წვრილი წვიმა და ნისლი სრულიად აფუჭებს ჭაქრს; თუმიცა აკვისტო დვას, მაგრამ ძნელია გაცმა სოჭვას: განჯათხულია. ზაფხული, თუ შემოდგომა.

ცხენები მზად არიან! მშვიდობით და! თუ ვეღარ დაგბრუნდება, წეჩილს ჩემი ივანე გამოვკვზავნის... რაც დაგება რე, არ დაივიწყო.

მორბევი საათი ღამისა.

და, მე ქვიფდების... ავად ვარ, არ ვიტყვი როგორ მოგ-

წერო, საიდან დავიწყო, როგორ გამოვსთქვა უოკვლისთქვა რი... მე...

არა მე ვაკმაგრდი, მოვისმე ჩემი გულ-გრილობა, ჩემი ამბავი გრძელი და დალაგებული იქნება, დეე შენც გამოსცადო ცოტათი მაინც ისა, რაც მე დღეს გამოვსცადე...

მე გამოვედი შინიდან და წავედი პირ-და-პირ შლისელ-ბურღისაკენ. კარგა მანძილი რომ გავიარე, გზიდან ნევისაკენ შევუხვიეთ. დაკათვალეოქე ის ადგილები, გადმოვედი კალიასკიდან, და ვუბძანე ვუჩერს, რომ დიდს გზაზედ უადამდგარიყო. თითონ მე ვი წაველ მარცხნივ, ძველის ინგლისურის ბაღისკენ, რომელიც სრულებით ტყესა ჰგავს.

მე არ მოველოდი რომ პეტერბურღის ახლოს გნახავდი ამ გვარს მივარდნილს და ურუ ალაგს. ძველი ხეები დედა-მიწაზედ ევარნენ და ნელ-ნელა ლზებოდენ. არაფინ უუქს არ უგდებდა მათ. არყის ხეები იდგნენ კელებზედ, გზებზედაც ბალახი ამოსულიყო და მხოლოდ ამით იჩნეოდა, რომ ეს ბალახი უფრო დაბლა და უფრო ნელა იზრდებოდა.

მაღე ჩემს თვალ-წინ ჩეკა გადაიშალა, სრულად წყლის პირი ფიჭვის უღაბურს ტყეს ეჭირა. გადმა ნაპირები ვი არა სჩანდა: ბურუსი ჯერ არ გათვანტულიყო და ამის გამო ნეკა, თუმცა ვიწროა იმ ადგილას, დაუსრულებელ ოკეანედ მქვენა.

ეს ადგილი ისე მივარდნილი იყო, თითქო რადსაც ბოროტს მოასწავებდა, და სწორედ უნდა გითხრა — გავსინჯე, ჩემი დაჩლუნგებული, ხმალი კარგად ამოდოდა, ქარქაშიდამ თუ არა.

აქედ-იქით რომ მივიხედ-მოვიხედე, მარჯვენა მხარეს, ზედ წყლის ნაპირზედ, დავინახე ძალიან დიდ-კაცური სახლი, რომ

მელიც ძლივსღა გამოხჩანდა იმოდენა ნამვისა და ფიჭვის ხეებ შორის. აქ სცხოვრებდა ჩემი პოლიტიკა, აქ ჩემი ანტიკლონი დაწდობდა, ლოცულობდა ჩემთვის. სისხლი ამიდუღდა; მე ჩემს თავს კსახავდი ამაღისად, როლანდად, ანუ ისპანიის მშვენიერს რაინდად თავის საყვარლის ფანჯრებ-ქვეშ, ეჭვიან ქმრის თვალ-წინ.

სასლი იყო ლამაზი, შავრამ ბნელი და ძველი. რაც კი მიშენებულნი ჰქონდა, თითქმის სულ ჩამონგრეული იყო; ფანჯრები არა ჩნდა არც ერთს ფანჯარაში. მათ მაგიერ იდგნენ ფიჭვნი და ნამვინი, რომელთ წვერები ამ უშველებელს შენობაზედ მალლა ამართულიყვნენ.

მე ერთს მხარეს მოკუთარე: ვერც აღაყაფის კარი ვნახე, ვერც სხვა რამ კარი; ერთი სული არსად იყო. მეორე მხარესაც ვერა ვნახე-რა. მე გავანჩხლდი. მესამეს მხარეზედ ვიპოვე კარები და დავაკაჭუნენ ბუბემა მოსამსახურემ გაძილა, და მდაბლად დამიკრა თავი. იმისი მწუხარე სასუ ეთანხმებოდა იმ მივარდნილს ადგილს ერთი სიტყვაც არ მათქმევინა; წამიუგანა და გაძატარა რამდენიმე ჩამწერიკებული, მალაღ ცალიერი ოთახი.

მუხელი იმ ოთახებნას იყო ეკატერინე ხელმწიფის დროინდელი, ძველი და გამტკვარიანებული. სურათებზედ პარიკებიანი კაცები და პუდრ-დაყრილი დედა-კაცები საიდუმლოდ გადმოსტყვროდენ ჩამობნელებულ კედლებიდან დიდის ხნის უნახავს უცხო-პირს.

ჩვენ გავიარეთ გრძელი შალა, წადაც ოდესმე დასერილობდენ დიდ-კაცთა ცოლნი მარათებით და კოხტა კავალრებნააკრის ჯუბებს, და შეძლებ გავკალით გრძელსა და ბნელს დერეთანში.

— მიბძანდი მარცხნივ, პირველის კარებით, მითხრე მე ბერ-
შა-კაცმა და მაშინვე გაჭქრა, თითქო ქვესკნელს ჩაძვრათ. — დას-
წევკლას ღმერთმა! სწორედ უელის გამოჭრას მიზივებენ! —
ვიფიქრე მე.

ნუ გიკვირს ჩემი მოთმინებუ, რომ ასეთს წვრილმანს ამ-
ბებესა გწერ: ესლა მესამის მე მათი მალალი მნიშვნელობა და
საჭიროება. დღევანდელი დღე მთელს ჩემს სიცოცხლეში ისე
ცხადად წარმოძიდება, როგორც ამ წამებში ძაქვს წარმოდ-
გენილი.

მე გავალე პირველი კარები მარცხნივ. საქსი წინ მომე-
გება. ჩვეულებრივად უფრო გადაფითრებული იყო, მაგრამ
სასხეუდ თითქო გულ-ცივობა და აუღელვებლობა ეტყობოდა
ჩვენ ერთი-ერთმანერთს დავუყარით თავი.

— კნაზო! — მკითხა იმან — ცხენები ხომ დააბრუნეთ ჩემის
ჩხევისა-მებრ. სიფთხილე ურიგო არ არის.

— მე ვერს-ნასეკარი გამოვიარე ქვევითი.

— კარგი, დაბძანდით. თქვენ ისე პირ-შენახული კაცი ბძა-
ნებულხართ, რომ მე სრულიად კმაყოფილი ვარ წახსულის
თვისა. არა ხორციელმა არა იცის-რა ჩვენის საქმისა. ესლა
შეგვიძლიან უფრო მოცლით ვილაზარაკოთ.

იმან დააწყარუნა ზარო. შემოვიდა ისევ ის ბებერი-კაცი,
რომელმაც პირველად შემომიყვანა. საქსმა რაღაც წასჩუჩხლა.

მე ვსინჯავდი იმ მალალს, ბნელს ოთახს, თავის ნაჭერ-
ნაჭერად ჩაწეობილის კედლებით, თავის შკაბებით, რომლებ-
შიაც ძველის ნიკოების მოეკარენი დიდს ფასს მისცემდენ.
ოთახში მებელი არა აყო-რა, გარდა სტოლისა, რომელზედაც
ბლამად ეყარა ქაღალდები, ტუპით გადაკრულის დიუნისა და
ამ გვარისაკე ორის სულისა: შკაბებზედ იდგა ბიურჯები და

დაცა ახილებულის სახის ადამიანებისა, გრძელის, დაგარცხნილის თბით.

მსუბუქი შრიალი შემოისმა კარებს უკან. მე ერთს ვერს-
ზედაც ვიტნობდი იმის საგანგებო სიარულს. ეს ის იყო —
ჩემი ანგელოზი, ჩემი პოლინკა.

კარები გაიღო; ჭო, სწორედ ის იყო, ჩემი მშვენიერე-
ბა, ჩემი ზაწაწა, ჩემი საუნჯე. სისარულით დაივიწყა, მე რომ
დაძინახა და გადაფითრებული სასე წითლად აქნო.

გამსდაცა, მაგრამ ძალიან კი აცა. თეატრების კარგს ჭაერს,
წელის სიახლეს შეუძსუბუქების იმისთვის მწუხარების ტვირ-
თი. სწორედ ქების ღირსია საქსი, ქების ღირსია ეს ძლიერი
და სულ-ძაღალი კაცი!

იმან მიუთითა პოლინკას ჩემს გვერდით მდგომს სკამ-
ზედ და თითონ დივანზედ დაჯდა. პოლინკამ შემომხედა მე;
ორივემ ერთ დროს მივწიეთ ჩვენი სკამები ერთი-ერთმანერ-
თისაკენ... ვინ წამარბმეგდა იმას ხელიდამ!

საქსმა შეამჩნია ეს და მწარედ გაიღიმა. — ალექსანდრო
ნიკოლაი! — წარმოსთქვა იმან ყვედრებით და შემომხედა — მე
თქვენგან არ მოველოდი, რომ საწყაფს პოლინა ალექსანდროვ-
ნას ასე შესძინებდით. რა საჭირო იყო მუდამ ბარათები? რას
ელაზმარაკობდით ბედის-წერაზედ, საშინელს შესვედრაზედ? გა-
ნა ჩვენ მექსიკაში ვცხოვრობთ, ანუ ძეოდალურ მმართველობის
დროსა!

მე მიხდოდა მეზასუნა. — თქვენ მასუკანა ბძანეთო — მით-
ხრა იმან, ცოტათი გულ-მოსულმა.

ჩემთვის ეს ვადა იმიტომ იყო საჭირო, რომ მიხდოდა
მედევნების თქვენთვის თვალი და დამებოლოების ეს საქმე.
პოლინა ალექსანდროვნა! — ამ სიტყვებზედ საქსი სკამიდან ად-

კა— თქვენ სრულიად თავისუფალი ხართ. თქვენ ქმარი აღარა გვაგო.

იმან მომაწოდა მე წაღაც ქაღალდი. სომ მისგდი, რაც იქნებოდა... რა მადლობა უნდა გუძღვნა, რომ ამ სულ-გრძე-ლის ვაჯის შესაფერი იყოს!

— ესლა კი, — უთხრა იმან — თქვენ წასვალთ დედა-თქვენთან სანაფსულო სასლში. მე იმათ კიდევ შევატუობინე. ზგო თქვენ სამძღვარს-გარედ წასვალთ. თავადი ალექსანდრე ნიკოლოზის მე დაეთხოვება სამისსურიდამ და იქა გნასავთ.

— მე სამსასურიდამ გამოვალ... ძლივს წამოვსთქვი მე სულელურად.

— ეგ უფრო ვარკვი, — მიხსსუსა საქსმა. — ვინ იცის, რამდენი აჯადუებთ თავლსა, რომ შესაქცევარი ნახონ რამე. ჩუმად დაიწერეთ ჯვარი და იცსოვრეთ რაც შეიძლება მეტი ხანი სამძღვარს-გარედ.

მხოლოდ იმ წამში მისგდა პოლინკა თავის ქმრის სულდიდს მოქმედებსა. მკვდარსავით გაუვითლებული დაეცა მის ფეხ-ქვეშ და სტიროდა მის წინაშე ისე, როგორც მე ვტიროდი იმ საღამოს... სომ გასსოვს...

მე ვიდევ სულელსავით გაჩეჩებული; ფეხები ველარ დავძარ, ენა აღარ მეძოწნილებოდა. საქსს სურდა პოლინკა აეყენებინა, მაგრამ ის არა დგებოდა, ეურჩებოდა მას, როგორც კერძმა ბავშვებმა იციან. ეს ამბავი მეტად სამძიმო იყო საქსისთვის. ის მოშორდა პოლინკას.

საქსი მოვიდა ჩემთან და მისი გამბედავი და სწრაფი ხმა რისიანად გაისმა ცაღიერს ოთასში, როგორც ბრძანება მამაცის უფროსისა მისის უძრავის ჯარების წინ.

— ვინაზო! — მოთხრა იმან — თქვენ ერთბაშად წამართვით მე

ცოლიც და შვილებიც. თქვენ წამართვით ჩემი სიცოცხლე. ნუ გგონიათ, რომ ეს ბავშვი თქვენ მუქთად გერგოთ, მე თქვენი იმედი არა მასწავს!

«გახსოვდეთ, რომ რასაც უნდა აკეთებდეთ, რა თვალი მუდამ დაწაფად გეყოლებათ. სადაც უნდა წასვლიდეთ, მე თქვენ იქნება-და-იქნება მოგვებით.»

«თქვენ მიგყავთ ჩემი ბავშვი — და არა დედამ-კაცი. ვაი თქვენ, თუ ჩემი ბავშვი ბედნიერი არ იქნება.»

ეჭუობოდა, ეს სიტყვები უელში მოეხიზნა, ცდილობდა სანქაროდ გამოეთქვა ეს სამძიმო სალაპი.

— მე თქვენ მოგვლედ და პირ-და-პირ გეუბნებით: თქვენი ცხოვრება წინ გადაშლილი მექნება. თუ მაგას ცრემლი ჩამოვარდნის როდისმე, თუ ამოუოხვრის, თუ ეგ შეწუხებულა რა-ზედმე — თქვენ დაიღუპებით.

საქსი მიტრიალდა, უნდა გასულიყო: მაგრამ პოლინკა არ უშვებდა, გზასედ გადაედობა, ქვითქვითებდა, თრთოდა და ერთი სიტყვაც ვერ წარმოეთქვა. სინსრულმა და სინანულმა საშინლად იმოქმედა საწყალს ბავშვზედ... იმ წამებში მე ეჭვმა გამიარა, ვაი თუ პოლინკას საქსი უყვარდეს მეთქი.

ჩვენ ავაყენეთ პოლინკა. მთელი ის სანი ვერ გავბედე მკალერსნა ჩემის საყვარელ ბავშვისათვის; ვერ გავბედე შეკაცნა.

პოლინკა გრძნობდა ამას.

მე დავინახე ფანჯრიდამ, რომ საქსმა და იმისმა ბებერმა ლაღამ მიიყვანეს პოლინკა კარეტასთან და შიგ ჩასვეს, ანუ უფრო მოუხდება რომ ეთქვას, შიგ ჩასდეს იგი.

რამდენიმე წამი კიდევ გაშეშებული ველოდი საქსსა.

დავინახე რომ იმისი დროშა კარტას უკან გამოუდგა და მანც ვერ მოკშორებოდი ფანჯარას.

ნეტავი კი ესლა არა და, ასე, ხუთის წლის შემდეგ, შემეძლოს ამ კაცის გულისთვის თავის გაწირვა...

საღამოზედ მე პოლინკასთან ვიყავ: გაეციებინა და თავის ტკივილი ჭქონდა. ჩვენ ვატირეთ და ვკოცნეთ ერთმანერთი?... სისარული როდი ვისმე ჭკლავს. მალე იქნება, მალე! როდნდ შეხვეწებულმა ჩემმა დათხოვნის ქალადმა კი არ დაიგვიანოს!

III.—კ. ა. საქსისაგან პ. ა. ზალეშინთან.

ჩემო კარგო პაელო, ერთი უცოლო კაცი კიდევ მოგმართათ. მე ისევ უწინდელეებურად მარტო დავრჩი. აღარსად არის პატარა პოლინკა საქსი, ესლას ვნების პოლინა ალექსანდრეს ასული გალიცკისა. უფრო კი უსდებოდა ეს მოკლე სახელი: პოლინკა საქს.

მე იმიტომ მიუვარსარ შენ, რომ წაიკითხავ ამ წერილს თუ არა, როდი მოჭეკები ოხვრას, როდი დაიუვირებ: საკვირველი შემთხვევაა, მოულოდნელი ამბავია! იტუვი მხოლოდ: სჩანს ეს ასე უნდა ყოფილიყო; იმ კაცისათვის საქმე სხვა როდია და სიტუვა სხვა.

მე სამძლვარ-გარედ მივდივარ: საქმე გამომიხნდა, იქ გონებ დიდ სანს მომიხდება დარჩენა. ჩემს გასავლს მე ნასევარზედ ვამცირებ მარტო-სელთა წესზედ და ამიტომ მინდა ერთი რამ მოვანდო; თუ ვერ იკისრებ, ვერ შეიძლებ, ან დაიწარებ, — შემატუობინე.

ჩემის წასვლის შემდეგ, მე მომინდვია შენთვის ჩემის მოურავების ყურის გდება. მოაქციე ისინი კაცთ-მოყვარეობის გზაზედ, როგორც ჰანტაგრუელმა ჩაგაგონოს. თუელი ცოტად მომინდება, შეგიძლიან ნაკლები გადასასადი დანიშნო.

ის მამული, რომელიც მამი-ჩემისაგან მეტო, დაურიგე გლეხებს დროებით ვალდებულების კვალბაზედ. თითონ შენ განსრიგე კანონები: მე, სწორე გითხრა, არა მცალიან.

მე მიყვარდა მწრუნველობა, მაგრამ სამსახურში ვიყავი და, შენის შედამხედველობის ქვეშ ჩემს ხელქვეითთა და უნაწლოთ მუცლები, დაუსუქდეთ სახე, როგორც ვირიმში შენს ახლად გადმოსასლებულებს. პირველში ესეც ეყოფათ.

როცა რუსეთში დავბრუნდები, პირველადვე შენა გნახავ მივმართოთ ჩვენს მკითხავს--- ღვთიურს ბოთლს, მაგრამ რა ვკითხო, კი აღარ ვიცი.

თ ა ვ ი IX

I. — ან პოლინა ალექ. ასულის გალიცკისაგან ანეტა კრასინსკის ცოლთან.

ნიცა, ნოემბერი 184*... წელი.

მე ძვირადა გწერ წერილებს, ჩემო ანეტავ... მაგრამ ვიცი, რომ მასპატიებ. შენმა ძმამ ხომ შეგატყობინა როგორც ვართ და სადა ვართ. ჩვენ დიდი ხანია ჯვარი დავიწერეთ, მე ბედნიერი ვარ, მაგრამ ვერა ვარ კი კარგად. უჩანასკნელად რომ ავად ვიყავ პეტერბურგში, მგონი ადგომას ავჩქარდი და ისეც ავად გავხდი; ავად-მყოფობაც რაღაცა უცნაურია... ზოგჯერ სრულიად გამოვშტურდები ხოლმე, მთელი დღე თითქმის ბუ-

რუსი მასკევია გირსა... ნაწყვეტი-ნაწყვეტი აზრები დღე და-ღამ მეტვეა თავში; ზოგჯერ კი ვზივარ მთელი სათლობით, შეჩხერებივარ ერთს ადგილს და აზრი სრულებით არ მომდის.

უფრო ხშირად თითქო რაღაცა მაგონდება: ხან მეზმანება ჩემი უმწვეილობა, ხან ვთვქრობ ჩემს პირველს გათხრებაზე და ვკვლავ რთვობდაც უცნაურად, უაზროდ მაგონდება... არც თუ ვწუხვარ, არც თუ მიხარია.

მხოლოდ ზოგიერთი სიტყვები მუდამ თავში მიტრიალებს; — არ ვიცი რა მიზეზია — გულზედ მძიმედ მანჭება შენი ძმა მოგწერდა, საქსი რთვობა გამოგვეთხოვა... ოხ! გულმა კიდევ ძეგრა დაიწყო; ყურები მიბუჩის; გახსოვდეთ, კნიაზო, რომ თუ მაგას ცრემლი ჩამოგარდნია რადისმე, თუ ამოუოხვრია, — თქვენ დაიღუპებით.» არ ვიცი, სულ ეს სიტყვები რად მესმის?

არც ეს ვიცი რისთვის, და კტორი კი. გული თითქო გაგლეჯას აზირობს... მაგრამ ეს ცრემლები უნდა დავმალო: ჩვენ განუშორებლად რთი თვალი გვიყურებს; გვიყურებს მშვიდად, მოსვენებით. თითქო ესლაც მესმის ეს სიტყვები: „თუ მაგას ცრემლი ჩამოგარდნია, — თქვენ დაიღუპებით.“

ჩემი ქმარი ჩემს ყურებით ვერ გამაძლარა; დაანება თავი მთელს თავის ნათესაობას და მე დმერთადა მრაცსავს... მეც ასევე მიუვარს, მაგრამ ჯერ კიდევ თვალი ვერ შემიხვივია, რთვობდაც უცნაურად მეჩვენება: მეტეობა, ჯერ ისევ აკადა ვარ და დონე ვერ შემივრებია. საკვირველია, რადესაც ეს ჩემს ფეხთითა ზის, მიკოცნის ხელებს, მე არ ვიცი რად მეშინიან რომ ვაკოცო; რაღაცა უცნაური მელანდება, რაღაც უთავ-ბოლო სიტყვები მიბუჩის ყურში. უცებ მომესმის ხოლმე: „თქვენ მარტოვით მე ჩემს სიცოცხლესა... მე თქვენ“

იმედი არა მატებს, მე თქვენ ივეს-და-ივეს მოგვევებით, ვაბ თქვენ, თუ ჩემი ბავშვი ბედნიერი არ იქნება!“

ღმერთო ჩემო! ეს საოცარი სიტყვები, შეუბრალებლად რაღა მდგენიან? ქვეშაგებში რომ ვწვიბი... გვინ დაშეშინებს სოფელი; აზრები დიდ სანს მერვეს... რაღაცა მაგონდება, მაგონდება—და უნებ ისევ მომესმის ის სმა, გულის გამგძინება.

„გახსოვდეთ, რომ თუ მაგას ცრემლი ჩამოვარდნია...“

მესმის, მუდამ მესმის ეს სმა... თითქო გულში ჩამძახის, უიღასიც თვალები ანათებენ ჩემს წინ, ვიღაც წუნარად და მტვიცრედ აბიჯებს სწავიხსედ ჩემს ოთახში.

საქსი! როგორ უცნაურად მეჩვენება მე ეს სახელი!... საქსი აქ არის, ის გამოსულა: პეტრებურდიდამ... ჩვენს კვალს შესდგომია... მუდამ ჩვენთან არის... ის მე უფრო მიგდებს. ღმერთო ჩემო, დაამშვიდე იგი... მიეც ბედნიერება... ის დიდებული კაცია.

კიდევ ის სიტყვები... კიდევ იმის თვალები... კალამი სწავიდა მკარდება, ნისლი ედება ჩემს გონებას... ანუ გვინათ, ვინაზო, რომ ეს ბავშვი თქვენ მუქთად გერგოთ!

II.—კნენა პოლინა ალექ. გალიცკისაგან ანეტა კრასინსკის ცოლთან.

ფლორენცია თებერვალი, 184*... წელი.

ჩემო მეგობარო ანეტა! მე ვგძმობ, რომ მალე უნდა მოვეგდე და რამდენი სათქმელი მატებს შენთან, რამდენი მძიმე სათხოვარი. მე ვიცი, რითაც ვარ ავად... სომ გახსოვს ის უცნაური სიტყვები, რომელნიც მტანჯავდენ მე უკანასკნელს დროს. იმათ ბევრი რამ ამისხნეს, ბევრი, და მომცეს სიტყვა-

სლექ, მაგრამ მათგანვე ვკვდები მე; მხოლოდ ესლა ვიცი, რისთვისაც. ესლა ცხოვრებაში ყველა აისხნა ჩემთვის; რამდენი რამ ავიტანე ამ ორს თვეს.

ჩემო მეგობარო, შენ არ იცი, რომ მე ის მიყვარს სრულს ჩემის სულით და გულით. დიდი ხანი არ არის, რაც ეს ვიგრძენ: მე მიყვარს ჩემი ქმარი — ესლანდელი ვი არა; ეს მე მეზრახება, მე მიყვარს ის, ვოსტანტინე საქსი. იცი, რა სამთხის მზგავსი ნუტარებაა ჩემთვის, რომ პირველად გამკვთქვი ჩემი სიყვარული; რომ დავწერე ეს ღვთიური სახელი, დავეძნე, დავეცნე იგი და გავბანე ცხატე ცრემლით.

მე ის მიყვარს და ყოველთვის მიყვარდა. მხოლოდ პირველში ვერა ცნობდი ვერც იმას, ვერც ჩემს თავს, ვერც ცხოვრებას, ვერც ჩემს სიყვარულს. ათმა იმისმა სიტყვამ: აქკლივა ფარდა მოელს ჩემს ცხოვრებას, ამისხნა ყოველისივერი, რისადმიც სიბნელეში მიიღტვოდა ჩემი სული. ღმერთმა დალოცოს ის კაცი, რომელიც შორიდამაც სიცოცხლეს იძლევა, ადადა გენს ადამიანს, ასრულებს დაწყობილს სწავლებას.

მე ის ყოველთვის მიყვარდა: მიყვარდა როდესაც ვიწრთავდი; მიყვარდა, როდესაც შენს ძმასა ვკოცნიდი, მიყვარდა, როდესაც ვაღალატობდი, მიყვარდა, როდესაც ჩვენ მოგვესმოდა იმის გამოსაღმების სიტყვები... იმ დროს მე მიყვარდა იგი ჩემთვისვე გაუგებრად, მხოლოდ ესლა ვიგრძენ მთლად ჩემი სიყვარული, და სსმარის კარს მიღწეული, ბედნიერი ვარ ამ სიყვარულით და ქვეყნიერს საუნჯეზედ არ გავცვლი.

ჩრდილოეთ - იტალიაში ჭაერმა უფრო მაწეინა, ვიდრე მარგო. გულ-მკერდი უფრო მეტად ამტკივდა და ამასთანავე გულის-ფრიალი მომემატა. ჩვენ გადავსწევიტეთ უფრო სამხრეთისკენ წასვლა. გალიცვი მთელი საათობით სჭირდა ჩემს

ქვეშაგებთან და სრულიად გონება ებნეოდა. მე ვი ვანუგეშებდი ამას, დავაწყე პლანი ნებაოლში წასვლისა და დავიყოლიე, რომ დროებით ძლოარენციაში დავრჩენილვიყავით, რადგან ვიცოდი რომ ამას იქ უყვარს ყოფნა, სადაც უფრო ბევრი საღი ტრიალებს.

ჩვენ აქ ერთი კვირა მეტი დავრჩით. ჩემს თანეს უცნაური ცვლილება დავატყე: აქნობამდის მე სრულიად უგონობელი ვიყავ ბუნებისა. ჩემთვის სულ ერთი იყო, იტალიაში ვყოფილვიყავ თუ რუსეთში; და ესლა, რა ვი ჩემი სნეულება გამდიერდა, თითქოს დაგტკეპიანდი, თითქოს უკეთესად მესმის ყველა, ნამეტნავად ბუნება.

ცოტა უფრო კარგად ვარ, აზრები ისე აღარ მქსლანთება; მხოლოდ დამე ისევ ისე ვწვალაბ: იგივე უძილობა, იგივე აჩუღ-დაჩუღი ფიქრები, იგივე უცნაური სევდა.

ერთხელ დავტოვე ჩემი ქმარი სასახლის ბაღში და წამოველ შინ ჩვეულებრივად აღწე. მე მეგონა, რომ დაღალულობა და წმინდა ჭიკრი მალე მომიგვრიდა ძილსა. ის იყო შეკედი ჩემს საწოლს ოთახში და გუღზოდ სევდა მომაწვა, გამაცია, დავკეკე და წერა დავიწყე. კარშემო ყველას ეძინა.

ამ დროს კარებს უკან ხელი შიკალი მომესმა. ფარდა აინდა და მოშორებით რაღაც ძალიანი გამოჩნდა; იმის წყნარი მტკიცე ფეხის ხმა მომესმა ოთახში. ხელ-ფეხი გამიციოდა და სისხლი თავში ამიკარდა, შინც დიმილი მომივიდა სახეზედ. ეს ის იყო, და მე ესლა უკედ ვიცნობდი ამ კაცს.

საქსი იდგა ჩემს წინ მშვენიერის ბაღის ძირაკით, თვალები ისეთივე ბრწყინვალე ჭქონდა, გუღ-მკერდი ისეთივე ძლიერი.

მოვიდა ჩემს ახლოს და აღეჩსიანად შემომსკდა.

— ჩემო ბავშვო, — მითხრა იმან წყნარად — რად აყად-მყოფობ და რადა ხარ დაფიქრებული? სომ არა გაწუხებს-რა?

მე გვკმნობდი რომ სისხლი გუფხედ მომაწვა და თანხანად აღარ მიტემა იგი.

მე ვტაცე იმის ხელს სული, მივიკარ გუფხედ, ტუჩებზედ, ჩემს გაცხელებულს თვალებზედ, რომელთაც ტირილი აღარ შეეძლოთ.

— მაპატიე... ვბრტყობდი მე.

იმას ეგონა, მადლობას ვუთხროდი და ბოდიშს ვინდიდი.

— რა უნდა გაპატიო, ჩემო პაწაწაცო, რა? — წარმოსთქვა იმან დიმილით — მშვიდობით. მადლობა ღმერთსა, რომ შეგვცდი.

დაისარა და სელზედ მავრცა.

დიდი ხანია რაც მოგწერე, რომ ამ გაცს არც ჩემს შერთვამდის, არც მასუგან სელზედ არ უგონია ჩემთვის. ეს იმის უცნაურის ხასიათის ბრალია, თუ სხვა განზრახვა ჰქონდა რამე, — არ ვიცი, და როდესაც იმის ტუჩები შიშველად მივიკარა ჩემს ხელს, მე შეგვრთი, და გულში რაღაცა ჩამწედა. მე დააკინახე როგორ გატრიალდა და გავიდა ოთახიდან. გაიხურა თუ არა კარები, შირიდან სისხლი წამსქდა და უგონოდ დაგვცა. ჯერ ჩემს სიფრცხლეში გული არ შემომეწოდა.

მქონდა კიდევ მიზუნი: ის გონა... იმის მოკლე სიტყვები, იმისი თანავკმნობა... ამ წამიდან ვიცან ისიც და ჩემი თავიც.

ტყუილდა ჰქვეს შენი ძმა ჩემს თებს — ქვეშ და ცდილობს ჩემს თვალებში ჩემი სურვილი ამოვიტხას. მე აღარ შემძლიან ამის სიყვარული. მე ამისი აღარა მესმის-რა, ეს ვაჟი-კაცი არ არის — ბავშვია. მე დაუბრდი ამის სიყვარულისა-

თვის. ვატი ის აწის და ვატი სსსელიც იმას შეჭეუერის. იმი-
სი სული დიდებულია და დამშვიდებული... მე ის მიყვარს და
გერც განჭკრება გერას დროს ეს სიყვარული.

მე დავიღუპე თავი; არ ვიცი რა იმას... მაგრამ მე არა-
ვარ დამნაშავე და დემოტი მამატიებს; მე არ გამიკებოდა რას
ჩავდიოდი. საქსთან წმინდა ვარ, სრულებით წმინდა. შეუგნებ-
ლობით დავიღუპე თავი, როგორც იღუპება ჰეპელა სანოელ-
სედ, როგორც ბავშვი თავის ნებით მიტოვავს მოკრიალებულს
ტბაში.

მე სინანული არ შემოდის და ან რა უნდა მოვინანიო?
„რაც მოხდა, მოხდა,“ ამბობდა სოლომე კოსტანტინე და ეს-
ლა ცხნად მესმის ახრი ყოველ იმის სიტყვისა. სიამოვნე-
ბით, აღტაცებით მოვიგონე იმასთან გატარებული დრო, შე-
ვიგნე ყოველი იმისი სიტყვა, როგორც სწავლული ასსნის
სოლომე თავის სიყვარულ მწერლის თსწულებას,

შემოქმედო ჩემი! გმადლობ ყველაფერისთვის, სიტყვ-
ხლისათვის, იმის სიყვარულისა და ჩემის სიყვარულისათვის!
მე არ მესმის მწუხარება და შიში სიკვდილის გამო. ყოველ-
თათვის საშიშარს წამებში მე მხოლოდ ამისედ ვფიქრობ; უძი-
ლობის საათები, ეს მოუსვენარი დრო, ჩემთვის ნეტარების
საათებად გადაიქცა. ეს აწის დრო სიყვარულისა, დრო მო-
გონებისა. მე ვშიშობ, არ დამეძინოს სოლომე და კვდილობ
ძილი გამიტყუდეს.

მე გითხარი ჩემის გულის-შემოყრის ამბავი; ის იყო
პირველი ნიშანი საშინელის ჩემის სწულებისა, როგორც მი-
ხვდი ჩემის ეჭიმების ჩურჩულს. ეს იყო დასაწყისი აწის ქლე-
ქისა.
საკვირველია: სიხარულმა, ამიტანა, როდესაც შევიტყუე

რომ ჩქარა უნდა მოკვდეთ. მაშ ის ჩემს შემდეგაც იტოვსლებს. მანამ ცოცხალი ვარ, არას ვეტყვი: გაკლილს აღარა უშველებას არა. ჩემს სიკვდილს შემდეგ ის ჩამომხედავს გულში, და ისე მოვასურსებ, რომ დაინახოს ნაყოფი ჩემის აღზრდისა; შეიტყუბოს რომ მე ის დავაფასე, რომ ის უდიდესი თავ-განწირულებს იმით გადაგუხადე, რითაც ი დედა ჩაცს შეუძლიან გადახდა: უსომე ცხარე სიყვარულით.

ცოტა შეღამდება თუ არა, მაშინვე ქვეშაგებში ვწებები; ვფიქრობ იმასე, მაგონდება ყოველი იმისი სიტყვა და ყოველი საქმე. დიდის ხნის ფიქრის შემდეგ, დავკვდები ხალხე სტოლთან და ვწერ წერილს, რომელსაც ის მხოლოდ ჩემის სიკვდილის შემდეგ მიიღებს.

ამ წერილშია ჩემი აღსარება, ჩემი მსურველი სიყვარულის გამოცხადება, ჩემი მადლობა, ჩემი გამოცდა. ეს ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარულის წერილია.

რომ ვათავებ ამ ძვირ-ფასს წერილსა, ბაღიშ-ქვეშ ამოვიღებ ხალხე, ჩემმა გოგამ იცის როგორ უნდა მოიქცეს, ამას აქვს მიცემული გონგურტი, რომელსაც საქსის რუსეთის ადრესი აწერია. ვინიცობაა უცებ მოკვდეთ, უნდა გამოიღოს ბაღიშ-ქვეშიდამ ეს წერილი და ფოსტაში მისცეს.

მეორე ღამეს გამოვიღებ ხალხე ამ წერილს და სულ მეორედ ვკითხულობ. რა სუსტია ამას სიტყვები; რა საშინლად გაძლიერდა ერთს დღეს ჩემი სიყვარული. მე ვწერ სხალს წერილს, კოცნი ამ ქაღალდს, რომელსაც იმის თვალები დააცქერდება... შემდეგ დმერთს მუსლ-მოდრეკილი ვეკადრები მისთვის; ვთხოვ, მიანიჭოს მშვიდობა, მიანიჭოს მას სიყვარული... არა, არა, არა! ახალი სიყვარული არ არის სჭირა.

ერთი აზრი მაწუხებს მე მხოლოდ: ვაი თუ ჩემს მამოს

დაავიწოდეს წერილის გაგზავნა, ან ფოსტაში დაიკარგოს! ამას გთხოვ, ჩემო ანგელოზო, დაუმტვიცრე უგანასკნელი მეგობრობა შენს პოლინკასა. ჩემის სიკვდილის შემდეგ სწორედ შეიტყე, გაუგზავნა მაშომ ეს წერილი, რომელსედაც გელაპარაკები, თუ არა. მოაგონე, მოსწერე, და სწორედ შეიტყე. თუ რომ დაიკარგოს, შენ თითონ ნახე ისა, — თქვენ სამ პეტერბურღში ერთად შეიყრებით, — უჩვენე, აი ეს წერილი. დაე ამით ცოტათი მანც შეიტყოს ჩემის გულის ამბავი. შეიტყოს რომ მიუყარდა იგი და ისევე იმის პოლია ვარ.

მე ძლავს ეს ფიქრი, ვაი თუ ვერა ნახოს ჩემი წერილი! მხოლოდ იქა ვლანკარობ იმისთვის გასაგონის ენით, მხოლოდ იქა ნახავს რომ იმისი ბავშვი სიკვდილის წინად დედაკაცი შეიქნა...

ის ცრემლით და სისხლით არის დაწერილი; იმასთან მთლად ჩემი სული.

შენს ძმას ნუ ეტყვი, რომ მე ის არ მიუყარდა. საერთო შეცდომამ შეგვეყარა ჩვენ ერთად სიკვდილამდის და სიკვდილამდე ამისი მოჩილი ცოლი ვიქნები. მე ეს მეზრახება: მე ამას ვუყვარვარ... მაშ ჩემის კოსტანტინეს განუმორებელი თვალები ნულარა სდევნიან ამას: ვერას გაიგებენ ისინი ჩემს სიკვდილამდე...

ისევე იმის თვალები მიუყრებენ მე, ისევე იმის სმამ მიუყრის ყურებში; მაგრამ ესეა ვიცან იგი... ჩემთვის ეს სმამ ზეტოური სმამა...

ღმერთო! სისხლი თავში ამივარდა, გული ათას ნაჭრად მეგლიჯება! სიკვდილი, სიკვდილი, მძღლის ჩემთან... ღმერთო მაცოცხლე კიდევ ერთი დღე... კიდევ ერთი საათი... რომ შევიძ-

ლო კიდევ იმსხედ ფიქრი... გადავიკითხო იმასთან მიწერილი წერილი... ჯერ კიდევ უგელა ვერა ვთქვი იმაში...

ცუდად გაგხდი, ცუდად... კოსტანტინე, ნუ დაძვირწევ... მე შენ მიუყარხარ...

გაიარა კიდევ ორმა თვემ. გაზაფხულმა მოატყუებდა კენი-ნა გალიცვისა. ქმარი სისარულით სტირლდა, ანებიერებდა. გვერდიდან არა შორდებოდა. მთელი ქალაქი ახლად შეეგარებულ ცოლ-ქმართ უურებით ვერა ძლებოდა.

მისვდა რასმიეს საქსი, თუ კმაყოფილი დარჩა პოლინკას ცხოვრებით, — არ ვიცით; ვიცით მხოლოდ რომ ძლორქნები-დან გამოვიდა. მთელი ერთი წელიწადი ფეს-და-ფეს დასდევდა და უურს უგდებდა გალიცვის და იმის ცოლს, როგორც დაჰპირდა იგი, როდესაც თავის პოლინკას გალიცვის ამოუკდა.

მოუნდა მოსვენება; წამოვიდა რუსეთში და დასასვლდა ყირიმში, ზალეშინის მამულში. ამაოდ ცდილობდა კეთილი ჰანტაგრუელისტი, გაესუქებინა თავისი გამხდარი ამხანაგი: ლი-პი საქსს არ უზღებოდა, და არც სახეზედ დაეტყო სიმსუქნე, რომელიც ისე მოსწონდა რაბლეს ჰატივ-ცემულ თაყვანის-მცემელს.

ერთს დაწინაურებულს თიბათვის სალამოს საქსი იჯდა და-ფიქრებულნი დაღმართზედ, რომელიც ვიწრო მოედანს დაემო-რებინა საუგუნოდ მღელვარე ზღვასთან.

იმას უკან, თითქო თვატრის ფარდაზედ, გარდაშლილ-იყო ვრცელი სურათი მინდორ-ჭალებისა, მშვენების ტყით გარშემო შემოფარგლული. ქოლგის მსგავსნი მალაღნი ჭანდარ-ნი თითქოს სცურავდენ ვარდის-ფერს, გამჭვირვალე ჭაერში.

დაბლა, იმის ფეს-ქვეშ წყნარად შსაზუნებდა ზღვა და დარ-

ბოდან ქვიშის ნაპირებზედ შიგ კლდის ძირში. შორიდან მო-
ჩანდა კვამლი მძმავალის ტყეცხლის გემისა და მოისმოდა მკ-
თევის წუნაწი სიმღერა.

ზალეშინის სქელი მსახური მივიდა საქსთან და მიანთვა
წერილი სამზღვარ-გარეთიდან შავის ღაჭით დაბუჭდილი.

პოლინკა აღარ იყო ცოცხალი. ეს იყო იმის უკანასკნე-
ლი წერილი, რომელსაც ის ღამ-ღამე სწერდა და კითხულობ-
და. რა ეწერა იმ წერილში, იცოდა მხოლოდ ღმერთმა, საქსმა
და თვით პოლინკამ.

1847 წ.

ვიდექ შენ წინა.

(მიმზგავსება.)

ვიდექ შენ წინა უგონო, უცრემლო, გაქვებუდი;
გაფიებულსა, გაუინუელს ძლივსღა მიძგერდა მე გუელი!
კბრძნობდი, კხედავდი მხოლოდ ერთს— ამ სოფელს ესაღმე-
ბოდი;

იმ უკეთესსა სოფელსა გაფრენას ეძნადებოდი.

სჭკნებოდი, ტურფავ, ვით ვარდი, სჭკნება შეგნებით თვის
ბუჩქსედ;

ჭჭკნებოდი, ვითა მთიები ჭჭკნება განთიადს მზის შუქსედ.

დასჭკნება ვარდი, მაგრამ კვლავ გაზაფხულს გაიფურჩქნება;

გაჭჭკნა ვარსკვლავი, მაგრამ კვლავ საღამოს გამობრწყინდება.

შენ ველარ მოხვალ, სატრიოგო, ვერ გაგვიინათლებ ბნელს არეს,

შენ ველარ გაიფურჩქნები, მისვალ უწყალო სამარეს.

რა გაიფურჩქნე, მსწრაილ დასჭკნდი, ჭყვადი მხოლოდ ერთ-
სა წამს,

განქერ, ამ სოფელს ვეროდეს შენ ჩემი თვალი ვერ განხავს.

მაგრამ იქნება იქ განხო, სადაც არ არის სიკვდილი;

სადაც რაცა არს, ყველა არს უკვდავებითა მოსილი;

სადაც არ არის არც უამი, არც დღე, არც ღამე არ არის;

სადაც მნათობთ წილ მარადის მნაობს ნათელი ღვთაების;

სად სიუკარული წმინდა აწს და წმინდის ალით ეგონება;
სად საუკუნოს ცხოვრებას აქვს ღვთაებრივი სრულება.
გნახო, იქ გნახო იქნება, გიმზერდე ტურფას და ნათელს,
რად აქ ვიტანჯე, იქნება აღარ მახსოვდეს იმ სოფელს.

მ. მ.

უსაფუძვლო წადილი.

(ბ. ილ. ჭავჭავაძის «ცხოვრება და კანონის» გამო.)

(წერილი პირველი.)

ამ უკანასკნელ 15—16 წელიწადს ბევრი რამ შესანიშნავი მოხდა ჩუესეთში და ჩვენს ქვეყანაშიაც. ბევრმა ძველებურმა დალია სული, და მის აღდგომას, როგორც ეტყობა ცხოვრების წარმატებას, ველარავინ მოესწრება; ბევრმა ახალმაც დაიწყო ჩუხუნი, მოძრაობა და ნელ-ნელა ცდილობს თვის აღგმას, გამაგრებას. ჯერ საზოგადოებაში და მერე თვით უმაღლეს მთავრობის ერთს ნაწილში მოისმა ხმა მაშინდელ ცხოვრების კანონების უსამართლობაზე, მათგან კაცობრიობის დამცირებაზე, დაჩაგვრასე. ლიტერატურაში და საზოგადოებაში გაჩნდა ამაზე ლაშარავი, ბაასი, რომელმაც ააღელვა ხალხის განათლებული ნაწილიც და გაუნათლებელიც. გავარდა ხმა ამ უკანასკნელ ნაწილის განთავისუფლებაზე, განთავისუფლებაზე მისის გვამისა, ქონებისა, შრომისა.

ხანი აღარა გავიდა-რა, რომ ეს ხმა საქმედ გადაიქცა; ეს განზრახვა საერთო სახელმწიფო კანონად განხორციელდა. გადავარდა ბატონ-ყმობა, «მოძიშალა» კანონის ძალით ძველის ცხოვრების სამიწველი; «მოძიშალა» — ასე ეგონა ერსაც და ბერსაც, ყმასაც და ბატონსაც. ერთმა არ იცოდა სინარულით

რს ექმნა, მეორეს ნაღვლით გული უსკდებადა. ერთს ეგონა, რომ ამ დროიდან დადგება მისთვის კეთილ-დღეობა, ბედნიერება; მეორე შიშობდა, ოჯახი, ქონება შირქვე არ დაემხროს.

მაგრამ ეს სიხარული ერთისა და მწუხარება მეორესი თათქმის უსაფუძვლო და უდროო გამოდგა: რქორამდ სრულებით ვერ მოახდინა ხალხის ცხოვრებაში ის ცვლილება, რომელსაც მისგან მოელოდნენ; ის აზრი *) რომელიც იყო ჩადგმული ამ რქორამის დედა-ბოძად, საქმით ვერ ასრულდა და უწინდელი ჩივილი, ძახილი ცხოვრების უსამართლობაზე ესლაც ისევე ისე ისმის; სოფელი ესლაც ისევე ისე უჩივის დაუზინაობას, უძამულობას, დიდს გადასასადს.

ეს ჩივილი ისმის არა თუ მარტო ჩვენს საქართველოში, — მთელ განათლებულს რუსეთსაც მაგის მეტი არა ესმის. რა უკანასკნელ წლებში იქ იბუჭდება ამ საგნის შესახებ მეტად ბევრი მასალა, რომლითგანაც აშკარადა სჩანს საფუძვლიანობა ამ გვარის ჩივილისა; თითქმის ყოველ პერიოდულ გამოცემაში იბუჭდება სხვა-და-სხვა გვარი ცნობა იმაზედ, თუ სოფლებს კაცს თან-და-თან როგორ უძნელდება ცხოვრება, სსქელმწიფო და საბატონო შარჯის გადახდა. იმავე მასალებიდან, ცნობებიდან ცხადადა სჩანს ამისი მიზეზიც: მეტის-მეტად ცოტა გადაჭრილი მიწა (наделъ) და უზომოდ დიდი ხარჯი. ერთის სიტყვით, რუსეთის ლიტერატურის შემწეობით

*) აი ეს აზრი: «მტკიცედ დაბინავებისათვის გლეხთა და აღსასრულლებულად მოვალეობისა მათისა მთავრობასთან და მებატონესთან, მიუცემთ გლეხთა სამუდამო სარგებლობაში განონებითა, წესდებაში გამოცხადებულით, ფეროვანის ადგილის მიხედვითა, ზომა ანუ რაოდენობა მიწისა, რომლისათვისაც გლეხნი მისცემენ დაწესებულსა გადასახადსა.»

გაცს შეუძლიან მტკიცედ დაწმუნდეს, რა მდგომარეობაშია იქ დაბალი ხალხი და რა გავლენა ქქონდა ბატონ-ყმობის დაწვევას.

ჩვენში, ჩვენ საუბედუროდ, ამისთანა მასალას, ცნობას სწინთლითაც რომ ეძებოთ, ვერსად იპოვით. არც პერიოდულ ლიტერატურაში, არც ცალკე გამოცემულ წიგნებში და ბროშურებში არ არის მაგ საგანზედ რაიმე საფუძვლიანი შენიშვნა, საფუძვლიანი ლაშარაკი. აქამდის ჩვენ, კერძო პირთ, ზედმიწევნით არ ვიცით, რაოდენი გადაჭრილი მიწა ერგო ჩვენს სოფლის ხალხს საქართველოს სხვა-და-სხვა გუთხეებში ბატონ-ყმობის ჩამოკარდნის შემდეგ; საერთოდაც არ ვიცით იმ გლეხთა რიცხვი, რომელნიც სულ უმიწოდ დარჩნენ. არ ვიცით, როგორ მორიგდენ მებატონეები და გლეხნი ტყისა და საძოვრის თაობასზედ ესე იგი, რამდენს იღებენ მათი პატრონებს სოფლებებისგან ტყის ფულს, კომლის ფულს, საბალახეს; არც ადგილობრივი მთავრობა თავის დაწესებულებით, არც კერძო პირნი არ აგროვებენ და სახალხოდ არ აცხადებენ ან გვარ ცნობებს, ძაკტებს. უამისოდ გი მნელია ვაცმა გადაჭრილთა სთქვას, რა მოჭყვას ჩვენში ბატონ-ყმობის გადაკარდნას? გაუადვილა გლეხს ცხოვრება თუ არა, და თუ გაუადვილა, რაოდენად?

როგორც აწინდელს მდგომარეობასზე, ისე თითქმის ჩვენს წარსულზედაც ვატი ნამდვილს, გადაწყვეტილს ვერას იტყვის. იქნება ამ ოცის წლის წინ გამოცემულ წიგნებში იყოს რაიმე გამოკვლევა ამ საგნის შესახებ, მაგრამ ჩვენ გი ერთი, ორი წიგნის მეტი ვერა ვიპოვეთ-რას დაბეჭდილი სასოგადოებაში ვაცმა ყოფი რომ დაუგდოს ამ საგანზე ლაშარაკს; ორის, ერთი-ერთმანერთის წინააღმდეგ მთაბეჭდოვების ქვეშ იქნება:

ზოგნი ამტკიცებენ, რომ ჩვენში ბატონ-ყმობა ისე უწყალოდ, სასტიკად აწვა გლეხს კისერზე, რომ შესაძარებლად მარტო სამუალო საუკუნოების გერმანია გამოდგებაო. ამის დასამტკიცებლად გვიამბობენ მრავალს მაგალითს ჩვენის უწინდელ თაობის დროებიდან. ზოგნი კი ამბობენ, რომ საქართველოში არავითარი სასტიკი, გამცარცკი, დამბევეი ბატონ-ყმობა არ ყოფილაო. ჩვენში ბატონი უფალი კი არ იყო თავის ყმებისა, მამა იყო, რომელიც ზრუნავდა მათზე, მტრისაგან იფარავდა, გაჭირებაში ხელს უმართავდაო.

წავიკითხეთ სხვათა შორის ალექსანდრე ორბელიანის ცალკე წიგნად გამოცემული თხზულებანი და სწორედ ამ შთაბეჭდილებით შეჭკეცავთ ხსენებულს წიგნს. რასაკვირველია, წარსულის ამისთანა თაყვანის-მცემელთ არ ექაშნიკათ ახალი დაწესებულება, ზინდით უყურებენ აწმყოს და გლოვით და ნადვლით იგონებენ «მშენიერ, ღონიერ წარსულს.» «რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთო», იძახიან ეს გმირნი. მკითხველას, მსმენელის საუბედუროდ არ უხსნიან, რა იყო ჩვენს ძველებურ ცხოვრებაში კაცობრიობის აღმადიდებელი, კერძო პირთ განმთავისუფლებელი, სიმართლის, ჭეშმარიტების დამცველი. ქაჩტები, ისტორიული ქაჩტები აკლია ამ ბატონების სჯას და რაც კი ესლა ისმის «ჩვენსა წამხდარს გმირობაზე და მამულს დაობლებულზე», გონიერი კაცი მას ან უნიადაგო პოეტურ აღტაცებას დაუძახებს, ან სიტყვებით დაზღანდარობას. ვინ იცის, იქნება მართლა სასატრეულიც, გამამხნეველებიც ბევრი რამ იყო ჩვენის ხალხის წარსულ ცხოვრებაში, მაგრამ დღევანდლადის არავინ არ გარჯილა ამ ცხოვრების ვრცლად და ნამდვილად აღწერისათვის, არავის არ გამოუსატყავს ეს სასიქადულო მხარე ჩვენის ისტორიისა. აი ჩვენმა მწერლებმა იმ გრძელი

ქელტონების დ^წ (უკაცრავად ნუ ჭიქნები პოეტებთან) პოემების მაგიერ, შირ-უთხნელი, მიუფერებელი საქართველოს ისტორიის რომ მოგვიძღვნან, მაშინ, რასაკვირველია ძალიან გაგვიადვილებოდა იმ კითხვის აღსნა, რომლის თაობაზე ხანდისხან იმდენი კინკლაობა მოხდება ხოლმე ჩვენს საზოგადოებაში.

ამიტომაც, რასაკვირველია, ყველა დიდის ინტერესით წაუკუნებდა თავს და დიდს უფრადლებას მიაქცევდა ბ. ილ. ჭავჭავაძის წერილებს, რომელნიც იბეჭდებოდნენ „ივერიაში“, ამ უფრადლის დასრულებამ და რომელნიც მართლ ამ წელს დაბოლოვდნენ.

ეს წერილები, როგორც თითონ მკითხველმაც იცის, შეუხებიათ თითქმის ყველა ამ უკანასკნელ თექვსმეტ წელიწადს საქართველოში განხრის ძალით მომხდარ ცვლილებას: ბატონყუმობის დარღვევას, სოფლის თვით-მმართველობას, მოძრაობელ სასამართლოებს, შუამდგომელთ ინსტიტუტს და სხვა. კარგი განზრახვა ჭქონია ავტორს ამ წერილების შედგენის დროს: იმას მოუწადინებია, უჩვენოს მკითხველს, რა მიზეზებმა შეამცირეს ხსენებული ცვლილებების კარგი, ნაყოფიერი გავლენა, რა იყო განონში ისეთი, რაც ცხოვრებამ უარ-ჭყო, მასთან ვერ მოზავსდა. რასაკვირველია, ამ წერილებში არის ღაზარაკი იმ უებას წაძლზუდაც, რომლის ხმარებაც გააუქმებს ამ რეფორმების ბევრს ცუდს მხარეს და მიანიჭებს მათ ნამდვილ ძალას.

ამ სტატიის დაწერის მიზეზი ის იყო, რომ დამწერს ეჩვენებინა მკითხველისათვის, როგორ და რაოდენად აღასრულა ბ. ჭავჭავაძემ თავისი განზრახვა, რა საფუძვლიანი ნაკლებებიანი გვიჩვენა ამ რეფორმებისა და რა საშუალებას ჭზოულობს ამ ნაკლებეგანებათა გასაუქმებლად. ჩვენ ესლავ ვატყობით

ნებთ მკითხველს, რომ შეგუებით მართლ იმ წერილებს, რომელშიაც არის ლაშარაჟი ბატონ-უმობის ჩამოვარდნაზე და სასოფლო თვით-მმართველობაზე. სხვა წერილებს განებებთ თავს ჯერ ერთი იმიტომ, რომ იმ წერილების საგანნი არა გვაქვს ისე გაკეთილი, რომ შეგუებლად იმათზე ვრცელი, ყოვლის მხრით გამოკვლეული აზრი გამოვთქვათ, და მეორედ იმიტომაც რომ გგონია, ამ წერილების დედა-აზრი შეურყეველია. თვით იმ წერილებშიაც, რომელნიც შეადგენენ ჩვენის სტატიის საგანს, ვერ შეუდგებით იმ წინასწარ-გადაწყვეტილის აზრების განჩევასაც, რომლითაც, სხვათა შორის, ისე მდიდარნი არიან ავტორის წერილები; მაგალითებრ, ვერ განჯარჩევთ შედგეს აზრს: «უფლება და მოკალეობა, რომელნიც არიან პირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთი-ერთ-შორის განწყობილებისა, დაიდგინება და განისაზღვრება მხოლოდ ხალხის განონთ-მდებლობის ძალითა და ნიჭითა» (ივ. 1877. № 1. გვერდი 6). ამისთანა საერთო აზრებზე ან უნდა ბევრი ილაშქარავს კაცმა, ბევრი დამამტკიცებელი ისტორიული მაგალითი მოიყვანოს და ან სულ უნდა ასცილდეს, ხმაც არ ამოიღოს; უფრო იმიტომ, რომ მაგ საგანზე — ავტორმა კარგად უნდა იცოდეს — მეცნიერთა შორის ბევრი ერთი-ერთმანერთის წინააღმდეგი აზრია გამოთქმული, და მართლაც ავტორის აზრი რომ ჭეშმარიტი ყოფილიყო, ვინ იცის, იქნება ბატონ-უმობა სულაც არ გაჩენილიყო ქვეყნიერებაზე და მამასადაძე მის დარღვევაზე ლაშარაჟი სისულელე ყოფილიყო. ამიტომაც, ამისთანა ალაგები რაც ნაკლებად იქნება, ის ეძვრობინება.

დავიწყოთ ბატონ-უმობიდგან.

1864 წელს მოხდა ჩვენში გლეხთა განთავისუფლება და რადგანაც განთავისუფლებულს გლეხს მოეჭრა მებატონის

მიწა, «მაშასადამე აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა განუსაზღვრათ უფლება და მოკალეობა გლეხისა და ნაბატონარის შორის.» ჩვენი საზოგადოება ამ განსაზღვრულობის გამო გაიყო ორ ბანაკად: «მცირედმა, მაგრამ უკეთესმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ მიშინვე აღიარა, რომ თუ საჭმე ამასე მიდგაო, რომ უსათუოდ უნდა გავაშველოთო, ის სჯობია ეხლავე ისე გავაშველოთ, რომ ერთი-ერთ შორის სპიდურანისა და დავი-დაჩხბის მიზეზი ჩვენში აღარ დაჩხეს-რათ.»

თვალ-სახინოდ ამ ბანაკის აზრი ფრიად მოსაწონია, მაგრამ ეს რაღა საკვირველებას: თუ საჭმე იმასე მიდგა, რომ სუსითუოდ უნდა გავაშველოთო?! ნუ თუ ის «უკეთესი ნაწილი» საზოგადოებისა ერთ წუთსაც არის ეჭვიანობდა რომ ეს „გაშველება“ აუცილებელი საჭიროება იყო! ნუ თუ „მოსაზრობა ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქვლევის მიზეზისა, კაცის კაცად აღიარება“ არ იყო სამეფოთი მიზეზი ამ გაშორებისა და უმთავრესი საზრუნავი ყოველის პატიოსანის კაცისა. არა მგონია, რომ ბ. ჭავჭავაძემ თუნდ ერთი პირი დაგვისახელა იმ საზოგადოების უკეთესის ნაწილიდგან, რომელსაც ამ შემთხვევაში ასეთი საეჭვო სიტყვები ეხმარა—ეს ხომ მუხანათობა იქნებოდა.

ჩვენი საზოგადოების მეორე ნაწილმა, ბრძანებს ავტორი, უფრო უძრავლესმაო, განდევნა სრულად პირველთა დედა-აზრი და იჩინვა საჭმის გათავება ისე, რომ გლეხისა და ნაბატონარის შორის ცოტა კლანჭ-გამოსადები რამ დაჩხენილიყო. ჩამოვარდა მეოთხედობა—ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოკალეობა ერთისა და მეორისადაც.“ ბ. ჭავჭავაძის ფიქრით, ეს მეოთხედობა იყო უმთავრესი ნაკლუფევანება ახლის რეჟიმისა, ეს იყო იმის მიზეზი, რომ არ ასრულდა, არ გან-

ხორციელდა ხალხის ნატურა და წადილი და ეს სომეხებში
 თავის რადიკალიზმით კი არ იყო დამაბრკოლებელი, არამედ ში-
 ნაგანის თვისებით, რომელიც არ ეთანხმებოდა ხალხის ჩვეუ-
 ლებს, ცხოვრებას, ურთი-ერთობას. პირველს, მეორე და მე-
 სამე წერილში ავტორი მართლ იმის დამტკიცებას ცდილობს,
 რომ მეორედობა, წილზედ-ჭერა, ის განუსაზღვრელი, სა-
 დავი-დაჩაბო რამ იყო წოდებათა შორის, რომელმაც ნა-
 ბატონანთაც და გლეხთაც—ამათ რასაკვირველია უფრო ძლიერ
 —აწილ. ერთის სიტყვით, ავტორის თქმით, ეს არის უცუ-
 დესი ნაკლულებანება გლეხთა «დებულებისა» და თუ მას გაა-
 უქმებენ, თუ გლეხთა გადასახადი განისაზღვრება, ზომა რამ
 დაედო, მაშინ საყმევს ბევრით გაუადვილებს ნაბატონანის
 ვალდებულების ასრულება და ამითი ცხოვრებაცა.

რამოსაზრებამ მიაყენა ბ. ჭავჭავაძე ამ აზრსა, ან რა
 საბუთებით ამტკიცებს—ამას ესლავ გაიგებს მკითხველი.

ამ საგნის შესახებ სჯის შემდეგ ავტორი ცხხადებს თავის
 მოსაზრებას შემდგომის ტეზისებით:

1) «წილზედ-ჭერა მამულისა მიზეზიანი და სადავი-და-
 ჩაბო უფლება—მოვალეობაა ორთა წოდებათა შორის.» ამის
 დასამტკიცებლად ბ. ჭავჭავაძეს მართლაც რიგანი, ჯეროვანი
 საბუთები მოჭყვავს: ბევრი ჯაფა, სარჯი მოსდიოდა ნაბატონან-
 საც და ნაყმევსაცა; ბევრიც ეღუპებოდათო; სშირად უნდუ-
 ბოდათ სასამართლოში თრევა, ერთი-ერთმანერთისა მტრობაო
 და სხვ.. ეს სულ მართალია, მაგრამ, განა ამ ჩვეულებრივს სა-
 შუალებას კი, რომლის უკეთესობას ამტკიცებს ავტორი, არ
 მოსდევს იგივე ნაკლულებანება? თუმა დალას გადაკეთილ გა-
 დასახადს ეძახიან, მაგრამ ისე გადაჭრილიც რომღია მთელის
 მხრისთვის მაინც, როგორც ზოგიერთებს ჭგონიანთა ჩვენ შეგ-

ვიძლიან ბეგნი მაგალითი დავსახელეთ, რომ ერთსა და იმავე ზღაგას სხვა-და-სხვა ნაბატონარები სულ სხვა-და-სხვა ზომას ღაღას იღებენ: ერთი ერთს კოდსა, მეორე კოდ-ნახეკარს, მესამე ორ კოდს; ერთი იღებს მარტო ხორბალს, მეორე ზედ ბზესაც, ჩაღასაც უმატებს; ერთი იწყავს ათ გირვანქიანის ლიტრით, მეორე თორმეტნიანით, თხუთმეტნიანით და სხვა. რასაკვირველია, რომ ამის განსაზღვრაში ბეგნი დავი-დაჩაბა, მტრობა ყოფილა და არის კიდევ და თუ სასამართლომდე არ მიადწევს ხოლმე ეს უკმაყოფილება, განხეთქილება, მარტო იმიტომ, რომ გლეხი, ცუდად თუ კარგად, დაზინავდა, დაუ მოჩხილა თავის ბედს.

მაშ ამ მხრით ღაღით ჭერა ბეგრით არაფერთა სჯობნა წილზე-ჭერას, როგორც ავტორი ფიქრობს.

კარდა ამისა, ღაღას ერთი გლეხისათვის ძალიან მანვე თვისებაც მოსდევს, სახელდობრ ისა, რომ ღაღა წინადკე გადაკვეთილია: მოკა, თუ არ მოკა მოსაკალი — ნაბატონარისთვის სულ-ერთია — გლეხმა მაინც უნდა ღაღა აძლიოს; და რადგანაც მოუსახლობა ესლა ძალ-ძალ ეწვევა ხოლმე სოფელელს, ამიტომაც ამისთანა შემთხვევებში ღაღა გლეხის სხვა გვარ შრომას უნდა დააწვეს.

შარშან ჩვენს მხარეს (კახეთისაკენ) სიძინდები ძთლად მოსცდა, თესლიც კვლარ გამოიტანეს; ნაბატონარმა ღიბურაღმა, რასაკვირველია, ერთი მარცვალიც არ დაუკლო ღაღას და გლეხს ზოგი იფუღით, ზოგი ბეგრით უნდა გადაეხადა. წილზედ ჭერას კი ეს ნაკლებულება არ მოსდევს. მეორეს მხრით, კაი მოსავლის დროსაც დაღაღული ნიადაგი იმოდენისაც კვლარ აძლევს გლეხს, რომ დიდი რამ განსხვავება იყოს მეორესეულში და, ვთქვათ, დღიურზე ორ-ჯოღიან ღაღაში.

2) „წილზედ-ჭერა ჩვენის ხალხის ჩვეულებასჲდ არ არის აღმოცენილი იმ სახით მანც, რა სახითაც იგი გლეხთა განთავისუფლების დებულებამ შემოიტანა.“ (იქვე). აქ საბუთად ჩვეულების მოყვანა ვერაფერი შესანდობელი მიზეზია. ჯერ ის უნდა დამტკიცდეს რომ ჩვეულებაში საწინა ხალხისთვის არაფერია და მაშინ შეიძლება კაცმა სთქვას, რომ ჩვეულებასჲ ხელის აღება — ცუდი საქმეა. თუ ყველაში ჩვეულებას მივსდით, მაშინ ხომ ხალხის წინ-წასვლა, წარმატება შეუძლებელი გახდებოდა. ბევრსაც რომ მივიხედოთ ჩვეულებას, ის ჩვენ კვლავ გვიერთგულებს, თითონაც იცვლება, ეკარგება უწინდელი ძალა, სიმტკიცე. ცხოვრების ახალი მოვლინებისანი მოითხოვენ კაცთა შორის სხვა ერთი-ერთობას, სხვა კავშირს, იმათ აღარ შეეფერებათ უწინდელი «ჩვენებურობა, ძველებურობა.»

3) „წილზედ-ჭერა კონომიურის მხრით, თუძცა ეძობასჲდ ბევრად უკეთესია, მაგრამ მანც მანებელია.“ (იქვე). ამ ტეზისს, ცოტა არ არის აკლია განსაზღვრული, ზედ-მიწევნით გამართებული აზრი. თუ საერთოდ ეთქმის ავტორს: წილზედ-ჭერა მანებელია — ეგ თვალსაჩინოა და მართალი; მაგრამ ეპაპე ხომ ყოველს სხვა გადასახადზედაც ითქმის; და თუ ვი გადაკეთებლ დაღასთან შედარებით არის ნათქვამი — მაგას ხომ ჯერ დამტკიცება უნდა. ბ. ჭავჭავაძე ცდილობს სხვა-და-სხვა მეცნიერების სიტყვებით გაამართლოს თავისი აზრი — წილზედ-ჭერის უმჯობესობა დალით ჭერასთან. მას მოჭყვას ადამსმიტის, მაკ-კულულის, ჯონ-სტიუარტ მილლის და სხვათა აზრი; მაგრამ ავტორს ერთი რამ დაეწიება: ის რომ როცა ხსენებულნი მეცნიერნი და მწერალნი ამტკიცებენ გადაკეთებლ გადასახადის უმჯობესობას წილზედ-ჭერასთან შედარებით, — იმათ მხოლოდ ერთ-რიგი გადასახადი, აქვთ სხვაში; ყუფლით

გადასახადი და ანა-სულადით, რომელიც ხსენებულ მწერლებში სამშობლოში საშუალო საუკუნეებშივე მოისპო. ამის გამო ბ. ჭავჭავაძის მოყვანილი ციტატები ჯეროვანნი, კერძოდ ნი აჩიან, მაგრამ როცა ჩვენ შეუდგებით ღალის, ესე იგი, სულადით გადასახადის გარეგანს, მოკინდომებით მის წილზედ-ჭერასთან შედარებას და უძველესობის დამტკიცებას, — მაშინ ნება ალანა გვაქვს, ადამ სმიტი და სხვანი მოვისვენოთ.

მაგალითად მოვიყვანთ იმ ალანს, რომელიც ჩვენს ავტორსაც აქვს გამოწერილი: «მხენელ-მთესველს» (რომელსაც წილზედ უჭირავს მიწა) ანაგითარი სარტა ანა აქვს მამულის კარგად შემუშავებისათვის სარჯი რამ გასწიოს, იმიტომ რომ მიწის პატრონი იმ დანახარჯის მოგებაში წილს იღებს და სარჯში კი ანა» (ივ. 1877 წ. № 2. გვ. 10). აშკარაა, ამ შემთხვევაში მხენელ-მთესველი ისე მუყაითად, მხენელ ვერ მოექცევა მიწას, როგორც მაშინ, როცა მიწის პატრონს პირდაპირი მონაწილეობა არ უდევს მოსახალში, როცა ის მარტო თუელით გადაკვეთულ მასტას იღებს. ბ. ჭავჭავაძეს კი ესევე საბუთები მოჭყაჯის იმის დასამტკიცებლად, რომ ვითომ გადაკვეთილ ღალას (სულადი) იგივე თვისება ჭქონდეს მინიჭებული, როგორც თულის მასტას; ის ამბობს: «აადგანაც აქ (წილზედ-ჭერაზედ) შრომის ნაყოფში ცოტად თუ ბევრად სხვასაც წილი უდევს, გლეხს ვერ ექნება ისეთი საღისი, ისეთი გამომეტებით მხნეობა შრომისათვის, როგორც იმას, რომელიც თავის საკუთრებაზედ მუშაობს» (იქვე). ეს თავით ბოლომდე კონომიურის მხრით შეტდომას და აი რისთვის. რა არის წილზედ-ჭერა საერთოდ და მეოთხედობა კერძოდ? ეს ის არის რომ მიწის პატრონი, ნაბატონარი, თავის გლეხის მინდვრიდგან მიითვლის მეოთხედს, პურის, ქერის მხას, სი-

მინდის კონას, მიაქვს თავის კალაზედ და იქ თავის შრომით უნდა გალენოს, გაანიავოს, გააცხავოს და სხ.. ღალის ადების დროს კი მიწის პატრონი მიდის გლეხთან და ან ზედ კალაზე, ან ბელედიდგან იწყავს გადაკვეთილს ზომას მოსავლისას.. აქ გადასახადის ბუნება, თვისება ერთია. როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში მიწის პატრონის ასაღები ერთი და იგივეა: ხორბალი, სიმინდი, ფეტვი და სხ.. მაშასადამე აწავითარნი არსებითი განსხვავება არ არის ამ ორ-გვარ გადასახადში. ამიტომაც იმაზედ ლაპარაკი, რომ გლეხი მეორედში ჩამდგარი, «ისე ხალისიანად, ისე თავ-გამომეტებით» არ იმუშავებს, როგორც ღალის მიმცემი, ჩვენ სრულიად უსაფუძვლოდ და უნაყოფოდ მიგვაჩნის.

4) «მიწის ჭერაში ჩვეულება ყველა სხვა ძალაზე მტკიცეა, თვით-რკვეულია» (1877. № 3, გვ. 5). თუმცა ეს ბევრით მართალია, მაგრამ ისეთი მნიშვნელობაც არა აქვს, როგორც მას ჩვენი ავტორი მიაწერს. მართლა რომ აქ ჩვეულება ისე მტკიცედ სუფევდეს, მაშინ არაფრის ცვლილებას არ უნდა ვხედავდეთ ევროპაში ამ საგნის შესახებ; მაგალითებზე მიწის სარგებლობის მასტა დიდი ხნის განმავლობაში ერთი და იგივე უნდა დარჩენილიყო; მაგრამ, ცხოვრებაში ეს კი ესე არსად არ მომხდარა. არ არის იმისთანა მხარე, რომ ეს მასტა, ასის წლის განმავლობაში მანც არ მომეტებულყოფს, მეტადრე ახალს ისტორიაში. ბელგიაში, ჰოლანდიაში ეგ მასტა ყოველწელიწადს ჩამდენიმედ მაღლა იწევს. ზოგიერთ ინგლისში, სადაც საშუალო საუკუნეებში მიწის მასტა ჩამდენიმე შილინგი ყოფილა, ესლა იმოდენავე მიწას ადევს ჩამდენიმე სტერლინგი ღალის, მასტის რაოდენობაზე დიდი გავლენა აქვს ხალხის გამრავლებას, მიწის მოსავლის ფასს, შეუმუშავებელ მი-

წების რადენობას და სხვ. თუ ინგლისში საშუალო საუკუნოებში მიწის მასტა ერთი და იგივე იყო, ეგ იმიტომ, რომ ამ ხანში ხალხის რიცხვმა თითქმის არ იმატა. შორეულს მაგალითებს რად ვეძებთ; ჩვენს ქვეყანაშიაც ბევრია. ამ რცის წლის წინად, როცა საქართველოში ტყე მრავალი იყო, ხალხი ნაკლებად, ხე-ტყის შოვნა გლეხს თითქმის არაფერი უკლებოდა, ესლა კი მამა-სისხლად იღირს. ამის მაგალითებს ქვევით მოვიყვანთ.

ეს იყო ჩვენი სათქმელი ავტორის მეოთხედობის განსილვაზე; როგორც ნათქვამია კიდევ, ბ. ჭავჭავაძე ამ წილზედ-ჭერაში ჭხედავს უმთავრესს, უდიდესს ნაკლულებებს გლეხთა რეპროდუქციას და ამიტომაც აღიარებს სურვილს, რომ მთავრობამ ამ ნაკლულებებს მიაჭციოს უპირატესი ყურადღება და მოსზოს იგი. ავტორის სურვილი გამომტმულია უკანასკნელს, მუხუთე ტყისში.

5). «ამის გამო პირველი და უპირატესი ყურადღება მიჭციული უნდა იქმნას ჩვეულებაზედ, როცა მიწის-ჭერის შესახებ რაიმე ცვლილება საჭიროდ დანახულია.»

ახლად ეს კვითსოთ ბ. ჭავჭავაძეს: ნუ თუ ამ ზემოხსენებულ «ნაკლულებებსა» გარდა, სხვა და უფრო მეტი, უმთავრესი, ნაკლულებანება არა აქვს-რა გლეხთა დებულებასა; ნუ თუ სხვა «კლანჭ-გამოსადები» აღარა დარჩა-რა ნაბატონარები-სა და ნაუმეკვების შორის გარდა ამ მეოთხედობისა; და თვით ამ ზომით წილზედ-ჭერაში განა მარტო ის «ნაკლულებანება», რომ მაგ-გვარნი მიწის ხმარება ჩვეულებას ეწინააღმდეგებს? არა, უმთავრესი ნაკლულებანება ამ რეპროდუქციას ის კი არ არის, რაც ბ. ჭავჭავაძეს უჩვენებია მკითხველისათვის; ეს ჯერ ის საში-ნელი მკირი იყსანია, რომელიც კისრად დაადგეს გლეხებს მოჭ-

რჩლის მიწების გამოსასყიდლად, და მეორე ის რომ ნაუძე-
კები ხელ-ცაღიეწნი დაჩნენ იმ სახსარს, რაც აუცილებელ
საჭიროებად ითვლება გლეხთა ცხოვრებაში: გლეხს არ მიუცა
არც ტყე, არც საძოვარი. ძირითება ამ რჩის სახსრის მო-
სახმარებლად ნაბატონარებისა და ჩაუძეების ნება-ყოფლობაზე
იყო და არის დამყარებული.

კანონით უდიდესი ფასი მიწისა დაიდო საზოგადოდ დღი-
ურზე: ურწყავის მიწისა თხუთმეტი მანათი და საწყვავისა სა-
მი თუმანი. ჩვენში კი ეს უკანასკნელი ფასი დასდევს ურწყავ-
საც და საწყვავსაც.

როგორც ჰქვდავს მკითხველი, ეს ფასი იმ დროსთვის
ძალიან დიდია, ამ იფასად იქნება არც ერთ საქართველოს გუთ-
ხეში არ ღირებულყოფილი მიწა. ამის კვალბაზედ, თუ გლეხი
მოიწადინებდა თავის გადაჭრილის მიწის გამოსყიდვას, უნდა
შეეტანა ნაბატონართან, ან საზინაში, თუ მთავრობა შეელო-
და მას, ექვსი ურცენტი იმ ჯამისა, რადენდაც იყო დათა-
სებული გადაჭრილი მიწა (თუმანზედ სამი აბანი). ან ამ ან-
გარიშით გლეხი - კაცი აძლევს წელიწადში დღიურზე ცხრა
აბანს; მთელ ანა დღის გადაჭრილს მიწაში უნდა მისცეს 18
მანათი; დაუმატეთ ამას სამი მანათიც კარ-მიდამო ადგილის
გადასახადი, მაშინ დაინახავთ რა ზომი ფულსაც ისდის სოფ-
ელი ნაბატონარის სასარგებლოდ. ესე უნდა შეჭქონდეს გლეხს
რძიმოც-და-ცხრა წელიწადი, კიდრე სრულიად არ შეისყიდის
თავის მიწას, მანასადაც ის ათი დღის მიწა და საკარ-მიდამო
ალაგი იმას დაუჯდება, რომ სარგებელიც არ ჩაუთვალთ,
(21 მანათი 49 წლის განმავლობაში) ან რჩი თუმანი და ცხრა
მანათი.

რასაკვირველია, ამ ფულს რაჟინ ცოცხს არ დააჩქევეს

და კინც ცოტათი მანც იცის ჩვენი სოფლის ცხოვრება, იმას საბატონოდ გადასახადი წელიწადში ოც-და-ერთი მანათი მცირედად არ ეჩვენება. თუ ფულით არ აძლევს გლეხი ნაბატონაჩს ამ გადასახადს, სულადით მოსაკლავი მეოთხედი უნდა მიუტანოს კალოზედ. ეს გადასახადი იმითი კი არ არის მაგნებელი, რომ ჩვეულების წინააღმდეგია და განსაზღვრულობა აკლია, როგორცა ბძანებს ჩვენი ავტორი, არამედ იმითი, რომ მეოთხედია და არა მეათედი, მეოცედი. ამისთანა უშეკლებელი გადასახადი არა უოფილა არც ერთს განთავისუფლებულ ხალხში. თვით საფრანგეთშიაც დიდ რევოლიუციამდე მიწის ღაღას საერთოდ მეათედსე მეტს არ აძლევდენ, *).

რასაკვირველია, ეს მეოთხედი ისე მძიმე გადასახადად არ ეჩვენებოდა გლეხსა, თუ რომ მაგითი გათავებულები იმისი ბედშაობა, მაგრამ როცა იმის ქონებიდან სსვა ორი მეოთხედიც სასულმწიფო და სასულიერო საჩუჭში, საბატონო და სასულმწიფო ბეგარაში მიდის, მაშინ აშკარაა, რომ ამ ღიღმა მეოთხედობამ უნდა გააბეჩავოს გლეხი.

*) ეს უენიშვნა სტატისის ავტორს შეცდომით მოსვლია. საფრანგეთში დიდს რევოლიუციამდე სხვა-ად-სხვა მაზრებში სხვა-და-სხვა გადასახადი ეღვათ გლეხებს მამულის პატრონისაგან; ზოგან ეს გადასახადი ბევრად მეტი იყო მეათედზედ და ბევრგან გლეხ-კაცებს სულს იქით აღარა რჩებოდათ რა: რაც მოსდიოდათ, ზოგი მებატონეს მიჰქონდა, ზოგი ეკლესიას, ზოგი სახელმწიფოს. ავტორი რომ მეათედზედ ღაპარაკობს, ეს მეათედი (dime) საეკლესიოდ იყო დანიშნული.

ამ გვარი შეცდომა, რასაკვირველია, ავტორის აზრს არ არღვევს, რადგან, თუ საფრანგეთში უსამართლობა იყო, ეგ იმის საბუთი როდია, რომ იმისთანა უსამართლობა ჩვენშიაც წესად დაიდვას.

თუმცა «დებულების» დედა-აზრის იყო, რომ უკვლავ გლეხისათვის მიეჭრათ მიწა, მაგრამ ნამდვილად კი ძალიან გაძნეულად ამის ასრულება. სხვათა შორის, ამის მიზეზი ის იყო, რომ მიწა მოუჭრეს მარტო იმ გლეხთა, რომელნიც უკანასკნელ კამერალიის აღწერაში ცალკე კომლად ითვლებოდნენ. ყოველს კომლს, თუნდა რუსანში სუთი ცოლ-შვილიანი გაყი-ვაციც უფილიყო, მანც ათის დღის მიწაზე მეტს არ აძლევდენ; კანონის ერთი სხვა მუსლის ძალით, მებატონეს ნება ჰქონდა, დაეჭინა თავისთვის ნასეკარი სასნავი მიწა და მეორე ნასეკარი ნაყმეებისთვის მიეტა; და ამ უკანასკნელთ, თუნდა თითო დღისაც არა რგებოდათ, მებატონეს ნასეკარზე მეტს ვერ გამოართმევდენ.

აი ამ რეგულაციამ მოკლენამ მოასდინა, რომ ესლ უკვლავ სოფელში იზოგება არა ერთი და რჩი გლეხი, რომელთაც ერთი გლეგი მიწაც არ უჭირავთ. სამწუხაროდ, ამასე დაწვრილებით კერას ვიტყვით, რადგანაც ამ საგნის შესახებ სტატისტიკა ჯერ სსენებაშიაც არ არის.

როგორც მოგესსენებათ, ბატონისაგან განთავისუფლებული გლეხი განათავისუფლეს ტყისაგანაც; სოფელელი, როგორც ერთს, ისე მეორეს მთაშორეს; მაგრამ, როგორც ერთისაგან განთავისუფლება სასისარულო და სალსინო იყო, ისე გაშორება მეორესთან—სამწუხარო და სადარდელო.

სწორედ ეს უტყუობა იყო ის სადავი-დაჩაბო, მიზეზიანი «კლანჭ-გამოსადები» ვითარება, რომელმაც გლეხი თითქმის ისევ ნაბატონარის ყურ-მოჭრილ მონად გახადა, როგორც განთავისუფლების წინად იყო; რადგანაც კანონმა *) ნაყმეს ტყე

*) «§ 30. მებატონენი არ არიან ვალდებულნი აძლიონ ტყე გლეხთა შენობისათვის.

არ მისცა, იმას, რასაკვირველია, ისევე ნაბატონაწისთვის უნდა მიემართა, მას მოერიგებოდა. მიჭმართა და მოურიგდა 'კიდევ. კანონი მაგ მოერიგებას «კეთილ-ნებობით» მოერიგებას უწოდებს, მაგრამ ვაი ამისთანა კეთილ-ნებობას. ნაბატონაწის მიწაში ჩამდგარს, მის მამულზე დასასწავლებლს, იმის მამულებით შემოზღუდულს, — ერთის სიტყვით, ნაბატონაწის მასში ვაბამულს გლეხს, რა ნება-ყოფლობასე შეეძლო ლაპარაკი? თუ ვერ მოერიგდებოდა ნაბატონაწს, მას სად უნდა წასულიყო, ვისთვის მიეტანებინა? სხვა ნაბატონაწებისთვის? მასინ სომ გლეხი სულ დაიღუპებოდა; მებატონე კი ათასის გზით და მხრით გაუმწარებდა მას სიცოცხლეს, აუტირებდა ძველებს. ქათამი გადაუფრინდებოდა სადმე, საქონელი გაეპარებოდა — ყველა ნაბატონაწის მამულში მოექცეოდა და იმის ხელში ჩაკრდებოდა; თუ ტყით ვერ დაიჭერდა გლეხს ხელში, მიხდვრით, საწყვავით მანც სად წაუვიდოდა. «როგორც თევზი ვაი ფაფკებს ვერ წაუვაო, ისე ჩვენ ჩვენს ბატონსაო», ამბობს ამ შემთხვევაში გლეხი.

როგორც ხედავთ, უჩხს გლეხს სხვა გზა არა ჰქონდა — უნდა დამორჩილებულიყო.

თუმცა ჩვენს ლიტერატურაში არავითარი ცნობა არ არის იმის შესახებ, როგორ მორიგდა ორივე მხარე ერთმანეთში, მაგრამ ზოგიერთი მაგალითი, რომელიც ჩვენ თვითონ გამოვიკვლიეთ, გვარწმუნებს ჩვენის სიტყვების ჭეშმარიტებას. ჩვენ დავასახელებთ მარტო ორს მაგალითს, რომელნიც მკითხველს უმაგალითოდ ნუ ეგონება. რასაკვირველია, სხვა-გვარი მაგა-

§ 31. მებატონენი არ არიან ეგრეთვე ვალდებული აძლიონ საწყვავი შეშა უსასყიდლოდ.»

ლითებიც ბეჭნია: თვითონ ჩვენც ვიცით, იმისთანა ადგილები, სადაც გლეხებს ასე დიდი გაჭირება არ ადგიათ, რომორც ჩვენგან აწერილს მაგალითშია, მაგრამ დაწმენებულ ვართ, რომ ხსენებულის კანონისაგან გლეხის დაჩაგვრა ამ საგანში სოფელს მალე იმ მდგომარეობამდე მიადწკინებს, რა მდგომარეობაშია იმყოფებიან გლეხნი, ჩვენს მაგალითში დასასლელბულნი.

აი ეს მაგალითებიც:

«შიდა-კახეთის თავში, ჯღაზნის მახლობლად სდეეს სოფელი მატანი; ამ სოფლის გლეხნი არიან ნაყმეგები თ. ჩ—ისა, რომელნიც ადგილობრივ უფრო სშირად რ—ებად ისახლეებიან. გარეშემო ხსენებულს სოფელს არტყია მშვენიერი, უშგულეპელი ტყე; ამის უდიდესი ნაწილი ეკუთვნის რ—ანთ. რასაკვირველია, ამათი ნაყმეგები ხსენებულის ტყიდგან ჭზიდვენ ყოველ-გვარს მასალას, რომელშიაც განსახლებულ ვადასახადს აქლექენ ტყის ჰატრონებს. რადგანაც ამ თავადის გვაროვნობაში ბეჭნი მონაწილენი არიან, ამიტომაც პირობები გლეხთა და ნაბატონართა შორის ცოტა არ არის, რომ განსხვავდება ერთმანეთში. მაგრამ არსებითი განსხვავება კი არ არის—რა მათ შორის. ერთნი უონაწილენი გლეხებს ამ გადასახადს ფულად აწერენ, თუმცა კი ფულის მაგიერ სოფელის შრომიდას სარგებლობენ. ეს ფულად გაწერა იმათ მართო, რომ გორც ეტყობა, ანგარიშის გასაადვილებლად მოუგონიათ: გლეხი სშირდას სთხოვს ნაბატონარს, გადასახადი ფულად აიღეო, მაგრამ ბატონი არ ჩადის. ამ უარის მიზეზსაც ესლავ შეგატყობინებთ. ჯერ კი ამას გეტყვით, რომ მატნელები ტყის მასტას ისდიან შუქლების დაგვარად — შველის მანათილდგან

ოც-და-ხუთ მანათამდე; როგორც მკითხველი ჭსედავს ამ
 ჭაჭტს აწავითარი განმარტება არ ეჭირება.

წელანვე ვთქვით, რომ გლეხს თუელითაც როდი ახდევი-
 ნებენ ამ ჯამს, მუშაობით უნდა აუსრულოს გადასახადი;
 და აი რა ანგარიშია ბატონისაგან დადებული: ღვინობისთვიდ-
 გან აზრილამდე დღიურ სამუშაოში გამოებარებათ ექვსი შაუ-
 რი, აზრილიდან მკათათვემდე კი ორი ახაზი; მარტო მკათა-
 თვეში—სამი ახაზი; დანარჩენი დროც ექვსი შაური. როცა
 მებატონე უბანებს, გლეხს ურემი მზად უნდა ჭქონდეს. ურეს-
 ზედ დღეში გამოებარებათ ერთი მანეთი. ყოველ ამ მუშაობის
 დროს გლეხმა თავის საგძლით უნდა გამოიკვებოს თავი. რად-
 განაც ნაბატონარებსაც გაჭირება მუშაობაში უფრო გაზაფხულ-
 ზედ და ზაფხულში ადგიათ, ისინიც, რასაკვირველია, გლეხებს
 ამ თავიანთთვის დაუფასებელს დროს ამუშავენ; ამისთანა
 ბეგარა რომ არ იყოს, სად იშოვიდა ნაბატონარი მუშას ამ
 გაჭირებაში ასე იათად. ამ გლეხების მუშობელნი, თუშები,
 თითო მანათს აძლევენ მუშას და იმასაც ძლივსა შოულობენ.

მეორე მონაწილეებმა უფრო ცხადად გადასტყეს სსენე-
 ბული ბეგარა. ისინი ახდევინებენ ნაყმეებს შემდეგს: თვეში
 სამ დღეს ფენის კაცს, ღვისაც საქონელი ჭყავს, ერთ ურემ-
 ნაც. მართალია ეს ცოტა იმაზე ნაკლებია, რასაც უწინდელს
 დროში იღებდენ, მაგალითებზე ზოგი სამჯდელო პინნი იმი-
 რეთში— კვირაში სამ დღეს*), მაგრამ მკითხველი ხედავს,
 რომ ესეც სამეოფია. აქ მებატონე თავის ხარჯით ინახავს
 გლეხს—ესეც პატრონისა. მაინც-და-მაინც წელიწადში მარტო

*) Грузинские церковные гуджари Дм. Пурцеладзе.
 გვ. 116.

ეს ბეგანა ანთიქეს უსაქონლო გლეხს ოც-და-თექვსმეტ დღეს და ხარკამბეიანს — ორმოც-და-რვა დღეს — სამუშაო წლისას, ე. ი. ტექვსედზედ მეტს *), ესეც ხვან-თესვისა და მკის დროს! გასაკვირველიც არ არის, რომ გლეხმა თავის ნაშრომს რიგის-ნად ვერ მოჟაროს.

ეს ამოდენი ბეგანა მართლ საწვავის ტუისაა; საშენებელ მასალას სხვა პირობა, სხვა ფული აქვს. გარდა ამისა, გლეხს, რომ ცხვრის ან ღორის დაყენება უნდოდეს საბატონო ტყეში, უნდა აძლიოს ოცის თავზე ერთი, მეტე სამეკზურე, სამთა, საბუღალო და სხვა.

მეორე მაგალითი: ზემოხსენებულ სოფლის ახლო არის მეორე სოფელი, ასმეტი; აქ თ. ჩ — ანთ ნაემეკები არა ჰყავთ; ამანთ მამულეში დასახლებულნი არიან სიზნები. ტუის გადასასხადი ამანთ ადევთ კვირანში ერთი დღე — ეს უფრო წაგავს ჩვენებურს — ძველებურს — კვირანში სამს დღეს. მართალია, ეგელ-გან ესე დიდი გაჭირება არ ადგია გლეხს, მაგრამ ჩვენ ყოველს წუთს უნდა ამის მსგავსე მოველოდეთ, თუ კანონმა, მთავრობამ არ მიაქცია ყურადღება ამ ორ წოდების ურთი-ერთობას, თუ თითონ თავის ძალით არ დააარსა რაიმე ერთი განსახდრული გადასახადი ფულით, თუ ბეგანით. ეს მით უფრო საჭიროა, რომ გლეხს ცხოვრება, გამოკვება თან-და-თან უჭირდება. ხალხი მრავლდება, მისი მამული ვი ერთი და იგივე რჩება; და მიწის სასიაროდ ალება მამა-სისხლად უკვდება; ამი-

*) სამუშაო წელს შეადგენენ მარტო ის დღეები, როცა მუშაობას არ უკრძალავს ჩვეულება; მაშასადამე უნდა გამოირიცხოს: კვირა დღე, საზოგადო და ადგილობრივი უქმეები; ისე რომ წელიწადში 250 დღეზე მეტი არ დარჩება.

ტომაც ამის შესაფერად სახლის კანონის გამოცემა, გლეხთა რეფორმის დამატება, აუცილებელი საჭიროებაა და დიდად სანატრელადაც უნდა ჩაირიცხოს.

ზემოხსენებულ შენიშვნებიდან, გვერნია, ცხადადა სჩანს, რას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება: ჩვეულების ძალას კი არა, როგორცა ბძანებს ბ. ჭავჭავაძე, არამედ 1) მიწის გადასასადის შემსუბუქებას— წილზედ-ჭერით იქნება თუ ღალით, მაგას დიდი მნიშვნელობა არა აქვს; 2) გადაჭრილ მიწის ფასის შემცირებას; 3) შამულის მიცემას იმ გლეხთა, რომელთაც არა აქვთ მიწა და 4) ზედ-მიწევნით განსაზღვრულის, შემსუბუქებულის ტყისა და საძოვრის მასტის დაღებას.

აი ასე რომ გამოიყვანოს ბ. ჭავჭავაძის მესხეთე ტერმინი—«ამის გამო პირველი და უბინატესი ყურადღება მიქცეულ უნდა იქმნას ჩვეულებასზედ, როცა მიწის-ჭერის შესასებ რაიმე ცვლილება საჭიროდ დაჩახულია»— ჩვენის თქმით, უფრო ნაყოფიერი და უფრო აწინდელ მოთხოვნის გამოძიქმული იქნებოდა.

ნ. ხუდადოვი.

(დასასრული მეშვიდე ნომერში.)

სიმღერა.

არ მინდა მე ღმერთი ვიყო,
ზეცის სივრცეს ვუღობულობდე,
მხოლოდ მწადის ნაზ თვალებში
ყოველთვის შენ ჩავტყუროდე!

მეუობასაც უაჩსა ვჭყოფ,
ხალხს არა მსუქს უბრძანებლობდე;
მხოლოდ მწადის, ტურთად ქმნილო,
მსურვალეს გუფს ჩავტყუროდე!

ცრემლს არ დავფვრი, არ ვინანებ,
თუნდც სამშობლოს ვშორდებოდე,
რომ ვიცოდე, ჩემს სატრფო,
შენის ეშხით დავსტკებოდე!

ვერ შეძავრთობს ჯოჯოხეთი,
გინდ შიგ მკაცრად ვიტანჯოდე,
რომ ვიცოდე შენს ჯალის ფეჩს
ტუჩებს ერთ წამს ჩავკეცოდე!

ხალხური ლექსები.

ცინამ წამოვა ღრუბელი, თავ-დაღმს დაეკიდება,
კაცი რომ თავის-თავს უზამს, მტერი არ მოკიდება.

სულელ კაცსა და რეკვენსა თავი უგვდავი ჭკონია,
დედა და მამა სადა ჭყავს, რატო არ მოუგონია.

ჩვენც ეგრე დავისრუებით, როგორცა ვხედავთ სხვისსა,
უკელს საფლავს გაგვითხრის, გამოახენენ ქვიშასა,
თავ-ბოლოს ქვას დასლობენ, იმსა ვხედავთ ნიშნათა.
იმს რაღა ეშველება, რომელიც შესჭამს სხვისსა!

ურიების ბელი.

უძველესი ხალხი. — მისი აკვანი და მისი ასპარეზი. — როგორ დაიცვენ ურიებმა თავიანთი ეროვნება? — რად სდევნიდენ მათ? — ვინი ბრალია რომ ურიებს მხოლოდ ვაჭრობა ეხერხებათ? — მეცხრამეტე საუკუნე შუა საუკუნეებს დაუბრუნდა. — ურიების ღვეზა გერმანიაში. — ურიების ღვეზა რუსეთში. — სიჯიჯა და საქმი. — «ძალღსა სცემდენ, რძალღს ასმენდენ.»

ხანდისხან ჩვენს მეცხრამეტე საუკუნეშიაც მოხდება ხალხი იმისთანა ამბავი, რომელიც ძველის მომხრეთ თავს ძალდაღებინებს და დიდ-გულად ათქმევინებს: ავიკამბობთ, კაცობრიობას წაძმატება არა ეტყობა-რათ; თუ უწინ იყო განუწყვეტელი ომები, ხალხი მანაც იმდენი არ ისოცებოდა, რაც ესლანდელს არა ნაკლებად სშიფს, მაგრამ განათლების წყალობით უფრო კაცობრიობის მუჯეტელს ომებში ისოცებოდა; თუ უწინ სდევნიდენ სხვა და-სხვა საწმუნეობის ძალკიარებელთ, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს არ არის, რომ განათლებულს გერმანიაში ერთი ყოფა ასტეხეს ურიების წინააღმდეგ და ვინ იცის ზოგი რა ღონეს არჩევს იმათ ასპარეზის შესამცირობლად, ზოგი რასათ: ზოგი ამბობს ურიები გადავასახლოთ, ზოგს უნდა, მოუსპოს უფლება მამულის საკუთრებად მიღებულობისათ. მეცხრამეტე საუკუნეში, ამ 1881 წელშივე, არ მოხდა ის მოძრაობა, რომელმაც მთელი სამხრეთ-რუსეთი მოიცვა, გამძვინვარებული მდაბალი ხალხი საბრლო ურიებს

მიუსია, თითქმის შთელი მათე ქონება მტკრად აქცეინა, და ვინ იცის რამდენის ურის სისხლიც დაღვრეკინაო.

უკელა ეს მართალია; ჩვენს დროსაც უსვი სამკვიდრო დაჩენია ძველის დროის საზიზღარ ჩვეულებისა და ადამიანთაგან ადამიანის მძულვარებისა; მაგრამ ეს სრულიად იმას არ ამტკიცებს, რომ მანც კაცობრიობა უკან-უკან მიდიოდეს, ან ერთს ადგილას იყოს გაჩერებული. ეს ამტკიცებს მხოლოდ, რომ რაც ადამიანს და ადამიანთა კრებას ერთსეულვე ძვალსა და რბილში გაუჯდება, მქელია მისი აღმოფხვრა. ესლა რომ ურებს წუგულ-კრულვა დაუწყეთ, ან იმათ მდევნელებისა სასტიკი დასჯა მოკინდომოთ, — უსამართლობა იქნება. ურებო ბევრს აწუსებენ სხვა რჯულის ხალხს, ბევრგან სისხლსაც სწოკენ მას, მისის უმეცრების წყალობით. თავის საჩუბლობას მისდევენ, მაგრამ ეს უფრო იმ საზოგადოების ბრალია, რომ მკლშიაღ ურები არიან გაბნეულნი, ვიდრე თითონ ურებისა. არც ისინი არიან დიდად გასამტყუნარნი, რომელნიც ურები-სა და სხვა სისხლის მსმელების მეოხებით სრულიად გადატაკებულან, აღელები დროს მზად არიან დაიხმონ ყოველივე კაცობრიული გრძნობა და გაბრაზებულები არა ზოგგენ თავიანთ შემწუსებელთა საჩხო-საცსოკრებელს და თვით მათ სიცოცხლესაც. სად შეუძლიან უპერანგო, ულუკმა-ზურო მუშას დააკვირდეს ისტორიას და სცნოს, რომ მიზეზი მისის გადაჩობებისა და ურებისაგან მათის დასაგვრისა ის არის, რომ ოდესმე ესენი თვითონ უფრო მეტად დაჩაგრულნი იყენენ და შურის-ძიებამ ჩააგონა ესმარათ ყოველი დონე უწინდელი შეურაცხება და წვალება გადაესდათ თავიანთ მწვალებელთათვის.

ჩვენი სიტყვები საზოგადოდ, უსაბუთოდ წარმართქმული არ არის; ჩვენ ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ სადაც კი ურე-

ბი ნაკლებ იყვნენ შევიწროებულნი, იქ ისინი თითქმის შეუ-
თვისდენ სხვა ხალხს და იმ ქვეყნებში ურჩებისა და ქრისტიან-
ების ერთმანერთზედ მისევე მსეტურ ჭანტაზიად მიაჩნიათ.

* *

შირველში ურჩები არც ისე ფულის მოყვარულნი იყვნენ,
არც ისე მარტო ვაჭრობის მიმდევარნი, არც ისე ლახარნი,
როგორც ესაა არიან. ეს არის უძველესი ხალხი, რომელ-
საც აკვნად დაბადების სიტუებით ედემი ჭქონია და უძველეს
დროში შირველი ადგილი სჭერია განათლების ასპარეზზედ.
არც თავის-თავის უადრსა და თავ-მოყვარობასა ყოფილა მოჭ-
ლებული, როგორც ესაა: როდესაც ეგვიპტის ფარაონებმა
მეტად შეაწუხეს და შეავიწროეს ეგვიპტეში მცხოვრები ებ-
რაელები, მთელმა ხალხმა მოსე წინასწარ-მეტყველის წინა-
მძღომლობით იგრილა, მიატოვა თავის მამა-პაპული ადგი-
ლი, არ მოერიდა რომოცის წლის მოგზაურობას და უცხო
ქვეყნებში გადასახლდა. არ მოერიდა მრავალ გაჭირვებასა და
ტანჯვა-წვალებას, ოღონდ მოეპოვა თავისუფლება და თავისი
თავი ეგვიპტის მძვინვარე ფარაონებისათვის არ დაემონავა.

როდესაც ებრაელები დასახლდნენ იერუსალიმის არე-მარე-
ზედ, იქაც მრავალჯერ გამოიჩინეს გულადობაც და ძამულის
სიყვარულიც. ჭილისტიმლებთან, მოახელებთან და სხვა ამ გვარ
ნახევარზედ ველურ ხალხებთან ბრძოლა იმათთვის ძნელი არ
იყო და ეს მათის გულადობის მაგალითად არ გამოდგება;
მაგრამ ებრაელებმა მამაცად იბრძოლეს ოვით სპაგალითოდ
გაწერთნილ რომაელთა ჯარებთანაც.

როდესაც რომის იმპერატორმა ტიტმა მოინდომა იერუ-
სალიმის დაპყრობა, ებრაელთა ჯარები დიდ ხანს უდგნენ წინ
მძიმედ შეჭურვილს რომაელთა ჯარებს, ბევრჯერ ფარ-ხმალიც

დააფრეკინეს და მტკრმა მხალად მასინ აიღო იერუსალიმი, როდესაც, ისტორიკოს იოსების სიტყვით, ერთმა მილიონმა ებრაელმა, და ტაციტის სიტყვით კი, ექვსასი-ათასმა წააკლათ თავის დედა-ქალაქს.

ეს მოხდა მე-70-ს წელს ქრისტეს შემდეგ. ებრაელებს დაეკარგათ სამშობლო, კვლავ გაუძლეს რომაელთა მიფლობლობას და იძულებულნი იყვნენ გადასახლებულიყვნენ სადმე. მაგრამ თითქმის სადაც უნდა მისულიყვნენ, ქრისტიანობაც უკან მისდევდათ და ჭანატიკოს მქადაგებლებისგან გაბრახებული ხალხი გადაემტკრათ მათ, ყოველი ურია ქრისტეს მწვალებელი ეგონა და ცდილობდა სამაგიერო გადაეხადა, ამიტომაც, სადაც კი ქრისტიანობა გაჩნდებოდა, ურეებს იქ ცხოვრება უძწარდებოდათ და მეტი ღონე არა ჰქონდათ, უნდა შორს წასულიყვნენ სადმე. ეს იყო პირველი მიზეზი, რომ ურეები თითქმის მთელს ქვეყანაზედ არიან მოფენილნი. მეორე მიზეზი კიდევ ის იყო, რომ თითქმის არსად არ აღვედგენ ურეებს უწინდელს დროში ნებას ადგილ-მამულის შექენისას და რა ექნათ, თუ გაჭრობისათვის და ხელ-საქმისათვის არ მოეკიდათ ხელი. ეს ორივე საქმე კი ისეთი საქმეა, რომ რომელიც კი მათ მოჰკიდებს ხელს, უფრო ეჩვევა მანწანწალობას, ერთის ქვეყნიდან მეორეში გადასვლას, კიდრე მიწის მუშავი.

ამას გარდა ჭკუა-გონების გავითარებით ურეები ბევრად მაღლა იდგნენ ზოგიერთს იმ ხალხებზედ, რომელთა შორისაც მათ მოუხდათ ცხოვრება, და როდესაც ჰსიდავდენ რომ მათზედ უფრო უმეტარნი და შეუგნებელნი ზიზღით უყურებდენ და ყოველთვის მზად იყვნენ თავიანთ ტყუილ უფლების დასაცვლად იარაღზედ ხელი დაეღოთ, — რა გასამტყუნარნი არიან ურეები, რომ თითონაც ზიზღით დაუწყეს უყრება თავიანთ

ქრისტიანს მეზობლებს და თავის თავისა და ქონების დასაცველად შეჰქვრეს ერთმანერთში პირი, რომ გაჭირებაში ყოველთვის ერთმანერთს მხარში ამოსდგომოდნენ და თუ ქრისტიანები ჩისხვით ჭ ქალით აღემატებოდნენ, იმათ სიმდიდრე მაინც შეეძინათ. რა გასაკვირველია, რომ შუა-საუგუნოების ინკვიზიციისა და «ძალად მოწვეულების» შემდეგ ურიებმა უფრო მტკიცედ დაიცვეს თავიანთ ეროვნება და საწმინოება? რა გასაკვირველია, რომ ესლაც კი ბევრს ქვეყნებში ურიებს ქრისტიანები თვალთ დასახსხავად ეჭვავრებათ და ქრისტიანებს ურიები?

* *

ესრედ და ამ გზით ასპარეზი ურიების მოქმედების თან-და-თან გაგრცვლდა; პირვანდელ ედემის მაგონრად მთელის ქვეყნის ზურგი დაიჭირეს. ყოველის ასლის ქვეყნის გამორჩენის შემდეგ ურიები მიეშურებოდნენ იმ ქვეყნებში, ეგება იქ უფრო კეთილად გიცხოკროთ და თვალში ჩხინდა ლაჩავისა ვეავდეთო. ამერიკაში რჩას ათასზედ მეტი ურიას და თვით გადაკარგულს ოკეანის კუნძულებზედ, რომელნიც ათას და რცი ათას კრისზედ აჩიან ევროპიდამ მოშორებულნი, გაიდგა ფეხი ამ უცნაურმა სალხმა.

ურიებმა მტკიცედ დაიცვეს თავიანთი ეროვნება, თავიანთ ნაციონალური ხასიათი, თავიანთი რჯული, მეტადრე იმ ქვეყნებში, სადაც უფრო შეწუხება ადგათ და ცხოვრებისათვის ბრძოლაში სიმტკიცე და თავიანთ მერჯულეთა გატანა უნდა გამოეჩინათ.

მაინც ბევრს გაუგვირდება, როგორ მოახერხა სხვა ხალხებთან შედარებით ამ ერთი-მუჭა ხალხმა, რომ თავის ცხოვრება შეაფერა სხვა-და-სხვა ჭაერს, ბუნებას, სხვა-და-სხვა მიწას და ან სრულებით არ აღმოიფხვრა დედა-მიწის ზურგიდაძმ.

ამის მიზეზი შემოდ-სენებულს გაჩნდა არის ისა, რომ ურე-
ბი საკვირვლად მრავლდებიან და დიდ ხანსა ცოცხლობენ.
შეითხველის თვალის აჭრელებისა რომ არ გვეშინოდეს, მრავ-
ალის ციფირებით დაკამტიცებდით, რომ ურეების ბავშვები
უფრო ნაკლებ იხრებიან, ვიდრე სხვა ხალხისა; სიკვდილი
პირველს ხნოვანებაში ნაკლებ ხშირია; რომელიმე წელიწადი
რომ ავიღოთ და შევადაროთ, რამდენი ბავშვი ებადებათ იმ
წელიწადს და რამდენი სული კვდება, ვნახავთ რომ ურეებში
უფრო გადაქმტება დაბადებულთა რიცხვი მომკვდათა რიცხვს,
ვიდრე სხვა ხალხებში, ასე რომ ურეები უფრო ადვილად
მრავლდებიან*). შესანიშნავია მართლაც რომ ზოგიერთი ავად-
მყოფობა ან სულ არ ეკარება ურეებს, ან ძალიან სუსტად
მოქმედობს მათზედ. მაგალითად ჭლექი და სურავანდი ძვირად
თუ შესვდება ურეას; აგრეთვე ხალეჩა, ჭირი ისე აუვლის
ხალმე ზოგიერთგან ურეებს გვერდზედ, თითქო ეს ხალხი
მართლაც ღვთისაგან ამოწერიული იყოს.

ერთი დოქტორი ამტკიცებს, რომ ვენეციის დედა-ქალაქს
ვენეტში 1851 წ. სოფლის დროს ათი ათასს ქრისტიანში
ას ოთხმოც-და-ხუთი კაცი კვდებოდა და ათი ათასს ურეაში
კი მარტო ოც-და-ექვსი.

1348 წელს გაჩნდა ჭირიანობა საფრანგეთში და ერთი
მემატეანე ამბობს: «ქრისტიანებში სიკვდილი ისე გასშირდა,
რომ ათში ერთი ძლივსა დაჩნდა. ურეებს კი თითქო რაღაც

*) ყოველ ამის დასამტკიცებელი ციფირები მოიხსნება ერთს სტა-
ტიაში: «De certaines immunités physiologiques de la race juive»
(«ზოგიერთი ფიზიოლოგიური უპირატესობა ებრაელთა ხალხისა»,) რო-
მელიც დაბეჭდილია ფრანგულს ჟურნალში «Revue Scientifique»
1881 წ. № № 17 და 20.

იკანკადა და თუ დაიხრტა ვინმე მათ შორის, ძალიან ცოტა, ამ ცისა და ბუნების წყალობამ აუღელვა უჩიებს მთელი ევროპა. ერთსა და იმავე ღრეს დაიწყეს მათი დევნა საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანიაში, სადაც მათ ჭებისა და მდინარეების მოწამლვას აბრალებდნენ*). არ ვიცით, რას უნდა დაბრალდეს ეს გარემოება რომ თუძცა უჩიები ძალიან ღარიბადა სცხოვრობენ, ქალაქების უვარგისს ჭყარსა სუნთქვენ, მხოლოდ ერთმანერთში აქეთ ცოლ-ქმრობის კავშირი და სხვა ხალხს არ იკარებენ**), — მაინც ავად-მყოფობა ძვირად ეკარებათ და ძლიერად მრავლდებიან.

ზოგი ამ მოკლეის მიზეზს ჭხედავს იმაში, რომ უჩიები ღრის ხორცს არა სჭამენ და ამით თავიდან იცილებენ ერთს მეტად მაკნე საჭმელს; ზოგნი იმას აბრალებენ, რომ უჩიები ადრე ქორწინდებიან, რიგინადა სცხოვრობენ, არა ღოთობენ და იმისთანა შრომას არ ეტანებიან, რომელიც სტესავს ადამიანის ჯანსა და ღონეს.

ძნელი გამოსარკვევია, რომელია ამ ზოგში მტყუნანი და რომელი მარტალი, მაგრამ რომელიც უნდა იყოს, მაინც ეს თვისება უჩიებისა კაი ფარ-სმალა მათის ეროვნებისა და რჯულის დასაცვლად.

* * *

*) იგივე სტატია.

**) მხოლოდ ერთსა და იმავე ხალხში ცოლ-ქმრობის კავშირი და მეტადრე ერთსა და იმავე გვარში მეტად მაზარალელებელია ჩამომავლობისათვის, როგორც გონებისა ისე სხეულის მხრივ. ჩვენ ვიცით რამდენიმე გვარი ჩვენშიაც, რომელნიც ერთმანერთში ხშირად აძლევენ ქალსა და ზოგიერთი იმ გვართაგანი ისე დაცემულია, რომ იდიოტები უფრო ბევრი მოინახება მათში, ვიდრე ჩვეულებრივის ქვეუ-გონების პატრონი.

ეკლესიის იმპატორს ურიებრს ეს ფარ-ხმალი თუ არა? ეკლესიის ეცადენ თავიანთ ეროვნების დაცვას და არ ერეოდენ სხვა ხალხში, თუ ზოგან ისე გაიბნენ და დაჭკარეს თავიანთი ჩვეულება და სხვათი, რომ ველარც კი ირჩევიან სხვა ხელსთა შორის?

დავიწყეთ ჩვენის ქვეყნიდგან:

რას ძველს საეკლესიო გუჯარში სწერია: *)

1) «1664 წ. დედოფალმა მარიაშვი, ასულმა დადიანისამ, დომენტი კათალიკოსის დროს შესწირა ურია დანიელა სოფელს ცხინვალს თავის სახლობით მცხეთის ეკლესიას და ვალად დასდო, რომ ყოველს შობის მარხვასში მიერთდია ეკლესიისთვის სუთი ღირება წმინდა სანთელი.»

2) 1745 წ. სურამის მამასახლისისა ვახიმ მიჭვიდა კათალიკოსს ანტონს მცხეთის ეკლესიის უმად ურია არონა.

გაცმა რომ ამ რას ძველად დათუქნოს თავისი სჯავ, ეს რი ძველი რომ საზოგადო მოკლენათა ნიშნად მიიღოს, ძეტად ცუდს არის შეადგენს ჩვენში საწმინდოების დეკნაზედ, იფიქრებს რომ ქართველები სასტიკად ეზერობოდენ ურიებს და იქნება სხვა რჯულის ხალხსაც, რადგან ამაზედ დამამცირებელი არა არის-რა ადამიანისათვის, როგორც უმად შეწირვა, ან უმად მისუიდა ერთის რჯულის გაცნისა მეორე რჯულის სალოცავისათვის. მაგრამ თუ დავაკვირდებით ჩვენს ცხოვრებას და დავსუდავთ რა დამოკიდებულებაა ჩვენში სხვა-და-სხვა მერჯულეთა შორის, სრულებით სხვა არის შევადგენთ.

არავინ ისეთი ძტერი არ იყო საქართველოსი, როგორც

*) ნახე დ. ფურცელაძის წიგნი: «Грузинские Церковные гуджари» გვ. 110 და 114.

სპარსელები, მაგრამ დიდი ხნიდანვე ბევრი სპარსელი სცხოვრობდა თბილისში და არავის არ ახსოვს და არც სადმე შეგვხვედრია წაგვეკითხოს, რომ ქრისტიანებს როდისმე შერიგოთ მათთვის და სარწმუნოებისათვის დევნა მოენდომოთ.

ზრეთვე ძვირად სადმე შესთვისებთან ურბები სხვა ხალხს ისე, როგორც ქართველებს შეეთვისენ. ჩვენდა სამწუხაროდ არ ვიცით, რა უფლება ჰქონდათ ჩვენში უწინდელს დროს ურბებს, შეეძლოთ თუ არა ადგილ-მამულის შექმნა, ჰქონდათ თუ არა ნება ყველგან დასახლებისა; — მაგრამ ეს ვი ვიცით, რომ უკანასკნელს დროს და ესლაც არც ერთს იმ უფლებას არ იყვნენ მოკლებულნი, რომელნიც ქრისტიანებსა ჰქონდათ მინიჭებული. ჩვენში ურბები თითქმის ყველანი შესანიშნავს ქალაქში და დიდს დაბებში სცხოვრობენ; ადგილ-მამულიც ბევრი აქვთ შექმნილი და ზოგან მსუბუქად თითონვე მუშაობენ მამულში. მათ შეითვისეს ჩვენი ენა, ჩვენი ტან-საცმელი, ზოგიერთი ჩვენი ზნე და ჩვეულება და დარწმუნებული ვართ, როდესაც ქართველი ხალხი ჭკუაში ჩავარდება და თავისი თავი სპარსა-ვი ცხვარი ადარ ეგონება, ბევრი ურბები დაანებებენ ვაჭრობას თავსა და მიწის მუშაობას მიჭყოფენ სელსა.

ზემოდ ამოწერილი ორი ტაბუტი ამტკიცებს მსოფლად ზოგიერთა მებატონეებისა და «დედოფალაების» გულ-ჰკაობას, რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ ოღონდა ეკლესიებს ვი შევწიროთ რამე და რაც უნდა იყოს ეს შენაწირავი, მაინც ცოდვა არ არის და ამ გვარ მსხვერპლით ვი ყოველსავე ჩვენს ცოდვას ნებისითა და უნებლიეთსა მოვირინებთო.

* *

სწორედ ღირს-შესანიშნავია ევროპაში ურბების განაწი-

ლებს და ვინც კი დააკვირდება მათს ცხოვრებას, მათს ჩიცხვას სხვა-და-სხვა სახელმწიფოში, მათს უფლებებს, შეიძლება ისტორიის ზოგიერთი კანონი თავლ-ნათლივ დაინახოს.

საშუალო საუკუნოებში ურბებს მოსვენება აწსად არა ჰქონდათ; ყველგან ქრისტეს მწკალებლებს ეძსდენ, ყველგან სტანჯავდენ მათ. ბევრგან აკრძალული ჰქონდათ ადგილ-მამულის შეძენა და თუნდა კიდევ აკრძალული არა ჰქონოდათ, როგორ გაბედავდენ ურბები უძრავ ქონების დაზატრონებას, როდესაც გული დაჟერებული არა ჰქონდათ, რომ ხვალინდელს დღეს მთელს მათს ქონებას სხვანი არ დაეპატრონებოდენ. წელანაც ვთქვით, რომ ამ მიზეზების გამო ურბებს მთელი თავისი ჭკუის დონე ვაჭრობისათვის და თავლ-მარგალიტის, ფულის, ადვილად შესანახის განძის მოპოვებისათვის უნდა მიემართნათ და ამ საქმეში ისეთი გამჭრიახობა და ხელღონება გამოიჩინეს, რომ კერც ერთი ხალსი მოქიშხედ ვერ გაუხდება.

საშუალო საუკუნოებში ასე იყო, მაგრამ დროთა ვითარებაში და ისტორიის წარმატებაში შესცვალა ვაცობრიობის სახე. ევროპის თვითუელს ხალსს უფრო დაეტყო თავის განსხვავებული სასიათი: ბევრმა გაიძრო ბარბაროსული კანი, ზოგმა თავისუფლების სამ-ფეროკანი დროში გაიკეთა და წარმატებოს დეკონად სამი ჩინებული სიტყვა ყოველთა ხალსთა „ძმობა, ერთობა, თავისუფლება!“ დაიწერა. ინგლისმა გაანახლა თავის პოლიტიკური წყობილება, მოჰკვეცა ფრთები თავის-ნება მტარვალეს და მიანიჭა ერთ-გვარი უფლება ყოველს ინგლისის ქვეშევრდომს. საფრანგეთისთვისაც სირცხვილი იყო რომ დიდ-რეკოლიუციის შემდეგ უჩიასა და ძრანცურსებში გარჩევა დაედო რძე.

ამ ორს სასელმწიფოში ურეებმა თავისუფლად ამო-
სუნთქეს; თუმცა თავიანთ საყვარელს ვაჭრობას და ბანკირ-
ბას მაინც მისდევენ, მაგრამ განა საუგუნოებით ჩანერგილი
ჩვეულება და ზნე ასეა და ორასს წელიწადს შეიცვლება? რა
ცვლილება მოხდა მათში ჯერ-ჯერობით, ესეც გასაოცარია.
ვერც ინგლისში და ვერც საფრანგეთში ურეას ინგლისელისა
და ფრანგურისაგან ვერ გააჩნეთ. ერთმა ისინი მოინადირა
და შეითვისა თავისუფალ დაწესებულებით, მეორემ თავისუფ-
ლების გარდა ფრანგურების განთქმულ თავაზიანობით.

პირველში კაცს ეგონება, რომ ურეები ისეთი დაუდგრო-
მელი ხალხია, რომ უნდა ეგრილათ, ყველანი ამ სასელმწი-
ფოებში გადასახლებულიყვნენ და თავი დაენებებინათ რუსეთი-
სა, ოსმალეთისა, რუმინიისა და სხვა სასელმწიფოებისათვის,
სადაც დღესაც კი ბევრგან იმათ აკრძალული აქვთ მამულის
შემენაო. თითქო ასე უნდა მომხდარიყო, მაგრამ აი რას ეკი-
მტვიცებს ციფირები:

რუსეთში ურეების რიცხვია 2,621,000; რუმინიაში —
275,000; ოსმალეთში — სულ რომ ცოტა ვთქვათ — 260,000.

საფრანგეთში ურეების რიცხვია 49,000 და ინგლისში
50,000.

ესე იგი, იმ ქვეყნებში უფრო ნაკლებად არიან ურეები,
სადაც იგივე უფლება აქვთ მინიჭებული, რაც სხვა ხალხს და
იმ ქვეყნებში კი, სადაც ისინი შევიწროებულნი არიან, მათი
რიცხვი უფრო მეტია, რასაკვირველია აქ ისიც არის მხედვე-
ლობაში მისაღები რომ თუ რუსეთში ბევრად მეტია ურეების
რიცხვი, ვიდრე საფრანგეთში და ინგლისში; თითონ რუსე-
თიც უფრო ვრცელია. მაგრამ ვატარა რუმინიაში კი რომ
275,000 ათასი ურეა იყოს და ინგლის-საფრანგეთში ორმოც-

ორმოც-და-ათი ათასი, — ეს ცხდად ამტკიცებს ჩვენს დასკვნას.

იმედი გვაქვს არაფერ იმე არ გადაგეთებს ჩვენს სიტყვებს, რომ ვითომც ურიები განგებ ეტანებოდნენ იმ ქვეყნებს, სხვატე მეტი შეწუხობა აყენიათ, თითქო ზურგი აჭკვებოდეთ და თითონვე უშეკრდენ უელს ქრისტიანებს, „აჭა, თოკი წაგვიჭირეთო.“ ჩვენი აზრი ეს იყო რომ, ვისაც ურიების გავლენასთან ბრძოლა სურს, უნდა განათლებით ებრძოდეს; რომელს ხალხსაც არ უნდა ურიებს დაეჩაგვრინოს, — გითანხაწოროს ისინი, მისცეს ყოველი უფლება და თითონაც ისწავლოს ამ უფლებებით სარგებლობა. ურიები რსმადლებსა და რუმინისს უფრო იმიტომ ეტანებიან, რადგან ამ ქვეყნებში ჯერ ვერ გაუგიათ, რომ შევიწროებითა და შეწუხებით რომელიმე ხალხის ამოფხვრას, ან შებაწკას არ შეიძლება; აქ ჯერ ვერ გაუგიათ, რომ ძალით ჯი არ უნდა დაუშალონ ურიებს სხვადასხვა უფლებით სარგებლობა, თავიანთ გავლენით უნდა დაუშალონ და ამ გავლენის მოსაპოვებლად სულ სხვა ღონე უნდა იხმარონ — ღონე ხალხში უმეტრების მოსპობისა — და არა შეასაუყუნოებისაგან მოგონილი საშუალება.

* * *

ვიდეთ ეს არის გასაკვირველი, რომ ამ გვარი ცხადი ჭეშმარიტება, ამ გვარი ანბანური აზრი ჯერ რიგიანად თავში არ გასტკეუფიათ ზოგიერთს ძალადის კულტურით დატვირთულს, ესრედ — წოდებულს „განათლებულს“ ხალხს. სწორედ გასაცვიფრებია, რომ ჩვენს საუკუნეში ეს ჭეშმარიტება ვერ უგრძობნია მაგალითად თვით გერმანიასაც და იქაური პრეტესორები და სწავლულები კათედრიდამ ქადაგებენ. რომ ურიებს უნდა ბურთები შევკვეცოთო, თორემ მთელი გერმანია იმით

დაიპყრეს. იმისთანა გამომხილი სწავლულებიც კი, რომლებიც არიან დიუჩინგი და ჭონ-ტრეინგე სასაღმრთლო აცხადებენ უნდა ხელ-ასლად აუკრძალოთ უჩიებს მამულების შექმნა; ან უნდა მივცეთ ნება, რომ გაზეთის ან ყურნალის გამომცემელი ან რედაქტორი უჩია იყოს; უნდა ადგილობრივ ადმინისტრაციას მივცეთ უფლება თავიანთ მანქანაში უჩიებს დასასვლელად აუკრძალონ*); ერთის სიტყვით გერმანიაში დღესაც ხმა აძლავს უჩიების მდევნელთ და საკვირველი ეს არის, რომ ეს ხმა ინკვიზიტორების ხმა კი არ არის, „ფრად პატრიცემულ“ სწავლულთა პირიდან გამომდის.

მაგრამ კაცობრიობის საამყოფად გერმანიაში გამომხილენ იმისთანა პირნიც, იმისთანა სწავლულნიც, რომელთაც უარ-ჭეკეს ცრუ-აზრები, უჩიების წინააღმდეგ წარმოთქმული და ჭეშმარიტების გზას დაადგინეს. აი რას ეუბნება ერთი გერმანიის სწავლული ზემოხსენებულ ვაჟ-ბატონებს:

„თქვენ სწუხართ, რომ უჩიები ვერ განემეცდენ; მაგრამ ვერ ერთი საუბრე არ გასულა მას აქედ, რაც უჩიებს უფლისებური ხელს უშლიდა, ნემეცობა არ დასტუებოდათ: განსხვავება საწმინდოებისა, სხვა საწმინდოების გაუტანებლობა ქრისტიანთა და ებრაელთა სასულიერო პირთაგან, და მეტად-რეკანონები, რომელნიც უჩიას მონასთან ათანასწორებდენ: უშლიდენ მცირედიც არის სწავი გერმანიის განათლებისა მიჭკარებოდა იმ ჭეჭუყიანს და საზინდაცს კუთხეს, რომელიც მთავართა გულ-უხსეობით დაენიშნათ მათ საზოგადოდ ცხოვრებისათვის. და თქვენ კიდევ გიგვიჩით რომ უჩიები არ განე-

*) ამ წლის მარტის წიგნი ინგლისურის ყურნალისა «Fortnightly Review». სტატია: «უჩიების წინააღმდეგ მოძრაობა გერმანიაში».

მეცდენ? დღე-ღა-ღღე მტირდება ესლას იმ ურიათა რიცხვი, რამელთაც გერმანიის კულტურას არ ეკარებოდა; მე და ჩემი მეგობარნი ებრაელები ვცდილობთ განუწყვეტლად ჩვენის მაგალითით, ჩვენის გავლენით, ჩვენის სწავლით მოვიასწლოთ ეს გათანასწორობის უამი და ამ დროს თქვენ მხარში უდგებით იმით, ვინც გვიქსაქსავს გზას და ცდილობს უმეტესად ჩააღრმავოს ის დღე, რომლის ამოკლებასაც მთელი ჩვენი სიცოცხლე ვცდილობთ.

ამ სწორედ სულ-დიდის გრძნობით ჩავინებულ სიტყვებს თანაუგრძნობენ ბევრი გერმანიელები, რომელთ შორის არიან მაგალითად გამომჩენილი ბუნების მეცნიერი ვინსონი და ისტორიკოსი მომსენი.

ამათ მეტებით და იმის წყალობით, რომ მართლაც მეცხრამეტე საუკუნე მეცამეტე და მეთოთხმეტე რაღდა, რომ ყოველის ზნეობისა და სხეულის ჯალათს სიტყვა დაეკეროს, — გერმანიაში ურებიზის წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვა საქმედ ვერ იქცა და მათ არც ერთი უთულება არ მოესპოთ; მაგრამ შემდეგშიაც ასე იქნება თუ არა, ვინ იცის!

* *

გერმანიაში კი ვერა ჭქნეს-რას ურებიზის მტრებმა, სიტყვა საქმედ ვერ აქციეს, მაგრამ რუსეთში არც ბევრი ლაშარაკი დასჭირდა, არც ბევრი ქადაგება. თითქმის ყველამ იცის გაზეთებიდან, რომ აზრილში დანიწყო ურებიზის წინააღმდეგ მღელვარება სამხრეთ-რუსეთში და რამდენსამე დღეს ისე მოედო მთელს იმ მხარეს, სადაც ურებიზი ესახლენ, თითქმის ყველა ქალაქებს და მრავალს სოფლებს, რომ მმართველობას ჯარიც კი არა ჭყოფნიდა მათ დასამშვიდებლად. გაზარმებიდან გამომწვეული ჯარი ერთს ადგილს რომ დააშოშმინებდა ხალხსა, სხ-

ლას სხვაგან ატყუდებოდა აჩუქლობა და ვიდრე იქ მიეშველებოდა, პირველნი, ახალის მაგალითით წაქეზებულნი, ხელ-მო-
 რედ თავს ეცემოდნენ ურთებს, ანგრევდნენ მათ სახლებს, ანად-
 გურებდნენ მათ ქონებას, ამსხვრევდნენ და ჰბლევდნენ ყოველის-
 თვისს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ.

მიზეზი ამ მოკვლენისა არის დაბალის ხალხის ენით გა-
 მოუთქმელი სიღარბე. ურთებს რუსეთში არა აქვთ ნება და-
 სახლდენ ზოგიერთს ალაგას, მაგ. ჩრდილოეთისა და აღმო-
 სავლეთის გუბერნიებში. დიდ-ძალი რიცხვი ურთებისა შეეუძ-
 შულია ჩამდენსამე სამხრეთისა და დასავლეთის გუბერნიებში
 და რადგან ზემო-აღრცხულის მიზეზების გამო ისინი უფრო
 ვაჭრობას ეტანებიან და ასპარეზი კი მეტად მცირე აქვთ, დი-
 დი შეცილება უნდა გამოუჩინონ ერთმანერთს და ერთი-ერთ-
 მანერთის ჯიბრით უფრო მეტი ტვიანი გამოსწოვონ დაბალს
 და უმეცარს ხალხს.

რას გასაკვირველია, რომ შეუგნებელს და გაღატაკებულს
 ხალხს თავის მტრად ეცნო ყოველი ურთა და მათზედ ამოუ-
 ყარა ის ჯაჭრი, რაც ჩამდენიმე ასის წლის განმავლობაში
 გულზედ დასდგომია.

ამ მწარედ გულ-მოსულ ხალხისათვის საკმაო იყო მცირე
 საბაბი, რომ ურტებ აფეთქებულყოფა და ყოველის შემძუსრე-
 ლი ძალა გამოეჩინა. საბაბი მარტლაც და მცირე იყო. ქა-
 ლაქს ელიზავეტგრადში 15 აპრილს, აღდგომის მეოთხე დღეს
 ერთს რუსს გაუტყდა ხუთ-გროშისანი სტაქანი ურთის დუქანში
 და ამ სტაქნის თვასის გადახდა არ მოინდომა; ურთა არ ეშ-
 ვებოდა; მოუვიდათ კინკლასობა. ერთი რუსი გამოვიდა დუქნი-
 დამ და დაიყოჩა: «ჩვენებსა სცემენო.» ეს ორი სიტყვა ელვის
 უმაღესად მკედო მთელს ქალაქის ხალხს, რომელიც უქმეების

გამო სულ ქუჩაში და შეიძენებოდ იყო გამოსულა. ამ წიტ-
ყუბისა: ააღელვა რამდენიმე ათასი სული, ბლომად დაღუულებ
ვადგამაც მოსცხო დეზები და მიჭუკეს ხელი ურების ქონე-
ბას. რის-სამს დღეზედ რაც კი რამ იყო ურებისა, ყოვე-
ლისივერი შემუსრეს.

აი რასა სწეწს ერთი კორესპონდენტი «ГОЛОСЪ»-ს:

«მხოლოდ დღეს, 17 აპრილს დავათვალიერე წანასკედი
და დანგრეული. პირველადვე გზის თვალში ის ეცემა, რომ ქუ-
ჩები თოვლსავით თეთრად არიან მოფენილნი ბურტყლით. არც
ერთი ბაღში, არც ერთი ლეიბი არ დაუგდიათ ურების
სახლში გაუჭრელი ბუმბული მთლად ერთიანად ქუჩებში გად-
მოუყრიათ; დანგრეულ სახლების გვერდით ჭურის დამტკრეუ-
ლი მებელი და სხვა აგეგეულობის ნამსხვრევი: ჭორტუპინო-
ბი, თესებ-მომტკრეული, სიმებ-დაგლეჯილი; სავკრდის მებე-
ლის ნაჭრები. შიგ სახლებშიაც ყოველისივერი დამტკრეული
და დანგრეულია: მინები, თეხები, კარებები, ფანჯრები....»

გამსეტებული ხალხი ამტკრევდა თურმე ვადკის ბონკებს
და ამ „ნეტარის“ ტბაში ცურაობდა. «სამმა კაცმა მონდობა
მუქთის ვადკით პირი გაეტკბარუნებინა და კინაღამ შიგ ჩა-
იღრჩო, კაკალერისა რომ არ ამოეყვანა», ამბობს იგივე კო-
რესპონდენტი.

ჟარი თურმე ვერას გახდა: ასს ჟარის-გაცხედ ათასი წი-
ნაღმდეგი გამოდიოდა. მაყურებელნი სრულებით არ იღებდენ
მონაწილეობას და არა შეუღიდენ ჟარს ხალხის დამშვიდებაში.
გარემომო სოფლებიდან ბევრი გლეხები მოსულიყვნენ, მიჭ-
მატებოდენ გამძვინვარებულს ხალხს და იძახდენ თურმე: «და-
ჭრათ ურებს ყელები და წავართვათ მიწები: ჩვენ მაინც
სამყოფი არა გვაქვს.» ამავე გლეხებმა გააგრცელეს მომ-

რახმა გარეშემო სოფლებშიაც, ასე რომ რამდენსამე დღეს მთელი მხარე — სოფელი თუ ქალაქი — აღელვებული იყო და დღესაც კიდევ არ დაწინაურებულა.

ამ აღელვებას ვერ გადურჩენ თვით იმისთანა ქალაქებიც, როგორც კიევი და ოდესსა. გადურჩენ კი არა — ამათ უარესი დღე დაადგათ.

აი რას იწერებოდენ კიევიდამ:

«მე ვნახე საზარელი სანახავი, მხეტერი მოქმედება, გავიგონე გულის მოძწევა... ტირილი... ქუჩაში ურია მიჩბის; თაგიდამ სისხლი ჩამოსდის და გზაზედ კვალს სტოვებს; პატარა ბიჭები კიყინით მისდევენ და ესვრიან ქვებს; აგერ წინ დროშა დასვდა; ურია სთხოვს გუჩერს ჩასვას დროშაში, მაგრამ ნაცვლად პასუხისა, გუჩერი გულში წიხლს სტემს; ურია შედის რომელიმე სახლის კარებში — იქიდანაც ტემითა და ტყუპით აგდებენ. აგერ მოსვდა კიდევ ქვა და დაეცა ძირს; სისხლი ჩაკადულსავით გადმოსჩქრიალებს...»

რაც მეტს ანგრივდა ხალხი, იმდენად უფრო უძლიერდებოდა ყოველისთვის შემუსვრის სურვილი. დედა-პატები და ბავშვებიც კი ცხარე მონაწილეობას იღებდენ, ჯარს პირველში კი ერიდებოდენ, მაგრამ მასუკან აღარც მას შეეზღუნენ, ჯარიც ორს ცეცხლს-შუა იყო მოქცეული. არ დაემშვიდებინა ხალხი — არ იქნებოდა და დამშვიდებასაც ვეღარ ახერხებდა. იარაღის ხმარება შეუძლებელი იყო. როგორც ხარს წითელის ნაჭრის დანახვა აბრაზებს, ისე ხალხს სისხლის დანახვა უმეტესად გაამხნელებდა. კიევშივე ერთ-ერთი ამ აღელვებულ გროვასში დაჭრილიყო და ხალხს რომ ეს დაენახა, გამძვინვარებულიყო, დაეწყო ქვების სროლა, მივარდნოდა ჯარსა და გტაცნა შუბებზედ სელი...

ჯერ ნამდვილად არ იცინა რამდენის აღნიშნის სიტყვა-
ხლე შეიწინა ამ არეულობამ; ამბობენ ზოგან ოცამდისაც
მოკვდა.

მარტო ურიების ჯანის ამოსაყრელად მოხდა ეს ამბავი
თუ არა?

ჭაკტები ამტკიცებენ რომ ეს მოძრაობა ურიების საზღ-
ვმურების სიძულვილით არ მოხდა; მიზეზი იყო ურიების
მსრივ დაბალის სალხის ეკონომიურად შევიწროება. ეს ვეკ-
ლასთვის ცხადია, ვინც კი ამას დააკვირდება რომ სალხი თით-
ქმის მარტო ურიების ქონებაზედ ყრილობდა ჯავრსა. ეკონომი-
ურად სალხს ურიებს გარდა სხვაც ბევრი აწუხებს და რამ-
დენსამე რუსულს გაზეთშიაც იყო ნათქვამი, რომ ურიების
გარდა ბევრს ქრისტიანსაც ცუდი დღე დაადგაო. ამას გარდა
ზოგან სოციალისტებსაც დიდი მონაწილეობა მიეღოთ ამ
საქმეში და ისინი მარტო ურიებზედ არ წააქეზებდენ სალ-
ხსა.

გაზეთს «Порядокъ»-ში იწერებოდენ ოდესიდან, რომ
თვალები დასუჭული უნდა ჰქონდეს, ვისაც ამ მოძრაობის მი-
ზეზი მარტო ურიების მძულვარება ეგონებაო. ვინ იცის, რამ-
დენის ქრისტიანის სახლი გასტეხეს ოდესაში და ქონება და-
ღუპესო.

კიევიდანაც იწერებოდენ თურმე რომ დიდი მამულის
პატრონები და მდიდარი ქრისტიანი ვაჭრებიც შიშმა აიტა-
ნაო, რადგან სალხს ლაშაკაზუდაც და ქცევასუდაც აშკარად
ეტყობოდა, რომ ურიებს ოცა მოჩხებიან, სხვა მდიდარს
სალხსაც არ დაზოგავენო.

შესანიშნავია აგრეთვე ის სიტყვები რომელიც ხელმწი-

ფეხი იმპერატორის უბრძანა უბრძანის დეპუტაციას: «ეს აჩუ-
დაბს მხოლოდ უბრძანის საბაზობითაჲსის გამწვეული, მაგ-
რამ რეკლამაციონების საჭმე კიაღ.»

24 მაისს.

დასრულდა კონსტანტინოპოლის უბრძანის დეპუტაციის
მოხსენება იმპერატორის წინაშე. იმპერატორმა
დღეს იმპერატორის უბრძანის საბაზობითაჲსის
გამწვეული, მაგრამ რეკლამაციონების საჭმე კიაღ.

უმიჯრობის აგაჟობა.

(ვეძღვნი სახალხო მასწავლებლებს.)

დედა ენას კიდევ ესროლეს კენჭები. ადგილი, საიდანაც სწოლა მოსდა, არის «იმედის» ფურცლები და მსროლელი გახლავთ მეტის-მეტად... მამაცი მოლაშქრე. სიმამაცით მან ბევრით გადააჭარბა სსკა კენჭის მსროლეებს და თითქმის დაედარა თავის რედაქტორს, მამაცთაგან მამაცს ბ. გურგენიძეს. მაგრამ ბოლოს მარცხი მოუვიდა, სიმამაცეს გული ველად მიადევნა, დაიხურა რკლაც უჩინ-მაჩინის ქუდი და გადაიხვევა უცნაური სახელი, გაღალმეილი. წად უღალატა თავის გულადობას და წად ამოეფარა ფსევდონიმის ქვეშ?

ერთმა კაცურმა კაცმა სთქვა: უოკელი კაცის მოქმედება იმ დრომდის უნდა მიაწერო კეთილს განძახვას, კიდრე ბეჭითად არ დაწმუნდები, რომ იგი არის შედეგი ცუდის-მიწევისა. ეს წინეობითი პრინციპი, სახელმძღვანელო დედა-აზრი, ჩვენ ძლიერ მოგვწონს და ამიტომ მამაც მკილავის მიმალვას კარგს მიწეფს ვაბრალვით და არა ცუდს განძახვას. ჩვენის აზრით იგი უჩინარია, ფარდა-გადაფარებული შეიქმნა, იმიტომ რომ ბოლოს ავიტონვე შეტყვას იმ ბავშურის კილასი, რომლითაც არის დაწერილი მისი კაკილვა. თქვენ გგონიათ, რომ ეს ცოტა ღიწმება? შემცდარი ბძანდებით ჩვენს უსვინიდისო დროში შეჩჩინაღ დაჩჩინების ნიჭისა სა-

მაგლობის წინაშე კაი საქონელია, სთქვა ამას წინედ შხედრინ-
მა და სთქვა სრული ჭეშმარიტება.

აწც მეტის-მეტად უნდა რცხვენოდეს ბ. გადაღმიელს თავის ბავშურ-ბრწყულის კილასი. იგი აწ არის აწც პირველი, აწც მეორე, აწც მესამე და აწც მეოთხე. ამხანაგები ბეჭნი ჭყავდა და ჭყავს: მანად-სახსენებელს ეუკშინსკის თავის ამქრით ისე ეჯავრებოდა დედა ენა და ბუნების კარი, როგორც ეშ-მავს ეჯავრება საძეელი და ცხარე რუსული ლანძვით იხსენიებდა მათ; დედა ენას, მართალია, კერაფერი დააკლო, მაგრამ «ბუნების კარი» კი რაჯერ ააკრძალვინა სემინარიის მმართველობას. მეორე ბარტუმა ზახაროვისამ გადაღმიელს და მის ამქარს დიდი ხანია წინ გაუსწრო. ეს პედაგოგი მტკიცედ ადგია ერთს აზრსა: რაღ და ვინც ქართულს ენას მეტ-ნაკლებობით აყვარებს ბავშვებს, ის მომაკვდინებელი მცოდველია რუსულის ენის წინაშე. ამიტომ ვატგოვი არა სდევნის იმ სიბრწყვით პოლიაკებს, როგორითაც ეს ვაყ-ბატონი ეყვრობა დედა ენას და ბუნების კარსა. მათი სასსენებელი არ უნდა იყოს ჩემს ქვეშევრდომ სკოლებშია; დადადებს და მართლაც არ არის. მისი სიძულიელი ამ წიგნებისა იქამდის მივიდა, რომ ათსამცნებას დაუმატა თავის ქვეშევრდომ მასწავლებლებისათვის მეურთმეტე მცნებაც, რომელიც ასე იკითხება: გძულდეთ «დედა ენა», «ბუნების კარი» და მთლად მათი შემადგენელი და გიყვარდეთ სამაგიეროდ სერგეი მდივანოვი და ანთიმოზ ჯუღელი, როგორც ღირსიუღნი ტყუზნი. თუ ამ პირების ამხანაგობას არ იკმარებს, მაშინ სულ ზემო ეტაჟში მივუთიბთ, სადაც ბ. მკილავზედ უსათუოდ რაიმე წყალობას მოიღებენ, რადგანაც ბეჭვლით აღიარებენ, რომ ამ წიგნების ვრცე-

ლი პრეზერვაცია არ ეთანხმება ჩვენს პატარა, კიწრო პრეზერვაციას. რომელიც ქართულ ენისთვის მეტიც არის.

მეორე გარემოება უფრო შესწვნარებელია ჩვენის მკილავისთვის. გათქმულმა პატრიოტმა გერმანიისამ ბერნემ სთქვა: უმეტრებაზედ ამაყი არაფერი მოიძებნება მთელს დედამიწის ზეგზვედაო. ჩვენი მკილავი ამყობს იმიტომ, რომ უმეტრებას შემცლარი იქნებით, თუ ამ გამართლებასაც დაიწუნებთ. თუ კაცი მოკლებულია გამორკვეულ აზრებს, დაბეჯითებულს შესვლულობას, ნაგრძნობ წარმოდგენას საგნებზედ და ამასთან მას ატოკებს სურვილი მარჯაში გაერიოს, სხვა რა ჭქნას, თუ სიტყვების რახა-რებს არ მიჭყოს სელი, ბაქიაობა არ გამართოს, ამყური, ბრყული ვილა. არ მიიღოს?

მართალია, ბორბტი ენები გვიპასუხებენ: მართო უმეტრება არ არის აქ დამნაშავეო; ზოგიერთ მკილავს დედა-ენამ ცუდი საქმე უყო, რამდენიმე მათგანვე შედგენილი ანბანი დააღბო სტამბაში და იმიტომ გამოილაშქრეს ისე ბრყულად დედა-ენაზედაო; მაგრამ ჩვენ ამ საბუთს არ შევიწვნარებთ. რა საჭიროა ზნეობით სისამაგლის ძებნა, როდესაც გონების ცალიერობა და ფუქსაკატობა სრულიად საკმარისად ხსნის მოკლუნასა?

ჩვენ ბ. გადაღმიელს პასუხს ვაძლეკო იმიტომ კი არა ვითომც იმის გაკილვას რაიმე მნიშვნელობას ვაწყრდეთ. სრულიადაც არა. კაცმა სწორე უნდა სთქვას: არც ერთს ადგილს, არც ერთს ჟრახას, არც ერთს სიტყვას არ ვტუობა ცოტადენი მანც დონე ტვინისა, ძალა ცოდნისა. დიდი ხსნის ამასზედ სუსტი, უღონო და უგბილო არა წაკვიკითხავს-რა ქართულს ენაზედ ჩვენის წიგნების მკილველთა ნამოქმედარშიაც. ვისიმე დალოცვა. რომ გვინდოდეს ამ ყამად, უთუოდ ვატ-

ყოფით: ღმერთის ნუ მოგაჯლას იმისთანა უცნებელი მოწინა-
აღმდეგე, როგორც განსვთ გადაღმიელი.

მაშ რაღა ავიღეთ კალამი ხელში?

გადაღმიელი დარწმუნებულა, რომ მას სწავლების რსტა-
ტობა ესმის. ის რომ მოხუცებული ყოფილიყო, დიდის გმა-
ყოფილებით დაკტოვებით ამისთანა საამუქს ოცნებაში. მაგ-
რამ ეტყობა მას ჯერ თავზედ პრიალა კაღო არ გაჭკეთებდა
და მოსალაღნეობა არა ერთ-ხელ მიაწვას ქართველს საზოგ-
ადოებს იმისთანა შედაგოგიური უაზრო და უგემური რამე,
როგორც არის მისი გაკილვა. ამიტომ განვიძრახეთ მისი
განგურნება სასიამოვნო შეცდომილებისაგან. ერთი ესა. მეორე
ის განსვთ, რომ გადაღმიელმა გამოსთქვა თავის წერილში
თითქმის ყველა ის დედა-ენის წინააღმდეგ, რასაც ამბობდენ
ბეჭდვით, თუ სიტყვით მთელი მისი ამქრის ვაყ-ბატონები.
მის გაკილვის გაქარწყლება იქნება ამ ვაყ-ბატონების გამტყუ-
რებაც. მესამე მიზეზი ის განსვთ, რომ ჩვენ გვსურს ეს
შემთხვევა დავსაბაბოთ ზ ჩვენი აზრი როგორცა შედაგოგიურს
საგნებზედ განგურნაოთ მკითხველს საზოგადოებას. საუბარი
იქნება მოკლე კერ მოიჭრას, მაგრამ მკითხველი, ვგონებ,
სინანულს არ მიეცემა, თუ მოთმინებას იქონიებს და ყურად-
ღებას გვათხოვებს ბოლომდის.

გაკილვას თავზედ ადგია სამ-ეტაყინი ეპიგრაფები რუ-
სულს ენაზედ. ერთი ეპიგრაფი ეკუთვნის კომენსკის, მეორე
მირომპოლსკის და მესამე პეჩენისა. პირველი რაი კიდევ ჭო-
ჭო, მაგრამ მესამე რამელი აღდგომის კვერცხია? პეჩენისთან-
ა უხეირო ოქციანური შედაგოგი ჩვენს ქალაქშიაც კი იმ-
დენია, რომ ძაღლისათვის ნასროლო ქვა უთუოდ ერთს მათ-
განს მოხვდება. მივიჩნის, რატომ ამ შედაგოგიების სიტყვები

გი არ მოიყვანა მეოთხე ეტაჟის ეპიგრაფად! მაგრამ ამას თავი დავანებოთ. სამსახურად ყველაზედ უფრო ის არის, რომ ეს ეპიგრაფები პლიუშინის სამოსამსახურად წაღებს მოგაკონებენ, იმ წაღებს, რომელნიც ყველა ფეხზედ ჩაიციოდა, მაგრამ არც ერთს ფეხს გი კარგად არ მოსდიოდა. ეს ეპიგრაფებიც შეგიძლიანთ ბეგრ-გვარს შედაგოგიურს სტატისას თავზედ დასაგუბოთ, მაგრამ ძნელად რომ რომელსამე მოუხდეს და დაამშვენოს, გადაღმიელის გაკილვას ხომ ისე შეეფერება და ისე უხდება, როგორც დაამშვენებს უშნო უნაგირი უსუსურს ხბოსა.

გადაღმიელი გაკილვას თავიდან იწყობს, ჭრიაშვილისაკით. «დედა-ენაში» წინედ ძლიერ ბევრი ნაკლულებანება იყო, მათ გასწორებას სიტყვიერად გვპირდებოდა ავტორი, მაგრამ დაპირება არ შეასრულა და უწინდელსაკით გამოსცა წიგნიო. — ეს ჭოროა. ამ გვარს ალექსანდრე ვერც გადაღმიელს და კერც სხვას ვერ მივსცემდით, რადგანაც ჩვენ «დედა-ენაში» ვსედავდით ზოგიერთა ნაკლულებანებას და არა ბეგრსა.

წიგნი თითქმის მთლად შეუცვლელია, სრულიად გაუქმდობესებელია; «მხოლოდ აქა-იქა ათიოდ რაღაც უხეირო სტატია ჩაუკერებია, რომლითაც არც სიკეთე ემატება წიგნს, არც აკლდება.» თუ ათიოდე ჩამატებული სტატია უხეიროა, მაშინ წიგნს უთუოდ ღირსება უნდა დააკლდეს, თუ წიგნს ღირსება არ დაჭკლებია, მაშ ეს სტატიები უხეირონი არა უფილან.» ასე იფიქრებს ღოღიკის პატრონი; მაგრამ გადაღმიელი ღოღიკას როდი დაგიდევს, როგორც გი წიგნზედ ცუდი რამე სთქვას. ღოღიკა კიდევ თქვენი ჭირის სანაცვლო იყო; ამასზედ უარესი ის განსაკუთრებით გადაღმიელისათვის, რომ ცოცხლის ტუფილის მოჭოროება სცოდნია, მესამე გამოცემა მეორისაგან ბევრით გაიჩევა. ჯერ ერთი ესა, რომ წიგნიდ-

გან ზოგიერთს მღაწე აზაკები, მოთხრობები, ლექსები, ანდ-
სები და გამოცანები გამოკვეთეთ და მათ მავიერ ჩაკურთეთ.
ოცნედ მეტი ხსალი ვატარ-ვატარა მოთხრობან და ლექსი.
მათი უპირველესი ღიხსებს ის არის, რომ პირველიდგან უკ-
ხასკებამდე ხალხურნი არიან, ლექსანი—მთლად და მოთხრო-
ბანი თუ მთლად არა, სიუჟეტით შინაგან. მათში ურეკან გმის-
თანა ნაწარმოებნი ხალხის გონებშია, რომელნიც მარგალბრ-
ვით ბრწყინავენ ჩვენს ხალხურს ზოგისაში. მოგვევას მავა-
ლითად რაი ვატარა ლექსი, მესამე გამოცემამდე ჩართული.

წუთის სოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ. ჰ სხვა დარჩება,
თუ ერთმანერთს არ ვახარებთ, იმის მეტი რა შეგვიჩნება.—

რა კარვია კარგი გაცი, კარვს საქმეზედ აკებული,—

ქვეყნა ჭყვას მადლიერი, სწორის გული მოგებული.

აზრის სიმადლით და ენის ჭარბობით ამათ არ ჩამოუვა
მიხს ჯაკის ლექსი ნატურა, რომელიც პირველად მოქცა
დედა-ენაში. ამათ და ამისთანაებს გადაღმიელი რაღაც უსეი-
რის რამეებს ეძახის; მაგრამ რის ამტკიცებს ამინა? თავის
მტკნარს უგემოვნებს. ვის მოგავიწყებს? სულიერს, რომელიც
აველსინებს იწუნებს და დაშვალი ვანტა ვი უგემოვნებს რადმე
მიხნია.

მოთხრობებში ყველა არ არის ხსენებულ ლექსების ღი-
სებისა, მაგრამ უსწორლ ვი მათ შორის არც ერთი არ ურე-
ვია: ყველანაში აზრიცა სჩანს და მარლიცა არ აკლბა. თუნდაც
რომ ერთი-ორი მღაწე გამოკრულდეს, ვინ ამის გამო აღცამ-
დის მოთხრობა უნდა გაეკიცხას? ნუ თუ გადაღმიელმა არ იცას,
რომ საბავშვო მოთხრობების შედგენა, წერა, და შოვნა ყველ-
გან ძლიერ ძნელია, და ეს სიმსუფხუ ჩვენში ერთი ათად არის
ქცეული იმ გარემოების გამო, რომ ჩვენის ხალხის გონების

ნაწარმოების ჯერედ არც გამოცემული არიან და არც შეწყობილნი.

ახალგაზრდობის და ლექსების გარდა მესამე გამოცემაში ჩამატებულია ახალი ანტაზები და გამოცანები; სასაუბრონი არიან ზოგან გაურცელებული ახლის კითხვების ჩამატებით, ზოგან შემოკლებული ზოგიერთა უწინდელის კითხვების ამოშლით. რედაქციას ბეჭდის სტატიისა შეცვლილია, ენა შესწორებულია; სურათების რიცხვაც შევსებულია შვიდის ახლის სურათით. ყველა ეს ცვლილება მოხდენილია წიგნში გამომცემის ძალით; პრაქტიკის ჩვენებით, დაკვირვების მეშვეობით. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ამ გამოცემას ჩვენ მოვეუყარით განსაკუთრებულ უურადლებით და მეტადინებობით, რადგანაც ერთად ვბეჭდავდით თვრამეტს ათასს ეგვიპტელებს...

იცოდა ყველა ეს ჩვენმა მკვლევრებმა, თუ არა? შეადარა მეორე გამოცემა მესამესთან და მანც რაც სურდა ისა სთქვა, თუ არც ერთი გამოცემა მას ხეირიანად არ განუსინჯავს? ორივე შემთხვევაში ის პატიოსანურად არ მოიქცა. პატიოსანი გაცემა თავის დღეში წერას კი არა დაპირაკასაც არ დაიწყობს იმ სიგანზედ, რომელიც არ გაუტყნია, არ განუსინჯავს თუ განუსინჯავს და განძრავს აბრალეებს მოგონილს, მოჭკრილს ნაკლებულებებს, მასინ იგი უიერო ცუდს რასმე სხადის, უიერო ცუდს სახელს იჩქევს. პირველი წიგნი, რომელსაც გადაღმიეფი სდებს ნანბანსა, არის შინძრის, ასოების სინატარაკე. ეს ნამდვილი ნაკლებულებსა და ერთად-ერთი მართალი აზრი მთელს სტატიაში, საუბედუროდ ისიც სხვისაგან გაგონილი. ანბანი, მართალია, უიერო მომსხო ასოებით უნდა იყოს დაბეჭდილი, მაგრამ განა გადაღმიეფმა არ იცის, რომ ეს ნაკლებულებსა ჩვენი ბრ-

ლი კი არ არის, შრიტტების სიღარიბეზეა დამოკიდებული? განა მას გაგებულნი არა აქვს, რომ ხეირიანი მსხვილი შრიტტი სრულიად არ მოიპოება ჩვენებურს სტამბებში? მელიქიშვილის შრიტტს აქვს მსხვილი ასო-მთავრული, მაგრამ ისეა ქართულ შრიტტის თვისებას მოკლებული და ისე ძლიერ განიჩხვავა ჩვეულებრივის შრიტტისაგან, რომ მითი დაბეჭდვა მთელის ანბანისა ყოვლად შეუძლებელია. აკადემიის ასოებში იპოება მომსხრო მეთექვსმეტე ნომრის შრიტტი, მაგრამ ესეც მეტად უშნო და ტლანჩია, და გარდა ამისა არ უდგება სრულიად მელიქიშვილის ჩვეულებრივის შრიტტსა, რომლითაც იბეჭდებიან თავ-და-პირველიდგანვე ჩვენი სახელმძღვანელონი და რომელიც უფრო კარგს, მრგვალ და გარკვეულ შრიტტად მიგვანჩნია. ეს შრიტტი რომ ერთი-ორად გადაიდდეს, სწორედ ასლი იქნება და ანბანისათვის. ამაზედ მე მჭონდა რავდენჯერმე მოლაპარაკება მელიქიშვილთანაც და ხელაქესთანაც, მაგრამ, თუმცა ორნივე მოწადინებულნი არიან ამ გვარი მსხვილი შრიტტი შეუკეთონ სამზღვარ-გარედ და მოიპოვონ თავიანთ სტამბებისათვის, მაინც ჯერ-ჯერობით თავიანთ წადილს ვერ ეწიენ.

რასაკვირველია, როცა გადაღმიელი შრიტტის სიწვრილის გამო ჩვენს მოზარდს უმაწვილობას უქადის სიბრძავეს, ის სასაცილოდ აზვიადებს მცირე ნაკლულევანებას და ერთი წიწვნა ბუფს სპილოდ უჩვენებს მკითხველებს. თექვსმეტე წელიწადია, რაც ამ მომცრო შრიტტით სწავლობენ კითხვას ქართული ბავშვები და გადაღმიელის შიში რომ საფუძვლიანი ყოფილიყო, აქამდის ჩვენი მოზარდობა, სკოლებში გავლილი, მთლად უნდა დაბრძანებულიყო. მაგრამ, ღვთის მადლით, თვალ-სინათლიანნი ჩვენ არ დაგვეკლებიან და სიბრძავეს ჩვენში არ უმატნია. საჭმე ეს არის, რომ მომცრო შრიტტი ბავშვს თვალში

სინათლეს კი არ უღევს, ცოტათი მეტს ჩაკვირვებას ითხოვს, და ეს ბავშვისათვის ისე ძნელი არ არის, რადგანაც მას საზოგადოდ თვალი ძალიან უჭრის...

საბაკევიჩი, როგორც მოგესვენებათ, ახირებული კაცი იყო. ქებით მოხსენება არავისი შეეძლო, უკვლას ჭკიცხავდა, უკვლასფერზედ ბუზღუნებდა. თუ ვისმეზედ იძულებული იქნებოდა ეთქვა: ის კი კარგი კაციანა, უთუოდ ზედვე დაყოლებდა: მაგრამ, სწორე ვითხრათ, ისიც კარგი ღორიანა. ჩვენ გადაღმიელსაც ასეთი ზნე სჭირებია: მთელ წიგნში მას მოწონებია მარტო ანბანის მეთოდა, რომელსაც ერთს უკეთესთაგანს ეძახის; მაგრამ მაშინვე დანახებია ეს ქება და დაუმატებია: სწორე მოგახსენოთ, ამ მხრითაც კერძო შვილია წიგნი, რადგანაც გოგებაშვილს მეთოდა ცუდად, უხეიროდ შეუმუშავებია. ვნახოთ, რავდენად მართალია ჩვენი ზაწაწა საბაკევიჩი.

ჩვენი ანბანი არის შედგენილი მარტივს სინკრეტიულს მეთოდაზედ და ეს მეთოდა ითვლება უახლეს, უკეთესს მეთოდად. სინკრეტიულის მეორედით სწავლა იწყება საგნის გაცნობიდან. საგანს ან მის სურათს ბავშვი ჭხედავს თვალით, აკვირდება მას, არაკვევს მის ნაწილებს და თვისებათა, და ხატავს მას ფიგურაზედ. მასწავლებელი გარდასცემს ბავშვს ან საგნის შესახებ რაიმე მოთხრობასა, თუ შესაძლებელია, ანდაზას, გამოცანასა და ლექსსა, რომელსაც ამღერებს მარტივს ჭანგზედ. შემდეგ ამ საგნის სახელს ასწავლის ჯერ ხმების, მერე ასოების მხრივ და ფიგურაზედ დააწერინებს სიტყვას და ასოებს. ბოლოს ბავშვები კითხულობენ სიტყვებსა და ფრაზებსა, გაცნობილის ასოებიდან შემდგარს. ამ სახით სინკრეტიული მეთოდა კითხვასა ჭხდის ცენტრად ბერ-გვარის ვარ-

ჯიშობისა: წერისა, დაგვირგებითის სწავლისა (наглядное обучение), თვლისა, ხატვისა, სიმღერა-გალობისა და ამითი თავდაპირველადვე სდებს ბავშვის გონებაში საძირკველს ძრავალმხროვან, ჭრბმონიულ გავითარებისას. ამ მეთოდის მარჯვედ შემუშავება რუსეთში ჯერედ ანავის მოუსდენია და ეს არის მიზეზი იმისა, რომ საზღვარგარე მოედანი ჯერედ დასაკუთრებული აქვთ ანბანთა, რომელნიც ესრედ წოდებულს წერა-კითხვის მეთოდზედ არიან შემდგარნი, მაგალითად უშინსკის პირველი წიგნი. გერმანიაში კი სინკრეტულმა მეთოდამ მთლად დადსკუთრებას ახარეზი, სხვა მეთოდები სრულიად გააუქმა და შეუცდილებლივ შეიფარეს. როდესაც ხუთის წლის წინად ჩვენ ვადგენდით «დედა-ენას», არც ერთი ნემეტურკი სასჯელმძღვანელო თავადით არ გვეჩხა, ჩვენ მივსდევდით საკუთარს მოსაზრებას, საკუთარს გზას. როდესაც ამ ერთის წლის წინად ერთმა ჩვენმა ახალ-გაზდამ გერმანიიდან მოიტანა ნემეტურს ენაზედ რავდენიმე საუკეთესო სასჯელმძღვანელო წიგნი და ჩვენ ისინი გადავსინჯეთ, განცვიფრებულნი დავჩნით: ჩვენს წიგნსა და ამ სასჯელმძღვანელოებს შორის ვბრკეთ სრული მგზავსება.

ამ წიგნებშია, როგორც «დედა-ენაში», ჯერ სურათთა დახატული და მას გვერდით მიბეჭდილი აქვს სახელი საგნისა, მერე ეს სახელი გაყოფილია მარცვლებად და მარცვლები თავის რიგზედ დაყოფილნი არიან ასოებად. ყოველ ნორმალურს სიტყვაში მარტო ერთი ასოა უცნობი. შემდეგ ამ ასოებიდგან შემდგარნი არიან მარცვლები, სიტყვები და ფრაზები. ამ სახით ანალიზი და სინტეზი ერთმანერთს მისდევს, ერთმანერთს ეხმარება, სწავლას სიმკვიდრეს აძლევს და მეტად უადვილებს მას ბავშვსა.

განსხვავება, დასაკვირველია, აღმოჩნდა; მაგრამ ბევრს

შემთხვევაში ეს განსხვავება ჩვენ გეამართლებს, ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს. მაგალითებრ: ნემეცურს წიგნებში ნორმალურის სიტყვის ანალიზს თავ-და-პირველადვე ვერ მისდევს სინტეზი, ესე იგი გაცნობილის ასოებიდგან ახალი სიტყვები არ არის შემდგარი; სინტეზს ვხედავთ მხოლოდ მესუთე, მეექვსე ბაკვეთილიდგან. ჩვენს წიგნში კი პირველივე ნორმალურ სიტყვის ანალიზის შემდეგ ბავშვი შესწავლილ ორის ასოსაგან ადგენს და კითხულობს ახალს სიტყვებსა. თერჯებს ნემეცურს სახელმძღვანელოებში კიდევ უფრო გვიან ვხედავთ დედა-ენაში კი პირველსავე ბაკვეთილში, პირველსავე დღეს ბავშვი კითხულობს თერჯას. ნემეცურს სახელმძღვანელოებში პირველს ბაკვეთილებში უაზრო მარცვლები ვერ აუცილებიათ; ჩვენს წიგნში არც ამ ნაკლუდეკანებასა აქვს ადგილი. მარცვლების მაგიურ ჩვენ მოკლებნეთ და ჩაუერთეთ ორ-ასოიანი სიტყვები, რომელნიც მარცვლებივით ადვილნი არიან საკითხავად და ამასთან მათს უაზრობას მოკლებულნი, რადგანაც თვითუელი მათგანი რაიმე ნიკოს, სჯანს ნიშნავს და წარმოუდგენს გონებაში ბავშვსა.

დაწმუნებულნი ვართ, რომ ნათქვამს "ზოგნი კვებსად ჩამოგვართმევენ. ისიც ვარგად ვიცი, რომ თავის ქება ვიტრიადა დიხსო; მაგრამ ჭრას იზამ? როდესაც შენს ნამოქმედარზედ ჭყვირიან შავიან, მამ რით უნდა გამტყუნო, თუ არა დამტყვიცებითა, რომ იგი თეთრია!...

საზოგადო დაწმუნების შემდეგ მეთოდის შემუშავებისა, გადაღმიელი კერძო ნაკლუდეკანებათაც შეეხება და პირველად სურათების დაწეობილებას ჭეიცნავს. პირველივე სურათი მას არ მოსწონს: იას ბავშვები თვითონ ვერ იცნობენ, თუ მასწავლებელი არ დაეხმარას. ეს მართალია: ბავშვები მხოლოდ გა-

მოიცნობენ, რომ ყვავილია დასატული, მაგრამ რა ყვავილია
 სახელდობ, — ეს მასწავლებელმა უნდა უთხრას. ჩვენ ეს კარგად
 ვიცოდით, როდესაც ანბანს ვადგენდით; მაგრამ დიდის სისა-
 რულით მივეცით პირველი ადგილი სიტყვას «ია» თავის სუ-
 რათით. რადა? იმიტომ რომ ანბანის სწავლის დაწყებისათვის
 მეტად მოხერხებული სიტყვაა და ბევრი ღირსება აქვს. პირვე-
 ლი ღირსება ის გახლავთ, რომ ეს სიტყვა შესდგება ორის
 ხმოვანის ასოთგან, რომელნიც გამოსათქმელად ადვილნი არიან,
 დასაწყრად არა მხელნი და შემდეგის გაკვეთილებისათვისაც
 ფრთხილ საჭირონი, რადგანაც ამ ასოების შემწეობით ადვილად
 სდგება სიტყვები და ჭრახულები და უამთოდ კი მათი შედგენა
 შეუძლებელი იქნებოდა. მეორე ღირსება ის არის, რომ მარ-
 ტო ამ ორის ასოთგან სდგება ორი სიტყვა და მათგან ფრა-
 ზა. ამის გამო ბავშვი პირველისავე გაკვეთილიდან სწავლობს
 არა მარტო ორ ხმასა და ასოსა, არამედ მაშინვე ჭკითხულობს
 სიტყვებს და ფრაზას, ამ ასოებიდან შემდგართ. ამის გამო
 ჩვენს ენაში ეს სიტყვა უძვირფასესი რამ არის ანბანის დაწყ-
 ებისათვის. ბევრი ენა მოკლებულია ამ გვარს მოხერხებულს
 სიტყვას, შედაგობების სამწუხაროდ. რუსულს ენაში, მაგალი-
 თად, არ მოიძებნება ამისთანა სიტყვა და ამის გამო უშინსკი-
 იძულებული შეიქნა თავისი ანბანი დაეწყო არა სიტყვებით, რა-
 საც მისი მეთოდა მოითხოვდა, არამედ ხმოვანის ასოებით, და
 მათგან შეედგინა საწყრად და საკითხავად უზრრო და უმნიშ-
 კნელო მარცვლები, რომელთაც ისიც საზოგადოდ მკნებლად
 სთვლის ბავშვებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ განათლებულმა
 სომხებმა ამ ნაირი სიტყვა ეძებეს ძველს და ახალს ენაში,
 მაგრამ ვერ იპოვნეს, თვისდა სანანურად. ერთის სიტყვით რო-
 ძელს ენაშიაც კი მოიძებნება იასთანა მარჯვე სიტყვა, ყველ-

გან ორის ხელით, მოეჭიდებიან მას და ახანის დასახამად გახდიან.

ამითი არა თავდება ჩვენი პირველი ნორმალური სიტუაციის დირსებანი. ის ნიშნავს ბავშვებისათვის სასიამოვნო, სასიყვარულო საგანს — ყვავილას და ამითი პირველ ფეხის შედგმასთანავე სწავლაში შეაქვს ცოცხალი ინტერესი. ამასთან ამ საგნის შესახებ არსებობს საბავშვო ლექსი მშვენიერის საბავშვო მარტივის ჭანგით. აიმა გშობა შობითა, ვარდმა გაგზარდა ქუბითა, ნარგიზმან ძუძუ გაწოვა, მას ჭკვეხარ სურნელობითა.

ამასთანავე პირველივე გაგვეთილი, პირველივე ნორმალური სიტუაცია მასწავლებელს აძლევს დონისძიებას წერა-კითხვასთან შეახორცოს სიმღერა, რაიცა შეადგენს სკოლის სულსა და რომელიც სწავლების მიუტილებელს ელემენტად ითვლება ახალს შედაგოგიაში.

ესლა თვითონ მკითხველმა განსჯოს: რა ხარისხის უმეტროება გამოიჩინა გადაღმიელმა, როცა პირველი ნორმალური სიტუაცია და პირველი სურათი ისე მამაცურად დაიწუნა?

ამისთანავე საფუძვლიანია მეორე ნორმალური სიტუაციის (ბე) და სურათის დაწუნება. ეს სიტუაცია შესდგება იმისთანა ასოებისაგან, რომელნიც ადვილი არიან, როგორც გამოსათქმელად, ისე დასაწერად და მათგან, ორი წინა ასოების შემწეობით, სდგება საკითხავი სიტუაციები და ფრაზები. ამასთან სურათიც სასიამოვნოა ბავშვებისათვის, რადგანაც თვალ-წინ წარმოუდგენს იმისთანა საგანს, რომლის ჩრდილ-ჭკვემ სიცხის დროს ბევრჯერ გავრილებულან, რომელზედაც ჩიტის ბუდე დაუშლიათ, ჯოხნიც მოუჭრიათ, კენწეროზედაც მოჭტევიან და სხვა. მაგრამ გადაღმიელი უარ-ჭყოფს ამ სიტუაციასა. რადა? ძეწინა დახატული და ჭკვემ კი საზოგადო სახელი ხე აქვს მო-

წერილით. ეტუობა მას სრულად არა სტოდნია, რომ ბავშვს
 რა ხის სურათიც უნდა უჩვენო, კერძო სახელს კი არ გატ
 უვით, რადგანაც ხის ცნობა მას მუტადრე სურათით უოკელ
 თვის ძლიერ უძნელდება, არამედ საზოგადო სახელს ხეს და
 არქმევს. მუხის სურათს აჩვენებ, გეტყვის ხეა, ძეწნას აჩვენ
 ნებ, ხეა, თელას აჩვენებ, ესეც ხეა და სხვა. ორს საუკეთ
 ესო ნემეტურს თავ-და-პირველს წიგნში, კლასიკელისაში და
 შინდლერისაში, მუსია გამოსატული, მაგრამ გვერდით კი კერ
 ძო სახელის მაგიერ საზოგადო სახელი ზე უწერია. შინდლერ
 რის წიგნშივე მურწია გამოსატული, მაგრამ გვერდით უწერია
 თეგზი და არა მურწია.

ამისთანავე უძეტრება გამოიჩინა გადაღმიელმა მესამე და
 მეოთხე სიტყვის და სურათების დაწუნებით. სიტყვები «სახე»,
 «მახე» ჩვენ ისე ზევით იმიტომ მოვაქციეთ, რომ უოკელის
 მხრივ უფრო ადვილ ხმებიდგან და ასოებიდგან შესდგება.
 გადაღმიელს რომ მათი სიძნელე დაემტკიცებინა, მაშინ მის
 დაწუნებას საფუძველი ექნებოდა; მაგრამ იმას ეს სრულად არ
 შეეძლო და ამიტომ სურათებს გადასწავდა: სახე თავით არის
 დასატული და ქვეშ კი სახე უწერია. მაგრამ განა მას სა
 ხე უთავოდ სადმე უნახავს და ან შეიძლება მისი ცალკე გა
 მოხატვა? უშინსკის ბავშვის სახე თავით აქვს გამოსატული,
 ქვეშ უწერია **лице**, მაგრამ არც ერთს კრიტიკოსს კი არ
 უთქვამს მისთვის ის, რაც წამოისროლა გადაღმიელმა. მეოთ
 ხე სურათსაც იწუნებს იმის ზამო, რომ სოფლებში არ იციან
 მახე და ბავშვებს არ ენახებათო. არც ეს არის მართალი.
 ქართლში ჩვენ არა ერთს სოფელში ვუფთვილვართ და უკვლავ
 გინახავს თავის საჭერი მასე, მავთულისგან გაკეთებული;
 მასწავლებელს, მღვდელს, აზნაურს, თავადიშვილს და შეძლე

უკლებს ხშირად აქვთ ეს მასე თავგების გასაწყობად, თუნ-
 დაც რომ არ ენახოს ზოგიერთა ბავშვსა, გაგონით მაინც იცის
 ეს საგანი და სურათის შემწეობით შეადგენს ნამდვილს წარ-
 მოდგენას. შეიძლება ვერ იცნას საგანი, მაგრამ მასწავლებელი
 სკოლას იმიტომ აჭყავს, რომ ბავშვს უთხრას ის, რაც მას
 თვითონ ვერ უცნია, რაც თვითონ ვერ გაუგია. ამ სურათს
 ერთი ღიროსებაცა აქვს. ბავშვები ხშირად აკეთებენ აგურების,
 ალიზების მახეს და ჩიტებს იჭერენ მავთულის სათაგო მას-
 ხე ძალიან ჭკავს ამ მახესა; მაგრამ განსხვავებულ არის მათ
 შორის. შედარება რიგე მახესი, მათი მგზავსების და გან-
 სხვავების გამორკვევას ბავშვისათვის. სასიამოვნოდ არის და სა-
 სარგებლოცა. გადაღმიელი ვი გაიძახის: მასე ისე გაუგებარია
 ჩვენის ბავშვებისათვის, როგორც უშატი, ლეიკა, რუჩა და
 სხვა რუსული სიტყვებია. რა ძალიან ცუდი ყოფილა გადამე-
 ტებული სურვილი გაკილევისა; წუერვილი ცუდის თქმისა! კაცს
 ისეთს აშკარა სასაცილო სასულელეს. წამოარჩიებისა, რომე-
 ლიც ბავშვსაც ვი ხარხარს დაწეებინებს.

ასევე უღმობულად სტუგვდება გადაღმიელი, როდესაც
 იწუნებს სურათებს: ნაკისას, კაჭკაჭისას, აწივისას და თინ-
 ჯნისას. ამ სურათებს მოითხოვდა ის რიგი ასოების შესწავ-
 ლისა, რომელიც ჩვენ მივიღეთ და რომელიც, ჩვენის აზრით,
 ასრულებს, შედაგოგიურს კანონს; ადვილიდგან გადადი ძნელ-
 ზედ, მარტივიდგან რთულზედა. საგნებიც არ არიან ბავ-
 შვებისათვის არც უცხონი და არც უინტერესონი. ყველა ეს
 საგნები ქართველს ბავშვს ან თვალთ აქვს ნახა, ან ბევრჯერ
 გაგონილი. სრულიად თუ არა, ნახევრობით მაინც იცნობს ამ
 საგნებსა და მათი წარმოდგენაცა აქვს, თუმცა იქნება გამორ-
 კველი სურათების შემწეობით ბავშვი ნახევარს ცოდნას

სრულს ცოდნად გადააქცევს, გაურკვეველს წარმოდგენას გარკვეულად, არა-სრულს სახეს საგნისას—სრულ სახედ. არც ერთი მცოდნე კაცი არ იტყვის, რომ ამ გვარი საგნები ნაკლებად არის საინტერესო ბავშვებისათვის. როგორც დიდებისათვის, ისე მეტადრე პატარებისათვის უინტერესონი არიან მხოლოდ ორ-გვარნი საგანნი: რომელთაც ყოველ-დღე ვხედკენ და კარგად იციან და რომელნიც სრულიად არ შეჭებებიან მათს გონებას, მათს გრძნობას. წინააღმდეგ ამისა, ძლიერს ინტერესს აღვიძებს დიდშიაც და პატარაშიაც საგანი რომელიც ნასევრობით ცნობილია და ნასევრობით ვა არა. ეს ელემენტარული კანონია პსიხოლოგიისა და მისი უცოდინარობა არავის არ მიეტყვება, მეტადრე მას, რომელიც კისრულობს საბავშვო წიგნების გაკილვასა.

ესთქვამთ, თქვენ ორი სურათი გაქვთ, ერთი ქათმისა, მეორე შავარდნისა. პირველ ფრინველს ბავშვები კარგად იცნობენ, რადგანაც ყოველ-დღე სედევენ, მეორეს ნასევრობით, რადგანაც თუმცა ბევრჯერ გაუგონიათ მისი სახელი, მაგრამ ანსულ არ უნახავთ, ან თვალი მხოლოდ შორიდგან, მოუკრავთ. ჭკითხეთ ბავშვებს: რის სურათი უფრო გინდათ გაჩვენოთ, ქათმისა, თუ შავარდნისა, და უთუოდ ერთ-ხმივ გთხოვენ შავარდენი გვიჩვენო.

რად არის ასე? იმიტომ რომ ბავშვს დიდი სურვილი აქვს საგნების სჭერის გაგანიერებისა, გაფართოებისა. იგი ვაწროობას გრძნობს თავის სფერაში და სურს, გაიცნოს ის საგნები, რომელნიც მის გონების ჭოროზონტის განაპირას არიან და მიიღოს მათგან ახალი ჩაბეჭდილება. ეს მოთხოვნილება ბავშვის ბუნებისა პირველ-დაწყებით სწავლამ უთუოდ უნდა შეასრულოს, თორემ გამაცნოველებელი ინტერესი ნაკლებად ექნება.

რასაკვირველია, პირველ-დაწყებითი სწავლა უფრო იმაზედ უნდა იყოს დამყარებული, რომ ბავშვის გრძნობა და გონება ჩაკვირვოს იმ სფეროს, რომელიც ბავშვის სულ-ქვევით არის, იმ საგნებს, რომელთაც იგი ყოველ დღე ჭხედავს და დაახვიოს ახალის მსარეების შენიშვნას და გამორკვევას გაცნობილ საგნებში; მაგრამ მასობურ საგნების უფრო ღრმად გაცნობასთან, სფეროს გაგანიერებასაც უნდა ჭქონდეს ადგილი, თუცა პირველში უფრო მცირედ.

აი სხვათა შორის, რისთვის უცხოეთურს საუკეთესო ანბანებში შინაურ ნივთთა და ცხოველთა სურათებ შორის შიგა-და-შიგ ურევია იმისთანა საგანთა სურათებიც, რომელნიც უძაწვილს ბევრჯერ გაუგონია, მაგრამ ნახვით კი არ უნახავს. კლასუკელის ანბანში, რომელიც მთელ ჩრდილოეთის გერმანიაში გავრცელებულია და რომელმაც პრემია მიიღო პარიჟის და ვენის გამოფენებზედ, თავში, მეორე გაკვეთილში, გამოსახულია ბუ, გარეული ფრინველი, მესამე ადგილას დახატულია კირი, რომელიც ჩრდილოეთ-გერმანიაში სრულიად არ მოიძებნება; მესამე გვერდზედ ვხედავთ ძვარბსა, გარეულ ცხოველს, მეოთხე გვერდზედ ლომსა, ეკვატორის ნადირს და დათვსა, ტყის ნადირს, მეშვიდე გვერდზედ სომალდსა და სხვა. ზოლოერედერის ანბანში პირველს ადგილზედვე გამოსახულია ძვარბი, გარეული ცხოველი; შემდეგ ფურცლებზედ ვხედავთ: მაიმუნსა, ბუსა, ირმებსა, ჭაქში სამოგზაურთა ბუშტსა, ხომალდსა, ლომსა და დათვსა. შინდლოერის ანბანში პირველს ადგილს დახატულია თევზი, წყლის ნადირი, შემდეგ დახატულნი არიან შიგა-და-შიგ: ძვარბი, ბუ, ლომი, ტყის ჩიტო, სხვა-და-სხვა გარეული ყვავილები და ხომალდი. თუ მკითხველს გადაუფურცლავს რუსული საუკეთესო პირველ-საკითხავი წიგნები, ვხ-

სომეხებს, რომ ანბანში აქაც ურევია ზოგიერთი შორეული სავა-
ნების სურათები.

უღმრთესს გადაღმიელს ვა რომ ქვეთხრთ, ჩვენ მთ-
მაკედონებელი ცოდო კქენით, რომდესაც აღუდაენის ანბანში,
ისიც შუა წელში და ბოლოში, ჩაკურთთ სურათები: ნავისა,
კაჭკაჭისა, აწივისა და თინჯნასა, ამ გვარ სავნებამს, რომ-
მქელნიც შორეულადაც არ ჩადოვლებან, აი რა სეპრული შეც-
დომილება მოსდევს მას, რომდესაც ვაცნოვმოუვიოხნია პედაგო-
გიურის წიგნიდან თარგები: *отъ известнаго къ неизвѣстно-
му* (ცნობილიდან უცნობზედ) *отъ близкаго къ отдаленному*
(ახლოურიდან შორეულზედ), მაგრამ მათი ნამდვილი აზრი
და მოთხოვნილება ისე ძწორედ გაუგია, რაცგარც სწორედ
ესმით სკოპტებს ერთი ადგილი სახარებისა, რომლის ძალი-
თაც სამკვლად ამხანაგებენ თავიანთ თავს.

მეორე «დიდი» ჩაკულუკვანებს სურათებისა ვამოუძებ-
ნია გადაღმიელს. «რა არის ეს ჩაკულუკვანება? მამაცად ქვეთ-
ხვას თავისთავს და უფრო ვიდევ მამაცად უგებს სურათე-
ბის უსამეტრობას.» აი, მავალითად, ვანავრძობს იგი, ობო-
ბს ორი კამბეჩის ტოლას, ბაყაყი ცხენზედ უდიდესია და სხვა-
ნი.» ვაზვიადებს აქაც არ დაიშურა; მაგრამ ეს იქით იყოს.
გადაღმიელს რომ ცოტადნად მაინც ვაცნობილი ქვეთხრდა
საუკეთესო რუსულთ და ხემეტურთ ანბანებ, ეცოდინებოდა,
რომ ეს უსამეტრობა ყოველგანა ზეუთვეს და მის აცილება
არც შესაძლებელია და არც სასარგებლო. ავიდოთ, მავალითად,
კლანუკელის სახელმძღვანელო: ბუსა, ჭინსა და ლომს ერთი
სიდიდე აქვთ, მუსა ვაცარავა ლომზედ, ვაშლი (ნაყოფი) ორი
კაცის ოდენას, ზომადი თავის იაქნებით იქვე დასატულ ვა-
ცის სიძაღლეს, ობობას ქსელი ორი ლომის ოდენას და სხვა-

ნი. უშინსკის წიგნში კიდევ უფრო მომეტებული უსიმეტრიობა ჩანებოვს. ბუზსა და შუწნას, მეორე გვერდზე დახატულთა, ერთი სიდიდე აქვთ, სკან რჩი საყდრის ოდენა ჩრის; ბატუბი ძროხების ოდენანი აწიან, სწერნი რჩვერ უდიდესა ზბრ-ზედ, კურდღელი ბევრით დიდა დადებულ ჰოკოსკანზედ, რამელიც აგრეთვე ბევრით უდიდესია: სახლსედ.

თუ საბავშვო წიგნებს გარდა სამეტრიორო წიგნებსაც გვესინჯავთ, იქაც იმავე უსიმეტრიობისა შევხვდებით ბრემის თხზულებებში, მაგალითად, ყოველი პატარა ცხოველი დიდი-ველი დიდად არის დახატული და დიდები კი პატარად გამო-სახულებნი...

ეს ასეც უნდა იყოს სრულის სიმეტრიით დახატვა ნივთებისა და ცხოველებისა ყოვლად შეუძლებელია. მაგალითად: ბუზი რომ თქვენ უზალთუნის ოდენა დახატოთ, კამეჩის სურათს, თუ სიმეტრიას გამოუდებთ, მოდენა სიდიდე უნდა მისცეთ, რომ ოც ფურცელზედაც არ დაეტყვა; ობობა რომ აბაზის ოდენა გამოსახოთ, ლომი უნდა ათ ფურცლის ოდენა სივრცეზედ გააპარწათ.

მეორე მონუსიცი გვსწავთ სურათების უსიმეტრიობისა: სურათების მთავარი დანიშნულება ის არის, რომ სახე და ყოველი ნაწილი ნივთისა ან სუფდგმულისა ცხადად გამოხატოს, გარკვევით დახასხვოს მტკერელსა. ეს დანიშნულება შეუსრულე-ბელი დარჩება, თუ იმისთანა პატარა ცხოველებს, რაცოც ობობა, ბუზი, კალია, ბაყაყი, დიდად არ გამოვსახავთ. ყოველ ამ გვარ ცხოველის სურათი, პატარად დახატული ერთს შავს წერტილს ემგზავებს და არც ერთად მათს სახსარი შე-სამჩნევად არ გამოხატება ჩვენს წიგნში ობობა, მაგალითად, რომ დიდად არ იყოს დახატული, თვალები ხრულად არ გა-

მოუხნდებოდა, ახლა კი უკვლავ ბავშვს შეუძლიან გააჩიოს მისი თვალები და დასთვალოს. დიდ ცხოველებს კი: ღმის, კამბეჩს, ძროხას, დათვის, პატარაებდაც რომ დახატოთ, ყოველი ასო ზნაწილი გარკვევით გამოუხნდებათ. ამიტომ ამ დიდ ცხოველებს წიგნებში პატარაებად ჭბატკენ, მით უმეტეს, რომ მათი დიდად გამოსახვა წიგნს ერთი სამად და ოთხად გადაიდებდა და გააძვირებდა.

უკვლავ ეს პირველის კლასის მოწაფეებაც კი კარგად იცის; მაგრამ ეტუება რომ ჩვენში იმისთანა კრიტიკოსებიც მოიპოვება, რომელნიც თუმათა სხვის სწავლებას ჩემულობენ, მაგრამ ბავშვებზედ ნაკლები გაგება და მიხვედრა აქვთ.

„წერა და ხაზვა, განუმორებელნი და-ძმანი კითხვისა სრულიად განდევნილნი არიან დედა-ენიღვანაო“, ბძანებს გადაღმიელი. ეს რომ მართალსა ჭკავდეს თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე სწორედ წაწმენილი განსდებოდათ! ხუმრობაა, ღვიძლის ძმისა და დის განუმორება, მოსზობა ყოველივე კავშირისა მათ შორის, ურთი-ერთობის მოფუშვა! მაგრამ ეს ჩვენნი მძიმე შეცოდებაც ისეთივე მოსიზმრებაა გადაღმიელისა, როგორც სხვები. სადაც კი დედა-ენით ხელმძღვანელობენ, უკვლავან კითხვასა და წერას ერთად ასწავლიან. საიღვან მოსიზმრების ამის წინააღმდეგი გადაღმიელსა? უთუოდ იქიღვან, რომ ბეჭდურს ანბანში ხელთ-ნაწერი ანბანიც არ არის ჩართული. მაგრამ განა ეს ჩვენთვის, ქართველებისათვის, საჭიროა? სრულიადაც არა. თუ რუსულს და ნემეცურს ანბანებში ხელთ-ნაწერიც არის მოქცეული, ეს იმიტომ რომ ბეჭდურის ხელით წერა არ შეიძლება, რადგანაც საწერი და ბეჭდური ასოები ისე ძლიერ განიჩქევიან ერთმანერთისაგან, რომ თითქმის სხვა-დასხვა ანბანს შეადგენენ.

ეს გარემოება დიდად აზრკოლებს პირველ-დაწყებითს სწავლას, რადგანაც ბავშვმა ერთის ხმის წასაკითხავად და გამოსასატყავად ორი ნიშანი, ორი ასო უნდა დაისწავლოს: ერთი ბეჭდური და ერთი საწერი. იგი იძულებულია ერთსა და იმავე დროს ორს სიძნელეს ებრძოდეს, რაცა წინააღმდეგია შედაგობის განხრისა.

რუსის და ევროპის შედაგობები სწუხან ამ გარემოებაზედ, მაგრამ რას იზიენ, თუ ცხოვრებას და ისტორიას ბეჭდური შრიფტი და ხელთ-ნაწერი ერთმანერთისაგან ძლიერ დაუმორებია, მზგავსება და ერთობა მათ შორის გაუუქმებია! ზოგნი ცდილობდენ და ცდილობენ ბეჭდური შრიფტი დაუხლოვონ და დაამკზავსონ ხელთ-ნაწერსა, რომ წერა-კითხვის გავრცელება გააადვილონ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ აწევიან თავის წადილს.

ჩვენი ქართული ანბანი სრულიად მოშორებულია ამ დაშლბრკოლებელს ორ-გვარობას. ყოველი ასო, როგორც იბეჭდება, ისე იწერება. თუ განსხვავება რამეა, ეს განსხვავება მხოლოდ ამარტივებს საწერს ასოს, მაგრამ მის თვისებას და სახეს სრულიად არა სცვლის. მთავარი საზები, მათი მიმართულება და ურთი-ერთობა ხელ-უნლებელი რჩება. ამიტომ თავდა-პირველი წერა ჩვენში მიუცდილებლად უნდა იყოს ბეჭდურის ხელისა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ძრგვალი, ბეჭდური ასოები უფრო ადვილად და მოხერხებულად ისება საზების ბადეში (сѢТКА), ვიდრე გავრულ, გაბმულის ხელის ასოები. ამ გვარი ერთობა კითხვისა და წერისა დიდად გააადვილებს ჩვენში წიგნის გავრცელებასა, და რად უნდა ვუღალატოთ ამ ერთობას, და ბრმა მიბადვის წყალობით ერთმანერთს დავაშორეთ და გავაცალკაოთ ორი ტყუში მოქმედება, საწერის შრიფტით

ტის მიხედვით ბავშვის ხელში? რავდენად საჭიროდ და სასარგებლოდ მიანხიათ ჰედაგოგებს ერთობა ბეჭდურის და საწერის ასოებისა პირველ-დაწყებითს სწავლაში, ცხადად სხანს იქიდგან, რომ რუსის გამომჩენილმა ჰედაგოგმა ბარონ კორძმაკითხვასთან შეაერთა წერა ბეჭდურის შრიფტისა, თუმცა ეს სრულიად ეწინააღმდეგება რუსის ანბანის ხასიათს. მაგრამ ერთი ნაკლულეგანების ასატილებლად მეორე უარესი ნაკლულეგანება შეიძინა და, რუსული ანბანისა არ იყოს, ცეცხლიდგანალში ჩაკარდნა მოუვიდა. საქმე იმაშია, რომ რუსულის ბეჭდურ ასოების წერა თუმცა კითხვის სწავლას ესმარება, მაგრამ თვითონ წერისათვის კი საშინლად მავნებელია, რადგანაც ბავშვი ეჩვევა იმისთანა ასოების წერას, რომელთაც თავის დღეში არ დასწერს და მეტე უთუოდ გადაეჩვევა, თუ კანონიერ ასოების წერა უნდა. ეს ახიკბული მავალითი ცხადად გვიჩვენებს, თუ რა საუნჯეა ჩვენთვის ბეჭდურის და საწერის შრიფტის ერთობა და რავდენად საჭირო და სასარგებლოა ბავშვმა წერა იწყოს მრგვლის ბეჭდურის ასოებით და ამით კითხვის სწავლებაც გაიადვილოს და წერის საძირკველიც კარგი ჩასდგას. ეს აზრი ჩვენ მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ გამოვსთქვით დედა-ენის პირველ გამოცემის წინასიტყვაობაში, და მას ეველა სასწავლებელში ასრულებენ, რავდენადაც ჩვენ ვიცით.

რაც შეეხება საზვას კერძოდ და წინამძღოლს კარჯიშობას საზოგადოდ, ამის შესახად ჩვენ ამოვიწერთ რავდენსამე სტრიქონს დედა-ენის პირველ გამოცემის წინასიტყვაობიდგან: «ჩვენი მეთოდა მიუცილებელ საჭიროებად ხდის წინამძღოლ კარჯიშობასა. წერა-კითხვის სწავლება, მეტადრე ანალიზურის მეთოდით, რთული საქმეა. პირ-და-პირ მისი დაწ-

უება ზავშვის გონებისათვის მსელი დასაძლევი და ასატანი-
 საჭიროა, რომ მისი გონება ამ რთულ საგნის შესათვისებ-
 ლად მომსადდეს უფრო მარტივ საგნების გაცნობით. ამ
 საგნებს უნდა ჰქონდეს პირ-და-პირი დამოკიდებულება წერ-
 კითხვასთან და შეადგენდეს მის ელემენტებსა. წინამძღოლს
 ვარჯიშობას შეადგენს: პირველად, მდანიური საუბრები, მეორედ
 სმების ანალიზი და შესამედ საზვა. სასაუბროებს საგნად უნ-
 და ჰქონდეთ: ზავშვების ნათესაობა, მათი კარ-შიდამო, სკო-
 ლის წესები და კუთვნილებანი, ათის რიცხვის თელა, მათი
 ერთმანეთსედ მითვლა, გამოთვლა, გამრავლება, გაყოფა და
 სხვანი. სმების ანალიზი მდგომარეობს ფრაზების დაყოფაში
 სიტყვებად, სიტყვების დაყოფაში მარცვლებად და მარცვლების
 დაყოფაში სმებად. სატკა უნდა ჯერჯერობით განისაზღვროს
 მსოლოდ მდგომარე და მწოლარე სასუბის გავლებით, მათის
 ერთმანეთსედ გადაბმით, ისე რომ რაიმე ზავშვების ნაცნობი
 საგნები გამოლიოდეს, მაგალითად: ჯოსი, ყავარჯანი, წერაქვი,
 ჯვარი, ფოცხი, რთითი, სმითი, ჩანგალი, სასწორი, ფან-
 ჯანა, სავარცხელი და სხვანი. მერმე მასწავლებელმა უნდა
 ასწავლოს მრგვალ საზის დასმა და შემდეგის საგნების გამო-
 საზვა: რკალისა, გასაღებისა კვერცხისა, სარისა, საათისა და
 კიდევ სხვებისა. ამ წინამძღოლს ვარჯიშობას რე კვირასედ
 მეტი არ უნდა მოახმაროს მასწავლებელმა და შემდეგ უნდა
 წერა-კითხვის სწავლებას შეუდგეს.

მოსენებული სასუბი ჩვენ პირველ გამოცემის დროს
 სესედ ამოვარჯინეთ, მგრამ ბეჭედის დროს ისე გაურკვევ-
 ლად და უხეიროდ გამოვიდნენ, რომ უკეთესად ჩავთვალეთ
 წიგნიდგან ივინი ამოგვეგდო და მასწავლებლისათვის მივკენ-
 დო მათი სატკა საკლასო ფიცარსედ. მართალია, ქვასედ შე-

იძლებოდა მათი ამოჭრა, ლიტოგრაფიაში ცალკე დაბეჭდვა და მეორე წიგნში ჩართობა, მაგრამ ეს დიდ ფულს მოითხოვდა და წიგნის ფასსაც გააღებდა. ყოველ შემთხვევაში სასურველია, რომ პირველ საკითხავს წიგნის თავში საბიოლოგიური გვერდი სახატავებს ეწილადოს, თუმცა ზოგიერთა საუკეთესო ნემეტურს სახელმძღვანელოებში ვერ ვხვდებით სახატავებს. მაგალითად ფრიად გავრცელებული ზოლენდერის წიგნი, რომელიც ორის წლის წინად ორმოც-და-მეთერთმეტე გამოცემად დაიბეჭდა, სრულიად მოკლებულია სახატავებს.

შემდეგ ჩვენი უღმრთელი კრიტიკოსი ანბანის ძირებს გვიწუნებს: «წინადადებანი უხეირონი არიან, გონებას საკარჯიშოს არ ამოკენო», და დასამტკიცებლად მოჭყავს ფრაზები: ბაყაყმა ბევრი იყვირა, ღოჭი დადაღე და სხვანი.

უმთარესი დანიშნულება ანბანისა ის არის რომ კითხვის სწავლება გაუადვილდეს ბავშვსა, თვალი გაუტყდეს მას ასოების გარჩევაში, მიეჩვიოს მათს დასახელებას დროთი, სწრაფად. ამ თავის აზრს ანბანი მით უფრო ჩქარა მიეწევა, რადენდაც უფრო სწრაფად იმეორება სიტყვებში და ძირებში ის ასო, რომელიც ბავშვმა უნდა შეისწავლოს. „გამეორება დედა სწავლისაო,“ ნათქვამია ძველთაგან. ამ ანბანის აყოლა ისე არსად არ არის საჭირო, როგორც პირველ დაწვებით სწავლაში. ეს აზრი მიგვიძღოდა წინ, რომდესაც ვადგენდით დედა-ენის ანბანსა. ჩვენ ვცდილობდით რომ ყოველ ნორმალურ სიტყვის ანალიზის შემდეგ დაგვეჩვენა იმ გვარი სიტყვები და ფრაზები, რომლებშიაც სწრაფად იმეორება შესაწავლელი ასო. სადაც კი მოხერხდა შედგენა იმ გვარ კონკრეტულ წინადადებათა, რომელნიც ხსენებულს მოთხოვნილებას ჭიკმის მხრით ასრულებდენ, იქ მათ უპირატესობას

კაძლეკდით. სადაც ამ გვარ ჭრახების შედგენა და თან შესწავლილ ასოს ხშირი ხმალება შეუძლებელი იყო, იქ იმ გვარ ჭრახებსაც კვებდებოდით, რომელთაც საზოგადო შინაარსი აქვთ და სუფოკელ-დღეო მოკვლინებათა ხატევენ. უაზრო ჭრახას, რასაკვირველია, არას დროს არ კაძლეკდით ადგილს, თუნდაც რომ იფარმაღურის მხრით იგი ძალიან მოხერხებულად იყოფილიყო.

ამ გზით ჩვენის ანბანის ყოველი ფრახა აადვილებს და აჩქარებს კითხვის პროცესის სწავლასა და ამასთან აძლევს მასალას არა მარტო ლოდიგურ განჩევისას, არამედ სშირად ნიკთიერისსაც. ავიღოთ თუნდა ერთი ზემოდ ამოწერილი ფრახა, რომელიც გადაღმიელს მოჭყავს ნიმუშად წინადადებათა უხეირობისა: „ბაყაუმა ბეკრი იუვირა.“ მასწავლებელი ჭკითხავს ბავშვებს: რამ იუვირა? ბაყაუმა. რაკდენი იუვირა? ბეკრი. რა არის ბაყაუი? სადა სცხოვრობს ეს სუფდგმული? მიწის ბაყაუი კი არ არის? რა დროს იცის ბაყაუმა ხშირი ყვირილი და სხვ... ამ გვარევე საუბარი შეიძლება გამართოს მასწავლებელმა ყოველის ჭრახის შესახებ.

გადაღმიელი ამბობს, ფრახების მაგივრად რომ ანდაზები და ლექსები ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდაო. ცოტა მომეტებული ჩაკვირების ძალა რომ ჭქონდა, თითონვე დანახავდა, რომ ეს არც შესაძლებელია და არც მარტებული ემაწვილისათვის. პირველ სამ-ოთხ თვეს ბავშვს ძალიან უძნელდება იმისთანა მარტივ წინადადებათა კითხვაც, რომლებშიაც სამს-ოთხ სიტყვაზედ მეტი არის, და ასე მოკლე ანდაზებისათიადე რომ გამოძებნო, ისიც კაი ქებაა, და ლექსები ხომ ასე მოკლე ყოვლად-შეუძლებელნი არიან. წაკითხულ ლექსებისა და მეტადრე ანდაზების შინაარსის გაგებას გონების ხან-

გრძლივი გადაეხება ეჭირება და ამ გვარს ძალას ბავშვი ჯერედ მოკლებულს. გარდა ამისა რომელსაც რავდენიმე ასო გაქვთ შესწავლილი და არა სრული ანბანი, ან სრულიად ვერ იბოვიოთ ანდა-ზასა და ლექსსა, ამ ასოებიდგან შემდგარსა, და ან თუ მოსძებნით, შინაარსის უხეირობით ვერ დაიწუნებთ, რადგანაც სსვს გზა არა გაქვთ და არჩევანს მოკლებულნი ხართ. თუ თქვენ გავისინჯავთ ის ზოგიერთია ანბანი, რომლებშიც ასოების შესწავლა რავდენჯერმე სწუდება და შესწავლილ ასოებიდგან შედგენილია ლექსები და მოთხრობები, შენიშნავდით რომ მათი ღარიბი და უინტერესო შინაარსი ნარცხადაც არ მოვა იმ წიგნების შინაარსთან, რომლებშიც მოთხრობები და ლექსები მასუგან იწეება, რომელსაც ბავშვი მთელს ანბანს ათავებს. შეადარეთ ბუნაკოვის პირველი წიგნი უშინსკის პირველ წიგნს და ჩვენის სიტყვების სიმართლე ცხადი იქმნება თქვენთვის. შინაარსის სიღარიბე და უინტერესობა აუცილებელი ნაკლუეკანება უნდა იყოს ყოველივე წიგნისა, ბუნაკოვის მეთოდსეუდ შედგენილისა, რადგანაც ავიწროებს ის გარემოება, რომ მხოლოდ რავდენიმე ასოსაგან უნდა შეადგინოს საკით ხავი სტატიები.

ერთი პრაქტიკული დაბრკოლებაც ემატება ყველა ამას. ასოების შესწავლის შეწყვეტა რავდენსამე ადგილას ანდაზების, ლექსებისა და მოთხრობების ჩამატებით, კითხვის სწავლებას თითქმის მთელს წელიწადს გააჭიანურებს და ეს ძალიან არ ეპიტნავება გლეხსა, რომელსაც სურს, რომ ბავშვმა, შემოდგომასეუდ შესულმა, საშობაოდ მანც გაათაოს ანბანი, კითხვა ისწავლოს. ეს გარემოება ყველა ანბანის შემადგენელს უნდა თვალწინა ჰქონდეს, თორემ შეიძლება ხალხს გაუჭარწეოდეს ის სუსტი სურვილიც შეილების სწავლებისა, რომელსაც ესლა მასში ვხედავთ.

ადვილს ანდაზებს, გამოცანებს, ლექსებს, მოთხრობებს უთუოდ უნდა ადგილი ჰქონდეთ ანხანის შესწავლის დროსაც, როგორც წინ მოვიხსენეთ, მაგრამ ესენი ანხანში კი არ უნდა იყვნენ ჩართულნი საკითხავად, მასწავლებელის სიტყვით, პირად გაკდაცემით უნდა ისწავლებოდნენ აკშეებისაგან იმ საგნების და სურათების განხილვის დროსა, რომელთაც კეთუნიან.

ძიწების გარდა ზოგიერთა სიტყვებსაც იწუნებს სასტიკი ძვილავი. მას მოჭყავს რავდენიმე საკუთარი სახელი პირველის და მეორე გვერდიდან და ძვევა მოსილის კილოთი კითხულობს: «რა უნდა შეიძინოს ბავშვმა ამ სიტყვებიდგანა?» იმას შეიძენს, რაც შესაძენი აქვს: კითხვის პრეტესს. ეს არის, როგორც წინედაცა ვთქვით, პირ-და-პირი დანიშნულება ანხანის გაკვეთილებისა და ამ დანიშნულებას კარგს სამსახურს უწევს საკუთარი სახელებიც. შეკვდებით ძალიან, თუ ვიფიქრებთ, რომ ამ სიტყვების კითხვის დროს ბავშვის გონება უმოქმედო რჩება, არასიუერს წარმოიდგენს. ყოველი საკუთარი სახელი, მეტადრე ბავშურნი, წიგნში ამოკითხული, მოაგონებს ბავშვს რომელსაჲმე თავის ტოლს, დაუსატავს თვალ-წინ მის სახეს და ასოციაციის ძალით წარმოუდგენს არა ერთ შემთხვევას საკუთარის ცსოვრებიდგან, არა ერთ სცენას ტოლ-ამხანაგებთან დროს გატარებისას. ამ მხრით საკუთარი სახელები ბევრით სჯობია საზოგადო სახელებს, რომელნიც არა სამდვილს ხორც შესხმულს საგანს არ შეესაბამებინ. ამასთან ისიც უნდა მივიღოთ ყურადღებაში, რომ პირველ გაკვეთილებში სხვა პედაგოგები სიტყვების შედგენას სრულიადც ვერ ასერსებენ და მათ ძაგიერ უაზრო მარცვლებს ხმარობენ; და თუ ჩვენ ამ გვარ მარცვლების მაგიერ

გამოვძებნეთ საკუთარი სიტყვები, რომელნიც უფრო ბავშურნი არიან, ამას ნაკლულევანებად ჩასთვლის მხოლოდ უმცირესი, რომელიც საკსკა სურვილით რაიმე ცუდი სიტყვას წიგნზედ.

სხვა-ფრთხილად აღვუბნებ ვიღაც სიტყვებს: ზოგიერთა მათგანი გაუგებარნი არიან იმიერ ბავშვებისთვისაო — ამოხსნა გადადგიელი. მას მოჭყავს შემდეგი სიტყვები: თუთა, ნამი, თადი, ნამვი, გუთანი, გემი, ჩაქუჩი, მყაში, ციყვი, ტაძარი, კნუტი, წიწკა, ჭეკამი და სხვანი ამ გვარნი, და თითქმის მრისხანედ კითხულობს: „ახლა მიბრძანეთ, თუ ღმერთი გრწამთ, ეს სიტყვები და რუსული სიტყვები: კოზლიკი, დომი, ნებო და ამ გვარები რომ ჩაუწერონ იმერელს ბავშვებს, რომელნი უფრო ენოთირებათ? აი რა გონების სიბრძნევიდის მიდის კაცი, როდესაც მას სულ-წასულობით სურს წიგნში იპოვოს ნაკლულევანება, რომელიც მასში არ არსებობს, მისდა საუბედუროდ! იმერეთში ბავშვს ვერ მოსძებნი, რომელსაც კარგად არ ესმოდას ჩამოთვლილი სიტყვები, რადგანაც სურამის მთის იქითაც ისე საყოველთაოდ იხმარება, როგორც აქედ. გადადგიელმაც, ჩასაკვირველთა, ეს კარგად უნდა იცოდეს, მაგრამ ის მაინც მათ წმინდა რუსულ სიტყვების გაუგებრობას აწერს. ნუ თუ ხმას იმდენი არ ესმის, რომ ამ გვარ უძღურის მტრობით თავის - თავს არცხვენს და უგანასკნელ მნიშვნელობის ნამცეცს უგარგავს ყოველ თავის სიტყვას!...

ცუდი საქმე უფო გადადგიელს ერთმა იმერმა: ჩვენის თხრობით გულდადებით გადაიკითხა დედა-ენა, დაკვისახელა იმერელთათვის გაუგებარი სიტყვები და ჩვენ ისინი, საცა კი შეიძლება და, შევცვალეთ იმისთანა სიტყვებზედ, რომელნიც იხმარებიან იქით და აქეთ საქართველოში. ჩასაკვირველთა,

დედა-ენაში გიდეკ მოიძებნება რადენიმე სიტყვა, იშვიათად სახმარე იმერეთში, მაგრამ მათ ბავშვი გაიგებს ან აზრის მიმდინარეობით, ან მასწავლებლის შემწეობით. იმ გვარად წიგნის გამოცემა, რომ მასში არ გამოერიოს ზოგიერთი სიტყვა, იშვიათად სახმარე საქართველოს რომელსაღუ გუთხე- ში, შეუძლებელია და წიგნის დირსებისათვისაც მანებელი. წარმოიდგინეთ მშვენიერი სახალხო ლექსი, იმერეთში გავრცე- ლებული, რომელშიაც უჩვეია ერთი ცოტათი თუ ბევრად უც- სო სიტყვა ქართლელ ბავშვებისათვის. განა მოსაწონი იქნება, გამოკაკლათ წიგნიდან ეს ლექსი იმ მიზეზით, რომ იმ- რთის სიტყვის გაგებისთვის ბავშვს მოუნდება ჩაფიქრება, ან მასწავლებლის დახმარება? ეს ხომ დიდი საუნჯის დაკლება გამოვა პატარა დაბრკოლების თავიდან აცილებისთვის?

ბოლოს ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ზოგიერთა გუთხეში იხმარებიან იმისთანა გამოთქმანი, რომ- ელნიც ზედ გამოჭრილნი არიან საგანზედ, აზრზედ და რომელნიც იშვიათად იხმარებიან დანარჩენს გუთხეში. პირ- ველ-საკითხავმა წიგნმა უნდა გავრცელოს ეს მოხერხებული გამოთქმანი მთელს საქართველოში და გამარჯვება დაუშვიდ- რას მათ არსებითს ბრძოლაში. დავასახელებთ ერთს მაგა- ლითს: იმერეთში ამბობენ: შენი წიგნი იქ დავტოვე; ქართლში იტყვიან: შენი წიგნი იქ დავაგდე. პირველი სიტყვა ქართლის და კახეთის ბავშვს ეუცხობა, მაგრამ პირველ-საკითხავ წიგნ- ში უთუოდ უნდა იყოს მოქცეული, რადგანაც ძიელ სჯობს ამ შემთხვევაში ქართულ სიტყვას, რომელიც ორ-აზროვანია. მხოლოდ ამ გვარ შემუშავებით შეუძლიან აასრულოს პირ- ველ-საკითხავმა წიგნმა ერთი უმთავრესი თავისი დანიშნულება: გაუვრცელოს, გაუფართოოს ლკიძლის ენის ცოდნა ბავშვსა და

ლექსიკონი გაუძლიდრეს. საზოგადოდ უნდა შევნიშნათ, რომ პედანტიურ წერილმანობას სერი აწსად მოუტანია და ანც საზვეშვო წიგნს შესძენს სიკეთეს.

საქართველოს ყოველ კუთხისათვის ცალკე საკუთარი წიგნი უნდა შესდგეს, ამოებს გადაღმიელი. ამითი ის იმეორებს, თუძცა უსეიროდ პედაგოგების აზრსა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ყოველს განსაკუთრებულს კუთხეს, რომელიც სსვა კუთხეებიდგან განიჩხევა ბუნებით, ყოფა-ცხოვრებით და ენის კილოთი, უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი პირველ-დაწყებითი წიგნი, რომელიც იძენად უნდა განიჩხედეს ამ გვარისავე წიგნებიდგან, რამდენადაც ეს კუთხე განსხვავდება სსვა კუთხეებისაგან. ეს აზრი გუშინ არ წარმოთქმულა, კაი ხანია არსებობს პედაგოგიის სტერაში, მაგრამ განსორციელებას კი ვერ მოესწრო და ანც მალე მოესწრობა. პედაგოგები, რომელნიც ამ არის სიმართლეს აღიარებენ თეორიით, საქმით ღალატობენ მას და წიგნებს ადგენენ არა ერთის რომელიმე კუთხისათვის, არამედ მთელის სახელმწიფოსათვის. რუსის პედაგოგებმა, ვოდკოვოვმა და კორძმა ამ აზრის თანაგრძნობა გამოაცხადეს თავის პედაგოგიურ თხზულებებში, მაგრამ როცა საკითსავ წიგნებს მიჭყვეს ხელი, ორივემ იგინი მთელის რუსეთისათვის შეადგინეს და არა ერთის რომელისამე მხარისათვის. «როდნოე-სლოვო» უშინსკისა იმარება მთელის რუსეთის სკოლებში, არჩანგელსკიდან დაწყებული ყარსამდის და კამჩატკიდან მოკიდებული პოლშის დასავლეთ საზღვრებამდის. თუ რუსეთიდან გადავალთ პედაგოგიის სამშობლოში, გერმანიაში, აქაც ამისთანავ მოკლენას შევსვებით: კლაუგელის წიგნით ხელმძღვანელობენ მთელს ნრდილოეთის გერმანიაში, კენისბერგიდან დაწყებული კელნის მარცამდის.

ამასვე ვხედავთ სამხრეთ გერმანიაში და ევროპის სხვა სა-
ხელმწიფოებში.

ამ მოკლეხანს აქვს თავისი მიზეზები და ძალიან სა-
ფუძვლიანიც. თუ გვინდა რომ ყველა განსაკუთრებულს მხარეს
ჭქონდეს თავის საკუთარი პირველ-დაწყებითი წიგნი, ამისა-
თვის საჭიროა ბევრი პირობა. პირველად, ეს კუთხე უნდა
სავსე იყოს სკოლებით, თორემ რაკდენიმე სკოლისათვის წიგნს
არც აჩაგინ შეადგენს და არც აჩაგინ დაბეჭდავს; და თუ და-
ბეჭდავს, ფასი ერთი სამად და ოთხად უნდა მეტი დაედოს
წიგნსა, რადგანაც რაკდენიც წიგნი ცოტა ეგზემპლარი იბეჭ-
დება, იმდენად უფრო ბევრი ჯდება. მეორე ესა, ამ კუთხის
ხალხის გონების ნაწარმოები: იგავები, ზღაპრები, ლექსები,
ანდაზები, გამოცანები და სხვანი უნდა შეკრებილ იყვნენ, რომ
პედაგოგს ჭქონდეს ხელში ადგილობრივი მასალა ადგილობ-
რივის წიგნის შესადგენად. მესამედ, ამ კუთხეს უნდა ამოუჩ-
ნდეს ნიჭიერი და გამოცდილი პედაგოგი, რომელსაც შეეძ-
ლოს მასალის მოხმარება და ხეიროანის წიგნის შედგენა. ამ
პირობებს მოკლებულნი არიან ჯერ-ჯერობით რამდენიმე რუ-
სეთის კუთხეები, არამედ ევროპისაც და ამიტომ ადგილობრივი
საკითხავი წიგნები ან სულ არა ჩნდება და თუ ჩნდება, საყო-
ველთაო წიგნებთან ბრძოლას ვერ იტანს და გასავალი არა
აქვს. მომავალშიაც საეჭვოა, რომ ადგილობრივმა წიგნებმა
კონკურენცია, გაუწიონ იმ წიგნებს, რომელნიც დედა-ქალაქში
იბეჭდებიან, რომელთ ავტორებს მთელის ხალხის ნაწარმოები
მდიდარს მასალას აძლევს, რომელნიც საყოველთაო წიგნებს
ათი-ათასობით ბეჭდავენ და რომელთა გამოცემანი, თუ ფა-
სით, თუ გარეგანის ღირსებით ადგილობრივ გამოცემებზედ
დიდ-ხანს მანაც მაღლა იდგებიან.

ჩვენში უკელა ამას განსაკუთრებული გარემოებაც ერთვის ზედა. საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილები დიდის ხნის განმავლობაში გაცალკეებულნი იყვნენ და ერთმანერთთან კავშირი მოსპობილი ჰქონდათ. დასლფობას, ერთობას, გონების და ზნეობითს კავშირს მათ შორის ახალი გარემოება ეხმარება, მაგრამ სანატრელს ხარისხამდის ეს ერთობა მხოლოდ მაშინ მივა, როდესაც ჩვენ უკელს ღონისძიებას ვიხმართ მის გაძლიერებისათვის, გამტკიცებისათვის. ერთი უძლიერესი ღონისძიება არის ახლის თაობის სწავლება და აღზრდა ერთ-გვარის გონების საზრდოთი, ერთისა და იმავე წიგნებით, ერთისა და იმავე სახელმძღვანელოებით. ისე არასიუერს არ შეუძლიან დაახლოვოს, დააკავშიროს და გააერთოს მოზარდთაობა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებისა, როგორც საერთო პირველ-საკითხავ წიგნსა, რომელიც სხვა შემდეგს წიგნებზედ მომეტებულია ძლიერებით მოქმედებს ბავშვის ნორმის ბუნებაზედ და უღრმეს ჩაბჭდილებას სხსავს მის გონებაში, როდესაც ნორმი იმერელი, გურული, მეგრელი, რაჭველი, ქართველი, კახელი და ფშავ-ხევსურელი ჩვილს გონებას იხსნის, იმდიდრებს ერთისა-და-იგივე სუკეთესო მოთხრობებით, არაკებით, იგავებით, ლექსებით, გამოცანებით, ანდაზებით, ამითი მკვიდრდება საძირკველი სულიერის ერთობისა, გონების კავშირისა და ზნეობით სიასლოვისა.

წარმოდგინეთ ასლა წინააღმდეგი სურათი: გურული ბავშვი ერთს წიგნში სწავლობს, მეგრელი მეორეში, იმერელი მესამეში, რაჭველი მეოთხეში, ქართველი მესუთეში, კახელი მეექვსეში და სხვანი. ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ეს მოკლენა არ გადაეღობება ერთობის გამტკიცებას, კავშირის გაძლიერებას, სიასლოვის დაქარებას?

რავდენად უნდა ვკრიდებოდეთ ცალ-ცალკე წიგნების გამოცემას სხვა - და - სხვა კუთხეებისათვის, ცხადად ვხედავთ იქიდან რომ ამგვარის ადგილობრივი სახელმძღვანელოების შედგენა და გამოცემა ჩვენში ძალიან გულითა სურთ ჩვენს ტაშკენტელებს, რომელთაც მჭიდრო ერთობის დამყარება ჩვენში სრულად არ ეპიტნავენათ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გადაღმიელს თავისი აზრი ამ ვაჟ-ბატონებისაგან გაუგონია და მათს სურვილს უგმევს, როდესაც ამობს, რომ გურუებს ერთი წიგნი უნდა შეეუდგინათ, იმერელს მეორე, ქართველს მესამე, კახელს მეოთხე და სხ...

უკანასკნელი ჩვენი აზრი ამ დიდ-მნიშვნელობიან საქმის შესახებ არის ის, რომ იმისთანა პატარა ქვეყანას, როგორც საქართველოა, სრულიად არ გამოადგება ადგილობრივი წიგნები პატარ-პატარა კუთხეებისათვის. ჩვენთვის საჭიროა საყოველთაო წიგნი, რომელშიაც უნდა იყოს მოქცეული საუკეთესო გონებითი საუნჯე მთელის ჩვენის სალხისა, რასაკვირველია ბავშვის გონებისათვის მისაწდომი და ადვილად შესათვისებელი. ადგილობრივს ელემენტს კი ჯეროვანი, ფართო ადგილი უნდა მიეცეს დაკვირვებით სწავლაში (наглядное обучение), რომელიც ჩვენში საკუთარს საგანს უნდა შეადგენდეს და ბავშვს დაწვრილებით და განვითარებით განცნობდეს თავის სამშობლო კუთხეს.

ანხანის შემდეგ გადაღმიელი პირველ-საკითხავ წიგნსა ჭკილავს უფრო კიდევ უარესის უსაფუძვლობით და უმეტრობით. მაგრამ ხანსი ძლიერ გაგრძელდა და საჭიროა აქ შეესწავიტოთ. სიტყვას გადაღმიელის შენიშვნების გულისათვის არც შემდეგში გაგაგრძელებდით, მაგრამ ჩვენს გვსურს ზოგიერთა შედაგოგიურს საგნებზედ მოკილასაწარმოთ მკითხველ-

თან, და გარდა ამისა მოკლე უსუსი გავცეთ «დედა-ენის» სხვა მკილაკებსაც, რომელთაც შეიძლება გულის დაკლდეთ: ამიტომ მკითხველს მეორე წერილსაც წარვუდგენ «ივერიის» ფურცლებზედ.

ნ. ზოგებაშვილი.

ახალი წიგნები.

მერცხალი. შმიდტის მოთხრობიდან, გადმოკეთებული. მ. ჯან
—საგან. თბილისი. 1881.

დიდი ნიჭი, ენის კარგი ცოდნა და ყმაწვილების გულის
ცნობა—აუცილებელი საჭიროებაა საყმაწვილო თხზულებების
მწერალთათვის, მაგრამ ეს სამი პირობა უფრო მტკიცედ უნ-
და იყოს შესრულებული, როდესაც ავტორი ბუნების მეცნიე-
რებიდან მოგვიტოვებს რასმე. მერცხლების ცხოვრება, ბუდის
გაკეთება, ბარტყების გამოჩეკა, დედ-მამის ზრუნვა მათზედ,
სამთარში უფრო თბილს ქვეყნებში გაფრენა და საფხულში
უკან დაბრუნება,—მართალია სასარგებლო გასაგონია ყმაწვი-
ლებისათვის, მაგრამ სასიამოვნო და გასართობიც უნდა იყოს
თუ ავტორი მხოლოდ იმაზედა ჭფიჭობს, რომ ბავშვებს
ცნობა შესძინოს რამე და გამართობლობაზედ კი არა ზრუ-
ნავს, უეჭველია, შრომა ტყუილად ჩაუვლის და იქნება სარგებ-
ლობის მაგივრად, ვნებაც მოიტანოს.

ჩვენდა სამწუხაროდ კერც-ერთს შემოხსენებულს პირო-
ბას ვერ ასრულებს ეს პატარა წიგნი და ამის თქმა მით უფ-
რო გვეზარება და გვეწუხება, რომ ამ წიგნის გამოცემა ავ-
ტორს მხოლოდ კეთილის საქმის ერთგულებით განუზრახავს
და თვალ-წინ მხოლოდ ეს აზრი ჭჭობია, ეგება, მეც შევმატო-
რამე ჩვენს საყმაწვილო ლიტერატურასაო. ამას ცხადად ამტკი-
ცებს ის გარემოება, რომ წიგნი შვიდ კაპიკადა ღირს და ვინც
ოცზედ მეტს გამოიწერს, შაურად დაეთმობა. წიგნშია პ'ნ პა-
ტარა გვერდი და ძალიან სუფთად არის გამოცემული, ასე რომ
რა გვერდია ამ წიგნის გაყიდვით ავტორმა, თუ არ იზარა-
ვდა, სარგებლობა ნახოს რამე.

ჩვენ ჩვენს თავს ან კენდეთ და კვითხეთ თითონ ბავშვებს, რომელთაც კი წაეკითხათ, როგორ მოეწონათ ეს წიგნი. ჩვენ ვერ შევამჩნიეთ მათ სახეზედ ის მხიარულების სხივი, რომელიც ბავშვს ყოველთვის დაუტყობა ხოლმე, როდესაც თავის საყვარელს წიგნს მოიგონებს.

წიგნის ბოლოში თითქო თითონვე ავტორი ცდილობს შეაზიზღოს ბავშვს სწავლაცა და სასწავლებელიც:

«ოჰ რა მალე წაფხული გავიდა, (თუ გავიდა წაფხული?) ახლა კიდევ მოვიდა დრო სწავლისა, კიდევ უკოლა (სკოლა), მასწავლებლები, სწავლა... ოხ, რა კარგია რო შენ პატარა ხარ და შინ სწავლობ...»

განა საყმაწვილო წიგნის კალის ყმაწვილს სწავლა და მასწავლებელი მოაძულეს!

ენა ამ წიგნში სუსტობს და მაგალითების ამოსაწერად რომ ადგილი გვჭონდეს, თითქმის ყოველ გვერდზედ შეცდომას ვიპოვნიდით. მეტადრე ნაცვალ-სახელები აჭირებენ საქმეს. ქართულ ენას ეს დიდი სიკეთე სჭირს, რომ ხშირად ზოითონ ზმნაშივეა ნაცვალ-სახელი მოქცეული და მისი გამეორება უადგილოც არის და წიგნის შთაბეჭდილებასაც ამცირებს.

ერთი რამ უნდა ვუჩინოთ ავტორს; თუ კვლავ კიდევ ან დაიშალა და შეადგინა საყმაწვილო წიგნი, იმას მაინც უცადოს ჰაქტიურად შეცდომილება ანა შეეპაროს-რა:

მე-33 გვერდზედ შმა ეუძნება დას: „მერცხლები გაფრინდებიან შორს(,) ძალიან შორს, მზის ჩასვლის მსრებისკენ (თუ მხარესკენ) იქ, საცა მუდამ თბილა და ზამთარი ან იცის მთელი წლის განმავლობაში.“

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ავტორმა იცის, რომ მზის ჩასვლის მხარე დასავლეთია და მერცხლები კი სამხრეთისკენ მიფრინავენ; ჩვენ დარწმუნებული ვართ ეს აჩქარებით მოსვლია, მაგრამ ამისთანა საქმეში აჩქარება რა კარგია და როგორ ან იცოდნა ავტორმა, რომ თავის ერთის შეცდომით, შეიძლება რამდენსამე ათასს ბავშვს შეეცდარი აზრი ჩააგონოს.

ნ 383
1881

ხელის - მოწერა «დროება-ივერიაზედ» მიიღება:

• თბილისში, «დროება-ივერიის» რედაქციაში, (გადავინის
პროსპექტზედ, თ. ივ. კ. მუსჩანსკის სახლებში, კაღების ქვე-
მოდ).

ქუთაისში «დროება-ივერია» ავ. ტთან ი. ჭყონიასთან
(სიღაზედე, მიწ. ქი.)

ქალაქს გარეშე «დროება-ივერია» სალ-გაზეთი ამ ადრესით
უნდა დაიბარონ:

Въ Тифлисъ. Въ Редавцію Дроэба-Иверіи.

ფასი:

- «ივერია» ექვსის თვით (დროებასთან ერთად) — 8 მან.
- «ივერია» ექვსის თვით ცალკე — — — — 4 მან.
- «ივერია» ერთის წლით — — — — 7 მან.

ხელის-მომწერთ ფული ყურნალ-გაზეთის დაბარებისათ-
ნაკე უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

ვისაც ყურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, უმორ-
ჩილესად კთხოვთ მალე გაცნობოს რედაქციაში.

რედაქტორები ილ. ჯაფარიძე და ს. მუსხი.